

ზ. ხიფურელი



K 208599  
3

ფეოდელური  
მონეტოგულმგებულ  
XV-XVIII  
საუკუნეებს  
ელმოსავეთ  
სამარტოველთ

„მეცნიერება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი



ზ. ხიღურელი

ფეოდალური მიწათმფლობელობა  
XV—XVIII საუკუნეების  
აღმოსავლეთ საქართველოში  
(სამეფო დომენი)



„მეცნიერება“

თბილისი

1989

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ფეოდალური მიწათმფლობელობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის — სამეფო დომენის შესწავლას. მასში დადგენილია საქართველოში სხვადასხვა პერიოდში სამეფო მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინები, განსხვავება სამეფო და სახელმწიფო მიწათმფლობელობის ფორმებს შორის. განხილულია სამეფო დომენის სტრუქტურა. როგორც ადრე-ფეოდალური და ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში, ისე გვიანფეოდალურ ეპოქაში. დაზუსტებულია სამეფო დომენის ტერიტორიული ფარგლები, მისი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები. აღწერულია მეფის უმა-ვასალთა რაოდენობა, ამ უკანასკნელებთან და ეკლესიასთან ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულების ფორმები. გარკვეულია ქართლ-კახეთის მეფეთა შემოსავლის რაოდენობა და წყაროები.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტთა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. კანდ. ჯ. ოდიშელი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. ი. ანთელავა  
ისტ. მეცნ. კანდ. გ. იოზაშვილი

0503020906

ბ M 607(06)—89 201—89 © გამომცემლობა

ISBN 5—520—00451—X

ს.ქ. სსრ-ის მარჯის  
ს.ბ. საბ. რესპ. ბ.  
განათლების  
მინისტროს ბიბლიოთეკა  
1989

## შესავალი

სამეფო დომენი ფეოდალური მიწათმფლობელობის შემადგენელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომ, ცხადია, ამ ფორმისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის უაღრესად აქტუალური საკითხია.

ფეოდალიზმი, როგორც ცნობილია, მიწათმფლობელობაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობაა — ერთი მხრივ, უშუალო მწარმოებლებსა და ფეოდალთა, ხოლო, მეორე მხრივ, თვით გაბატონებული კლასის ცალკეულ წევრებს შორის, პირველ რიგში მეფესა და ფეოდალებს შორის.

ამრიგად, ფეოდალიზმის დროს მიწის საკუთრებაზე დამყარებული, როგორც წარმოებითი ურთიერთობა, ე. ი. ფორმაციის ბაზისი, ისე პოლიტიკური სისტემა, ე. ი. ზედნაშენი. ამდენად, ცხადია, ფეოდალური პერიოდის საზოგადოების ისტორიის კვლევის ერთ უმთავრეს საკითხს მიწათმფლობელობის ფორმების დადგენა-შესწავლა წარმოადგენს.

მიწის უმაღლესი მესაკუთრე ფეოდალურ მონარქიაში, როგორც ცნობილია, მეფეა. ის იმდენად არის სახელმწიფოს მეთაური, რამდენადაც მიწების უზენაესი მესაკუთრეა, ის აძლევს სხვა ფეოდალებს მიწას პირობით მფლობელობაში. ამდენად, მიწაზე საკუთრების უფლება ფეოდალიზმის ხანაში დანაწევრებულია, სწორედ მიწის დანაწევრებულ საკუთრებას ემყარება ფეოდალური იერარქია — ვასალიტეტი — პატრონჟიმობა-ბატონჟიმობა.

ამავე დროს ფეოდალიზმის სხვადასხვა საფეხურზე იცვლება მიწაზე საკუთრების ფორმები, იცვლება რეალური ვითარებაც და იურიდიული ნორმებიც (ამ ეპოქაში ისინი ხშირად აღარ შეესატყვისებიან ერთმანეთს). მეფე, მიწის უზენაესი მესაკუთრე, ყოველთვის და ყველა მიწაზე ერთნაირად ვერ ახორციელებს თავის იურიდიულ უზენაესობას. მიმდინარეობს გამძაფრებული შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალებს შორის მიწაზე საკუთრებისათვის: მეფის ბრძოლა დად ფეოდალებთან, ცალკეული დიდი ფეოდალებისა ერთმანეთთან, დიდ და

წერილ ფეოდალებს, ეკლესიასა და საერო ფეოდალებს შორის და  
სხვა.

იმის მიხედვით, თუ როგორია მეფის საკუთრება მიწაზე, როგორ  
რამა დანაწევრებული მიწაზე საკუთრების უფლება ფეოდალთა ეკლესი-  
ის წარმომადგენლებს შორის და როგორია უშუალო მწარმოებელთა  
დაყმევების ხარისხი, იქმნება ფეოდალიზმის სხვადასხვა სტადია,  
იქმნება განსხვავება აღმოსავლურ და ევროპულ, ქართულ და თურქულ  
ფეოდალიზმებს შორის.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში მიწათმფლობელობის ერთ-  
ერთ ფორმასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალის შესახებ წყა-  
როებში შემორჩენილი ცნობების წარმოჩენას და გაანალიზებას ისა-  
ხავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი. ძირითადი საკვლევი ხანა აქ  
XV—XVIII საუკუნეებია. შესავლის სახით, როგორც ამოსავალი ვითა-  
რება, განხილულია IV—XIV საუკუნეების პერიოდიც.

## ისტორიოგრაფია

სამეფო მიწათმფლობელობას ძველ საქართველოში და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არაერთი მკვლევარი შეეხო თავის ნაშრომში. გვაქვს ერთი მონოგრაფიაც XVIII ს-ის მეორე ნახევრის იმერეთის სამეფო დომენზე<sup>1</sup>.

XI—XVI სს-ის სამეფო დომენზე მოსაზრებები გამოთქმული აქვს ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“. ამ ნაშრომის მეორე წიგნის მეორე მონაკვეთში საგანგებო თავი მიძღვნილია მეფის ხელისუფლების ყოველმხრივი შესწავლისადმი, სახელწოდებით: „მეფე და მეფის ხელისუფლების ისტორია“. აქ ავტორი განიხილავს რა სამეფო სახლს ასკენის, რომ ამ სახლის წევრებს ჰქონდათ თავიანთი ინდივიდუალური სამფლობელოები: უფლისწულებს — საუფლისწულოები, მეფეს კი, როგორც მამასახლისს (სამეფო სახლის უფროსს) — სამამასახლისო სამსახურებელი. ამავე ნაშრომში მკვლევარი ასახელებს სამეფო ქალაქებს, მეფეთა რეზიდენციებს, საზამთრო და საზაფხულო სადგომებს<sup>2</sup>.

ს. ჯანაშია თავის ნაშრომში განიხილავს რა ფეოდალური მიწათმფლობელობის წარმოშობის საკითხს, ეხება აგრეთვე სამეფო დომენს. სტრაბონის ცნობებში დამოწმებული პირველი გენოსის ქართულ შესატყვისად ის მიიჩნევს „სეფეს“, ხოლო მის ბერძნულ შესატყვისად — „ხორა ბასილიკეს“. სამეფო დომენზე, ს. ჯანაშიას აზრით, იჭდა მეოთხე გენე — „სამეფო მონები“, რომელსაც მკვლევარი მიიჩნევს სამეფო ყმა-გლეხებად<sup>3</sup>.

ქართლის სამეფო ტერიტორიაში ს. ჯანაშია გამოყოფს ორ კატეგორიას: 1. სამეფო დომენი, რომელიც შედგება „სამამასახლისო სამსახურებლისაგან“ და დაპყრობილი ტერიტორიისაგან. იგი სეფე სახლის უშუალო განკარგულებაში იმყოფება; 2. სამეფოს დანარჩენი მი-

<sup>1</sup> რ. აბესაძე. იმერეთის სამეფო დომენი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1973. ინაბეზა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ბიბლიოთეკაში.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 88—178.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია. შრომები, ტ. I, 1952, გვ. 159—160, 165—166.

წაწყალი, რომელსაც თეორიული ნორმა აგრეთვე სეფე-სახლის საკუთრებად აცხადებს („აგარაკების“ გამოკლებით). ამ უკანასკნელ კატეგორიის მიწებზე მეფის საკუთრება პრაქტიკულად შეზღუდულია სხვადასხვა სახის საკუთრებით (სათემო, წვრილი კერძო, ადრინდელ-ფეოდალური). ამასთან სამეფო დომენი მცირდება მეფისგან მიწების გაცემით მის ვასალ ფეოდალებზე<sup>4</sup>.

სამეფო დომენს, როგორც ადრეფეოდალურ<sup>5</sup>, ისე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეხება თავის ნაშრომებში ნ. ბერძენიშვილი (სამეფო სტელებთან — „ხელებთან“ დაკავშირებით)<sup>6</sup>.

გ. მელიქიშვილი ნაშრომში „ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო-უბრივი წყობილების საკითხები“ განიხილავს სამეფო მიწათმფლობელობის საკითხებს ადრეკლასობრივი და ადრეფეოდალური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში (სამეფო მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინები, სამეფო გლეხები და სამეფო ვასალები, სამეფო დომენში შემავალი მხარეები და სხვ.)<sup>7</sup>. მას სამეფო დომენში შეაქვს ტერიტორია, რომელიც დასახლებულია სამეფო მონებით (IV გენე), აგრეთვე რუსთავი და მისი ოლქი, კუხეთი და კახეთი<sup>8</sup>.

რუსთავსა და კუხეთს სამეფო დომენად მიიჩნევს ლ. ქილაშვილიც<sup>9</sup>. ივ. სურგულაძე ნაშრომში „საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV—X საუკუნეებში“ განიხილავს სამეფო საკუთრებას ადრეფეოდალურ საქართველოში. ავტორი გადმოსცემს ამ საკითხზე ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის, ა. ბოგვერაძის თვალსაზრისებს და გამოთქვამს მათ შესახებ ზოგიერთ საკუთარ მოსაზრებას. იგი თვლის, რომ სამეფო დომენია მხოლოდ „სამამასახლისო სამსახურებელი“, მეფის დანარჩენი მიწა-წყალი კი, რომელშიც დაპყრობილი ტერიტორიებიც შედის, არ შეიძლება სამეფო დომენად მივიჩნიოთ, რადგან ის მეფეს ეკუთვნის არა როგორც ფეოდალს, არამედ როგორც პოლიტიკურ ხელისუფალს, სიუზერენს<sup>10</sup>.

<sup>4</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1952, გვ. 287—288.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 424.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 135—232.

<sup>7</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 597—609.

<sup>8</sup> Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, с. 419.

<sup>9</sup> ლ. ქილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, თბ., 1958, გვ. 46—47.

<sup>10</sup> ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV—V საუკუნეებში: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1973, გვ. 195—204.

ადრევეოდალური პერიოდის ქართლის სამეფო დომენს განიხილავს თავის ნაშრომში ა. ბოგვერაძე. მკვლევარი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სამეფო დომენის აღმნიშვნელი ტერმინების სტრუქტურულ-ბონისეული პირველი გენოსის შემადგენლობისა და სამეფო დომენის დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მისი თვალსაზრისით სამეფო დომენი იგივე სასეფო ქვეყანაა, გვიანდელი ტერმინოლოგიით, მეფის მამული — დანარჩენი ტერიტორია მეფეს ეკუთვნის, როგორც პოლიტიკურ ხელისუფალს<sup>11</sup>.

საინტერესო მოსაზრებები სამეფო დომენის სტრუქტურისა და მისი აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ მოცემულია ზ. ალექსიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომში „უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. აღნიშნულმა მკვლევარებმა ყოველმხრივ შეისწავლეს ტერმინები ოჩე//საუხუცესო//საუფროსო და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქართული ენობრივი ერთიანობის ხანის ბევრ ხუცესს ქართლში ბევრი მეფე ცვლის კლასობრივი ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად. თითოეული მათგანი სეფე ქვეყანას ფლობს. ცენტრალური ხელისუფლების წარმოქმნის შედეგად მეფეებს უზენაეს უფლად მამასახლისი უჩნდებათ, რომელსაც თავისი სამამასახლისო სამსახურებელი აქვს. მამასახლისის ხელისუფლება მონარქიაზე გადასასვლელი ტრამპლინი ხდება: მალე მამასახლისის უფლებას ერთ-ერთი მეფე (ყოფილი ხუცესი) იჩემებს და ერთადერთი მეფე (მონარქი) ხდება. ამიერიდან მეფეც ერთია და სეფექვეყანაც. ქართულმა ფეოდალურმა ტრადიციამ შემოგვინახა შთელი ზემოთ მოთხრობილი პროცესი იმით, რომ შესაბამისი ტერმინები დაგვიტოვა. სამეფო დომენი შეიცავდა როგორც საუხუცესო ქვეყანას (ჯუანშერი), ისე სამამასახლისო სამსახურებულს (მიჯნაძორელთა და ოპიზართა სიგელი) და გამონარჩევილი მეფის ძველ სეფე ქვეყანას<sup>12</sup>.

ილ. ანთელავას ნაშრომში „საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს.“ შესწავლილია ამ პერიოდის საქართველოს სახელმწიფო და სამეფო მიწების ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, უწყებრივი სტრუქტურა და სამოხელეო აპარატი, ნაჩვენებია მმართველობის კლასობრივი არსი, მისი ექსპლოატატორული ხასიათი, დადგენილი და დაზუსტებულია სამოხელეო თა-

11 ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში. თბ., 1979, გვ. 109—123.

12 ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი. უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 127, ისტორიის მეცნიერებათა სერია, VII, თბ., 1968, გვ. 381—402.



ნამდებობათა ფუნქციები, მათი ჩამოყალიბების დრო<sup>13</sup>. საინტერესოა აგრეთვე ავტორის მეორე მონოგრაფიაც „XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები“<sup>14</sup>. დასახელებული მკვლევრები ძირითადად განიხილავენ IV—XIII სს-ის პერიოდს, მაგრამ მათი კვლევითი შედეგები დიდ სამსახურს უწევს მომდევნო საუკუნეების სამეფო დომენის მკვლევარებსაც.

XV—XVIII სს-ის სამეფო მიწათმფლობელობა განხილულია შემდეგი მკვლევარების მიერ: გ. ბოჭორიძეს გამოცემული და განხილული აქვს „კახეთის აღწერა 1801—1802 წლების“, აგრეთვე 1804 წლის თელავის მხარის კამერალური აღწერის მასალები<sup>15</sup>.

XVIII ს-ის ქართლის სამეფო დომენთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ი. ლორთქიფანიძის ნაშრომში „ქვემო ქართლი“. აქ დადგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ მხარეში სამეფო დომენის ფარგლები, მოსახლეობის რაოდენობა და სოციალური მდგომარეობა<sup>16</sup>.

სამეფო გლეხები, მათი კატეგორიები, გადასახადები და რაოდენობა XVIII ს-ის მიწურულის აღმოსავლეთ საქართველოში გამოკვლეული აქვს გ. ნათაძეს<sup>17</sup>.

მოსაზრებები სამეფო მიწათმფლობელობაზე გამოთქმულია სათავადოებისადმი მიძღვნილ დ. გვრიტიშვილისა<sup>18</sup> და მ. ქიქოძის ნაშრომებში<sup>19</sup>.

მიწათმფლობელობის ფორმები XVI—XVII სს-ის კახეთში გამოკვლეული აქვს ნ. ასათიანს თავის სადისერტაციო ნაშრომში „გლეხობა XVI—XVII სს-ის კახეთის სამეფოში“<sup>20</sup>. თავის მეორე ნაშ-

<sup>13</sup> ილ. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს., თბ., 1983.

<sup>14</sup> ილ. ანთელავა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.

<sup>15</sup> გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა: „საქართველოს არქივი“, III, თბ., 1927.

<sup>16</sup> ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლ XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, ნაწ. I, II, თბ., 1935, ნაწ. III, IV, თბ., 1938.

<sup>17</sup> Г. Я. Натадзе, Крестьяне «Сахасо» в Восточной Грузии: в конце XVIII века. კრებულში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი V, თბ., 1948.

<sup>18</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

<sup>19</sup> მ. ქიქოძე, საქართველოს სათავადოების ისტორიიდან XVI—XVII სს. (საამილახურო): „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 25, თბ., 1963.

<sup>20</sup> ნ. ასათიანი, გლეხობა XVI—XVII სს-ის კახეთის სამეფოში. ხელნაწერი.



რომში „სათავადო ფეოდალურ საქართველოში“ ნ. ასათიანი განიხილავს სათავადოს სოციალურ-პოლიტიკურ ბუნებას, თავადებთან მეფის დამოკიდებულების ფორმებს<sup>21</sup>.

სამეფო დომენის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის გ. აკოფაშვილის მონოგრაფიას აზნაურებზე<sup>22</sup>. ავტორს ჩატარებული აქვს უაღრესად შრომატევადი სამუშაო. ქართული ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების გულდასმით შესწავლის საფუძველზე დადგენილი აქვს სააზნაურო გვარების ისტორია, აზნაურთა წოდების ადგილი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. ნაშრომში ხშირად აღძრულია სამეფო დომენთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები (სამეფო აზნაურები, მეფის ურთიერთობა სათავადო და საეკლესიო. აზნაურებთან და სხვ.). საყურადღებოა მკვლევრის მეორე ნაშრომიც „აზნაურთა ფენა XVI—XVIII სს. კახეთში“. აქ ავტორს გამოთქმული აქვს დაკვირვებები კახეთის საეკლესიო, სათავადო და სამეფო აზნაურების შესახებ<sup>23</sup>.

სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობის ფორმები გაშუქებულია ბ. ლომინაძის მონოგრაფიაში „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“<sup>24</sup>.

მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოში ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების გამოკვლევაში შეაქვს გ. ჭამბურიას ნაშრომს „სათავადოთა საკითხისათვის“. აქ ავტორი სათავადოს ადარებს XI—XIV სს. დიდებულის მამულს და ადგენს მათ შორის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს, ავტორი გამოყოფს სათავადო საკითხების განმსაზღვრელ, არსებით ნიშნებს. გამოსთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს კახეთის სათავადოებისა და სამოურავოების, კახეთის აზნაურთა შესახებ<sup>25</sup>.

გვიან შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დომენს ეხება აგრეთვე თავის ნაშრომებში ივ. სურგულაძე. მან გა-

დისერტაცია ინახება ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თბ., 1960.

<sup>21</sup> ნ. ასათიანი, სათავადო ფეოდალურ საქართველოში (ხელნაწერი).

<sup>22</sup> გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართულში (აზნაურთა ფენა), თბ., 1965.

<sup>23</sup> გ. აკოფაშვილი, აზნაურთა ფენა XVI—XVIII სს. კახეთში: მაკნე № 3, 1968, გვ. 93—103.

<sup>24</sup> ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961.

<sup>25</sup> გ. ჭამბურია, სათავადოთა საკითხისათვის, კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის საკითხები“, ტ. IV, თბ., 1970.

შოსცა „დასტურლამალი“ გამოკვლევითა და შენიშვნებით, როგორც სამოხელეო აპარატზე, ისე სამეურნეო ყოფაზე<sup>26</sup>.

დ. გოგოლაძე თავის მონოგრაფიაში „საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ საქართველოში“ გამოცემული და განხილული აქვს სიღნაღის მაზრის აღწერილობის მასალები, სადაც მოიპოვება მნიშვნელოვანი ცნობები კახეთის სამეფო დომენის შესახებ<sup>27</sup>. მიწათმფლობელობის ფორმების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აგრეთვე დ. გოგოლაძის მეორე ნაშრომიც „სათავადოს ფეოდალური საკუთრების ფორმების საკითხისათვის“. ავტორის თვალსაზრისით ქართულ სათავადო სენიორიებში ფეოდალური საკუთრების ორი ფორმა არსებობდა:

1. საერთო (საერთო-საგვარეულო) და 2. სათავისთავო (იგივე „საუფლისწულო“, „სახასო“). რაც შეეხება ფეოდალური საკუთრების ისეთ ფორმებს, როგორც იყო: მამაპაპეული მემკვიდრეობითი (პატრიმონიალური), „ნასყიდი“, „ნაბოძები“, „ნასისხლი“, „ნამზითვი“ და სხვა, — ყველა ესენი მეტ-ნაკლებად შედიოდნენ სათავადოს ფეოდალური საკუთრების აღნიშნულ ორ ფორმაში<sup>28</sup>.

გვიან შუა საუკუნეების აღმ. საქართველოს სამეფო დომენის ტერიტორიული ფარგლების საკითხს ეხება ზ. ცინცაძე თავის საღისერტაციო ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს გვიან შუა საუკუნეებისა და XIX ს-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“. აქ დადგენილია ქართლ-კახეთის სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების — სადროშოების ფარგლები და მათში შემავალი სამოურავოების რაოდენობა<sup>29</sup>.

სამეფო მამულების გამგებელი მოხელის — მოურავის ინსტიტუტს XVI—XVIII სს-ებში აღმოსავლეთ საქართველოში ეხება ჯ. კოპალიანი ნაშრომი „მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში“. ავტორი ადგენს ქართლ-კახეთის სამეფო მოურავის მქონე საგვარეულოებს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და მოვალეობებს<sup>30</sup>.

<sup>26</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილების გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952.

<sup>27</sup> დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971.

<sup>28</sup> დ. გოგოლაძე, სათავადოს ფეოდალური საკუთრების ფორმების საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1986, გვ. 39—43.

<sup>29</sup> ზ. ცინცაძე, აღმოსავლეთ საქართველოს გვიან შუასაუკუნეებისა და XIX ს-ის ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა. ხელნაწერი დისერტაცია. ინახება ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თბ., 1974.

<sup>30</sup> ჯ. კოპალიანი, მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982.

სამეფო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებთან თავიანთ ნაშრომებში სხვა მკვლევარებიც: ს. კაკაბაძე<sup>31</sup>, მ. დუმბაძე<sup>32</sup>, მალხაზ დუმბაძე<sup>33</sup>, ვ. გაბაშვილი<sup>34</sup>, ო. სოსელია<sup>35</sup>, ნ. შენგელია<sup>36</sup>, ქ. ჩხატარაიშვილი<sup>37</sup>, ა. ბაქრაძე<sup>38</sup>, ვ. ცისკარიშვილი<sup>39</sup> და სხვები.

31 ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922; წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914.

32 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1958; თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII ს-ის საქართველოში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966. კლასობრივი ბრძოლა ქართლ-კახეთში XVIII ს-ის II ნახევარში, ზელნაწერი ინახება ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებაში.

33 მ. დუმბაძე, ვასალიტეტი საქართველოში XIII—XIV სს. (ქართულ-ევროპული ვასალიტეტის შედარებითი შესწავლის ცდა), საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1986, გვ. 131—142.

34 ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით. ენიშყის მოამბე, XIII, თბ., 1943; სახელმწიფოებრივი წყობის საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, მიმომხილელი, II, თბ., 1951; ქართული ფეოდალური წყობილება XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1958.

35 ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1966. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ., 1973.

36 ნ. შენგელია, სახლთუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1940.

37 ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევი). საკანდიდატო დისერტაცია, 1964, ზელნაწერი.

38 ა. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც საისტორიო წყარო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX-B, 1959, გვ. 55—78.

39 ვ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფია, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 66—92.

თ ა ვ ი

სამეფო მიწათმფლობელობა IV—XV საუკუნეებში

1. სამეფო დომენი და საერისთავო კმეხნები

ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოში მეფე არა მარტო სამეფო დომენის მესაკუთრე იყო, არამედ, როგორც უმაღლესი სუვერენი, სახელმწიფოს მთელი მიწა-წყლის უზენაესი მესაკუთრეც. დომენზე საკუთრების მატერიალურ რეალიზაციას ის ახდენდა რენტის, ხოლო უზენაესი მესაკუთრისას — გადასახადის მიღებით. საკუთრების რეალიზაციის მეორე მხარე იყო მიწის გასხვისების (წყალობის, შეწირვის, გაყიდვის, გამზითვების, საუფლისწულოდ გაცემის და სხვ.) უფლება. თეორიული ნორმით მეფე ამ თვალსაზრისითაც ყველა მიწის უზენაესი მესაკუთრე-განმკარგულებელი იყო. მაგრამ მეფის, როგორც სახელმწიფოს მიწებზე უზენაესი მესაკუთრის, უფლება პრაქტიკულად შეზღუდული იყო კერძო (სამამულო-სამკვიდრო) და სათემო (ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში) მიწათმფლობელობით, აგრეთვე შეწყალობის სისტემით (ნაწილობრივი საგადასახადო და საგამგებლო იმუნიტეტით).

ამკარაა, რომ მეფის ხელისუფლების გენეზისი დაკავშირებულია სამეფო მიწათმფლობელობის გენეზისთან. ეს გენეზისი სათავეს იღებს პირველყოფილ-თემური საზოგადოების რღვევის სტადიაზე, როდესაც ერთ-ერთი სახლი ძლიერდება ეკონომიკურად (მიწათმფლობელობის საფუძველზე) და პოლიტიკურად და ბატონდება სხვა სახლებზე. ქართული ეროვნული ტრადიციით („ქართლის ცხოვრება“) ასეთი იყო მცხეთის სახლი. საერთოდ, მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის წარმოქმნის პროცესი, როგორც ანტიკური პერიოდის, ისე ადრეფეოდალური ხანის ქართლში, მიმდინარეობდა სათემო მიწათმფლობელობის რღვევის ბაზაზე. სამეფო სახლი ამ პერიოდში ბატონობდა სხვა მიწათმფლობელთა სახლებზე და ჯერ კიდევ არსებულ ტერიტორიულ თემებზე.

მეფე თავისი სუვერენული უფლებების რეალიზაციას ანტიკური პერიოდისა და IV—XV სს. აღმოსავლეთ საქართველოში ანხორციელებდა საერისთავოთა ადმინისტრაციული სისტემის საშუალებით. ამიტომ სამეფო დომენის შესასწავლად საჭიროა გაირკვეს აღნიშნულ ხანაში დომენის მიმართება საერისთავო ქვეყნებთან.

გავიხსენოთ მკვლევართა თვალსაზრისი საქართველოში მეფეზე როგორც სახელმწიფო მიწა-წყლის უზენაეს მესაკუთრეზე.

ს. ჯანაშია, როგორც უკვე აღინიშნა, ადრეფეოდალური პერიოდის საქართველოში სამეფო მიწათმფლობელობაში განიხილავს ორ ელემენტს: 1. საკუთრივ სამეფო დომენი და 2. მთელი დანარჩენი მიწა-წყალი, რომელიც თეორიული ნორმით აგრეთვე მეფე-სახლის საკუთრებად ითვლებოდა<sup>1</sup>.

ივ. სურგულაძეც გამოთქვამს ანალოგიურ თვალსაზრისს იმავე პერიოდის სამეფო მიწებზე. ისინი შედგებოდა: 1. სამეფო დომენისაგან, რომელიც ეკუთვნოდა მეფეს, როგორც პირველ ფეოდალს და 2. სამეფოს დანარჩენი მიწებისაგან, რომლებიც მას ეკუთვნოდა, ვითარცა საჯარო ხელისუფლების უმაღლეს მეთაურს<sup>2</sup>.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა მოხდა მიწაზე „სახლების“ (ე. ი. გვარების) მიერ კერძო საკუთრების ჯერ ფაქტობრივი და შემდეგ იურიდიული დამყარების ვითარებაში და აქ ყველაზე წინ მეფე სახლი იყო. ე. ი. მკვლევარი თვლის, რომ მიწაზე კერძო საკუთრება პირველად სამეფო სახლმა დამყარა<sup>3</sup>. სახელმწიფო საკუთრების გამიჯვნას სამეფოსაგან კი ის უკავშირებს განვითარებული ფეოდალიზმის ხანას. ანალიზებს რა. თამარის გამეფების დასაწყისში „ხელისუფლებისა და დიდებისათვის“ დიდგვაროვანთა ბრძოლის დაწყების მიზეზებს, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „დიდგვაროვანთა წარმოდგენით (და უნდა ვიფიქროთ ყველა პოლიტიკური მოაზროვნის წარმოდგენით) სამეფო კარი, ძველად რომ მეფისა, ვითარცა ერთ-ერთი მთავრის დომენი, ხასი, მეფე იყო, ეხლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფაქტია. თუ ეს არა, თუ ასეთი გაგება არა, ყუთლუ-არსლანის პროგრამა სრული უაზრობა იქნებოდა. სამეფო კარი, მეფის საქონებელი თუ საქვეყნო-სახელმწიფო საქონებლად არ

<sup>1</sup> ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 287.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV—V საუკუნეებში. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, ტ. I, თბ., 1973, გვ. 202.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I, თბ., 1964, გვ. 224—225.

იქნა გაგებული), არამედ კერძო სამეფო საქონელად, მამ რა უფლებების ძალით მოითხოვდნენ დიდგვაროვნები ამ საქონლის განმგებლობაში წილის დაღებას და მით უფრო ამ გამგებლობის მთლიანად ხელში აღებას და მეფის თუ მთლიანად გამორიცხვას არა ამ გამგებლობისაგან, ამის ძლიერ შეზღუდვა-შევიწროვებას მაინც. ეს ფაქტი კი დიდი მნიშვნელობის გარემოებაა: როდის, როგორი თანდათანობით მოხდა, რომ მცირე სამთავრო საფეოდალო ამ ფეოდალის კერძო მეურნეობით... თანდათანობით იქცა ვეება სახელმწიფო დაწესებულებად სავაზიროებით: სამართლის, სამხედრო, ფინანსთა, წესრიგის, მეფის სახასო მეურნეობის და სხვ. რა თქმა უნდა, ეს ამოღენა ცვლილება ფაქტიური და ცვლილება შეგნებაში, როცა სახელმწიფო ცნება შემუშავდა, როცა კერძო, სამეფო — საქვეყნოდ, საერთოდ გადაიზარდა, არც ერთბაშად მომხდარა და არც ყველასათვის თვალნათლივი იყო ეს პროცესი... მაინცდამაინც XII საუკუნისათვის ეს პროცესი დიდი ხანია დასრულებულია და სახელმწიფოზე წარმოდგენაც შემუშავებულია“<sup>4</sup>.

გ. მელიქიშვილი, განიხილავს რა ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში მიწათმფლობელობის საკითხს, აღნიშნავს, რომ სტრაბონის ცნობა „სამეფო მონების შესახებ“ ადასტურებს აქ სამეფო მიწათმფლობელობის არსებობას, რის წყაროც იყო დამორჩილებული თემები, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ — წარმართული ტაძრებისათვის ჩამორთმეული მამულები. ის ეხება აგრეთვე სამეფო მიწათმფლობელობის ადრეულ ქართულ ტერმინს „სეფეს“ და მის შესატყვის ირანულიდან სომხურში შესულ ტერმინს „ვოსტანს“, რომელსაც უკავშირებს ქ. რუსთავის ადრინდელ სახელწოდებას „ბოსტან-ქალაქს“. ავტორი პარალელს ავლებს სომხეთის „ვოსტანიკებსა“ და ქართლის „ტაძრეულებს“ შორის.

გ. მელიქიშვილის ნაშრომებში ამომწურავად არის განხილული წყაროების მონაცემები ამ პერიოდის სამეფო მიწათმფლობელობის შესახებ. მკვლევარი დამაჯერებლად ასაბუთებს ქართლის სამეფოში სამეფო მიწათმფლობელობის არსებობას, ადგენს მის აღმნიშვნელ ქართულ და უცხოურ ტერმინებს, მასთან დაკავშირებულ სოციალურ კატეგორიებს<sup>5</sup>.

<sup>4</sup> გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI, თბ., 1974, გვ. 101—102.

<sup>5</sup> Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, с. 416—425; მისივე, ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი საკითხები. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, თბ.,

ა. ბოგვერაძე უარყოფს თავდაპირველად ქართლის სამეფოში სამეფო მიწათმფლობელობის ცალკე ფორმის არსებობას. მკვლევარი წერს: „თავდაპირველად სამეფო სახლი, საერისთავო სახლებთან ერთად, ქართლის სამეფოს ძველი მიწა-წყლის კოლექტიურ მესაკუთრედ ითვლებოდა... ასე რომ თავდაპირველად, სამეფო და სახელმწიფო მიწა-წყალი ერთმანეთისაგან არც თეორიულად და არც პრაქტიკაში გამოყოფილი არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ თანდათან (მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების შედეგად) მოხდა, რომ სახელმწიფო მიწა-წყალზე ჩნდება უშუალოდ სამეფო სახლის ქონება, მაგრამ როდის მივიდა საქმე სრულ გამიჯვნამდე, ეს ჯერ კიდევ გამოსარკვევია“<sup>6</sup>.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად ფეოდალთა მიწათმფლობელობა ზღუდავს სამეფო მიწათმფლობელობას. მეფობის გაუქმების შემდეგ სამეფო მიწები გადადის ნაწილობრივ ქართლის ერისმთავრის, ნაწილობრივ კი ერისთავების ხელში. ა. ბოგვერაძე გამოთქვამს აგრეთვე ვარაუდს, რომ სამეფო დომენის მემკვიდრე იყო ქართლის მამასახლისი, მოხსენებული „ეესტათე მცხეთელის მარტვილობაში“. ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების მოსპობის (IX ს.) შემდეგ მათ მიწებს ფეოდალები ინაწილებენ.

ა. ნოვოსელცოვის აზრით, IV—VIII საუკუნეებში ამიერკავკასიის ქვეყნებში (ისევე როგორც ირანში) არსებობდა სახელმწიფო საკუთრების უზენაესობა, რომელიც გაქრობის ტენდენციას იჩენდა. მის გვერდით არსებობდა მისგან გამოყოფილი სამეფო მიწათმფლობელობა, რომელიც თანდათან ზღუდავდა სახელმწიფო მიწათმფლობელობას. უზენაესი სახელმწიფო საკუთრება მიწაზე ეს იყო ტრანსფორმირებული უზენაესი სათემო საკუთრება. სამეფო მიწათმფლობელობა კი წარმოიქმნა როგორც ჯერ საგვარეულო (აგნატური), ხოლო შემდეგ კი კერძო მიწათმფლობელობა<sup>7</sup>.

ვ. აბაშვიძე სახელმწიფო საკუთრების საკითხს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას უკავშირებს<sup>8</sup>.

1970, გვ. 597—609; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 23, 140.

<sup>6</sup> ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 111—112.

<sup>7</sup> А. П. Новосельцев. Генезис феодализма в странах Закавказья. М., 1980, с. 235.

<sup>8</sup> ვ. აბაშვიძე, ხელისუფლების დანაწილების თეორია და ყუთლუ არსლანის პროგრამა „მაცნე“, № 3, თბ., 1979.



ილ. ანთელავა განიხილავს სამეფო დომენს XI—XIII საუკუნეებში. ყუთლუ არსლანის პროგრამაში ის ხედავს სამეფო დომენისა და სახელმწიფო საკუთრების მართვის გამიჯვნის ცდას<sup>9</sup>.

გ. ძიძიგური ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქართლში მიწათმფლობელობის სამ ფორმას გამოყოფს: 1. სახელმწიფო ხელისუფლების „ტიტულატურული“ საკუთრება; 2. მიწის თემური საკუთრება და მფლობელობა; 3. მიწის კერძო საკუთრება და მფლობელობა. აქ სამეფო დომენი იგულისხმება მიწის კერძო საკუთრებაში, ხოლო მეფის უზენაესი საკუთრება — სახელმწიფო ხელისუფლების „ტიტულატურული“ საკუთრებაში<sup>10</sup>. გ. ძიძიგური მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს „ტიტულატური“ საკუთრება არ შეიძლება საკუთრების ფეოდალური ფორმა იყოს. ამდენად, არც სტრაბონის ცნობებში ასახული სამეფო დომენი შეიძლება მივიჩნიოთ ფეოდალურ საკუთრებად, ხოლო მასზე მოსახლე „ლაოი“, „სამეფო მონები“ — გლეხებად (ე. ი. ფეოდალური წყობილების მწარმოებლებად). გ. ძიძიგური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადრეფეოდალური ხანის ქართლის ადმინისტრაციული ერთეულები (იგულისხმება, ალბათ, საერისთავო ქვეყნები) წარმოადგენდნენ მისი გამგებელი მოხელისა და სუვერენი მეფის ტიტულატურულ საკუთრებას. მკვლევრის აზრით, მხოლოდ განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალ ხანაში იქცა ეს ტიტულატურული საკუთრება ფეოდალურ საკუთრებად და სამოხელეო იერარქია გადავიდა სამამულო იერარქიაში.

ამრიგად უნდა განისაზღვროს საერისთავო ქვეყნების როგორც მიწაზე საკუთრების ფორმის შინაარსი და მისი ევოლუცია ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ვიდრე საერისთავოთა სისტემის გაქრობამდე (ე. ი. XV საუკუნემდე). ეს წარმოდგენას მოგვცემს მეფის, როგორც მიწის უზენაესი მესაკუთრის შინაარსზე.

ერისთავის ინსტიტუტს ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება არ მოკლებია, მაგრამ ის მაინც მოითხოვს მონოგრაფიულ შესწავლას. ამ ამოცანის გადაჭრა, რა თქმა უნდა, ჩემს მიზანს არ შეადგენს. მე შევეხები მხოლოდ ამ პრობლემის ერთ მხარეს: საერისთავოს მიმარ-

<sup>9</sup> ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს. თბ., 1983, გვ. 6—13.

<sup>10</sup> გ. ძიძიგური. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ., 1980, გვ. 56—57.

თება სამეფო დომენტან; მეფის, როგორც მიწების უზენაესი მესაკუთრის უფლებების გამოვლინება საერისთავო სისტემაში.

ქართლის სამეფოში (ძვ. წ. ა. III ს. — ახ. წ. 530-იანი წწ.) საერისთავო ქვეყნები (თუ ვერწმუნებით „ქართლის ცხოვრების“ ცნობას) ფარავდა მთელ სახელმწიფოს. ფარნავაზმა თავისი სამეფო საგამგებლოდ დაუნაწილა 8 ერისთავს. ვახტანგ გორგასლის დროს (V ს. II ნახ.) სახელმწიფოს ტერიტორიული ფარგლების გაზრდასთან დაკავშირებით დაემატა კიდევ რამდენიმე საერისთავო. ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ვერსიის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საერისთავო მოიცავდა ყველა კატეგორიის მიწათმფლობელობას: სამეფო დომენს, მემკვიდრეობით კერძო მფლობელობაში მყოფ მიწებს-მამულებს (წარჩინებულთა, აზნაურთა, თემიდან გამოყოფილი თავისუფალ უშუალო მწარმოებელთა, სატაძრო-საეკლესიო) და სათემო მიწებს.

ყველა ამ მიწის უზენაესი მესაკუთრე იყო მეფე. საკუთრების ამ უფლების რეალიზაციას ის ახდენდა გადასახადის (ხარკის) მიღებით. დომენიდან კი მეფე იღებდა რენტას. ამრიგად, მეფე და მისი მოხელეები (ერისთავები და მათი ხელქვეითი მოხელეები) ხარკის ფორმით ექსპლუატაციას უწევდნენ უშუალო მწარმოებელთა მრავალფეროვან მასას (მეთემეები, თავისუფალი მწარმოებლები — „ერისაგანნი“, „წვრილი ერი“). რენტას მეფე და მიწათმფლობელთა გაბატონებული კლასი იღებდნენ თავიანთ საკუთრებაში მყოფი მიწებიდან (სამეფო დომენი, მამული) და მათზე მოსახლე უშუალო მწარმოებლებიდან (დაბეგრული მწარმოებლები, მონები). ამასთან, მიწათმფლობელები თავიანთ რენტას უნაწილებდნენ უზენაეს მიწათმფლობელს მეფეს და მის მოხელეებს გადასახადის (ხარკის) სახით. ამრიგად სამამულო მიწიდან მიღებული რენტის ის ნაწილი, რომელსაც მიწათმფლობელი უხდიდა მეფეს და მის მოხელეებს ხარკის სახით („ხარკი სამეფო და საერისთავო“) იქცეოდა გადასახადად. ასე რომ, მიწის რენტა ნაწილდებოდა მიწის უშუალო მესაკუთრესა, მეფესა და მის მოხელეებს შორის, ე. ი. რენტა ემთხვეოდა გადასახადს.

რაც შეეხება მიწის გასხვისების უფლებას, მეფე იყო მიწის უზენაესი განმკარგულებელი. მისი ნებართვის გარეშე მიწის უშუალო მესაკუთრე მიწას ვერ გასხვისებდა (ეს იურიდიული ნორმა გვიან შუასაუკუნეებშიც იყო, ოღონდ ცხოვრებაში აღარ ტარდებოდა).

მეფე ამ პერიოდში (და გვიანაც) მიისწრაფოდა, რათა საერისთავო ქვეყნები ექცია თავის დინასტიურ საკუთრებად, ე. ი. მათგან მიღებუ-

ლი ხარკი — გადასახადი ექცია ბეგარა-რენტად. ალბათ, ამ ტესტამენტის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მეფის მიერ უფლისწულების განწესება ერისთავებად. მაგალითად, ბაქარ მეფემ „მოიყვანნა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავსა ერისთავად“<sup>11</sup>; ვახტანგ გორგასალის ორი ვაჟი დასხდნენ სამცხე-ჯავახეთში (წუნდას და ოძრხეს) და იწოდნენ ერისთავთა-მთავრად<sup>12</sup>; ვახტანგის ძემ შირდატმა „დაიპყრა ფარავნითგან და ტასისკართგან ვიდრე ზღუამდე სპერისა და ერისთავობდა მუნ“<sup>13</sup>.

უფლისწულების ერისთავებად დასმის ძველ ტრადიციაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „არა იყო ჩვეულება მეფეთა და უფროსთა ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა... ძეთა დასხმიდნენ არა მეფედ, არამედ ერისთავად და შორჩილად მეფეთა“<sup>14</sup>. რადგანაც ეს ცნობები არ ეკუთვნის თანამედროვე ავტორებს, მათი რეალურობა შესაძლოა ეჭვს იწვევდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი მეტყველებენ ამ ავტორების თვალსაზრისზე, იმაზე, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ მათ სამეფო დომენისა და საერისთავო ქვეყნების ურთიერთმიმართებაზე. საყურადღებოა, რომ ანალოგიური ვითარება დასტურდება მეზობელ სომხეთსა და ალბანეთშიც. მოვსეს ხორენაცის ცნობით, სომხეთის მეფეები თავიანთი სახლის წევრებს (შვილებსა და ძმებს) ანიჭებდნენ უფროსი ნახარარის პატივს და ისინი სხვა ნახარარებზე მალა იდგნენ<sup>15</sup>. მოვსეს კალანკატვაცის ცნობით, ნახარარებად და მხარის გამგებლებად მეფის შვილებს აწესებდნენ ალბანეთშიც<sup>16</sup>. ივ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობის შედარებითი შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ქართული ერისთავი და სომხური ნახარარი შესატყვისი ინსტიტუტებია<sup>17</sup>. ერისთავებად უფლისწულების დანიშ-

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 131.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 205.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> იქვე, ტ. IV, გვ. 564.

<sup>15</sup> მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 124, 152, 155.

<sup>16</sup> მოვსეს კალანკატვაცი. ალბანთა ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1985, გვ. 30, 106—107.

<sup>17</sup> И. Джавахишвили. Государственный строй древней Грузии и Армении. С. Петербург, 1905, с. 128—131.

ენის ტრადიციის გვიანდელი რეციდივებია X საუკუნეში აფხაზთა მეფის მიერ ქართლის ერისთავად თავისი ძეების დანიშვნა (კონსტანტინე და ლეონი — გიორგი აფხაზთა მეფის ძეები)<sup>18</sup>, „ქართველთა სამეფო“ სხვადასხვა თემებში ბაგრატიონთა სახლის წევრების ერისთავობა და ერისთავთ-ერისთავობა<sup>19</sup>; დავით ნარინის ვაჟის მიქელის ერისთავობა რაჭა-არგვეთში, მიქელის ვაჟის ბაგრატის ერისთავობა შორაპანში (იგივე არგვეთი)<sup>20</sup>, ერეკლე II-ის მიერ ქსნისა და არაგვის ერისთავებად უფლისწულების დანიშვნა<sup>21</sup> და სხვ.

სამეფო დომენს და საერისთავო ქვეყნებს ქართლს სამეფოში, მისი არსებობის ბოლო პერიოდში, რამდენადმე ზღუდავდა ერთის მხრივ, ფეოდალიზაციის პროცესი, რაც ხელს უწყობდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის ზრდას არა მარტო თემური მიწათმფლობელობისა და წარმართული ტაძრების მიწების (ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ) ხარჯზე, არამედ სამეფო დომენისა და საერისთავო ქვეყნების ხარჯზეც. მეორე მხრივ, მსხვილ მიწათმფლობელთა გაძლიერებას საერისთავო და სამეფო მიწათმფლობელობის ხარჯზე ხელს უწყობდა რომისა და ირანის აგრესია საქართველოში. ქვემო ქართლის დიდი ნაწილი (სამშვილდის საერისთავო) ირანის ხელშეწყობით ფაქტობრივად გადაიქცა ქართლის პიტიახშუმების საბრძანებლად. ერისთავებიც მიისწრაფოდნენ, რათა საერისთავო ქვეყნები თავიანთ სამემკვიდრეო სამფლობელოებად გადაექციათ, რაშიც საგარეო მტრების მხარდაჭერას პოულობდნენ.

ამრიგად, 1. ქართლის სამეფოში საერისთავო ქვეყნებში შედიოდა: ა) სამეფო დომენი; ბ) წარჩინებულთა, აზნაურთა და საკულტო მამულები; გ) წვრილ მესაკუთრეთა — თავისუფალ მწარმოებელთა მიწები; დ) სათემო მიწები. 2. საერისთავო ქვეყნებიდან გადასახადს, ხარკს იღებდნენ მეფე, ერისთავები და სხვა მოხელეები („ხარკი სამეფო და საერისთავო“). 3. საერისთავო ქვეყნების უზენაესი განმკარგულებელი და გამგებელი მეფე იყო. ის განაგებდა მათ თავისი მოხელე — ერისთავების საშუალებით და იურიდიული ნორმით მას ჰქონდა ამ მიწების საკუთრებად გასხვისების უფლება. 4. საერისთავო

18 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 266—267, 268.

19 იქვე, გვ. 379, 380, 381...

20 იქვე, ტ. IV, გვ. 258.

21 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 526.


ქვეყნებში შემავალი მიწების უშუალო მესაკუთრენი იღებდნენ ამ მიწებიდან რენტას (ბეგარას) (მათ შორის მეფეც — დომენიდან). 5. საერისთავო ქვეყნების მესაკუთრეებს ცდილობდნენ, ერთი მხრივ, მეფე, ხოლო მეორე მხრივ — ერისთავები. მეფის მხრივ ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო უფლისწულების დანიშვნა ერისთავებად, ხოლო ერისთავების მხრივ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო საერისთავო სახელის სამეკვიდრეოდ გადაქცევა.

ამრიგად, ქართლის სამეფოში, განსაკუთრებით მისი არსებობის ბოლო პერიოდში, ტენდენცია მიმართული იყო საერისთავო სისტემის შინაარსის შეცვლისაკენ, გადასახადის რენტად გადაქცევისაკენ.

ქართლის საერისთავროში (VI ს. 70-იანი წწ. — IX ს. დასაწყისი) კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის ზრდა. ქართლის მეფეთა დომენს ამ პერიოდში დაეუფლენ მათი მემკვიდრეები — ქართლის ერისმთავრები, აღმოსავლეთ საქართველოს ახალი სუვერენები, მაგრამ ისინი აღარ იყვნენ ისეთი ძლიერი ხელისუფლები, როგორც ქართლის მეფეები. მათ „მეფის სახელი ვერ იკადრეს“ და „ერისთავთა მთავრად“ იწოდებოდნენ. ფეოდალიზაციის პროცესი (რომელიც კიდევ უფრო ინტენსიური იყო ამ პერიოდში, ვიდრე ანტიკურ ხანაში) და საგარეო მტრების (ბაზანტია, ირანი, არაბები) შემოტევა ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ამასთან ერთად ცვლიდა ერისთავის ხელისუფლების შინაარსს, იწვევდა მისი, როგორც სამოხელეო სისტემის გადაგვარებას. ერისთავობა მემკვიდრეობითი გახდა: ერისმთავარმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისათჳს მათთა“<sup>22</sup>.

შემდგომი ეტაპი, ერისთავის როგორც სამოხელეო ინსტიტუტის გადაგვარების გზაზე, იყო საერისთავო ქვეყნების გამოყოფა ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციიდან. ერისმთავრის ხელისუფლება VII საუკუნის მეორე ნახევარსა და VIII საუკუნეში აღარ ვრცელდებოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე. ის შემოიფარგლა თბილისისა და მცხეთის რაიონებით (შიდა და ქვემო ქართლის ნაწილი). ამის შედეგად, ბუნებრივია, შემცირდა სამეფო (ერისმთავრის) დომენიც. სხვადასხვა საერისთავოებში მდებარე სამეფო დომენი გამოეთავსა

<sup>22</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 241.



ერისმთავრის საკუთრებას. ბუნებრივია, ერისმთავარი ველარც გადასახადს იღებდა საერისთავო ქვეყნებიდან. გადასახადს იღებდნენ მხოლოდ ერისთავები, რომლებიც ამრიგად გადაიქცნენ მიწების უზენაეს მესაკუთრებად თავიანთ საერისთავო ქვეყნებში.

საყურადღებოა ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ერისმთავარ მირის ქალიშვილების მითხოვებაზე ერისთავებისათვის. შემატანემ ამ ცნობით გამოხატა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია: ერისთავები, დაუნათესავდნენ რა სამეფო (ერისმთავრის) სახლს, მოხელეებიდან გადაიქცნენ სუვერენებად თავიანთ საერისთავო ქვეყნებში (როგორც სამეფო სახლის წევრები).

მიმდინარეობდა თვით საერისთავო ქვეყნების შიგნით მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა, წარჩინებულთა და დიდ აზნაურთა გაძლიერება.

ამრიგად, VI—IX საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში დიდად შემცირდა სამეფო დომენი, შეიკვეცა აგრეთვე ერისმთავრის, როგორც მიწების უზენაესი მესაკუთრის უფლებები, გაიზარდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა, შემცირდა სათემო მიწათმფლობელობა. გადასახადი თანდათან შეცვალა რენტამ.

ქართლის ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში (IX—X სს.) აღმოსავლეთ საქართველოში საერისთავოების ადგილზე წარმოიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც ერისთავებმა მიიღეს სუვერენის აღმნიშვნელი ტიტულები: კახთა ქორეისკოპოსი, პერთა მეფე, ქართველთა მეფე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) და სხვ., სამეფო-საერისმთავრო დომენი დაინაწილეს მსხვილმა მიწათმფლობელებმა. წარმოიქმნა დიდი საფეოდალოები (მამფლების, უფლების, დიდებული აზნაურების, მონასტრების, საყდრების). ამ პერიოდში ქართლში იყვნენ ისეთი დიდი ფეოდალისენიორები, როგორებიც იყვნენ: ფაგნელები, ტბელები, ძამელები, სხვილოსელები და სხვ. დიდი ფეოდალები დაუკავშირდნენ უშუალოდ ბიზანტიას და მიიღეს პატრიკიოსისა და ვიპატოსის ტიტულები.

ამრიგად, ამ პერიოდში შიდა და ქვემო ქართლში მოიხპო სამეფო დომენი.

ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, რასაც თან ახლდა პერიოდულად სხვადასხვა ქართული სახელმწიფოს სუვერენის ხელისუფლების დამყარება აღმოსავლეთ სა-

ქართველოს ცალკეულ მხარეებში, პირველ რიგში კი, შიდა ქართლში, ამ ბრძოლაში უფრო ხშირად წარმატებას აღწევდა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფე, რომელიც ნიშნავდა თავის მოხელე — ერისთავებს შიდა ქართლში, ჯავახეთში და სხვ. ამრიგად, კვლავ მყარდებოდა მიწაზე მეფის უზენაესი საკუთრება, კვლავ წესდებოდა საერისთავო და სამეფო გადასახადი — ხარკი.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანა (XI—XIII სს. I ნახ.) ეს არის ახალი ეტაპი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიაში და ამდენად, ფეოდალური მიწათმფლობელობის ისტორიაშიც. ამ პერიოდში საზოგადოების ფეოდალიზაციის ინტენსიური პროცესის შედეგად თითქმის მთლიანად გაქრა თემური მიწათმფლობელობა და მის ბაზაზე გაიზარდა კერძო, სამამულე მიწათმფლობელობა. საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების შედეგად: ა) წარმოიქმნა და გაიზარდა სამეფო დომენი; ბ) ერისთავები კვლავ მეფის მოხელეებად იქცნენ, შეიქმნა ახალი საერისთავოები; გ) წარმოიქმნა სასაკარგო მიწათმფლობელობა.

საქართველოს სამეფოს წარმოქმნის შემდეგ მეფეს თავისი ძალაუფლების გასამტკიცებლად უნდა დაემყარებინა თავისი, როგორც მიწის უზენაესი მესაკუთრის უფლება სახელმწიფოში. ამ მიზნის მისაღწევად მეფეს დასჭირდა სამამულე ბრძოლის წარმოება ადრეფეოდალურ ხანაში გახელმწიფებულ ერისთავებთან და განდიდებულ მემამულე-ფეოდალებთან (დიდებულ აზნაურებთან — უფალ-მამფლებთან). ეს ბრძოლა დავით აღმაშენებლის დროს სამეფო ხელისუფლების გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ამ პერიოდში საქართველოს მეფემ შექმნა თავისი დომენი, სადაც შევიდა: საქართველოს უმთავრესი ქალაქები, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ყოფილი სამფლობელოების ნაწილი, ჯავახეთისა და თრიალეთის ნაწილი, კახეთ-ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, გურია, სამოქალაქო, საქართველოს დიდი მონასტრები.

ჩამოერთვათ საერისთავო ქვეყნები მეფის ურჩ ერისთავებს (ბაღვაშები, აბაზასძეები, აბულეთისძეები...), შეიქმნა საერისთავოები: არტანუჯის, შავშეთის, კალმახის, სამცხის, რაჭა-თაყვერის, არგვეთის, ოდიშის, ცხუმის, სვანთა, კახეთის, ჰერეთის.

მეფის მიერ სამამულე წყალობის საფუძველზე შეიქმნა ახალი დი-  
დი საფეოდალო მამულები: კალმახელ-ციხისჯვარელების, ჯაყელ-ბო-  
ცოსძეების, აბუსერისძეების, ფანასკერტელების, თმოგველების, სამ-  
ძივრების, ამანელისძეების, თორელების, ორბელების, სურამელების,  
ვარდანისძეების, დადიანების, მირიანისძეების, მხარგრძელების (და  
მხარგრძელთა განშტოებების: თმოგველების, გაგელების და სხვ.).

სამსახურის პირობით მიწების გაცემის საფუძველზე შეიქმნა აზ-  
ნაურ-მოსაკარგავეთა სოციალური ფენა.

ასე დამყარდა XI—XII სს. საქართველოში მიწაზე მეფის უზენა-  
ესი საკუთრება. დომენიდან მეფე იღებდა რენტას, ხოლო საერისთავო  
ქვეყნებიდან, ფეოდალთა მამულებიდან და სასაკარგო მიწებიდან —  
გადასახადს („გამოსავალი სახელმწიფოა“).

როგორი იყო ამ პერიოდში მიმართება საერისთავოებსა და სამე-  
ფო დომენს შორის? შედიოდა თუ არა სამეფო დომენი საერისთავო  
ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში? ფარავდა თუ არა სა-  
ერისთავოები მთელ სახელმწიფოს? წყაროები მოწმობა, რომ ამ პე-  
რიოდში როგორც სამეფო დომენი, ისე ფეოდალური მამულები ვა-  
მოთიშული იყო საერისთავოებისაგან და უშუალოდ სამეფო კარს  
ექვემდებარებოდა. მაგალითად, გურია, სამოქალაქო, სამეფო ქალაქე-  
ბი, სამეფო მონასტრები და სხვ. არ ექვემდებარებოდნენ ერისთავების  
კომპეტენციას. სამეფო მიწებს („სეფე ქვეყანა“) განაგებდნენ მეფის  
მოურავები, მგეები, გამგეები, სამეფო მონასტრების მეურვე იყო მე-  
ფის ვაზირი — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი; სამეფო ქალაქებს  
განაგებდნენ ამირები (გვიან მოურავები), რომლებიც ექვემდებარე-  
ბოდნენ მეფის მეჭურჭლეთუხუცესს. ასევე არ ექვემდებარებოდა  
ერისთავებს ისეთი საფეოდალო მამულები, როგორც იყო, მაგალი-  
თად, თორი (თორელების), გაგი (მხარგრძელ-გაგელების), თმოგვი  
მხარგრძელ-თმოგველების), ანისი (მხარგრძელების), ლორე (ჯერ ორ-  
ბელების, ხოლო შემდეგ მხარგრძელების), ბიჯნისი (მხარგრძელების),  
სურამი (სურამელების), თქმის ხეობა (თორელების), ახალციხე (თო-  
რელ-ახალციხელების), ფანასკერტი (ასპანისძე-ფანასკერტელების) და  
სხვ. ფეოდალური მამულების ადმინისტრაციულ გამგებლობას თვით  
ფეოდალები ანხორციელებდნენ თავიანთი მოურავების, მამასახლისე-  
ბის და სხვა მოხელეების მეშვეობით. სამეფო გადასახადებს აქ კრეფ-



დნენ მეფის მოხელეები მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთ-უხუცესის უწყებებიდან. სამხედრო ხაზით ფეოდალური მამულები ექვემდებარებოდნენ მეფის სარდალს — ამირსპასალარს.

დიდებულთა მამულები ამ პერიოდში ჩამოყალიბდნენ ფეოდალურ სენიორიებად, რომლებიც XIV—XV საუკუნეებიდან გადაიქცნენ სათავადოებად.

ასევე უშუალოდ სამეფო კარს ექვემდებარებოდა სასაყდრო სენიორიები (მცხეთის საპატრიარქო და საეპისკოპოსოები).

სამეფო კარზე ამ პერიოდში შეიქმნა დომენის გამგებელი დაწესებულება, რომელსაც განაგებდა გამგეთ-უხუცესი. ამ უკანასკნელს ექვემდებარებოდნენ გამგეები, მგეები, „საგამგეოს მოურავები“. საგამგეო შედიოდა მეფის მანდატურთუხუცესის უწყებაში.

მეფე იყო უზენაესი განმკარგულებელი ყველა მიწისა. საერისთავოში შემავალი მიწისა და საკარგავის გასხვისების უფლება პქონდა მხოლოდ მეფეს (მართალია, ამ პერიოდში ერისთავობა ისევ მემკვიდრეობითი გახდა, მაგრამ ერისთავი კვლავ მეფის მოხელედ დარჩა). საფეოდალო მამულში შემავალი მიწის გასხვისება ფეოდალს შეეძლო მხოლოდ მეფის ნებართვით. ფეოდალისთვის მკვიდრი მამულის ჩამორთმევა მეფეს შეეძლო მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში. მეფისგან „მოუდევრად“ ითვლებოდა „ნასყიდი“, „ნასისხლი“ და „შეწირული“ მამული. მაგალითად, დიდებული ფეოდალი კახა თორელი მის მიერ ნასყიდ და რკონის მონასტრისთვის შეწირულ მამულზე თავის დოკუმენტში წერდა: „თუ მე რაი შემეცოდოს... სხუითა მამულითა გარდამახდევინონ, ხოვლესთან ნურცა რაი ეგრე საქმე უც“<sup>23</sup>.

საერისთავო ქვეყნიდან მიწის გაცემას ეწოდებოდა „საერისთავოდან გამოღება“. მაგალითად, ქართლის ერისთავის სულა სურამელის თხოვნით მეფე ლაშა გიორგიმ სოფ. სუელნეთი გამოყო ქართლის საერისთავოდან და ნება დართო მას, რომ შეეწირა ის ქვეთახვეის მონასტრისათვის: „ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი ერისთავთ-ერისთავისა, სულა ქართლის ერისთავისაი და სუელნეთი გამოგულითა საქართლის-ერისთავისგან და შეგუიწირავს ესრედ... მონასტრისა მისი-

<sup>23</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, თბ., 1984, გვ. 147.

სა ქვათახევისად<sup>24</sup>. სასაყდრო და სამეფო მონასტრების მამულების მფლობელობა ყოველ მეფეს უნდა განეახლებინა თავისი შოგჯერ მეფე, ძნელბედობის ეპს, ეკლესიას ჩამოართმევდა ხოლმე ადრე შეწირულ ყმა-მამულს, ან დააკისრებდა ხოლმე მას სხვადასხვა სამეფო ვალდებულებას — ე. ი. გააუქმებდა მის „შეუვალობას“ (იმუნიტეტს), „შესავლად აქცევდა“ მას. ეკლესია ამას მიიჩნევდა მეფის მხრივ მიმძლავრებად, უსამართლობად და იბრძოდა კვლავ თავისი დაკარგული მამულებისა და შეუვალობის აღსადგენად.

ამრიგად, XI—XII საუკუნეები წარმოადგენდა სამეფო მიწათმფლობელობის გაძლიერების ხანას, როგორც სამეფო დომენის ზრდის თვალსაზრისით, ისე საერისთავო და სამამულე მიწებზე მეფის როგორც უზენაესი მესაკუთრის უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით. ამავე დროს ეს იყო ხანა სამამულე მიწათმფლობელობის ზრდისა და დიდებულთა სენიორიების ჩამოყალიბებისა, რამაც საბოლოოდ ნიდაგი მოუმზადა ქვეყნის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის დასუსტების ხანა (XIII ს-ის II ნახ. — XV ს.). ამ პერიოდში არახელსაყრელი საშინაო და საგარეო ვითარების შედეგად სამეფო ხელისუფლება შესუსტდა, რამაც გამოიწვია სამეფო დომენის შემცირება, ერისთავების კვლავ გახელმწიფება (გამთავრება), დიდებული მამულის გადაქცევა სათავადოდ (ე. ი. სრულ საკუთრებაში მყოფ მამულად).

ამ პერიოდის ბოლოს საქართველოს მონარქია დაიყო სამ სამეფოდ. ლირთ-იმერეთში, სადაც სამეფო ხელისუფლება განსაკუთრებით სუსტი იყო, ერისთავები გამთავრდნენ (ოდიშის, სვანთა, ბოლოს — აფხაზთაც). სამეფო დომენი — გურია ჯერ დიდებულის (გურიელის) მამულად იქცა, ხოლო შემდეგ — სამთავროდ (ე. ი. ამ შემთხვევაში გახელმწიფდა დიდებულები). აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის საერისთავო მოისპო და ნაწილობრივ თავადების მამულად იქცა, ნაწილობრივ კი — სამეფო დომენად. ქსნისა და არაგვის საერისთავოები სათავადოებად გადაიქცნენ (ე. ი. ამ შემთხვევაში ერისთავები ვერ გახელმწიფ-

24 ქართ. ისტ. საბუთ. კორპუსი, ტ. I, გვ. 108.

დნენ, მაგრამ სამოხელეო შინაარსი დაკარგეს). კახეთ-პერეთში ამ პერიოდის ბოლოს აგრეთვე მოისპო ერისთავების ხელისუფლება. მიუხედავად აღმინისტრაციულ ერთეულებად შეფის სამოურავოები გახდა.

გახელმწიფდა აგრეთვე სამცხის ერისთავი, რომლის გამგებლობაში მოექცა მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. ამ მოისპო საერისთავოები, ერისთავთა და დიდებულთა ნაწილი სამცხის ათაბაგებმა გამოაძევეს თავიანთი მამულებიდან (ისინი გადასახლდნენ ქართლში, კახეთში და დასავლეთ საქართველოში). სამეფო დომენი ამ მხარეში (ჭავჭავთი და სხვ.) ათაბაგთა და დიდებულთა მამულად იქცა. სამცხე-საათაბაგოში ამ პერიოდის ბოლოსათვის ათაბაგების დომენის გარდა, ჩამოყალიბდა ოცზე მეტი სათავადო სენიორია.

ამ პერიოდში, როგორც უკვე აღენიშნე, შემცირდა სამეფო დომენის ფარგლები. ამას დიდად შეუწყო ხელი მონღოლთა ბატონობამ და ამის შედეგად სამეფო ხელისუფლების შესუსტებამ, მედროვეთა დაწინაურებამ და მათ მიერ ყმა-მამულის „მოვერაგებამ“, „ხასიჩქუს“ სისტემამ. 1245—1247 წლებში უმეფობის ხანაში მონღოლთა მიერ საქართველოს დუმენებად დაყოფის პერიოდში ფაქტობრივად გაუქმდა სამეფო დომენი და გადავიდა დუმენის უფროს დიდებულთა გამგებლობაში. 1266 წლიდან მონღოლებმა ნასიჩქუ მიანიჭეს სამცხის მთავრებს, რის შედეგადაც საქართველოს მეფის იურისდაქციას გამოეყო თითქმის საქართველოს  $\frac{1}{3}$ ; დიმიტრი II-სგან (1270—1289) მედროვე სადუნ მანგაბერდელმა „მოივერაგა“ და ამრიგად სამეფო დომენს ჩამოაცილა: თელავი, ბელაქანი, დმანისი, კახი და მათი მიმდებარე ტერიტორიები<sup>25</sup>. მონღოლთა მიერ მეფეების ცკლა XIII—XIV სს. მიჯნაზე ასევე იწვევდა სამეფო დომენის დაქუცმაცებას სამეფო დინასტიის წევრებს შორის. მაგალითად, დიმიტრი II-ის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მონღოლებმა გაამეფეს არა მისი ვაჟი, არამედ დავით ნარინის ვაჟი ვახტანგი, დავით დემეტრეს ძეს, „მთავართა ქართველთა გადაწყვეტილებით, სამეფო დომენიდან გამოეყო ყმა-მამული: „არა მისცეს მეფობა დავითს, და ადგილ-ადგილ სოფელნი და ქუეყანა მისცეს დავითს“, — გვამცნობს ეამთააღმწერელი<sup>26</sup>.

<sup>25</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 272.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 273.

ვიორჯი V ბრწყინვალემ, როგორც ჩანს, შესძლო სამეფო დომენის ნაწილობრივ აღდგენა (სამცხის სამთავროს და დასავლეთ საქართველოს დამორჩილება, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავთა განადგურება და სხვ.). მაგრამ მისი მეფობის შემდეგ კვლავ იწყება სამეფო დომენის ტერიტორიული ფარგლების შემცირება. XIV—XV სს. სამეფო დომენად ჩანს დასავლეთ საქართველოში: სამოქალაქო, ზემო სვანეთი, რაჭა, ხერინის ხევი; აღმოსავლეთ საქართველოში — ქვემო ქართლის ნაწილი, ლიახვის ხეობა, სურამის რაიონი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქიზიყი, კახეთის ნაწილი; ქალაქები: თბილისი, გორი, თელავი<sup>27</sup>.

## 2. საუფლისწულო მიწათმფლობელობა

ადრეფეოდალური ხანიდან საქართველოში სამეფო დომენის შიგნით გამოყოფილი ჩანს „საუფლისწულო“. პირველად ამ ტერმინს ვხვდებით ქართლის ცხოვრების პირველ თხზულებაში (ლეონტი მროველი). აგვიწერს რა მირიან მეფისა და მისი ძმის ბაგრატის დავას სპარსეთის სამეფო ტახტზე, მემატთანე გადმოგვცემს მირიანის სიტყვებს: „პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოდნეს ქვეყანანი უცხონი მკლავითა წახმულნი“<sup>28</sup>. იმავე წყაროში აღნიშნულია საუფლისწულოს არსებობა ქართლის სამეფოში: „მეფობდა მირიან მუნ ქართლსა, რანს, ჰერეთს და მოვკანს და აქუნდა ეგრისიცა, ვიდრე ეგრისის წყლამდე და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას“<sup>29</sup>. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია ეს უკანასკნელი ცნობა. ყოველ შემთხვევაში აქ საუფლისწულოდ არ უნდა იგულისხმებოდეს მთელი კახეთ-კუხეთი, რამდენადაც აქ სამეფო დომენის გვერდით მიწათმფლობელობის სხვა ფორმებიც ჩანს. როგორც ეტყობა, აქ მემატთანე გულისხმობს კახეთ-კუხეთის ნაწილს.

27 ზ. ხ ი დ უ რ ე ლ ი. სამეფო მიწათმფლობელობა XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი). თბ., 1981, გვ. 30—31.

28 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 67.

29 იქვე, გვ. 71.

საუფლისწულო ეძლეოდა უფროს შვილს, ტახტის მემკვიდრეს. ვახტანგ გორგასალს, ჯუანშერის ცნობით, ჰყოლია ოთხი ვაჟი და ორი ქალი. პირველი ძეს პირველი ცოლისაგან მან კახეთში გამოუყო „საუფლისწულო“. „ესხნეს ვახტანგს ბერძნის ცოლისაგან სამი ძე და ორი ასული, ხოლო ძესა პირველს პირველისა ცოლისა, დაჩისა მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით“<sup>30</sup>. უფლისწული მეფედ კურთხევის შემდეგ ეუფლებოდა სამეფო დომენს, ხოლო საუფლისწულოს გადასცემდა თავის მემკვიდრეს. კახეთში უჭარმა ვახტანგის დროს ყოფილა სამეფო ციხე-ქალაქი. ვახტანგმა დაჩის მიუჩინა საუფლისწულო, ხოლო „თვთ ვახტანგ დაჯდა უჭარმას“<sup>31</sup>. როდესაც ვახტანგმა მეფედ, ე. ი. თავის თანამოსაყდრედ აკურთხა დაჩი, ინდასვა უჭარმას: „მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქვა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი. იყო ხუთისა წლისა, და დაადგა გურგუნი, და დაუტევა მეფედ და დაუტევნა მის თანა შუდნი წარჩინებულნი მისნი... და ამათ შეჰვედრა ძე თვისი დაჩი, და უბრძანა აღშენება უჭარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა“<sup>32</sup>. საუფლისწულო, მოვსეს კალანკატვაცის ცნობით, ყოფილა ალბანეთში<sup>33</sup>. მოვსეს ხორენაცი ადასტურებს მის არსებობას სომხეთში<sup>34</sup>.

საუფლისწულო არსებობდა საქართველოს სამეფოშიც. თამარის ძე ლაშა გიორგის საუფლისწულოდ ჩანს ჯავახეთი და თრიალეთის ნაწილი. ამაზე მიუთითებს ლაშა გიორგის მოხსენიება ამ პერიოდის ერთ-ერთ მონეტაზე „ჯავახთ უფლად“<sup>35</sup> და გუნდია ყალის „ხელის“ წარწერა<sup>36</sup>. უამთაალმწერელის თხზულებაში დიმიტრი თავდადებულის ძის დავითის შესახებ აღნიშნულია: „წარავლინა (არღუნ ყაენმა) ძე

30 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 199.

31 იქვე.

32 იქვე, გვ. 185.

33 მოვსეს კალანკატვაცი. ალვანთა ისტორია..., გვ. 30. 106—107.

34 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 124, 152.

35 დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 78.

36 ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 66—93.

შისი (დომიტრი მეფის) დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საუფლისწულოდ<sup>37</sup>.

ცხადია, სამცხე-საათაბაგო საუფლისწულოდ არ ქცეულა, მაგრამ აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მემათიანის თვალსაზრისი საუფლისწულოს არსებობის შესახებ XIII საუკუნის საქართველოს სამეფოში.

როგორც აღვნიშნეთ, სამეფო დომენიდან „საუფლისწულო“ გამოუყოფოდა მხოლოდ მეფის უფროს ვაჟს — ტახტის მემკვიდრეს. სხვა შვილები, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, სამეფო დომენიდან წილს არ ღებულობდნენ. ისინი ინიშნებოდნენ ცალკეული მხარეების გამგებლებად — ერისთავებად<sup>38</sup> (სომხეთშიც მეფის შვილები ინიშნებოდნენ უფროს ნახარებად<sup>39</sup>).

XIV—XV საუკუნეებიდან საუფლისწულოს პარალელურად ჩნდება ტერმინი „საბატონიშვილო“. ეს ახალი ტერმინი რამდენადმე ახალი შინაარსისაღაც არის: „საუფლისწულო“ აღნიშნავდა მხოლოდ მეფის უფროსი ვაჟის სამფლობელოს, ხოლო „საბატონიშვილო“ — მეფის ყველა ვაჟის სამფლობელოს. ამრიგად, თუ აქამდე სამეფო დომენიდან სამფლობელო გამოეყოფოდა მხოლოდ უფროს ვაჟს, ახლა უკვე მეფის ყველა შვილს ჰქონდა თავისი მკვიდრი მამული — „საბატონიშვილო“.

„საბატონიშვილოს“ წარმოქმნას საფუძველი გახდა XIV—XV სს. ისეთი მოვლენისა, როგორც იყო „პროვინციის მეფეები“<sup>40</sup>. ნ. ბერძენიშვილი ამ მოვლენის გაჩენის მიზეზად მიიჩნევს მონღოლთა ბატონობის შედეგად სამეფო ხელისუფლების დასუსტებას და პოლიტიკური ხელისუფლების დეცენტრალიზაციას<sup>41</sup>. ჯ. ოდიშელმა გამოიკვლია კონკრეტული მასალა „პროვინციის მეფეებზე“ და სცადა მათი სამფლობელოების ტერიტორიული ფარგლების დადგენა<sup>42</sup>.

„პროვინციის მეფეები“ წარმოადგენდნენ სამეფო დინასტიის წევრებს, რომლებმაც დაიანწილეს სამეფო დომენი და მასზე დამყარებით თავი მეფეებად გამოაცხადეს.

37 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 285.

38 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 203—204, 230—231; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 564.

39 მოვსეს ხორენაცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124, 152, 155.

40 ს. კაკაბაძე. მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, წერილი შტუდიები, საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თბ., 1914.

41 ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 25.

42 ჯ. ოდიშელი. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს): XIV—XVII სს. რამდენიმე ქართული დოკუმენტი. თბ., 196, გვ. 89—92.

ადრეფეოდალურ ხანაში და XI—XII სს. საქართველოს სამეფოში სამეფო დომენში არ იყო გამოყოფილი „სადედოფლო“. დედოფალს სამეფო დომენიდან მიღებული რენტის გარკვეული ნაწილი ეძლეოდა, რომელსაც ის მეფის კითხვითა და თანხმობით იყენებდა<sup>43</sup>. „სადედოფლო“ სამეფო დომენიდან ცალკე გამოყოფილი სახით ჩნდება XIII საუკუნის ბოლოდან. ქამთაალმწერელი გვამცნობს, რომ დიმიტრი თავდადებულის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ უფლისწულ დავითს დედოფლისათვის სარჩოდ სკორეთის ხევი მიუცია: „ხოლო ყრმამან (დავითმა) მისცა დედოფალსა სარჩოდ სკორეთის ხევი... და დედოფალი დედა მათი დაშთა სკორეთს“<sup>44</sup>. XV საუკუნის შემდეგ „სადედოფლო“ ყალიბდება როგორც სამეფო დომენის ცალკე ნაწილი, თავისი საგამგებლო სისტემით.

### 3. სამეფო მიწათფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინები

ანტიკურ, ადრეფეოდალურ და ნაწილობრივ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც სამეფო დომენის (და საერთოდ მეფის საკუთრების) აღმნიშვნელი ტერმინი იყო „სეფე“ (ბიბლიისა და ოთხთავის უძველესი ქართული ტექსტები, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ნინოს ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრება“). „სეფე“ გვხვდება როგორც ცალკე, ისე კომპოზიტებში, რომლებიც აღნიშნავენ სხვადასხვა სახის სამეფო საკუთრებას, ან მეფისადმი დაქვემდებარებულ პირებს: „სეფე-კაცი“ (სამეფო კაცი), „სეფე-გლეხი“, „სეფე-წული“, „სეფე-ქვეყანა“, „სეფე-მიწა“, „სეფე-ზვარი“, „სეფე-დროშა“, „სეფე-კვერი“ (სამეფო პური) და სხვ.<sup>45</sup>

„ნინოს ცხოვრებაში“ (შატბერდული ნუსხა) ნინო მოგვითხრობს, რომ მასთან გამოცხადდა „სეფე-ქალი შროშანა“, რომელმაც „ოდეს ცნა ყოველნი საქმენი ჩემი, მაიძულა წარყვანებაი ჩემი სეფედ“. აქ „სეფე-ქალი“ აღნიშნავს სამეფო კარის მსახურ ქალს. ატენის სიონის

<sup>43</sup> ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსი. ტ. I, თბ., 1984, გვ. 161—163.

<sup>44</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 292—293.

<sup>45</sup> ზ. ალექსიძე. უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 1963, № 1, გვ. 156—180.

XI საუკუნის წარწერაში აღნიშნულია „მეფეთა-მეფემან ბაგრატ უბრ-  
ძანეს მიწასა მათსა მირიანს — პატრონსა ჩემსა სეფესა ზუარსა შინა  
ქალაქის აშენებაი“<sup>46</sup>. აქ „სეფე-ზუარი“ აღნიშნავს სამეფო ზეგოს.  
შემდეგში „სე-ფეს“ (სადაც სე- არის არქაული კუთვნილების აღმნიშვნე-  
ლი თავსართი), დამატა მეორე კუთვნილებითი პრეფიქსი „სა-“სა-  
სეფო“ (ე. ი. სამეფო). ტერმინი „სასეფო“ იხსენიება დავით აღმაშე-  
ნებლის ანდერძში მღვიმისადმი (1123/24)<sup>47</sup>, ძაგან აბულეთისძის და-  
წერილში (1260 წ.)<sup>48</sup> და სხვ.

ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ხმარე-  
ბაშია სამეფო მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი სამე-  
ფეო//სამეფო, რომელიც წარმოსდგება მეუფე//მეფისაგან და ნა-  
წარმოებია უფალთან საერთო ძირისაგან. ამასთან, უფალი, როგორც  
ჩანს, უფრო ადრე იყო ხმარებაში და მისგან ნაწარმოები „საუფლო“  
მეფის დომენის აღსანიშნავად აღარ შემოგვრჩა.

სამეფო დომენის აღსანიშნავად „სამეფო“ გვხვდება „შიომღვიმე-  
ლის სასწაულებში“, სადაც აღნიშნულია, რომ VII ს-ში სტეფანოზ  
ქართლის ერისმთავარმა შესწირა მღვიმის ანუ სარკინის მონასტერს  
„სამეფო დაბები“: „მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თვისსა  
და უბრძანა მას, რაითა დაწერნეს დაბანი, დაბათაგან სამეფოდა ურ-  
ჩეულესნი“<sup>49</sup>.

„სამეფოს“ სინონიმად გვხვდება აგრეთვე იმავე ძირისაგან ნაწარ-  
მოები სიტყვა სამფლობელო, რაც აგრეთვე მეფის დომენს აღნიშნავს.  
თამარის პირველ ისტორიკოსთან აღნიშნულია: „თამარი მშვიდი და  
მშვიდობის მყოფელი იშუებს და სუფევს სამეფოთა და სამფლობე-  
ლოთა შინა მისთა“<sup>50</sup>.

46 ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიული ძეგლები. „საქარ-  
თველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIX—B, თბ., 1954, გვ. 72.

47 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 55.

48 იქვე, გვ. 140.

49 „შიომღვიმელის სასწაულები“, ასურელ მოღვაწეთა წიგნთა ძველი რედაქ-  
ცია, ი. აბულაძის გამოც., თბ., 1955, გვ. 205.

50 ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ.,  
1959, გვ. 205.



სამეფოდ იწოდება მცხეთა, როგორც სამეფო ქალაქი, ლეონტი მროველთან<sup>51</sup>, ჯუანშერთან<sup>52</sup>, სამეფო გადასახადი აღინიშნება როგორც სამეფო ხარკი ლეონტი მროველთან<sup>53</sup> და სხვ. ტერმინი „სამეფო“ ეწოდება მთელ ქვეყანას (იხევე, როგორც საუფლო — სოფელი), რადგანაც მთელი სახელმწიფო — ქვეყანა ითვლება მეფის საკუთრებად.

XII საუკუნიდან სამეფო დომენის აღსანიშნავად ჩნდება აგრეთვე ტერმინი „სახასო“, რომელიც მომდევნო საუკუნეებში ბატონდება და ხმარებიდან განდევნის „სეფეს“.

---

<sup>51</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 118.

<sup>52</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 157.

<sup>53</sup> ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

XV ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესი. მის შემცირებულ ტერიტორიაზე წარმოიშვა 3 სამეფო (ქართლის, კახეთის, იმერეთის), სადაც მეფობდნენ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები და 5 სამთავრო (ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის, სამცხე-საათაბაგოს).

აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებულ ქართლისა და კახეთის სამეფოებში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში, ცხადია, კვლავ იყო სამეფო მიწათმფლობელობა. სწორედ სამეფო დომენის სიდიდე და ყმა-ვასალთა სიმრავლე განსაზღვრავდა ცალკეულ რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცე-სიძლიერეს, დიდ გავლენას ახდენდა ცალკეული სამეფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, აპირობებდა იმ თავისებურებას, რომელიც შეიმჩნევა თითოეულ აღნიშნულ სამეფოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში.

XVI—XVII სს-დან სამეფო დომენის აღმნიშვნელად ტერმინი „სახასო“ გვევლინება<sup>1</sup>. იგი წარმოდგება არაბული სიტყვისაგან „ხასი“, რაც ნიშნავს კერძო, საკუთარ გამორჩეულ პირს, აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლისა და კახეთის სამეფოებში). სახასოს ფარგლებში კი გამოყოფილი ჩანს: 1. მეფის უშუალო განკარგულებაში მყოფი მიწები (სამეფო სახლის საგვარეულო გაუცემელი მიწები, რომელსაც მეფე განაგებდა და ფლობდა, როგორც სამეფო სახლის მეთაური). 2. საუფლისწულო, 3. სადედოფლო, 4. სამეფო სახლის სხვა წევრებისათვის — ბატონიშვილებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სამფლობელოები.

შევეცდები მოკლედ ცალ-ცალკე განვიხილო სამეფო დომენის აღნიშნული შემადგენელი ნაწილები: დავადგინო მათი სტატუსი, ტერიტორიული ფარგლები, ყმა-ვასალთა ვინაობა და რაოდენობა, განვსაზღვრო სამეფო შემოსავალი.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1285, Hd 4163, 14686; სესა. ფ. 1148. ხ. № 613, № 2472 და სხვა.



XV—XVIII საუკუნეების კახეთში, საქართველოს სამთავროებთან შედარებით უფრო ვრცელი და ძლიერი იყო სამეფო დომენი (უშუალოდ მეფის მფლობელობაში მოქცეული მიწები). XIX ს-ის დასაწყისში, რუსეთის მოხელეებისგან შედგენილი უწყისების მონაცემებით, XVIII ს-ის ბოლოს ის აღმატებოდა როგორც საერო, ისე საეკლესიო სამფლობელოებს ცალ-ცალკე აღებულს და კახეთის ყმა-მამულის ერთ მესამედს შეადგენდა<sup>2</sup>.

კახეთის სამეფო მიწათმფლობელობის სიძლიერეზე უთუოდ დიდი გავლენა გიორგი VIII გატარებულმა ღონისძიებებმა მოახდინა. ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „მოსპო (გიორგიმ — ზ. ხ.) ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირე ადგილთა ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუჭეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყუარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხუანიცა“<sup>3</sup>.

ამ ცნობის თანახმად, XV საუკუნის 60—70-იან წლებში გიორგი VIII მოუსპია გამთავრებული ერისთავები და ქვეყანა სამეფო დომენის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად — სამოურავოებად დაუყვია. ჩანს, რომ კახეთში ადრე არსებული სახელმწიფო მიწების დიდი ნაწილი, რომელიც მითვისებული ჰქონდათ ერისთავებს, შესულა სამეფო დომენის შემადგენლობაში და არა იმ პერიოდში ფორმირებულ სათავადოებში; როგორც ეს მოხდა ქართლისა და იმერეთის სამეფოებში. უფრო მეტიც, დგინდება, რომ ამის შემდეგ, ადმინისტრაციული გამგებლობის თვალსაზრისით, სამეფო დომენი ფარავდა მთელ კახეთს, რადგანაც საფეოდალო და საეკლესიო-სამონასტრო მიწებზე ადმინისტრაციულად ხელი მიუწვდებოდათ სახასი მიწების გამგებლებს — მოურავებს<sup>4</sup>. გიორგი VIII გაუტარებია მეორე რეფორმაც — სარდლებად ეპისკოპოსები დაუნიშნია. ვინაიდან ეპისკოპოსობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა, ცხადია, ისინი უფრო ერთგულნი იყვნენ მეფისანი, ვიდრე საერო ფეოდალები. გიორგი VIII-ის

<sup>2</sup> დ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801—1802 წლებისა: საქართველოს არქივი, წ. III, გვ. 121, ცხრილი № 1; დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში. გვ. 302—303, თბ., 1971.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. გვ. 268; მ. ასათიანი. სახელმწიფოებრივი რეფორმის საკითხისათვის XV ს-ის კახეთის სამეფოში. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 209—219.

<sup>4</sup> ზ. ხიდუჩელი. კახეთის სამეფო დომენი XVII საუკუნეში: ვ. ი. ლენინის ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბ., 1980, გვ. 76.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა უთუოდ განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება, რომლის სიძლიერე საფუძველია სამეფო დომენის სიდიდისა.

სახელმწიფო მიწების გარდა კახეთში, XV—XVIII სს-ში სახსარ მიწათმფლობელობის ფარგლებში მოქცეულა საეკლესიო ყმა-მამულის ნაწილიც<sup>5</sup>.

კახეთში სამეფო ქალაქები იყო ბაზარი, გრემი და თელავი. აქ მეფეები ფლობდნენ ყმა-გლეხებს, ხელოსნებს, ვაჭრებს, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების დაწესებულებებს. XV—XVIII საუკუნეებში სამეფო დომენის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა: ქიზიყი (აქ მხოლოდ XVIII ს-ის მიწურულში დასტურდება საეკლესიო და საფეოდალო ყმა-გლეხების არსებობა), თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი; XVII—XVIII სს-ის გარკვეულ მონაკვეთში წუქეთი და დიდოეთი. მეფეთა სამფლობელოების ფარგლებში მოქცეული ყოფილა ელისენის, მარტყოფის, თიანეთის, ერწოს (ერწო-თიანეთი როგორც ცნობილია დროებით XVII ს-ის 20-იან წლებში იგდო ზურაბ არაგვის ერისთავმა), შილა-ყვარლის, გრემის, პანკისის მხარეების დასახლებული პუნქტების უმეტესობა. წყაროების მონაცემებით დგინდება, რომ XV—XVII სს-ში სამეფო დომენის ფარგლები მნიშვნელოვნად უფრო ვრცელი იყო, ვიდრე XVIII ს-ში.

აღნიშნულ დროს სამეფო დომენის სიძლიერეს, გიორგი VIII რეფორმების გარდა, განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ ამ სამეფოში სათავადო სახლების მნიშვნელოვან ნაწილს იოანე და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების თანახმად, სწორედ XV ს-ის მიწურულსა და XVI ს-ის დასაწყისში ჩაუყარეს საფუძველი საქართველოს სხვა კუთხეებიდან აქ ჩამოსახლებულმა წარჩინებულებმა<sup>6</sup>. დასაწყისში, რასაკვირველია, ისინი შედარებით მცირე სამფლობელოებს ფლობდნენ ჩოლოყაშვილების მფლობელობაში მოქცეული ყოფილა: ოჩანის ციხე-სიმაგრე და მისი სანახები, ყმა გლეხები: სოფ. ბასილის უბანში, არბუხში, მატაანში, ჭიაურში (დავითის უბანი), საბუეში და ლანუხში<sup>7</sup>; მათ განაყოფებს — მაყაშვილებს ეკუთვნოდათ საბუეს, მამრების, რუისპირის, არტუაზის ნაწილი<sup>8</sup>; ჯორჯაძეებს: გრემის, საბუეს, ჩუმლაყის, ლანუხის და ლეკეთის ნაწილი<sup>9</sup>; ვაჩნაძეებს: ვეჯინი, კარდენახი, ვარ-

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 11, გვ. 89—92.

<sup>6</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729, ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70, სცხა, ფ. 1449. ს. № 248, № 2285, ფ. 1450. დ. 32. ს. 306.

<sup>8</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad ს. № 1284, ფ. Hd ს. № 14423, სცხა, ფ. 1451. დ. 1. ფ. 165.

<sup>9</sup> სცხა, ფ. 1461. რვ. 1, ს. 2; ფ. 1450. დ. 31. ს. 73.

დანუცი, ბაკურციხე, ჩოლომატი, კოლაქი, ვეპი და კალაური ნაწი-  
ლობრივი<sup>10</sup>; ანდრონიკაშვილებს: სოფ. ჯიმითი (აღრე იგი ეკლესიას  
ეკუთვნოდა, ალექსანდრეს 1601 წ. ის ჩამოურთმევია მათთვის და  
მცხეთისათვის დაუბრუნებია)<sup>11</sup>, ძირკოკი<sup>12</sup>, გლდანი<sup>13</sup>, ბარაუნჩა და  
ფიფინეთის ნაწილი<sup>14</sup>; ჭავჭავაძეებს: ახალკალო, ვრემი და ენისელი  
ნაწილობრივი<sup>15</sup>; გურამიშვილების ყმა-მამული დასტურდება სოფ. ფი-  
ფინეთში<sup>16</sup>.

საერო ფეოდალების სამფლობელოებთან შედარებით, მნიშვნე-  
ლოვნად უფრო ვრცელი და ძლიერი ყოფილა საეკლესიო მიწათმფლო-  
ბელობა. კახეთის ხელისუფალნი, როგორც ჩანს, ყოველმხრივ უწყობდ-  
ნენ ხელს ამ მხარეში საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობის  
ფარგლების გაზრდას ახალი ყმა-მამულის შეწირვის გზით. XV—XVI  
საუკუნეებში საეკლესიო ყმა-მამულის არსებობა დასტურდება შემ-  
დეგ დასახლებულ პუნქტებში: ქატში, დვალში, ტაზრებში, ახალშენ-  
ში, თორღიანში, ნოდოკრაში, გორანაში, ძაგნაკორნათში, ხატისწობენ-  
ში, წირდალში, კილმატში, ახატანში, ხოდაშენში, ნინოწმინდაში, სხალ-  
დიდში, იელტაში, ველურაში, ზაკეში, აკურაში, პიტლოვანში, ვრემ-  
ში, კუერნასძეულში, ძაგნაკარანთაში, ზვიადასშვილებში, აღიშელის-  
ძეში, ბიწმენდში, მყავში, მისაქციელში, კუნენელში, ჯვარში, ჯაჭვში,  
ოროტაში, ნაკადში, ვანთაში, ბარაუნთაში, ყიზლარში, ჩხეპნიაში,  
პავლაანში, შურიანში, მარილისში, წინა და უკანა საგარეჯოში, ვეძის-  
ხევიში, ფაშაანში, ხევთუბანში, გიორგანში, ბოკოწონში, ზემო ღანუხ-  
ში, გუდალეთში, კალთუბანში, კისისხევიში, ასკილოვანში, ვერანაში,  
ფალდაშენში, საბაწმინდაში, კაწარეთში, ვარგაში, დუმასუბანში, შა-  
შიანში, რაჯაზში, თოღანში, პანკისში, ქორეთში, ფიჩხოვანში, გოგო-  
ნაში, ღელისუბანში, სოფორის ხევიში, ბანწყილის ხევიში, ლავოდენში,  
ვარღიანში, ჭარაანში, ლერწამში, ბაზარში, თხილნარში, ასადურანში,  
ჩეკურში, ანუშში, ნოჯიკეთში, აბანოში, თორენჯში, გომთუბნის ხე-  
ვიში, ნოჯაში, ევქეტში, აბანოში, ბაგაში, ზაქარიანში, ეზვიში, გორისუ-  
ბანში, გლდანში, ფოსვიში, ოპტისში, არჯაკალში, ავქალაში, ახლდაბაში,

<sup>10</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd 7588.

<sup>11</sup> თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 431.

<sup>12</sup> სცსა, ფ. 1461, რკ. 13, ს. 18.

<sup>13</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, 3729, 326, ფ. Ad 1355. საქ. სიძვ. ტ. III, № 202.

<sup>14</sup> სცსა, ფ. 1449, ს. № 1663.

<sup>15</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორი-  
იდან (XV—XVII სს.), ტ. I, გვ. 358, № 504, თბ., 1984.

<sup>16</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 695.

უტალაში, წითლანში, რაჯახში, ჯიმითში, კატალაში, ორანდში, ფვალაში, სულ დაახლოებით 100-მდე სოფელსა და დაბაში<sup>17</sup>.

იოანე ბაგრატიონის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ამ სამეფოების 2000-მდე სოფელია დასახლებული, აქედან დაახლოებით ნახევარი კახეთს მიეკუთვნება<sup>18</sup>. თუ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი XVIII ს-ის მიწურულისთვის განადგურებული იყო, XVI ს-ში ამ პუნქტების უმეტესობა დასახლებულ ადგილას წარმოადგენდა. ამ რიცხვს თუ გამოვავლებთ საერო ფეოდალებისა და ეკლესიის მფლობელობაში მოქცეულ ზემოთ დასახლებულ ადგილებს, აშკარა ხდება, თუ რამდენად ძლიერი და ვრცელი იყო სამეფო დომენი XVI საუკუნეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ XV—XVIII სს-ში კახეთის ტერიტორიაზე არსებულ საეკლესიო ყმა-მამულზე ხელი მიუწვდებოდა მეფეს. ბ. ლომინაძის აზრით, XVI ს-ის შემდგომი ხანიდან მოხდა ცვლილებები და ეკლესია (იგულისხმება სახელმწიფო ეკლესია: კათალიკოსი, ეპისკოპოსი და მსხვილი მონასტრები) მეფის ზედდებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ეკლესია არ იყო დამოუკიდებელი ძალა, მისი ქონება კი განიხილებოდა როგორც სამეფო-სახელმწიფო ქონების შემადგენელი ნაწილი<sup>19</sup>. განსაკუთრებით ეს მოსაზრება სწორია კახეთის მიმართ. კახეთის მეფეები აქტიურად ერეოდნენ თავისი საპატრონო ეკლესია-მონასტრებისა და საეპარქიო საყდრების განმგებლობაში, ნიშნავდნენ მათ სახლთხუცესებს, მოურავებს და სხვა მოხელეებს<sup>20</sup>, განაგებდნენ სასულიერო საქმეებსაც (ეპისკოპოსების, წინამძღვრების, ხუცესების დანიშვნა, ეპარქიების განწესება, ტიპიკონების შედგენა და ა. შ.)<sup>21</sup>. დასტურდება საეკლესიო ყმა-მამულის საერო ფეოდალებზე მათ მიერ გაცემის ფაქტებიც<sup>22</sup>. სამეფო ეკლესია-მონასტრებსა და საკათალიკოსო ყმა-გლეხებს გარკვეული ვალდებულებები ჰქონდათ მეფის მიმართ. პირველ ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა, რა თქმა უნდა, სასულიერო სამსახურში: პატრონისთვის მოწყახსენებლის, წირვალოცვის დაწესებაში. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, ეკლე-

17 ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Ad. ს. 175, 1505, 2050, სცსა. ფ. 1449, № 1533, № 1636, № 1655. ქრონიკები, II, გვ. 319, 374—375, 418.

18 ნ. კ ი ტ ი ნ ი ვ ი. იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ და მისი მნიშვნელობა ტოპონიმის შესწავლის ისტორიაში. ტოპონიმოლოგია, II, თბ., 1980, გვ. 339.

19 ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 108—112.

20 იქვე, გვ. 62—83.

21 სცსა, ფ. 1448, ს. № 32, № 468.

22 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 326.

სია-მონასტრებს დაკისრებული ჰქონდათ მატერიალური ვალდებულებებიც — მისართმევი ძღვენი<sup>23</sup>.

კახეთის ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიების ყმა-გლეხებს, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, ევალებოდათ სხვა სახის ვალდებულებებიც. მაგალითად, რუსთაველის ყმებს ერწოვლებს XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ევალებოდათ ახმეტაში სახასო ზვრების დამუშავება<sup>24</sup>, ხოლო შუამთის მონასტრის ყმებს — საქარე გადასახადი.

დოკუმენტების მონაცემებით დგინდება, რომ მეფე დიდი უფლებით სარგებლობდა კახეთის სათავადო მამულების მიმართ.

გ. ჯამბურია თავის ნაშრომში „სათავადოთა საკითხისათვის“ საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხის შესწავლაზე. მას მოაქვს XVI საუკუნის ოთხი დოკუმენტი, რომელთა მიხედვით, კახეთის მეფეები თავადებს უწყალობებენ ყმა-მამულს მკვიდრად, სამამულედ და ხელშეუვალად და აცხადებს: „ყველა აქ მოტანილი საბუთი XVI საუკუნისაა. ამ მასალას განსაკუთრებით ყურადღება იმიტომ მივაქციეთ, რომ სწორედ XVI საუკუნე ითვლება კახეთში ისეთ ხანად, როცა ცენტრალური ხელისუფლება უფრო ძლიერია და არც სათავადოები წარმოშობილა თითქოს იქ. მოტანილი დოკუმენტები, ვფიქრობთ, სრულიად ცხადყოფენ, რომ კახეთში ისეთივე სათავადო მიწათმფლობელობა იყო, როგორც მთელ საქართველოში“<sup>25</sup>.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორის იმ დასკვნას, რომ კახეთში სათავადო მიწათმფლობელობა იყო XVI ს-ში და შემდეგაც. მაგრამ ჩვენი დაკვირვებით აქ სათავადოების შეუვალობა ხშირად ირღვეოდა. ხშირია, განსაკუთრებით XVI საუკუნეში, ისეთი ფაქტები, როდესაც მეფე ერთი სათავადო საგვარეულოს მამულს მეორეს გადასცემდა. ასეთი რამ არ ჩანს ქართლისა და იმერეთის სამეფოებში. მაგალითად, 1594 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მიერ არსლან ჯანდიერიშვილისადმი ყმა-მამულის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...აწე ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და ეგრეთ არა ვიწყალობეთ და გიბოძეთ თქვენთვის სამკვიდროდ ენისელთათ ჰავჰავადის გარსევანისეული კაცი კაყამლი ექუსი ეს ყოურული ერთი... სამკვიდროთ თქვენთვის და თქვენი შვი-

23 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 94. VI, გვ. 708.

24 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 365—367; ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 387, ს. № 542, თბ., 1940.

25 გ. ჯამბურია. სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ტ. I, გვ. 18—19. თბ., 1970.

ლებისათვის გვიბოძებია<sup>26</sup>. ანალოგიური ფაქტები დასტურდება ამ პერიოდის სხვა დოკუმენტებშიც<sup>27</sup>. ზოგ შემთხვევაში კახეთში სათავადო მამულები ექცეოდა სახასო მიწათმფლობელობის ფარგლებში<sup>28</sup>.

XVI საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVII საუკუნის დასაწყისში ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების გაანალიზებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კახეთში დაიწყო სამეფო ხელისუფლების შესუსტების პროცესი. თეიმურაზ I პერიოდში ლეკეთში მოწყობილ ლაშქრობასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: წარავლინა თეიმურაზ ომანიშვილი ჭიხოსრო... რომელსაც ვერ წინაღუდგენ, ითხოვა ბუკი თეიმურაზისაგან, რამეთუ მოშიშარ იქნებიან უფროსად“ ბუკის, ე. ი. სარდლობის მოთხოვნა ომანიშვილის მიერ თეიმურაზისაგან რასაკვირველია, თეიმურაზის დროს სამეფო ხელისუფლების გავლენის დაცემაზე მეტყველებს, ვინაიდან ძლიერ ხელისუფალს ქვეშევრდომი ვერ შეჰბედავდა ასეთ თხოვნას. მართალია, თეიმურაზმა იგი მოაკვლევინა, მაგრამ ამით მისი მდგომარეობა არ განმტკიცებულა. ვახუშტი აღნიშნავს: „ამის მხილველთა კახთა რომელთამე იწყეს ქუეგამხედველობა მეფისა“. ასეთი ვითარება კი ნათლად გამოჩნდა მაშინაც, როდესაც წყდებოდა მისი შვილების შაჰ-აბასის კარზე მძევლებად გაგზავნის საკითხი. „მაშინ თეიმურაზ ეზრახა კახთა და მათ ყოველთა განუზრახეს წარვლინება მისა, გარნა არა ინება თეიმურაზ, არამედ იძულებითა კახთაგან წარავლინა უმრწემესი ძე ალექსანდრე და წარატანაცა დედა თვისი ქეთევან და ნოდარ ჯორჯაძე“<sup>29</sup>.

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებაზე მიუთითებს ისიც, რომ XVI ს-ის მიწურულსა და XVII საუკუნეში ფაქტიურად თავისი მნიშვნელობა დაუკარგია გიორგი VIII იმ რეფორმას, რომლის ძალითაც ეპისკოპოსები სარდლებად და ზოგ შემთხვევაში მოურავებად ინიშნებოდნენ. თუ წინა პერიოდში ისინი მიწათმფლობელობის თვალსაზრისით არ იყვნენ თავიანთ საგვარეულო სახლებთან დაკავშირებულნი და არ შეეძლოთ თავიანთი თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემა, XVI ს-ის ბოლოსათვის მდგომარეობა შეცვლილა. დოკუმენტური წყაროების მონაცემებით დგინდება, რომ მათ უკვე ხელი მიუწვდებოდათ თავიანთი საგვარეულოს მიწა-წყალზე.

1568 წელს თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მაქსიმე ბოდბელისათვის მიცემულ ყმების წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...გვიბოძეთ

26 ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV—XVII სს.), ტ. I, თბ., 1940, გვ. 357—358.

27 იქვე, გვ. 80, № 506.

28 იქვე, გვ. 12, № 18.

29 ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 585—586.



ჩვენ, ბატონსა ბოდბელსა, თქვენს ძმებს: სარჯასტანს, ავთანდილს... მას  
უამთა ოდესცა მაყანთ ყმებს საბუეს მსახლობელთა გუიაჯენით, ვის-  
მინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოგიბოძეთ<sup>30</sup>. 1630—33. თეიმურაზ  
რაზ I მიერ მამულების ხელშეუვალობის და „კარგად მოპყრობის“  
თაობაზე ავალიშვილების სახელზე გაცემულ სიგელში ნათქვამია:  
„...შეგიწყალეთ და გიბოძეთ ავალიშვილს პატრონს ზაქარიას და  
თქვენს შვილებს ბოდბელ მთავარ ეპისკოპოსს არსენის, ავალს, ქაი-  
ხოსროს“<sup>31</sup>. ანალოგიური ვითარება დასტურდება ამ პერიოდის სხვა  
დოკუმენტებშიც.

წყაროების ცნობით, აღნიშნულ ხანაში ამა თუ იმ ეპისკოპოსე-  
ბის პატივში ძირითადად ერთი და იგივე საგვარეულოს წარმო-  
მადგენლები ჩანან. მაგალითად, ნინოწმინდელის საეპისკოპოსო კა-  
თედრა ძირითადად ხელთ ებყრათ მაყაშვილების სახლის წევრებს,  
ალავერდისა — დასაწყისში, ავალიშვილების, ხოლო საუკუნის მიწუ-  
რულიდან XVIII ს-ის 60-იან წლებამდე ჩოლოყაშვილებს<sup>32</sup>.

ამ პერიოდში სამეფო ხელისუფლების შედარებით შესუსტებამ  
და განსაკუთრებით კი კახეთში მეფობის დროებითმა გაუქმებამ განა-  
პირობა ამ სამეფოში საერო ფეოდალთა ყმა-მამულის რაოდენობრივი  
ზრდა, პირველ ყოვლისა, ეს ითქმის ჩოლოყაშვილების, ანდრონიკა-  
შვილების, ჯორჯაძეებისა და ვაჩნაძეების სამფლობელოთა მიმართ. ეს  
ბუნებრივიცაა, ვინაიდან მაჰმადიანი ხანების მმართველობის პერიოდ-  
ში სწორედ ამ სათავადო სახლის წევრები განაგებდნენ კახეთის  
საშინაო საქმეებს, ვახუშტი ბატონიშვილი როდესაც მოგვითხრობს  
კახეთში ბეჟან ხანის მმართველობის პერიოდზე, აღნიშნავს: „ამ უა-  
მებთავე თაობდნენ კახეთს ჩოლოყაშვილი რევაზ, მოურავი ქისიყისა  
აბელ, მოურავი ელისენისა მერაბ და სხუანიცა, და განეგებოდა ხა-  
ნისაგან კახეთი ამათით“<sup>33</sup>. XVII ს-ის მეორე ნახევარში ჩოლოყაშვი-  
ლები იმდენად გაძლიერებულან, რომ მათდამი ვასალურ ურთიერთო-  
ბაში დროებით მოქცეული ჩანს მთავარეპისკოპოზი ქრისტეფორე  
და მისი ოჯახი, ამაზე მეტყველებს 1690 წელს რევაზ ჩოლოყაშვი-  
ლის მიერ ქრისტეფორესა და მისი ძმებისთვის მიცემული წყა-  
ლობის სიგელი: „...გიბოძეთ ჩვენ. ჩოლოყაშვილმან სახელთუხუცეს-  
მან რევაზ, ძმათა ჩვენთა სარიდონ, გივმან, ზურაბ... შენა ჩუენსა  
ერთგული და თავდადებით ნამსახურს მთავარეპისკოპოზს ქრისტე-

30 დოკ. საქ. საც. ისტ., ტ. I, გვ. 357—358.

31 ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd 13159.

32 გ. ჯანდიერი. ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, მრავალთავი, I, თბ., 1971.

33 ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 606.

ფორეს და ძმისა შენსა გიორგის და რუსსა, უთრუთს და მომავალთა სახლისა შენისათა ამის წინათაცა პაპისა და მამის ჩვენისაგან წყალობა გჭირვებოდა და ახლა შემოგიმატეთ და წყალობა გეყავით უჯარმასა და სიონს, ანა ხორგუს, რასაც მჭონებელნი იყვნეთ მამულის, ყმის, ნასყიდისა, უსყიდოსა. უჯარმის მოურაობა სამკვიდროთ გქონდა, ახლა უზუნ ქანთისა და ალაზნის მოურაობა დაგიმტკიცეთ<sup>34</sup>.

XVII ს-ში ჩოლოყაშვილებს და მათ განაყოფებს მაყაშვილებსა და ამბათაყაშვილებს ხელთ უგდიათ მამულები: სოფ. ქორეთში, უჯარმაში, გავაზში, თიანეთში, ქორდში, უტოში, წინუბანში, შილდაში, კარდენახში, ქალაჩაურში, ბეწეწურში, სათილანში, სამალრანოში, ანჯანახში, ღანუხში, მუშოანში, სადგერში, სიონში, ხორუგში, კაკაბეთში, რამაზიანში, ალავეანში და ამბათანში; ვაჩნაძეებს: გავაზის და ყიზილ უღლუნის ნაწილი<sup>35</sup>. ჯორჯაძეებს — სოფ. ყუდრო, ყანდაურის, თელას ნასოფლარის, გავაზის ნაწილი<sup>36</sup>. ჭავჭავაძეებს — დროებით, საუკუნის მიწურულამდე: ვანთა, ვარციხი და დაუმასუბანი<sup>37</sup>; ჯანდიერიშვილებს — ხუდაანი<sup>38</sup>; ანდრონიკაშვილებს — ყმა-მამული სოფ. ფხოველში, ალიაბანდში, შიბლიანში, ახალ სოფელში, ვეჯინში და გურჯაანში<sup>39</sup>; ქობულავს — ყიზილ-უღლუნი<sup>40</sup>; გურამიშვილებს — საგურამოს წვილო, ლერწამი<sup>41</sup>, ღვაროს ზვარი, ხიმშიაშვილებს — ძავნაკორისა და კალურის ნაწილი<sup>42</sup>. რუსისშვილებს: XVI საუკუნის ერთ მონაკვეთში — საეკლესიო ყმა-მამული შილდაში, ვეძისხევისა და ყვარელში<sup>43</sup>.

XVII საუკუნის დასაწყისში კახეთში ქართლიდან ავალიშვილების სათავადო სახლის ერთი შტო გადასახლებულა. მათ მფლობელობაში მოქცეულა სომანეთში, აბისში, კალაურში, კისისხევში, კაკაბეთში, ხორაუგში და ხეტარში მცხოვრები ყმა-გლეხები<sup>44</sup>. ამავე პერიოდში

34 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, ს. 10921.

35 სცსა, ფ. 1448, ს. № 3263, № 1501; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14428, ფ. Hd 14672; Hd 2244; Hd 2286; Hd 9690; Hd1469; Sd 2831.

36 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1925; სცსა, ფ. 1448, ს. № 5218.

37 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd 1733; სცსა, ფ. 1461, რვ. 1, ს. 9.

38 იქვე, ფ. Hd 1758.

39 ვ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ს. № 204, თბ., 1921.

40 სცსა, ფ. 1448, № 8736; ფ. 1449, № 1786; ფ. 1461, რვ. 13, საბ. 18, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 2136.

41 Д. Пурцеладзе. Указ. соч., с. 9.

42 სცსა, ფ. 150, დ. 19, ს. 108.

43 სცსა, ფ. 1450, დ. 37, ს. № 197.

44 სცსა, ფ. 1449, ს. № 1859.

კახეთში დასახლებულან აბაშიძეების და ჩერქეზიშვილების სახლის წევრებიც<sup>45</sup>.

აღნიშნულ პერიოდში კახეთის სამეფო აზნაურების მფლობელობაში გადასულა ყმა-მამულები: სოფ. ვანათში, აღნანში, კისისხევში, ბულღურში, პანკისში, ბახტრიონში, დემასურსა და ქორეთში<sup>46</sup>.

საერო ფეოდალთა ზემოდასახელებული სამფლობელოები ძირითადად სამეფო დომენის ტერიტორიულ ფარგლებს, ნაწილობრივ კი, საეკლესიო მიწათმფლობელობას ჩამოსცილებია.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, XVII—XVIII საუკუნეებში ცენტრალური ხელისუფლება კახეთში, სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით უფრო ძლიერია. ამის ერთ-ერთი საფუძველი კახეთის სათავადოთა სისუსტეში უნდა ვეძიოთ. ამას კი განაპირობებდა, პირველ ყოვლისა, გიორგი VIII-ის ზემოთ დასახელებული რეფორმები.

კახეთის სათავადოთა სისუსტეზე XVII საუკუნეში უთუოდ დიდი გავლენა მოახდინა შაჰ-აბასის გამანადგურებელმა ლაშქრობებმა, რომლებმაც ძირითადად გააუკაცრიელეს კახეთის ის რაიონები, სადაც შედარებით ძლიერი იყო საერო ფეოდალთა საკუთრება<sup>47</sup>.

კახეთის სათავადოების ბუნებაზე დიდ გავლენას ახდენდა ის გარემოებაც, რომ კახეთში თავადთა გამგებლობაში მოქცეული მიწებიდან ჰარბობდა ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებული იყო მოურავის თანამდებობასთან და სწორედ აქედან მიღებული შემოსავალი იყო კახეთის სათავადო სახლის ბიუჯეტის ძირითადი წყარო. მაგალითად, თიანეთის, ფშავ-ხევსურეთისა და მარჩლისის მოურავის დიმიტრი ჩოლოყაშვილის ქვრივის რიფსიმე ბატონიშვილის მიერ 1810 წელს ტორმასოვისათვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ განსვენებული დიმიტრის ოჯახის შემოსავალი აღნიშნული თანამდებობიდან 1249 მანეთს უდრიდა და იგი ოჯახის არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა<sup>48</sup>. ჩვენ შევეცადეთ ამ პერიოდში ქართველი და რუსი მოხელეების კახეთში ჩატარებული აღწერების (1801—1802 წლების აღწერისა და 1804 წელს რუსეთის ხელისუფლების კამერალური აღწერის დავთრები) მონაცემებით გაგვერკვია, თუ რამდენი კომლი ყმა ეკუთვნოდათ პი-

45 ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, № 574, თბ., 1940.

46 ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729; ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 35; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1118, 1259, 1278.

47 Полневктов М. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), Тбилиси, 1937. с. 331—332.

48 Акты, собранные Кавказской археологической комиссией, издание архива Главного управления наместника Кавказа, под редакцией А. П. Бержа, т. I, 1866, с. 283.

რადად დიმიტრი ჩოლოყაშვილებს და მისი ოჯახის წევრებს, აღმოჩნდა, რომ მათ ეკუთვნოდათ დაახლოებით 100 კომლი გლეხი<sup>49</sup>. წყაროებში არსად არ არის დაცული ცნობები, თუ მათგან რამდენი გადასახადი შედიოდა ჩოლოყაშვილების ოჯახში, მაგრამ დაახლოებით ასეთი რაოდენობის ყმა-გლეხებისაგან ფარნაოზ და მირიან ბატონიშვილების შემოსავალი 150—200 მანეთით განისაზღვრებოდა<sup>50</sup>. ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოურავობიდან მიღებული დიმიტრი ჩოლოყაშვილის შემოსავალი 5—6-ჯერ აღემატებოდა საკუთარი ყმა-მამულადან მიღებულ სახსრებს.

იგივე ითქმის ანდრონიკაშვილებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეპყრათ ქიზიყის მოურავის სახელო. ამ თანამდებობიდან მიღებული შემოსავალი XVIII საუკუნის მიწურულისათვის 3000 მანეთს აჭარბებდა, მაშინ, როდესაც საკუთარი ყმა-გლეხებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ღირებულება რამდენჯერმე ნაკლები იყო და არ აღემატებოდა 200—300 მანეთს<sup>51</sup>.

აქედან გამომდინარე, კახეთის მეფეთა ხელში იყო ფეოდალური სახლების მორჩილების ისეთი ძლიერი საშუალება, როგორც მოურავების თანამდებობაზე მათი დანიშვნა-გადაყენების უფლება, რაზედაც დამოკიდებული იყო კახეთის სათავადო სახლების კეთილდღეობა.

კახეთში სათავადოთა სისტემის ხასიათზე უფროდ დიდ გავლენას ახდენდა სათავადო სახლების ხშირი გაყრა. ასე, მაგალითად, ჩოლოყაშვილების სახლს XVI საუკუნის პირველ ნახევარში გამოეყო მაცაშვილების საგვარეულო (რომელიც თავის მხრივ დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ სახლად). ამ დროისათვის ჩოლოყაშვილები უკვე სამ შტოდ ჩანან დაყოფილნი<sup>52</sup>, ხოლო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედის კახეთის აღწერის დავთრის მონაცემებით, ამ საგვარეულოში ჩანს 6—7 დამოუკიდებელი სახლი<sup>53</sup>. ამ პროცესს, როგორც გ. ჯამბურია აღნიშნავს, ხელს უწყობდა, ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ „კახეთის მეურნეობის წამყვანი დარგები — მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა ნაკლებად იტანდა „საერთო მფლობელობას“<sup>54</sup>, მეორეც, კახეთის

49 გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლებისა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საისტორიო არქივი, III, გვ. 129—185, თბ., 1927; სცსა, ფ. ანწ. I, ს. 59, 80.

50 Акты, II, с. 60—65.

51 Акты, IV, с. 314.

52 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, ს. № 144428, 14674.

53 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 9—104; თბ., 1967.

54 გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

მეფეთა საშინაო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო სათავადო სახლების შეყრისა და გაძლიერების წინააღმდეგ. ამის უკუპირაპირი ცილა შემდეგი მაგალითი: XVII საუკუნის დამლევისათვის ჩათვალეს ყაშიღთა გვარის ორი სახლი შეყრილა და გაერთიანებულა, რასაც მთელი სიმტკიცით წინ აღსდგომია როგორც ერეკლე I, ისე დავით მეფე (იმამყულიხანი). ერეკლე I-ს პირობა ჩამოურთმევია ჩოლოყაშვილისათვის, რომ ისინი ისევე გაიყრებოდნენ, მაგრამ ეს არ შეუსრულებიათ. ამის გამო დავით მეფემ ჩოლოყაშვილებს გაუგზავნა ბრძანების წიგნი, რომლითაც აფრთხილებდა, რომ მათ მიმართ, გაუყრელობის შემთხვევაში, გადამწყვეტ ზომებს მიიღებდა<sup>55</sup>. ჩოლოყაშვილებს დაუკმაყოფილებიათ მეფის მოთხოვნა და, როგორც დავინახეთ, XVIII საუკუნის დამლევს უკვე ჩამოყალიბებულა რამდენიმე დამოუკიდებელი სახლი.

ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა კახეთში ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე და ის, რომ XVIII ს-ში კახეთში სამეფო დომენი ამ სამეფოს ყმა-მამულის ერთ მესამედზე მეტს მოიცავდა. ამ პერიოდის კახეთის სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლები და მასთან დაკავშირებული საკითხები შედარებით სრულად განხილული გვაქვს ჩვენს ნაშრომებში „სამეფო მიწათმფლობელობა XVIII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში“<sup>56</sup> და „კახეთის საფეოდალოები XVI—XVIII საუკუნეებში“<sup>57</sup>. ამიტომ ამ საკითხის განხილვას აქ არ შევეუბნებით.

## 2. საფეოდალო, საბატონიშვილო

წყაროების მონაცემებით დგინდება, რომ კახეთში XVIII ს-ში საუფლისწულო იყო დაბა თიანეთი და სოფელი მალრანი. თიანეთის შესახებ იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს: „ქ. თიანეთის დაბაში სახასონი ადგილნი, რომელიც პირმშო იქნებოდა მეფისა, იმისი იყო ვიდრე გამეფებამდე და მერმე მის ნასლედნიკს მიეცემოდა, პირველ ეპყრა პაპა ჩუენს (გიორგი XII — ზ. ხ.) გიორგი მეფობიდან და მერმე ჩემს მამა დავითს, გარდა თავადთა და აზნაურთა ადგილი საეკლესიო“<sup>58</sup>.

<sup>55</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1191.

<sup>56</sup> ზ. ხ. იდუ რ ე ლ ი. სამეფო მიწათმფლობელობა XVIII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1981 (ხელნაწერი). ინახება ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

<sup>57</sup> ზ. ხ. იდუ რ ე ლ ი. კახეთის საფეოდალოები XVI—XVIII საუკუნეებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 47—48, 1985.

<sup>58</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, ს. 3729.

აქედან ისე ჩანს, თითქოს თიანეთი ტახტის მემკვიდრის მფლობელობის ქვეშ მოექცა მხოლოდ ერეკლე II-ის მეფობაში, მაგრამ წყაროების მიხედვით აღნიშნული დასახლებული პუნქტი საუფლისწულო მფლობელობის ქვეშ მოქცეული ყოფილა უფრო ადრეც, 1721 წელს დავით იმამყულიხანის ხარკაშოსადმი მიცემულ საწირავის გარიგების წიგნში ვკითხულობთ: „...აწე მოგახსენებთ სახლისა ჩუენისა უფლისწულნო ვინცა დღეს მპყრობელ იყვნეთ, ანუ დღეის წალმართ თიანეთს დაიპყრობდეთ<sup>59</sup>. ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გიორგი VIII შვილმა ვახტანგმა გერგეტის სულთა მატანის მიხედვით 1484 წ. მოახერხა არაგვის ხეობაში და თიანეთში გაბატონება<sup>60</sup>. ასეთივე ვითარება დასტურდება სოფ. მალრანთან დაკავშირებითაც.

კახეთის მეფეთა დანარჩენი შვილების სამფლობელოების შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება.

დოკუმენტური წყაროების თანახმად, ლევან კახთა მეფის ერთ-ერთ შვილს გიორგი ბატონიშვილს 1560 წ. შეუწირავს ნინოწმინდისათვის ნინოწმინდელ მღებართა შემოსავალი<sup>61</sup>, განუახლებია სოფ. ოროტას შეწირულება<sup>62</sup> და აღნიშნული ტაძრისათვის კახეთის სხვადასხვა სოფელში თავისი სახსრებით შეძენილი 17 კომლი ყმა-გლეხი შეუწირავს<sup>63</sup>. მის ძმას თეიმურაზ ბატონიშვილს 1568 წელს 1 კომლი ყმა-გლეხი შეუწირავს სვეტიცხოვლისთვის სოფ. ბაკოწინში<sup>64</sup>. ლევან კახთა მეფის მესამე ვაჟის ელმირზა ბატონიშვილის მფლობელობაში მოქცეული ყოფილა სოფ. ღანუხი. აქ მცხოვრები 12 კომლი გლეხი 1580 წელს ამ უკანასკნელს სვეტიცხოვლისათვის უწყალობებია<sup>65</sup>. იასე ბატონიშვილს სიუშ სააკაძისათვის „სააბრეშუმე თემში“ უბოძებია 40 კომლი გლეხი, იმის სანაცვლოდ, რომ სააკაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებს დიდი სამსახური გაუწევიათ მისთვის ქართლში — სვიმონ მეფის სამეფო კარზე ყოფნისას<sup>66</sup>.

გიორგი ბატონიშვილის ძეს ხოსრო ბატონიშვილს 1574 წელს იოთამ გურამიშვილისათვის ამოუკვეთია ავჭალური საბალახე, შიშლიგი, მებალახეთათვის პურის ქმევა<sup>67</sup>. ლევან კახთა მეფის მეორე

59 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 336.

60 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.): მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 263—288.

61 სცსა. ფ., 1449, № 1607.

62 სცსა. ფ., 1449, ს. № 1625.

63 სცსა. ფ., 1448, ს. № 5530.

64 ქრონიკები, II, გვ. 411.

65 სცსა. ფ. 1448, ს. № 5527.

66 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14441.

67 სცსა, ფ. 1450. დ. 10, ს. 112.

შვილიშვილს თეიმურაზ ბატონიშვილს ბოდბელ მაქსიმე ჩოლოყაშვილისათვის 1568 წელს უწყალობებია საბუეს მცხოვრები მაცაშვილების ყმები<sup>68</sup>. მარიამ ბატონიშვილის სამფლობელოები ჩანს სოფ. მუშოანში<sup>69</sup>. ერეკლე I ძმის ლუარსაბ ბატონიშვილის მფლობელობაში მოქცეული ყოფილა ყიზილულუნი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ერეკლე I დაეით-გარეჯისათვის შეუწირავს<sup>70</sup>. სხვა რაიმე ცნობები კახეთის საბატონიშვილო მფლობელობაზე არ მოიპოვება.

მოყვანილი დოკუმენტური მასალა და სხვა დოკუმენტების მონაცემები XVIII ს-ის 70—80-იან წლებამდე გამორიცხავენ კახეთის სამეფოს ფარგლებში საუფლისწულოს (ტახტის მემკვიდრის სამფლობელოების) გვერდით მნიშვნელოვანი საბატონიშვილო მფლობელობის არსებობას. დგინდება, რომ კახეთის ბატონიშვილის ხელში მოქცეული მიწები, როგორც საუფლისწულო, ისე საბატონიშვილო, წარმოადგენდნენ პირობით, მეფის ოჯახის წევრებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამფლობელოებს. სანამ ერეკლემ სამეფო სახასო თავის შვილებს არ დაურიგა, მათ სარჩო ხაზინიდან ეძლეოდათ<sup>71</sup>.

ანალოგიური ვითარება დასტურდება იმერეთის სამეფოშიც. აქაც სამეფო დომენიდან ტახტის მემკვიდრისათვის გამოყოფილი ჩანს „საუფლისწულო“ ყმა-მამული<sup>72</sup>, ხოლო დანარჩენ ბატონიშვილთა ხელში მსხვილ სამფლობელოთა არსებობა არ დასტურდება.

### 3. სადედოფლო

კახეთის სადედოფლოს ტერიტორიული ფარგლები ბევრად მცირე იყო, ვიდრე ქართლის სადედოფლოსი და განსხვავდებოდა მისგან ზოგიერთი სპეციფიკური ნიშნით.

სადედოფლო კახეთში გამოყოფილი ჩანს უკვე XVI ს-ის დასაწყისში, ამ პერიოდში ასეთი სახის სამფლობელოდ ჩანს სოფ. კუნელის დიდი ნაწილი<sup>73</sup>. 1579 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მიერ საქართველოს კათალიკოსისათვის კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე მამულების მფლობელობის განახლების სიგელიდან ირკვევა, რომ მისი თანამეცხედრე — თინათინ დედოფალი ფლობდა წისქვილს. მდინარე იორზე<sup>74</sup>.

68 სცსა, ფ. 1448 № 2384.  
69 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd 14679.  
70 სცსა, ფ. 1449, ს. 559, 1831.  
71 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14380.  
72 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd1085.  
73 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1498 (3).  
74 სცსა, ფ. 1448, № 764. 3.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ XVII ს-ის 10-იანი წლების ბოლოს (დაახლოებით 1618 წ.) თეიმურაზ I მიერ ნოდარ ჭორჯაძისადმი მიცემული წყალობის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ჩვენ ხუანთქართან კარხედ წავედით და თქვენ ჩუენი ცოლი და შვილი მოგაბარეთ და დედოფლის სახლთხუცესობა გიბოძეთ. აწე იპრიანოს ღმერთმან და იქიდალმ მშვიდობით მოვიდეთ, ასრე გაგირიგოთ, რომ რაც ღმერთმან მოგუცეს, თუ ჩუენი და დედოფლისა საერთო იყოს და სადედოფლო არ გაურიგოთ, ცალკე რაც გამოსავალი სარგო იყოს, რარიგადაც ჩუენს სახლის უხუცესს სასახლისუხუცესოთ ერგებოდეს, იმრიგად სამართლით ნახევარი შენ გერგებოდეს და თუ არა, ცალკე გაურიგდეს სადედოფლო, რარიგადაც კახეთში დედოფლის სახლთხუცესს ჰქონებოდეს, იმრიგად სადედოფლო შენთვის გვიბოძებია ჯელშეუვალად“<sup>75</sup>.

მოტანილი საბუთიდან ირკვევა, რომ XVII ს-ის 10-იანი წლების ბოლოს კახეთში სადედოფლო საკუთრების არსებობა სათუო გამხდარა. ეს ალბათ გამოწვეული იყო შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობებით. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დედოფლის სახლთხუცესის სახელს თეიმურაზ I თავისი ნება-სურვილით უწყალობებდა ნოდარ ჭორჯაძეს; უწყესებდა მას სარგოს.

დოკუმენტში ხაზგასმულია წინა პერიოდის კახეთის ტერიტორიაზე სადედოფლოს არსებობა. ნათქვამია: „...რარიგადაც კახეთში დედოფლის სახლთხუცესს ჰქონებოდეს თქვენთვის ისე გაგვიწყესებია“. ამაზევე მეტყველებს 1636 წელს თეიმურაზ I მიერ ნოდარ ჭორჯაძის შვილის იესესა და ამ უკანასკნელის ძმებისათვის მიცემული დედოფლის სახლთხუცესის სახელს განახლების წიგნი. ამ საბუთიდან ჯერ ერთი ჩანს, რომ აღნიშნული ხანისათვის კახეთის სამეფოში კვლავ ცალკე ყოფილა გამოყოფილი სადედოფლო, ხოლო, მეორე მხრივ, იგი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ კახეთში სადედოფლოს გაჩენის დრო. სიგელში ვკითხულობთ: „რაც ჯელმწიფის პაპის ჩუენისა პატრონისა ლევანისაგან და პატრონისა ალექსანდრესაგან სიგელი გქონებოდათ. დაგკარგოდათ ჟამთა ვითარებისა და თემის აშლილობისაგან... ჩვენცა ვისმენთ აჯა და მოხსენება თქუენი და გაგიახლეთ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა...“<sup>76</sup>.

აქედან კარგად ჩანს, რომ ჭორჯაძეებს აღნიშნული სახელო (დედოფლის სახლთხუცესობა) პირველად ლევან კახთა მეფისაგან მიუღლიათ. ჭორჯაძეებისათვის პირველად დედოფლის სახლთხუცესობის

75 სცსა, ფ. 1448, ს. № 618.

76 ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2135.



ლევან კახთა მეფისაგან წყალობად მიცემა მომდევნო პერიოდის დოკუმენტებშიც დასტურდება<sup>77</sup>.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ჯორჯაძეებს, ხოლო შემდეგ მათ განაყოფებს — ნოდარიშვილებს (XVIII ს.) ეს თანამდებობა ეპყრათ XIX ს-ის დასაწყისამდე, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამდე. წყაროებში ჯორჯაძეებამდე არ ჩანან დედოფლის სახლთუხუცესები სხვა საგვარეულოდან, ამიტომ შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სამეფოში სადედოფლო გაჩნდა ლევანის მეფობის ხანაში.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში კახეთში განმტკიცდა და გაფართოვდა სადედოფლო მფლობელობა. ვფიქრობთ, ამაზე დიდი გავლენა მოახდინა როსტომ მეფის მიერ კახეთის დაკავებამ და იქ ქართლის სახელმწიფოებრივი „წესისა და რიგის“ დამყარებამ. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ქართლში სადედოფლო მიწათმფლობელობა უფრო მსხვილ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა, ვიდრე კახეთში. როსტომმა იზრუნა კახეთში სადედოფლო სამფლობელოების გაზრდაზე. ამაზე მეტყველებს 1655 წელს როსტომის თანამეცხედრე მარიამ დედოფლისგან მეფის თანხმობით ავალ ავალიშვილისადმი მიცემული კისისხევის მოურაობის წიგნი: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ კისისხევის მოურავობა მისის სამართლიანის მოსაკითხავითა“<sup>78</sup>. აღნიშნული სოფლის გარდა, ამ დროისათვის სადედოფლოს ფარგლებში მოქცეულა სოფ. ალიაბადი და ხოდაშენი.

დასახლებულ სამოსახლოებს არჩილ მეფის მეუღლე ქეთევან დედოფალიც (1664—1675 წწ.) ფლობდა. ეს კარგად ჩანს, როგორც 1670 წელს ქეთევანისგან ზურაბ ანდრონიკაშვილისა და მისი ოჯახის წევრებისათვის სოფ. ალიაბადში ყმა-მამულის ბოძებიდან<sup>79</sup>, ისე 1675 წელს ალავერდის ეკლესიისათვის მირთმეული შეწირულობის წიგნიდან, რომლითაც მან აღნიშნულ საყდარს სოფ. ხოდაშენში ბათიაშვილის ნაქონი მამული შესწირა<sup>80</sup>.

80-იანი წლების დასაწყისში დასტურდება დავითის მეუღლის, ერეკლე I დედის — ელენე დედოფლის საკუთრების არსებობა კახეთის ტერიტორიაზე<sup>81</sup>.

კახეთში რამდენადაც გაიზარდა დედოფლის მატერიალური შეძობელობა და პოლიტიკური გავლენა ქვეყნის საშინაო საქმეების

77 სცსა, ფ. 1450, დ. 38, ს. 118.

78 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14313.

79 სცსა, ფ. 1461, დ. 13, საბ. 3.

80 სცსა, ფ. 1449, № 2676.

81 სცსა, ფ. 1449, ს. № 112.

გადაწყვეტაში ერეკლე I თანამეცხედრის ანას დედოფლობის ხანაში (1677—1703 წწ.)<sup>82</sup>, კერძოდ, ერეკლე I ირანში ყოფნისა და მისი ძის იმამყული ხანის მცირეწლოვნების დროს. ამაზე მეტყველებს დედოფალ ანას ოქმი საგარეჯოს ნაცვლისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი ბრძანება არის, საგარეჯოს ნაცვალო და უფროსნო კაცნო! მერმე ბატონი ნინოწმინდელი და ონოფრე წინამძღვარი დოდოველთა და მგალობლის გასარიგებლად გამოვგზავნეთ და თქვენც შემოგყარენით, პაპიას კერძი დოდოელთ გაურჩივთ რაც რამ იყოს და ჩვენი შვილის ბრძანებაში ეწეროსთ და მოაბარეთ და დათუნას ერთი ბერასშვილის ბეთალმანი მგალობელს მიაბარეთ, სწორედ და კარგად გასინჯეთ და გაარიგეთ, რომ კიდემ თავი აღარ შეგაწყინონ“<sup>83</sup>.

მოტანილი საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ ანა დედოფალი აქტიურად ერეოდა სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში, აგზავნიდა მოსამართლეებს, არჩევდა სარჩელებს და სხვ.

XVIII ს-ის დასაწყისში მკაფა მკაფაშვილისადმი მიცემულ წყალობის წიგნში, მის გამცემთა შორის პირველად მოიხსენიება ანა თავის შვილებზე იმამყულიხანზე და თეიმურაზზე წინ<sup>84</sup>. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კახეთის სამეფოს ამ პერიოდის მესვეურთა შორის უპირატესობა ჰქონდა ანა დედოფალს.

მის მტკიცე მატერიალურ შესაძლებლობაზე მეტყველებს ჯამაგირის გაჩენის წიგნი, მიცემული დავით გარეჯის წინამძღვრისადმი: „გაგვიჩენია დავით გარეჯის წინამძღვრისა და მათს კრებულთათვის ხუთი თუმანი, ჩვენ დედოფალს ანას, ჩემის ძის იმამყულიხანის სადღეგრძელოდ“<sup>85</sup>. ანალოგიური შინაარსის სიგელი ანამ უბოძა დოდოს მონასტრის წინამძღვარსაც<sup>86</sup>.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 1703 წლისთავის, რაზედაც მეტყველებს ამ წლის 7 ოქტომბერს მეფე ნაზარალიხანის ნოდარ ჯორჯაძისათვის მიცემული დედოფლის სახლთუხუცესობის წყალობის სიგელი, რომელშიც აღნიშნულია: „მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისა დედოფლის სახლთუხუცესობის რუსუშსა და ათისთავს დაგვიაჩენით და მოკითხული ვიქენით და სულკურთხეულის მამათა და პაპა ჩვენთაგან თქვენს მამაპაათ დედოფლის სახლთუხუცესობა ჰქონდა და ერიგებინა და ახლა დედოფლის შემოსავალი რუსუში, მაგდონი რუსუში არა დარჩომი-

<sup>82</sup> დედოფალი ანა წყაროებში მოიხსენიება 1677—1719 წწ.

<sup>83</sup> დედოფალი ანა წყაროებში მოიხსენიება 1677—1719 წწ.

<sup>84</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 5353.

<sup>85</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 76.

<sup>86</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 338.

ლიყო რა რომ ჩვენი სამსახური იმით შეგეძლოთ და გაგეწივათ. ახლა თქვენის ერთგულად სამსახურის სამუქედოდ, ჩვენც ვისმინეთ აქა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ, რომელიც მეფის სახლთხუცეს ჩვენის კარიდამ და სახასოდამ სარგო და რუსუმი აქვს, ყოვლის ჩვენის შემოსავლისაგან, თეთრისაგან, აბრეშუმისაგან, პურისაგან, ღვინისაგან თუ საკლავისაგან ჩვენის კარიდამ. ამაების ათის თავს გარდა ათის თავი შენ მოგეცემოდეს ხოლმე ჩვენი კარიდამ<sup>87</sup>.

გამოდის, რომ 1703 წლის მიწურულში სადედოფლო სამფლობელო კახეთის სამეფოში იმდენად შემცირდა, რომ მისგან მიღებული შემოსავალი უკვე საკმარისი აღარ იყო სადედოფლო სახლთხუცესის სარგოს მისაცემად, ამიტომ მეფე იძულებული გახდა ჯორჯაძეებისათვის თავისი სახასოს შემოსავლის ნაწილი მიეცა. ამ პერიოდის დოკუმენტური წყაროები საშუალებას არ გვაძლევს გავარკვიოთ სადედოფლოს ასეთი უეცარი შემცირების მიზეზი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს გამოწვეული იყო XVIII ს-ის დასაწყისში ლეკების გააქტიურებული გამანადგურებელი თავდასხმებით კახეთზე, რაც ამ კუთხის სამოსახლო ადგილებისა და მწარმოებელი მოსახლეობის განადგურებას იწვევდა.

შემდეგი ცნობა კახეთის სადედოფლოს შესახებ დაცულია 1728 წელს მაჰმად ფაშას და მისი მეუღლე ფერიჯან ბეგუმის მიერ აშრაბ-ჯორჯაძისადმი მიცემული წყალობის წიგნში, რომლის ძალითაც მას და მის ბიძაშვილებს როსტომს და მამუკას დედოფლის სახლთხუცესობის სახელო განუახლეს: „...გიბოძეთ ხელახლა დედოფლის სახლთხუცესობა, როგორითაც დედოფლის სახლთხუცესობის რუსუმი გარიგებული ყოფილიყოს, ჩვენც იმრიგათ წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლათ“<sup>88</sup>.

კახეთში სადედოფლო საკუთრებაზე ცნობები გვაქვს XVIII ს-ის 30-იან წლებშიც. თეიმურაზ II თანამეცხედრე თამარის დედოფლობის პერიოდში, მან დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა გახარაბებული სამოსახლოების აღდგენისა და დასახლებისათვის, კახეთის სადედოფლო მიწათმფლობელობის ტერიტორიულ გასაფართოებლად. თამარის საქმიანობის შედეგად სოფ. ველისციხე, რომელიც შაჰ-აბასმა განადგურა, აშენდა, მას დაუბრუნდა ძველი სიციოცხლე თამარის მფლობელობაში მოქცეული ყოფილა სოფ. გავაზნიც. ერეკლე მეფის მეორე ცოლმა დარეჯან დედოფალმა განაგრძო კახეთში თამარის საქმიანობა და 1776 წელს სიციოცხლე დაუბრუნა სოფელ კუჭატანს, ხოლო 1785 წელს სოფელ სანავარდოს, რომლებიც ველისციხის მსგავსად შაჰ-აბასის

<sup>87</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 38, ს. 117.

<sup>88</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 237.

გამანადგურებელი ლაშქრობების დროიდან გაუკაცრიელებული იყო მანამდე აღნიშნული 2 სოფელი, როგორც ჩანს, სადედოფლო იყო.

XVIII ს-ის ბოლოს კახეთის სადედოფლოში სულ შედიოდა 5 სოფელი: ველისციხე<sup>89</sup>, ვავაზი<sup>90</sup>, სანავარდო<sup>91</sup>, კუჭატანი<sup>92</sup> და ზემო ხოდაშენი<sup>93</sup>.

XVIII ს-ის მიწურულისათვის კახეთის აღნიშნულ ხუთ სოფელში 413 (სხვა ცნობებით — 421, 434) სადედოფლო ყმა-გლეხი სახლობდა. ისინი იხდიდნენ 1412 კოდ პურს, 68 საპალნე ღვინოს, 12 ლიტრა აბრეშუმს, ხოლო ფულადი გადასახადის სახით 141 მან. და 20 კაპიკს.

დედოფლის ზვრები ველისციხიდან და ზემო ხოდაშენიდან იძლეოდა 48 საპალნე (სხვა ცნობით — 60) ღვინოს, ველისციხის წისქვილი — 80 კოდ პურს. სადედოფლო ზვრების არსებობა აღნიშნულ პერიოდში დასტურდება სოფ. კურდღელაურშიც<sup>94</sup>. XVIII ს-ის II ნახევარში, კახეთის სადედოფლოს შემადგენლობაში გარკვეული დროის განმავლობაში მოქცეული ჩანს სოფ. ზეგამი. 1791 წელს დარეჯან დედოფლის მიერ ჯანდიერიშვილებისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „... პირველად ზეგამი ჩვენგან წყალობად ბოძებული, მამა თქვენს ჯანდიერს ეკირა, ჯანდიერმა, თავისი ნებით ზეგამი მის უმაღლესობას ბატონს მიართო და მაგიერის მამულს წყალობას ველისციხეში დაგვეაჯა და ჩვენც წყალობა უყავით და ველისციხეში ცოტა რამ მამული უბოძეთ“<sup>95</sup>.

კახეთში სადედოფლო შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ამ კუთხეში სადედოფლო სამღებროებიდან მიღებული მოგება<sup>96</sup>; მაგრამ ამ საკითხზე დაწვრილებით შევჩერდებით, როდესაც საუბარი გვექნება ქართლის სამეფოს ფარგლებში მდებარე სამღებროებზე და მათი ექსპლოატაციის შედეგად მიღებულ შემოსავალზე.

<sup>89</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქცია, ტ. III, თბ., 1910, გვ. 296; **АКТЫ**, I, с. 207, 214, 222, 461; **АКТЫ**, II, с. 79, 80; ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1452, გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი თარგმანებითურთ და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 43.

<sup>90</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 295; **АКТЫ**, I, с. 207, 214, 222; **АКТЫ**, II, с. 79—80 დოკ. საქ. სოც. ისტ. ტ. II, თბ., 1946, გვ. 269, ს. № 419; სცსა, ფ. 1448 ს. № 68, № 85, № 613, № 1157, № 1356, № 1396, № 1607, № 1900.

<sup>91</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 296; **АКТЫ**, I, с. 194, 207. სცსა. ფ. 1448, № 1393.

<sup>92</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 314, ს. № 295, **АКТЫ**, I, с. 194, 207, 298, 461; **АКТ**, II, 79; დოკ. საქ. სოცისტ. ტ. II, გვ. 269, № 419, გვ. 170, № 279.

<sup>93</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 296; **АКТЫ**, I, 2. 194, 207, 298, 461, 298, 461.

<sup>94</sup> სცსა. ფ., 1448, № 1072.

<sup>95</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1592.

<sup>96</sup> სცსა, ფ. 254, აღწ. I, ს. 34. **АКТЫ**, II, с. 80—85.

XVII—XVIII სს-ის დოკუმენტებში დაცულია ცნობები კახეთის სადედოფლოს სამართავი სამოხელეო აპარატის შესახებ. როგორც დავინახეთ, დედოფლის მამულებისა და მეურნეობის მთავარ განმგებელს სახლთუხუცესი წარმოადგენდა, რომლის სახელოც ჯორჯაძეებს (ხოლო XVIII ს-ის შუა ხანებიდან მათ განაყოფებს — ნოდარიშვილებს) ეჭირათ. ამ სახელოდან მიღებულ შემოსავლის სიდიდეზე წარმოდგენას გვაძლევს 1803 წელს სახლთუხუცეს გიორგი ნოდარიშვილის მიერ პავლე ციციანოვისადმი მიართმეული მოხსენებითი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „სადედოფლოს სამღებროდან წელიწადში რვა თუმანი გვებოძებოდა, ამას გარდა კოდის პურიდამ შვიდი ურემი მებოძებოდა და კულუხიდამაც ერთი ურემი. აბრეშუმისაგან ერთი ლიტრა საკომლოს ფული. საკლავის ფასად ორ-ორი აბაზი, ის ბატონისა იყო, აქედამ ათისთავი მერგებოდა — ერთი თუმანი“<sup>97</sup>.

წყაროებში დასტურდება კახეთში დედოფლის ეშიკალასბაშის<sup>98</sup>, მდივნის<sup>99</sup>, მოურავების და ნაცვლების არსებობა. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კახეთში სადედოფლოს განმგებლობის აპარატი მეფის სახასო მამულების გამგებელი სამოხელეო აპარატის ანალოგიური იყო.

97 ს.სა. ფ. 226, ს. № 9093.

98 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 2028.

99 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1198.

თ ა ვ ი III

სამეფო მიწათმფლობელობა XV—XVIII სს-ის ქართლის  
სამეფოში

1. მეფის სახასო

მეფის სახასოს ტერიტორიული ფარგლების საკითხს, ჩვენ შედარებით მოკლედ შევეხებით, ვინაიდან ქართლის საბატონიშვილოს განხილვისას ამ საკითხს უფრო სრულად გავაშუქებთ.

წყაროების მონაცემებით დგინდება, რომ მთელი XV—XVIII სს-ის სიგრძეზე ქართლში მეფის სახასოს ფარგლებში შედიოდა ქალაქები: თბილისი, გორი, ქცხინვალი, ალი.

ქ. თბილისში მეფის მფლობელობაში ჩანს ყმა-გლეხები, აზნაურები, ვაჭრები, ხელოსნები. სხვადასხვა სახის სამეურნეო დაწესებულებები: აბანოები, ზეთსახდელები, ღუქნები, ქარვასლები, წისქვილები, რომლებიც იჯარით გაიცემოდა. გარდა თვით სამეფო ყმებისა თბილისის დანარჩენ მოსახლეობასაც, იმისდა მიუხედავად, თუ ვისი ყმა იყო, უნდა ეხადა მეფის სასარგებლოდ გადასახადი მალი<sup>1</sup>. ამის გარდა, მეფის ხაზინაში შედიოდა. ქ. თბილისში შემოტანილ და გაყიდულ საქონელიდან მიღებული ბაჟი, რომლის რაოდენობა XVII—XVIII სს-ში 15—20 ათას მანეთს შორის მერყეობდა<sup>2</sup>.

XVII ს-დან შეიმჩნევა თბილისში სამეფო ქონების ზრდის აშკარა ტენდენცია. თუ ამ საუკუნის 60—70-იან წლებში სამეფო ყმების რაოდენობა აქ არ აღემატებოდა 43 კომლს, 1783 წლის ქ. თბილისის აღწერის დავთრის მიხედვით მეფეს აქ უკვე ეკუთვნოდა 1453 კომლი მოსახლე (უმთავრესად ვაჭარ-ხელოსნები). სამეფო ყმების რაოდენობის ასეთი ზრდა ერთი საუკუნის მანძილზე მეფეების მიერ აქ ჩატარებული აღდგენით-საამშენებლო მუშაობის, თბილისის მოსახლეობის ზრდის, ყმა-

<sup>1</sup> დასტურლამალი, გვ. 536.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 233.

მამულის ყიდვის გზით და ნაწილობრივ ბეითალმანი მამულებს მამულის საკუთრებაში მოქცევის შედეგი იყო<sup>3</sup>.

ქართლის ზემოთ აღნიშნულ დანარჩენ ქალაქებსა და დაბებშიც XV—XVIII სს-ის მთელ სივრცეზე დასტურდება მეფის აზნაურების, ყმა-გლეხების, ზვარ-ხოდაბუნების, აბანო-წისკვილების, სახლების და სხვა სამეურნეო დანიშნულების დაწესებულებების არსებობა<sup>4</sup>.

მხოლოდ სურამი ყიზილბაშობის პერიოდში დროებით (1736—1741 წწ.) ჩამოსცილებია სამეფო დომენის ფარგლებს და გივი ამილახორის მფლობელობაში მოქცეულა. მას გაუმავრებია სურამის ციხე, რომელიც შემდგომში მისი უკანასკნელი თავშესაფარი გახდა თეიმურაზისა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის დროს.

1745 წელს 5-თვიანი ალყის შედეგად გივი ამილახორი იძულებული გამხდარა დანებებოდა თეიმურაზს, რომელსაც სურამი და მისი სანახები კვლავ სამეფოდ გაუხდია<sup>5</sup>.

ყველაზე ვრცელი და კომპაქტური სამეფო ყმა-მამული XV—XVIII სს-ში იყო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, რომელიც იყოფოდა ისტორიულ თემებად: სომხითი, ყაიყული, თრიალეთი და ტაშირი.

სომხითში სამეფო ყმა-მამულს განაგებდა სომხითის მოურავი, რომელიც XVI—XVII სს. საბუთებში ხშირად სპარსული ტერმინით ტარულად მოიხსენიება<sup>6</sup>. XVII ს-ის ბოლოს ეს თანამდებობა ეკავა ასლან ყაფლანიშვილს<sup>7</sup>. მას, თავის მხრივ, ემორჩილებოდა უფრო მცირე, ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის გამგებელი მოურავები და მათდამი დაქვემდებარებული მოხელეები. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ამ პროვინციის საზღვრებში მოქცეული იყო 112 დასახლებული და გახარაბებული პუნქტი. მეფის ყმა-გლეხების<sup>8</sup>, აზნაუ-

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი და მ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), №№ 61, 32, 175, 536; სქსა, ფ. 1418, ს. № 136; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1907, გვ. 140, 157—160; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14534 ა; ვიულდენშტედტის მოგზაურობა; ტ. I, გვ. 233; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 392, Акты, I, стр. 197, 299, Акты, II, с. 295.

<sup>4</sup> III. М е с х и я, Указ. сочинение, с. 110—III; Акты, I, с. 197. დასტურლამლი, გვ. 550; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, 1437, Qd, 7782; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 420.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 444—445; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1224.

<sup>6</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუფურიძემ, გვ. 80, 130, 135, 158.

<sup>7</sup> გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 151.

<sup>8</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729.

რების და ზეარ-ხოდაბუნების არსებობა XVIII ს-ში დასტურდება შემდეგ სოფლებში: ქვემო და შუა ბოლნისში, კერატში, შათოკას სოფელში, ყუდროში, ფეიხონის ანდიკაში, პატარა და დიდ შულავერში<sup>9</sup>. წინა პერიოდის საბუთები მოწმობს, რომ ადრე სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლები სომხითში მნიშვნელოვნად უფრო ვრცელი იყო. მათ შემცირებას ხელს უწყობდა არა მარტო საგარეო მტრების შემოსევები, არამედ მეფეთა მიერ ამ მხარეში ყმა-მამულის კერძო პირებისათვის და ეკლესიისათვის გადაცემაც. მარტო XVII ს-სა და XVIII ს-ის I მეოთხედში მეფეებს დომენიდან გაუციათ დმანისის ხეობის სოფლები: ტალავერი, მამხუტი, ხანძარკუტი, ჯიგრაშენი, ბოლნისის ხეობაში კი ჯირორი, საბერეთი, გახარაბებული სამოსახლოები<sup>10</sup>.

ოსმალთა-ყიზილბაშობის პერიოდში სომხითში მეფისა და მისი ოჯახის წევრების სამფლობელოები გადასულა დამპყრობელთა მიერ ქართლის მმართველებად დანიშნული მოხელეების ხელში, რომელთაც მათი იჯარით გაცემა დაუწყიათ<sup>11</sup>. ქართლში თეიმურაზ II გამეფების შემდეგ სომხითი გადასცემია იასე მეფის ძეს — აბდულა-ბეგს, რომელსაც თავის რეზიდენციად გაუხდია სამშვილდე. მისი აჯანყების ჩახშობისა და საქართველოდან გაქცევის შემდეგ სომხითი: კვლავ სახასო მხარე გამხდარა. XVIII ს-ის 40-იან წლებში ბოლნისისა და შულავერის ხეობაში წინათ არსებული 94 სოფლისგან გადარჩა მხოლოდ — 4: დიდი და პატარა შულავერი, შუა და ქვემო ბოლნისი. თეიმურაზ II აქ აუშენებია ციხეები შულავერში, მარნეულსა და რატევიანში, რათა მოსახლეობა დაეცვა ლეკების გამანადგურებელი თარეშისაგან<sup>12</sup>, მაგრამ ამ ღონისძიებას შედეგი არ მოუტანია, ვინაიდან 50-იან წლებში შუა და ქვემო ბოლნისსაც გაუზიარებიათ დანარჩენი დასახლებული პუნქტების ბედი და მოსახლეობისაგან დაცლილან.

1798 წელს ერეკლე II-ს შუა და ქვემო ბოლნისის სანახები, სამშვილდესთან ერთად, პირად საკუთრებაში გადაუცია ყარაბაღიდან მოსული მეღიჭებისათვის, რომლებსაც აქ 100 კომლი ყმა დაუსახლებიათ.

<sup>9</sup> 1721 წლის აღწერა, გვ. 223—236; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 194, ტ. IV, გვ. 221; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 6744, Sd, №№ 1930, 1932; ქრონიკები, III, გვ. 90—91.

<sup>10</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 741, Qd 588, Qd 6997, Qd 9037; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, №№ 43, 126; სცსა, ფ. 1448, 1661, 1222, ფ. 1450, დავთ. 15, ს. № 113.

<sup>11</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, № 126.

<sup>12</sup> ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი დ ა ვ ი თ ი. ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 157.



XVIII ს-ის მიწურულში სომხითში სამეფო ჩანს მხოლოდ თალის და დარბაზის ნასოფლარები<sup>13</sup>.

მიუხედავად ამისა, სომხითიდან მიღებული შემოსავალი მეფის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა, რადგანაც ხოჯორნის ხეობაშია მელიქის მამული ახტალა და სახასო სოფელ დამბლუტთან აღმოჩნდა ვერცხლისა და სპილენძის საბადოები, ერეკლე II-ს ამ საბადოების ექსპლუატაცია წლიურად 48281 მანეთს წლიურ შემოსავალს აძლევდა<sup>14</sup>.

ქვემო ქართლში მდებარეობდა აგრეთვე მეფის სახასო მხარე — ყაიყულის (ანუ აბოცის) სამოურავო. მისი სპეციფიკა ის იყო, რომ ქართლის სხვა მხარეებისაგან განსხვავებით იგი მთლიანად სამეფო ყოფილა. მის ტერიტორიაზე არ დასტურდება არც სათავადო და არც საეკლესიო საკუთრება. აქ აღნიშნული სამფლობელოები ჩნდება მხოლოდ XVII ს-ის მიწურულში<sup>15</sup>. წყაროების მონაცემებით აქ იყო 36 სხვა დასახლებული პუნქტი (სხვა მონაცემებით 39—44)<sup>16</sup>.

„დასტურლამალი“ მოწმობს, რომ სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ყაიყულში თავისი ქონების გაზრდა-გამრავლებას. ამ მიზნით, ახალმოსულები დროებით თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან და ზოგიერთი სხვა პრივილეგიითაც სარგებლობდნენ. მაგალითად, აქ მოსული და დასახლებული გლეხები ხელშეუვალი ყოფილან არა მარტო მათი წინანდელი მებატონისაგან, არამედ მართლმსაჯულების წინაშეც<sup>17</sup>.

ყიზილბაშობა-ოსმალობის შემდეგ ეს მხარე განადგურებულ და გახარაბებულ მხარეს წარმოადგენდა. XIX ს-ის დასაწყისისთვის ყაიყულში არცერთი დასახლებული პუნქტის არსებობა აღარ დასტურდება<sup>18</sup>.

თრიალეთში XVII—XVIII ს. I მესამედში სამეფო ყმა-მამულები იყო შემდეგ დასახლებულ პუნქტში: სოფ. ავლადში, ზემო ანდრაპში, ქვემო ანდრაპში, ბოქანში, ვარდისუბანში, ლიპებში. ერანში. თეზში<sup>19</sup>.

<sup>13</sup> ვ ა ვ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა, XVIII ს-ის ისტორიკოსები, ზ. კვიციანიძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 175—176.

<sup>14</sup> Акты, VI, с. 812.

<sup>15</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 548.

<sup>16</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, 1988, S 3729; დასტურლამალი, გვ. 608—610. თველოს სიძველენი, II, გვ. 7.

<sup>17</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, გვ. 68.

<sup>18</sup> გ. ბ ო ჯ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, ცხრილი № 5, 1804 წლის კამერალური აღწერა.

<sup>19</sup> 1721 წლის აღწერა, გვ. 7—15, 50; დასტურლამალი, გვ. 620—623; საქართველოს სიძველენი, II, გვ. 7, № 15.

მთლიანად ზემოთ დასახელებულ თრიალეთის სოფლებში 1721 წ. აღწერის მიხედვით, მეფეს ეკუთვნოდა 101 გამოძვნილი, 9 მოლაშქრე და 18 კომლი ბოგანო ყმა-გლეხი, სამეფო საკუთრებას წარმოადგენდნენ თრიალეთის სხვა სოფლებიც, კერძოდ: კუკია, სარკინეო და თეთრი წყარო<sup>20</sup>.

სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლებში თრიალეთში XVIII ს-ის I მეოთხედში მოქცეული ყოფილა თურანის, ერჯევანისა და ზეულისტანის ნასოფლარი ადგილებიც<sup>21</sup>.

XVII ს-ში სამეფო დომენის ფარგლებს ჩამოსცილდა სოფ. მეტრევეანა, აზივის ნაოხარი. პირველი მათგანი 1670 წ. გიორგი მეფემ შესწირა მანგლისის ეკლესიას<sup>22</sup>, ხოლო მეორე 1654 წ. როსტომმა უწყალობა პაპუნა გოსტაშაბიშვილს<sup>23</sup>. XVIII ს-ის I მეოთხედში სამეფო დომენს ჩამოსცილდა სოფ. მაჩვთა, არწევანი, გუელფარეხა, კარუმულმართი, უზნარიანი და კარწახი<sup>24</sup>. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ 1721 წ. ჩატარებული მოწინავე სადროშოს აღწერის მონაცემებით თრიალეთში მებატონეებისა და ეკლესია-მონასტრების ყმა-მამულების საერთო რაოდენობა თითქმის ორჯერ სჭარბობდა სახალხო საკუთრებას, მაშინ როდესაც ადრე ეს მხარე მთლიანად სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლებში იყო მოქცეული. თრიალეთშიც XVIII ს-ში გაიზიარა ქვემო ქართლის პროვინციების ხვედრი და მოსახლეობისაგან დაიკალა.

XVIII ს-ის მიწურულში თრიალეთში მეფეს ეკუთვნოდა ლიპეზისა და ჯაბაზის ნასოფლარები, საძოვრები და მინდვრები დიდ გორაზე, საცხენისისა და გუჯარეთის მხარეს მდებარე მთის კალთებზე, სანადირო ადგილები შაბიანოს მთაზე, არყანალის ხეობაში და სხვ.<sup>25</sup>

ტაშირი XV—XVIII სს-ში მეფის ერთ-ერთ უმსხვილეს სამფლობელოს წარმოადგენდა. სამეფო დომენში შედიოდა მისი დასავლეთი ნაწილი აიდარბეგის ხეობა, რომელიც მოიცავდა შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: სოფ. აიდარბეგი, ალტაში, სკერიჭა, ველათი, პალუა (ტაშირში არსებობდა ამ სახელწოდების ორი სახის სოფელი), ურუტი, ფოთოლას სოფელი, ზეთი-ზიდ-ზიარეთი (ყიზილ-ყიარეთი), ყათირდუ. სახასო საკუთრება დასტურდება ტაშირის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც: დაუვარდში, ბოატხორში, ზემო ორილუსა და ბარქაიდარში.

<sup>20</sup> სცსა, ფ. 1448, ს. № 1114; ფ. 1450, დ. 35, ს. № 31.

<sup>21</sup> ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 4472.

<sup>22</sup> ისტორიული საბუთები, IV, გვ. 54.

<sup>23</sup> ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 4166.

<sup>24</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 18, ს. № 2; ფ. 1448, ს. № 1549; ისტორიული საბუთები, V, გვ. 9; ს. № 9; ი. ა. ს. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ქ. ქვემო ქართლი III—IV, თბ., 1935, გვ. 135.

<sup>25</sup> სცსა, ფ. 254, აღწ. 1, გვ. 50, ს. № 48; ზელნაწერთა ინსტიტუტი, 3729.



გი ბატონიშვილისათვის, რომელსაც, თავის მხრივ, 1793 წელსინიშნის თანამეცხედრე — მარიამ ციციშვილისთვის უბოძებია<sup>31</sup>. რაც შეეხება თვით ამ მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს — ლორეს, იგი გიორგი XI-მ ჯერ თავისი მცირეწლოვანი შვილების სამფლობელოდ გამოუცხადებია, ხოლო შემდეგ კი მელიქ ჯიმშიდისთვის უწყალობებია, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი აქ დაასახლებდა თავის ყმა-გლეხებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ „ხელეწიფებოდა“ მისი გაყიდვა ან გასაჩუქრება<sup>32</sup>.

გარდა განხილული მხარეებისა, სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლებში ქვემო ქართლში, საკვლევ პერიოდში მოქცეული ყოფილა ქციის ხრამის, ალგეთის პირის, დმანისის ხეობის მრავალი მცირე სამოურავო.

ძველ ქართულ წყაროებში ქციის ხრამს სამშვილდე ერქვა და „ყოველ სამშვილდეში“ იგულისხმებოდა მთელი ქციის ხეობა, მოდიმნახეს ციხიდან მოყოლებული მტკვრის შესართავამდე<sup>33</sup>. XV—XVII სს-ში ამ მხარის სოფლები სამშვილდე და კრწანისი ძირითადად ფეოდალთა სამფლობელოს წარმოადგენდა, მაგრამ მდგომარეობა შეცვლილა XVIII ს-ის 20-იანი წლების მეორე ნახევარში და ისინი სახასონი გამხდარან<sup>34</sup>.

30-იანი წლების მიწურულისთვის ეს ორივე სოფელი თეიმურაზ II სამფლობელოდ მიუცია აბდულა ბეგისთვის, რომლის მიერ მოწყობილი აჯანყების შემდეგ ისინი კვლავ სახასოდ დაუჭერიათ. XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში სამშვილდე და კრწანისი მოსახლეობისაგან დაცილილა და ასეთი სახით კვლავ მოქცეულნი ყოფილან სახასოს ფარგლებში, ისევე როგორც ამ კუთხის სხვა გაუდაბურებული ადგილები: დიდი დაღეთი, ახალშენი, სომგდეთი და ვარხნჭონო<sup>35</sup>. XVIII ს-ში მეფის საკუთრებას ამ ხეობაში წარმოადგენდა სოფლის ეკლესია და გატეხილი ხიდი<sup>36</sup>.

ალგეთის ხეობაში XVI—XVIII სს-ში სახასო ყმა-მამული იხსენიება სოფ. ენაგეთში, კოყორში<sup>37</sup>, სადაც მდებარეობდა მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია. მისი მშენებლობა დაუწყია როსტომს და დაუმთავრებია გიორგი XI-ს და ვახტანგ VI-ს<sup>38</sup>. ამ ხეობაში, სახასო

31 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 12303.

32 Акты, VI, с. 812.

33 დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

34 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 470.

35 1721 წლის აღწერა, გვ. 72.

36 სცხა, ფ. 254, აღწ. 1, ს. 48, გვ. 50.

37 1721 წლის აღწერა, გვ. 290; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 170.

38 ისტორიული საბუთები, IV, გვ. 16.

ყმა-მამულის არსებობა დასტურდება: მარნეულში, კუმისში, თბილ-  
ნარში, ყოშა-გერმაში, მაწევანში, ციხაიში და წარახბურში<sup>39</sup>.  
ქვემო ქართლში XVI ს-ში და XVIII ს-ის I მესამედში შეფეს  
ეკუთვნოდა აგრეთვე სოფლები: ხუნანი (ახალსოფელი), ყიზილყალა  
და გულთაფი, რომელთა მოურავად 1707 წ. ვახტანგ ჯანიშიანს ინდო  
გაბაშვილი დაუნიშნავს<sup>40</sup>. 20—30-იან წლებში ეს სამოსახლოები ვანა-  
დგურებულა და ეს „ხარაბა ადგილები“ თეიმურაზ II-ს ვახუშტი აბა-  
შიძისათვის უწყალობებია<sup>41</sup>.

სახასო სოფლებად XVI—XVIII საუკუნეებში წარმოგვიდგებიან  
თბილისის ახლო მდებარე დასახლებული პუნქტები: სოფ ავლაბარი,  
დილომი, კუკია, დიდუბე, სოღანლული, გუარები, ვაშლოვანი, გომი-  
ჯვარი, შინდისი, ტანაკეთი, სალორისი და ტაბახმელა<sup>42</sup>. გუარები, ვა-  
შლოვანი და გომიჯვარი XVIII ს-ის 40—60-იან წლებში ჩამოსცილე-  
ბიან სახასოს: ვაშლოვანი და გუარები თეიმურაზ II-ს მზითვად გაუ-  
ტანებია თავის ქალისათვის იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების  
შემდეგ მათ კვლავ სახასოდ დაიქვრდა<sup>43</sup>. გომიჯვარი კი ერეკლე II  
სოლომონ თარხნიშვილისათვის უბოძებია<sup>44</sup>.

XVII ს-ის II ნახევარში სახასოში შესულა თბილისის სამხრეთით  
მდებარე სოფ. სარვანი, რომელსაც ესაზღვრებოდა მეფეთა სანადირო  
ჭალა. თბილისის რაიონში მდებარეობდა აგრეთვე სახასო საძოვრები,  
სათიბი, სანადირო ადგილები: „გაიპარა მინდორი“ — ლოჭინამდე,  
სამგორის მინდორი, ჩადივარა, მრავალწყარო და სხვ.<sup>45</sup>

1801 წ. სახასოს ფარგლებში შესულა სოფ. წავკისიცი. ის დავით  
ბატონიშვილს თავისი ხანმოკლე განმგებლობის დროს ჩამოურთმევია  
გივი ციციშვილისათვის და სახასოდ დაუდგია<sup>46</sup>.

გარდა ქართველი და სომეხი მოსახლეობით დასახლებული მხა-  
რეებისა, ქვემო ქართლში სახასო იყო აქ მცხოვრები თათრული ელე-  
ზიცი. მათ სამოსახლოებს საფუძველი ჩაეყარა XVII ს-ის მეორე მეო-  
თხედში, როდესაც ირანის შაჰ-სეფიმ ისინი დაასახლა მდ. ქციის ზემო

<sup>39</sup> დასტურლამალი, გვ. 633; სცსა, ფ. 1450, დ. 10, ს. № 107; დ. 18, ს. 105;  
ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729, Hd 8910.

<sup>40</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 18, ს. № 104.

<sup>41</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1515; სცსა, ფ. 1450, დ. 34, ს. № 207.

<sup>42</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I,  
გვ. 160; ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729; სცსა, ფ. 1448, ს. № 1153, АКТЫ, II,  
с. 1057.

<sup>43</sup> სცსა, ფ. 1448, ს. № 426.

<sup>44</sup> სცსა, ფ. 1449, ს. № 1282.

<sup>45</sup> საქართველოს სიძველენი, I, გვ. 13; ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729.

<sup>46</sup> АКТЫ, I, с. 361—368.

წელზე და შექმნა ბაიდარის სასულთნო. თანდათანობით მათ შესძლეს დაეკავებინათ ქციის და ალგეთის ხეობების მნიშვნელოვანი ტერიტორიები.

XVII ს-ის მიწურულსა და XVIII ს-ის I მეოთხედში სულ აქ ცხოვრობდა 10 ელი. მათგან 9 მეფის, ხოლო 1 დედოფლის საკუთრებას წარმოადგენდა<sup>47</sup>. ამ ელებს განაგებდა მეფის მოხელე, რომელიც ჩაბან-ბეგის ტიტულს ატარებდა<sup>48</sup>. იასე ლორთქიფანიძის გამოანგარიშებით, ელების მოსახლეობა აღემატებოდა 3325 კომლს. მათგან მიღებული შემოსავლის ნაწილს მეფე ჯამაგირის სახით აძლევდა თავის სახლის წევრებს. მაგალითად, შაჰყულიხანს 1701 წ. თათრული ელებიდან მიღებული შემოსავლიდან 50 თუმანი გამოუყვია თავისი დის — ხორამზისათვის<sup>49</sup>. ოსმალ-ყიზილბაშთა ბატონობის პერიოდში მათში ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი ძალით თუ ნებით სხვა მხარეებში გადაიხვეწა<sup>50</sup>. თეიმურაზ და ერეკლეს მათ ტერიტორიაზე კახეთიდან დემირჩ-იასარლუს ელი ვადმოუსახლებიათ. 70-იან წლებში ამ მხარის დასახლებული პუნქტები იყო: ქესალო, ყუფანახჩი, შექალო, ილმარლუ, ნაზარლუ და სარვანი<sup>51</sup>. XVIII ს-ის მეორე ნახევარში სახასოში შედიოდა თათრული სოფ. შინული, რომელიც ჯერ მელიქ ჯიმშიდას, ხოლო შემდეგ კი ბეგაანთ ენუქას შვილს — მერაბ აღას გადასცემია. ამ უკანასკნელისათვის 1800 წ. გიორგი XII-ის მიერ მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „შინულის სოფელი იქ მსახლობელი კაცებით შენთვის სამკვდრო ყმათ გვიბოძებია... მაგრამ რადგან ეს შინულის სოფელი მელიქ ჯიმშიდას ჩვენგან ბოძებული ქონდა ოთხი წლით ამ ყამამდის შენც უნდა მოითმინო და მერმე როდესაც ეს ვადა შესრულდება, მელიქ ჯიმშიტას აქ საქმე აღარ ექნება და შენი იქნება. შინიხის ქვეხავ და ერთობლივ შინისელები, ასე იცოდეთ“<sup>52</sup>. აქ საინტერესოა მეფისგან სოფლის გარკვეული ვადით გაცემის უნიკალური ფაქტი. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ XVIII ს-ის მიწურულისთვის სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლების კატასტროფულ შემცირებაში. თუ ქვემო ქართლში XVIII ს-ის I მეოთხედში იყო 868—869 დასახლებული პუნქტი, ამ საუკუნის მიწურულისთვის მათი რაოდენობა 50 არ აღემატებოდა.

47 იასე, ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. III—IV. 137—150; დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლი, გვ. 110—111.

48 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 9693 (3).

49 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 11535 (3).

50 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42; დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

51 გიულდენშტედტის მოგზაურობა, ტ. I, გვ. 245—247.

52 სცსა, ფ. 1448, № 663.

გარდა ლორეს სახანოსი და ბაიდარს სასულთნოსი, ქვემო ქართლში ირანის ექსპანსიის შედეგად წარმოიშვა აგრეთვე ფანბაკის სახანო, რომლის ფარგლებში საკუთრივ ფანბაკის მიწა-წყლის გარდა, მოქცეულა ბორჩალოს მხარეც. ფანბაკი სახასოს ფარგლებში მოქცეულა 1755, ხოლო ყაზახი 1765 წლიდან<sup>53</sup>.

ქვემო ქართლის მოსაზღვრე შურაგელის მხარე ერეკლე II-მ დროებით შემოიერთა ერევნის ხანის წინააღმდეგ 1780 წ. ჩატარებული ლაშქრობის შედეგად. მაგრამ XVIII ს-ის მიწურულში იგი კვლავ ჩამოსცილდა ქართლ-კახეთის სამეფოს<sup>54</sup>.

XVI—XVIII საუკუნეების სიგრძეზე შიდა ქართლში ყველაზე მსხვილი სახასო ერთეული იყო ატენის სამოურავო, რომელიც დასტურლამალის მიხედვით მოიცავდა მთელი ატენის ხეობას. იოანე ბატონიშვილის აღწერის თანახმად, ამ ხეობაში ირიცხებოდა 20-მდე სოფელი<sup>55</sup>, რომელთა დიდი ნაწილი XVIII ს-ის დასაწყისისათვის გახარაბებული იყო. თვითონ ამ სამოურავოს ცენტრში. — სოფ. ატენში მთელი აღნიშნული საუკუნის მანძილზე დასტურდება მნიშვნელოვანი სახანო ქონების არსებობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აქ მდებარე დიდი სამეფო ზვარი, რომლის დამუშავება ნაწილობრივ დაქირავებული მუშა-ხელით, ნაწილობრივ კი ყმა-გლეხების საშუალებით ხდებოდა<sup>56</sup>. XVIII ს-ის 80-იან წლებისათვის ამ სამოურავოს ცენტრმა სოფ. ხიდისთავში გადაინაცვლა. მაგრამ ეს სოფელი საუკუნის მიწურულში დავით ბატონიშვილმა უწყალობა იოსებ ალექსიძეს. ასეთივე ბედი გაუზიარებია სოფ. ატენსაც<sup>57</sup>. ამ პუნქტებზე უფრო ადრე კერძო მებატონეთა ხელში გადასულა ამ ხეობის სხვა დასახლებული პუნქტები: XVII ს-ში — ღვივის ხევი<sup>58</sup> და ხანდისი<sup>59</sup>, ხოლო XVIII ს-ის I მეოთხედში სოფ. ტანისპირი<sup>60</sup>.

XVIII ს-ის I მეოთხედში სამეფო ქონება ჩანს ატენის ხეობის სოფ. წედისში<sup>61</sup> და გორისაში<sup>62</sup>. სახასო ყმა-მამული წყაროებით დას-

<sup>53</sup> ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი თ ე ი მ უ რ ა ზ ი. დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 50.

<sup>54</sup> მ დ ი ვ ა ნ - ბ ე გ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, XVIII ს-ის ისტორიკოსები, ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 74, თბ., 1913; ზ. ც ი ნ ც ა ძ ე, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 75.

<sup>55</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729.

<sup>56</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1740, 3312.

<sup>57</sup> Акты, I, с. 361—368.

<sup>58</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1410.

<sup>59</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 2215.

<sup>60</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 127.

<sup>61</sup> სკსა, ფ. 1448, ს. № 518.

<sup>62</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 13738.

ტურდება მდუღრის ხეობის ორ სოფელში: ხოვლესა<sup>63</sup> და დოესში<sup>64</sup>, XVII ს-ში თემის ხეობის სოფ. ხანდაკში, ცხირეთში, სასირეთში<sup>65</sup>, XVIII ს-ში ამ ხეობის სოფელი ჭვარებიც დროებით მოქცეულა სახასო სოს ფარგლებში<sup>66</sup>.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე სამეფო დომენის ყმა-მამულის არსებობა დასტურდება XVI—XVIII სს-ის ზოგიერთ სხვა სოფლებშიც: ოკამში, პერაში, კავთისხევში, დამპალოში, ტბეთში, ნარში, ყარაღაჯში<sup>67</sup>. ზემო ქართლში სამეფო დომენის განუყოფელ ნაწილად გვევლინება ხევისხესხევი, ფციის ხეობის სოფელი თიღვა<sup>68</sup> და ღორისთავი<sup>69</sup>. XVIII ს-ის 70—80-იან წლებში სახასო ყოფილა სოფელი ატოცი<sup>70</sup>. ამ საუკუნის I მეოთხედში კი სოფ. რება<sup>71</sup>, თორტიზი, შერთელის, გარეჯის, ზელთუბნის, ივრეთის ნაწილი<sup>72</sup>.

მეფეს ყმა-მამული ეკუთვნოდა გორის ახლოს პატარა ლიახვზე მდებარე სოფლებშიაც. კერძოდ, ძევერაში<sup>73</sup>, სათემოში, ქიწნისსა და ტყვიავში<sup>74</sup>.

სახასო ყმა-მამული XV—XVIII სს-ში იყო სურამის ხეობაშიც: ოსიაურში, ბეკამში, ჩუმათელეთში, ხაშურში, კლდისწყაროში, წაბლიანში და სადედოფლო სოფელ თამარაშენში<sup>75</sup>.

63 საქართველოს სიძველენი, II, № 225, გვ. 182; № 320, გვ. 269; სცსა, ფ. 1448, ს. 5415 АКТЫ, I, с. 461—465.

64 სცსა, ფ. 1449, ს. № 1272.

65 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 79, № 104; ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 9667; სცსა, ფ. 1448, ს. № 2398.

66 სცსა, ფ. 1449, ს. № 636; ფ. 1450, დ. 48, ს. № 57; ფ. 1450, დავ. 26, ს. № 214; ფ. 254, აღწ. 1, ს. № 48, გვ. 50.

67 სცსა, ფ. 1450, დ. 36, ს. № 165; ფ. 1450, დ. 37, ს. № 231; სცსა, ფ. 1448, ს. № 252; № 1549; ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 188, 10024, 13160; S 3729, 1804 წ. გორის კამერალური აღწერა, გვ. 71; АКТЫ, I, с. 361—368.

68 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 461; ზელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 7891.

69 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 201, № 168; სცსა, ფ. 1450, დავ. 31, ს. № 31.

70 АКТЫ., стр., 461—465; სცსა, ფ. 1448, ს. № 1728.

71 ზელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 9037—ა; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XIV—B, თბ., 1947, გვ. 340—349.

72 სცსა, ფ. 1448, ს. № 505, № 253; ზელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 9037; ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, II, № 164, გვ. 105.

73 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XIV—B, თბ., 1947, გვ. 340—349.

74 1804 წლის კამერალური აღწერა, გვ. 42; ზელნაწერთა ინსტიტუტი, S 3729.

75 სცსა, ფ. 1450, დ. 17, ს. № 90; ფ. 1450, დ. 35, ს. № 90; ზელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 9356, Hd 1370, Sd 267, S 3729; 1804 წლის კამერალური აღწერა, გვ. 74.



სათანალო ცნობების უქონლობის გამო ჩვენ ვერ ვახერხებთ ქართლისა და კახეთის მეფეთა შემოსავლის ზუსტად დადგენას XVIII ს-ის II ნახევრამდე. პირველ სრულყოფილ წარმოდგენას ამ საკითხზე იძლევა 1770 წ. შედგენილი ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის დაეთარი, რომელშიაც ვკითხულობთ: „დღეს შემოსავალი მეფე ერეკლესი წელიწადში 10000 თუმანი, თუ ჟამი კეთილი იქნება 12000 შესრულდება. შემოსავალს მკვიდრობა აქვს“<sup>76</sup>.

„ჟამი კეთილი ყოფნისა“ ძირითადად დამოკიდებული იყო ძვირფასი ლითონების მოპოვების რაოდენობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლე II-მ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია სამთამადნო წარმოების განვითარებას. მისი მცდელობის შედეგად შესაძლებელი გახდა 1763 წ. თურქეთიდან ამ საქმეში დახელოვნებული 800 კომლი ბერძენის გადმოსახლება და მათი მეშვეობით ახტალაში ვერცხლის, ხოლო დამბლუტში კი სპილენძის სამეფო ქარხნების დაარსება. მათი შემოსავლის ნახევარზე ოდნავ მეტი მეფის, ხოლო დანარჩენი კი ბერძნების ხელში გადადიოდა. მეფის სალაროში ამ გზით 60 ათასი მანეთი შედიოდა, ხოლო ზოგჯერ მათი რაოდენობა 80—90 ათასსაც აღწევდა<sup>77</sup>.

მეფის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყმადნაფიცი სახანოებიდან მიღებულ ხარკს.

XVIII ს-ის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად შეიცვალა ქართლ-კახეთის სამეფოს როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობა. ქვეყანა დაქუცმაცებული აღმოჩნდა უფლისწულებს შორის. საგარეო მტრების შემოსევების შედეგად მოიშალა ახტალაში ვერცხლის წარმოება, მეზობელი მუსლიმური სახანოები გამოვიდნენ ქართლ-კახეთის მეფის ვასალობიდან. ამან, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად შეამცირა სამეფო შემოსავალი. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებისმიერ შედგენილი უწყისები მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევენ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლოს სამეფო სალაროს შემოსავალზე და მისი მიღების გზებზე.

1801—1803 წწ. უწყისის მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფის შემოსავალი აღნიშნული პერიოდისათვის განისაზღვრებოდა 89650 მანეთით, რაც ხაზინას შემოსდიოდა: 1. თბილისის კომენდატის მიერ საპალნეებზე აღებული გადასახადის იჯარით გაცემიდან — 400 მან. 2. გორის ბაჟიდან — 1400 მან. 3. კახეთის ბაჟიდან — 1900 მან. 4. ქა-

<sup>76</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 422.

<sup>77</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 548.

ლაქის მოსახლეობაზე (მახტა) და თათრებზე გაწერილი გადასახადებიდან — 3500 მან. 5. ყაზახის სასურსათო გადასახადიდან — 3000 მან. 6. შამშადელის სასურსათო გადასახადიდან — 1500 მან. 7. ბორჯალოს სასურსათო გადასახადიდან 1250 მან. 8. ფანბაყის სასურსათო გადასახადიდან — 1500 მან. 9. შულავერიდან (პატარა და დიდი) — 1000 მან. 10. თბილისის ბაყის იჯარიდან, ქარავენების დაცვისა და მარილზე დაწესებული გადასახადიდან — 13200 მან. 11. თამბაქოს იჯარიდან — 5000 მან. 12. თბილისში დამზადებულ ტილოს გატანიდან — 3850 მან. 13. თბილისში შემოტანილ დამარილებულ თევზზე და ხიზილალაზე დადებული ბაყიდან — 1050 მან. 14. თბილისის სასწორის იჯარით გაცემიდან — 760 მან. 15. თბილისის მეხორცეებიდან — 3100 მან. 16. თბილისში შემოტანილ ღვინოსა და არაწებ დადებული ბაყიდან — 3030 მან. 17. სპილენძის საწარმოებიდან — 10050 მან. 18. ხენდროს საღებავით ვაჭრობის მონოპოლიური უფლების იჯარით გაცემიდან — 2300 მან. 19. თბილისში გატარებულ ტივებზე დადებული გადასახადიდან — 120 მან. 20. სამეფო მიწებზე თბილისში აშენებული დუქნებიდან — 120 მან. და მეფის კუთვნილ მიწაზე იმავე თბილისში აგებულ სახლთ-მაცხოვრებლებიდან ქირით მიიღებოდა 120 მან.<sup>78</sup>

ამავე საკითხზე საინტერესო ცნობებია დაცული გენ. ლაზარევის გენერალ კნორინგისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, რომლის მონაცემები ზოგ შემთხვევაში განსხვავდება 1801—1803 წწ. უწყისისაგან. ამის მიხედვით ხენდროს საღებავით ვაჭრობის მონოპოლიური უფლების იჯარით გაცემა მეფის სალაროს აძლევდა არა 2300 მანეთს, არამედ 2790, კახეთის ბაყის იჯარა მეფის სალაროს აძლევდა 2190 მანეთს და არა ზემოთ დასახელებულ 1900 მან. ყაზახიდან მიღებული შემოსავალი აღწევდა 6500 მან. (უწყისში აღნიშნული 3000 მან. ნაცვლად), ხოლო ფაბრიკისა — 3400 მან. (1500 ნაცვლად). ამავე მოხსენებითი ბარათის მიხედვით, თბილისის ბაყის იჯარად გაცემა მეფეს აძლევდა 14290 მან., ხოლო მახტა — 4000 მან. ზემოთ დასახელებულია მხოლოდ ის თანხა, რაც პირადად მეფეს ეძლეოდა. იჯარით გაცემის და სპილენძის საბადოებიდან მიღებული შემოსავალი უფრო დიდი იყო, მაგრამ მათი ნაწილი მეიჯარადრეების, მოხელეებისა და ბერძნების ხელში გადადიოდა. მაგალითად, მთლიანად მეფის მიერ სხვადასხვა მეურნეობის დარგები იჯარით გაიციემოდა 23200 მანეთად. აქედან მეიჯარადრეებს ეძლეოდა 1700 მანეთი, 2260 მანეთი სხვადასხვა მოხელეებს, ხოლო მეფეს რჩებოდა 19240 მანეთი.

<sup>78</sup> АКТЫ, I, с. 197.

მთლიანად მეფის შემოსავალი 95100 ათასი მან. იყო<sup>79</sup>.

ზემოთ მოყვანილ ორივე წყაროში მითითებულია მეფის მხოლოდ ფულადი შემოსავალი და არ არის დაცული ცნობები სამეფო სალაროში ნატურალური პროდუქციის სახით შესული საქონლის შესახებ, მაშინ, როდესაც ნატურალური სახელმწიფო გადასახადები: კოდის პური, სურსათი და ღალა მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდნენ მეფეს. მათი განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს XIX ს-ის დასაწყისში შედგენილი სხვა უწყისი, რომლის მიხედვით კახეთიდან კოდის პურისა და სურსათის გადასახადების სახით ხაზინაში შედიოდა 14561 1/3 კოდი პური და 7280 2/3 კოდი ქერი (აქედან სურსათის გადასახადის სახით აიღებოდა 11028 კოდი პური და 5514 კოდი ქერი, ხოლო კოდის პურის გადასახადის სახით 3533 1/3 კოდი პური და 1766 2/3 კოდი ქერი). ქართლიდან კოდის პურის სასურსათო გადასახადისა და ღალის სახით მეფის ხაზინაში შედიოდა 30628 2/3 კოდი პური და 15314 1/3 კოდი ქერი, კულუხის სახით მეფის სალაროში შედიოდა აგრეთვე 150 საპალნე ღვინო, ხოლო თუშებსა და ფშავეზებზე დაკისრებული საბალახე გადასახადიდან კი 900 ცხვარი და ბატკანი<sup>80</sup>.

## 2. საუფლისწულო, საბატონიშვილო

ქართლის სამეფოში XV—XVIII სს-ში ტერმინები „საუფლისწულო“ და „საბატონიშვილო“ იდენტური ხასიათის სამფლობელოთა აღმნიშვნელია. ჩანს, რომ ტერმინი „საუფლისწულო“ იხმარება არა მარტო ტახტის მემკვიდრის, არამედ ოჯახის სხვა წევრების სამფლობელოთა აღსანიშნავადაც. მაგალითად, ბერი ეგნატაშვილი გვამცნობს, რომ დავით ქართლის მეფისათვის (1505—1525 წწ.) მის უმცროსს ძმას ბაგრატს მოუთხოვია: „მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროში, დარაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და აჩეობა არაგვისა, და შევიწიო ძალი ქრისტესი და თუმცა მისი იავარ ვყო... უსმინა ძმამან მისმან დავით მეფემან და მისცა ყოველი თხოვნილი მისი“<sup>81</sup>. ცხადია, ამ დროს „საუფლისწულოს“ გამოყოფა სამეფო დომენიდან მხოლოდ ტახტის მემკვიდრის პრივილეგია აღარ იყო. თუმცა ქართლის ტერიტორიაზე XV—XVIII საუკუნეების მთელ სიგრძეზე ჩანს ისეთი სამფლობელოები, რომლებიც ძირითადად ერთი ტახტის მემკვიდრი-

79 Акты, II, с. 294.

80 Акты, II, с. 1046—1053.

81 ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. II, თბ., 1959, გვ. 350.

დან მეორის ხელში გადადიოდა. ასეთად წარმოგვიდგება სურამი და მისი მხარე, წელისის ხეობა, ატენის ზვრები<sup>82</sup>.

მსხვილი საბატონიშვილო მფლობელობა ქართლში, როგორც ჩანს, განჩნდა უკვე XVI ს-ის 70-იან წლებში, დამოუკიდებელი სამეფოს შექმნის პროცესში. ამაზე მეტყველებს 1484 წელს გიორგი VIII-ის ძე ვახტანგ ბატონიშვილისგან გერგეთის სამეზბისათვის სოფ. ქუბის შეწირულების სიგელი<sup>83</sup> და ამ პერიოდში დაწერილი ზევდგენისძეთა საჩივრის წიგნი, რომლის მიხედვითაც შიდა ქართლის გარკვეული ტერიტორია დავით ბატონიშვილის სამფლობელოს წარმოადგენდა<sup>84</sup>.

XVI საუკუნეში დიდ ფეოდალად წარმოგვიდგება რამაზ ბატონიშვილი (1512—1580 წწ.), ქართლის მეფე დავით X-ის ძე. მას აღუდგენია თავისი სახსრებით განადგურებული დიდგორის სოფელი ფიცხისი და 1551 წელს მისი ადრინდელი მუხატრონისათვის — სიონის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს<sup>85</sup>. მასვე ქვათახევის ელაქერნის ღვთისმშობლისათვის „მიურთმევია“ ნასყიდი სოფელი — თელათუბანი<sup>86</sup>. მის ძეს — ბაგრატ ბატონიშვილს საბარათიანოს სარდალს<sup>87</sup> შემდგომში განუახლებია აღნიშნული შეწირულობის სიგელები<sup>88</sup>. ბაგრატ ბატონიშვილის ძმის — კონსტანტინეს მფლობელობაში მოქცეული ყოფილა სოფ. მოხისი<sup>89</sup>.

ამ პერიოდის დოკუმენტების მონაცემებით, ლუარსაბ I ძის ალექსანდრე ბატონიშვილის სამფლობელოები სოფ. კეზვისა და სასირეთში მდებარეობდა<sup>90</sup>.

სვიმონ I თავისი ძმის ვახტანგ ბატონიშვილისათვის მუხრანში მიუცია სოფელი ყურისუბანი<sup>91</sup>, შემდგომში ეს სოფელი უკან გამოურთმევია და მის მაგივრად უწყალობებია სოფ. ვირშა მონასტრითა და შეწირული ყმა-მამულით<sup>92</sup>. დროთა განმავლობაში აღნიშნული დასახლებული პუნქტი კვლავ ვახტანგ ბატონიშვილის ხელში მოქცეულა და ამ უკანასკნელს დიდი სააშშენებლო სამუშაოები ჩატარებია. მას აქ

82 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd 8534, ფ. Hd, 3028; სცსა. ფ. 1448. ს. № 7048.

83 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1085.

84 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 14903.

85 სცსა, ფ., 1449, ს. 1542.

86 სცსა, ფ., 1449, ს., 1551.

87 სცსა, ფ., 1449, ს., 2643.

88 სცსა, ფ., 1449, ს., 1542, ფ. 1448, ს. № 1534.

89 სცსა, ფ., 1448, ს., 2328.

90 სცსა, ფ., 1448, ს. № 522.

91 სცსა, ფ., 1449, ს., 1620.

92 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 1654.

აუგია ეკლესია, ციხე-სიმაგრე, სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობები.

გარკვეული დროით დომენტი კათალიკოსს ვახტანგისათვის ყუროსაბანი სოფ. ქორღზე გაუცვლია, მაგრამ ბოლოს ეს სოფელი კვლავ ვახტანგ ბატონიშვილისათვის დაუბრუნებია<sup>93</sup>. მის სამფლობელოდ წარმოგვიდგება აგრეთვე სოფლები: კრკონი, ქვეშისხევში<sup>94</sup>, მისაქციელი და თეკენა<sup>95</sup>.

სვიმონ I თავისი ძის, ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილისათვის (შემდგენი ქართლის მეფე გიორგი X) სამფლობელოდ უბოძებია სურამი და მისი მხარე. დოროთეოზ კათალიკოზის მიერ იტრიის ეკლესიისადმი მოცემულ შეწირულობის სიგელში ვკითხულობთ: „აწ ამას შიგან გარდასჰდდეს ჟამნი რაოდენიმე, ბატონი გამოეცვალა სურამსა, მოვიდა მეფედ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო ძე — გიორგი. დოროთეს გიორგი ბატონიშვილისათვის მიურთმევი ძვირფასი ქრთამი, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელს იტრიის მონასტრისა და სიონის ღვთისმშობლისათვის ყმა მამული შეუწირავს „ზესურამს, კუართისას, შინდარას, ოსეურს და ძელძვინას“<sup>96</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სურამი და მისი მხარე, როგორც ჩანს, ძირითადად ტახტის მემკვიდრის ხელთ იყო მოქცეული. ამაზე მეტყველებს ის, რომ იტრიის ეკლესიას დიდძალი ყმა-მამული შეუძენია გიორგი IX-ისაგან სურამის მხარეში მისი უფლისწულობის პერიოდში — კერძოდ: სოფ. იტრია, იქ მოსახლე აზნაურიშვილებით: მარგველაშვილებით, ზამთარაძით. კიკნაძით, ყმა-გლეხები სურამში, სოფელი ზინდისი და სხვ.<sup>97</sup>

მნიშვნელოვნად გაფართოებულა საბატონიშვილო სამფლობელოთა ფარგლები ქართლში როსტომის გამეფების შემდგომ. მას მემკვიდრე არა ჰყავდა და ამიტომ მან ჯერ ლუარსაბ ბატონიშვილი (1645—1652 წწ.), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილი, მუხრანბატონთა შტოს წარმომადგენელი, ვახტანგ V შაჰნავაზი იშვილა.

ლუარსაბ ბატონიშვილის სამფლობელოთა საზღვრებში მოქცეული ყოფილა სოფ. ყიზილ-უღლუნი, იფნობი, მიტრაშენი, მაგუეთი, ვანი<sup>98</sup>.

93 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 348.

94 სცსა, ფ., 1450, დ., 12, 6., 113.

95 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd — 1490.

96 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 355.

97 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ., Sd, 2909.

98 სცსა, ფ., 1450, დ., 15, ს., 109.

ყმა-მამული ქვემო ბოლნისში<sup>99</sup>. ლუარსაბს 1651 წ. მესტუმრე დონდორა ეჯიბისშვილისათვის უწყალობებია ქვემო ქართლის ტერ-ტორიაზე მდებარე ნასოფლარები ყუდრო და შიხობანი, აგრეთვე ვე-ნახი სოფ. შულავერში<sup>100</sup>. როსტომ მეფის მიერ ოთარ ტატიშვილი-სათვის ბოძებული წყალობის წიგნის მიხედვით როსტომს ლუარსაბ ბატონიშვილის მეთაურობით იმერეთში ლაშქარი გაუგზავნია<sup>101</sup>.

როსტომს გიორგი მუხრანის ბატონიშვილისათვის 1642 წელს უბოძებია გერმანოზ ბარათაშვილის მკვიდრი სოფელი ცოვრეთი<sup>102</sup>. გიორგი ბატონიშვილი მონაწილე ყოფილა როსტომის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებისა, რის გამოც 1643 წელს როსტომს ცოვრეთი კვლავ ძველი მებატონისათვის დაუბრუნებია<sup>103</sup>, როსტომს ცოვრეთს გარდა ჩამოურთმევია გიორგისათვის მისი მფლობელობის ქვეშ მოქცეული მეორე სოფელი — მამხუტიც. ეს უკანასკნელი დროებით, შიომ ხმალაძის საკუთრება გამხდარა. XVII ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში როსტომს გიორგისთვის შეუენდვია ძველი შეცოდება და სოფ. მამხუტი მისთვის დაუბრუნებია<sup>104</sup>.

ვახტანგ ბატონიშვილის (შემდგომში ვახტანგ V შაჰნავაზი) მფლობელობის ქვეშ მოქცეული ჩანს სოფ. მისაქციელი და თეკენა<sup>105</sup>, ყმა-მამული ქვემო ბოლნისში<sup>106</sup>.

ვახტანგის ძმის ლუარსაბ (ლუარსაბ მირზა) ბატონიშვილის სამფლობელოების არსებობა დასტურდება ქ. თბილისში<sup>107</sup> და ქვემო ბოლნისში<sup>108</sup>. მას რაღაც დანაშაული ჩაუდენია თავის ძმის ვახტანგ V წინაშე, რის გამოც ამ უკანასკნელს იგი დროებით კავთისხევში გადაუსახლებია<sup>109</sup>.

ვახტანგ V შვილიშვილის ბაგრატ ბატონიშვილს სახასოდან გამოყოფილი ჰქონია სოფ. შულავერი, თეორუბანი, ახალდაბა<sup>110</sup>. ერეკლე I (ნაზარალი ხანს) თავისი მცირეწლოვანი შვილისთვის — გიორგისათვის გადაუცია სოფ. წერაქვი. გიორგი იზრდებოდა სუფრაჯ ბარათა-

99 ბელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1803.

100 ბელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14673.

101 ბელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14443.

102 სცსა, ფ., 1450, დ., 14, ს., 8.

103 სცსა, ფ., 1450, დ., 14, ს., 9.

104 ბელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1601.

105 ბელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 1490.

106 სცსა, ფ. 1450, დ. 15, ს. 111.

107 სცსა, ფ. 1450, დ. 8, ს. 145.

108 სცსა, ფ. 1450, დ. 15, ს. 111.

109 ბელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 1916.

110 ბელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8415, სცსა, ფ. 1450, დ. 18, ს. 37.

შვილის მეუღლესთან ქეთევანთან და მის შვილებთან. ერეკლეს მათთვის უბოძებია ამ სოფლის მოურაობა და დაუვალეზბია აღნიშნული სოფლის შემოსავალი ბატონიშვილის აღზრდაზე მოეხმარათ<sup>111</sup>. ქვემო ბოლნისში, ყაიყულში სამფლობელოები თავისი ოჯახის წევრებისათვის გამოუყვია გიორგი XI-საც<sup>112</sup>.

ბატონიშვილების ხელში მოქცეული სამფლობელოები განიხილებოდა როგორც დროებით, პირად სარგებლობაში გადაცემულ საკუთრებად. ქართლის მეფეები გვევლინებიან ამ სახის ყმა-მამულის უზენაეს მესაკუთრებად, რომელთა თანხმობისა და დასტურის გარეშე სამეფო სახლის წევრებს უფლება არ ჰქონდათ მათი განსხვისებისა. მათი გარდაცვალების შემდეგ სამეფო დომენიდან მათთვის მიცემული მიწები კვლავ მეფეთა განკარგულებაში გადადიოდა. გამოწაკლის შეადგენდნენ მხოლოდ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილები, რომლებიც თავიანთი საბატონიშვილო მამულის განმკარგულებლები თვითონვე იყვნენ ხშირ შემთხვევაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, როსტომ მეფემ გიორგი ბატონიშვილის ნაქონი სოფელი მამხუტი გადაუცია შიომ ხმალაძისათვის. ვახტანგ V ლუარსაბ ბატონიშვილის ქვემო ბოლნისში ნაქონი ზვარი ყაფლან ბარათაშვილისთვის უწყალობებია<sup>113</sup>. ერეკლე I მდივან ონონასათვის უბოძებია ყიზილ-ულლუნი. „იმ წესით, რა წესითაც ლუარსაბ ბატონიშვილს ექირა“ ეს სოფელი<sup>114</sup>. თეიმურაზ I თამაზ ამბაკისშვილისათვის „მკვიდრად და სამამულედ“ უბოძებია სოფ. მუშოანს მდებარე მარიამ ბატონიშვილისეული ყმა-მამული<sup>115</sup>. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ვახტანგ VI მიერ თავის ძმისშვილ თინათინისადმი მიცემული სიგელი: „...მერმე ჭალა, რომ გვაქვს, სანამდის ცოცხალ ბრძანდებოდეთ, როგორადაც ვაქვს, სანამდის ცოცხალ ბრძანდებოდეთ, როგორადაც გქონიათ, ისე გქონდეთ და იმსახურეთ — ღმერთმან ნუ ქნას და თქვენს უკან პაპუნასათვის გვიბოძებია და მას ჰქონდეს“<sup>116</sup>.

აღნიშნულ მდგომარეობაზე მეტყველებს XV—XVIII სს-ის სხვა დოკუმენტური წყაროების მონაცემებიც<sup>117</sup>. ზოგ შემთხვევაში ბატონიშვილებს სახანოდან ჯამაგირიც ენიშნებოდათ.

ბატონიშვილები თვითონაც ცდილობდნენ სხვადასხვა გზით და საშუალებით სახასო მიწათმფლობელობის ფარგლებიდან მათთვის გა-

111 ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 6357.

112 სცსა, ფ. 1450, დ. 5, ს. 46.

113 სცსა, ფ. 1450, დ. 15, ს. 111.

114 სცსა, ფ. 1450, დ. 14, ს. 28.

115 ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1469.

116 ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1403.

117 ზელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 1874.

მოყოფილი სამფლობელოების გაზრდას. საბატონიშვილო მიწათმფლობელობის ფარგლები ფართოვდებოდა ბატონიშვილებისგან ყმა-მამულის ყიდვით. მაგალითად, სვიმონ ბატონიშვილს XVIII ს-ის 20-იან წლებში ამ გზით ხელთ უვდია ყმა-მამული სოფ. ჭვიროსში, სოფ. ოძისი, ხოვლესა და ქვემო ბოლნისში ზვრები ნამზითვი, ბეთალმანი მამულების ხარჯზე<sup>118</sup>. ასეთი სახის ყმა-მამული კი ბატონიშვილების სრულ განკარგულებაში იყო და ცენტრალური ხელისუფლება არ ერეოდა მათი გამგებლობის სფეროში.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქართლში საბატონიშვილო საუფლისწულო მიწათმფლობელობის ფარგლები XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ტახტზე ავიდა თეიმურაზ II.

თეიმურაზ II ქართლში მეფობის პირველ წლებში მსხვილ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა აბდულა-ბეგ იასეს ძე ბატონიშვილის საუფლისწულო, რომელიც 20-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. აღნიშნულ პერიოდში მისი ყმა-მამული დასტურდება ქვემო ბოლნისში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი 1724 წელს აბდულა-ბეგმა ბიძინა დავითაშვილსა და მისი სახლის წევრებს უწყალობა<sup>119</sup>. თავისი ინიციატივით ბატონიშვილის მიერ მიწების გასხვისების ეს ფაქტი უნდა ავხსნათ იმ გარემოებით, რომ, როგორც ცნობილია, ამ პერიოდისათვის ქართლის სამეფოში ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა და ვახტანგ VI-მ დიდი ამალით თავი რუსეთს შეაფარა. მისი მფლობელობის ქვეშ მოქცეული იყო სოფ. ურწაშენი<sup>120</sup>, სამტრედო და კრკონი. 30-იანი წლების შუა ხანებიდან აბდულა-ბეგი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და 1736 წელს იძულებული გახდა სოფ. სამტრედო ელიზბარ ორბელიშვილისათვის მიეყიდა<sup>121</sup>. ასეთივე ბედი გაიზიარა სოფ. კრკონმა, რომელიც აბდულა ბეგმა ადრე ქაიხოსრო ჯავახიშვილისაგან შეიძინა. 1737 წელს აბდულა-ბეგმა იგი ავთანდილ ჯავახიშვილს მიჰყიდა<sup>122</sup>. მნიშვნელოვნად გაფართოვდა აბდულა-ბეგ ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგლები ქართლში თეიმურაზის გამეფების შემდეგ, რაც უნდა აიხსნას თეიმურაზის სურვილით შემოერიგებინა ეს უკანასკნელი და ხელი აეღებინებინა ქართლის ტახტის პრეტენზიაზე. კერძოდ, თეიმურაზ II მას გადასცა სამშვილდის ძლიერი ციხე-სიმაგრე და მისი სანახები<sup>123</sup>, აგრეთვე მიწები ქართლის სხვა მხარეებშიც. მაგალითად, მის სამფლობელოთა ფარგლებში მოექცა

118 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 3375.

119 ცსა. ფ. 1448. ს. № 48.

120 ცსა. ფ. 1450, დ. 6. ს. № 40.

121 თ. გ. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა, ქრონიკები, III, გვ. 148.

122 ცსა. ფ. 1448, ს. № 2238.

123 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 609.



სოფ. თელეთი, რომელიც თეიმურაზმა ფარსადან ციციშვილს გამოართვა მისი ამოვარდნილი განაყოფის — ვახტანგის მამულების სანაცვლოდ<sup>124</sup>. როგორც ცნობილია, თეიმურაზის ასეთმა პოლიტიკამ აბდულა-ბეგის მიმართ სათანადო შედეგი არ გამოიღო, ვინაიდან მან ისარგებლა 1747 წ. თეიმურაზის ირანში გამგზავრებით და მოაწყო აჯანყება ქართლის მეფეთა ტახტის ხელში ჩაგდებას მიზნით. ერეკლე II-ის ენერგიული მოქმედების შედეგად აბდულა-ბეგი დამარცხდა და საქართველოდან გადაიხვეწა. სამშვილდე ისევ სამეფო დომენის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა, ხოლო სოფ. თელეთი კი ერეკლე II-მ ავთანდილ ჭავჭავიძის უბოძა.

განსაკუთრებით გაიზარდა საბატონიშვილო მიწათმფლობელობის ფარგლები XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან, ერეკლე II-ის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად. მის მიერ 1752 წ. შექმნილმა პირველმა მსხვილმა საუფლისწულომ მოიცვა არაგვის საერისთავოს ტერიტორია და გადაეცა მის უფროს შვილს ვახტანგ ბატონიშვილს. მაგრამ ვინაიდან იგი მცირეწლოვანი იყო, ამ კუთხეს 1756 წლის ივნისამდე ისევ ჯიმშერ ჩოლოყაშვილი განაგებდა, სანამ ის არ მოკლეს „არაგვის საერისთავოს კაცებმა“. ამის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილი ამ კუთხის სრულუფლებიან მემკატრონედ წარმოგვიდგება. ამაზე მეტყველებს ხშირად საბუთებში მისი მოხსენიება „არაგვის მპყრობელად“<sup>125</sup>, არაგვის საერისთავოს ფარგლებში ვახტანგის მიერ ყმა-მამულის წყალობად გაცემის ფაქტები<sup>126</sup> და ისიც, რომ დუშეთის საბაჟოდან მიღებული შემოსავალი მთლიანად მის განკარგულებაში გადადიოდა<sup>127</sup>.

ვახტანგ ბატონიშვილის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა და 1760 წელს იგი ყვავილისაგან გარდაიცვალა<sup>128</sup>. არაგვის მიწა-წყალი კვლავ სამეფო მიწათმფლობელობის ფარგლებში მოექცა, ხოლო ვახტანგის მეუღლეს ქეთევანს მიეცა 95 კომლი ყმა-გლეხი კახეთის სოფელ ურიათუბანსა და მარნეულში<sup>129</sup>.

70-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი საუფლისწულო, რომელიც გიორგი ბატონიშვილს (შემდგომში ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII) გადაეცა. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, მან მოიცვა ყაზახი ბორჩალო და შამშადილი, ძირითადად არაქართული მოსახ-

124 ცსა, ფ. 144, ს. № 478.

125 ბ. ო. Qd 9177.

126 ცსა, ფ. 1448, ს. № 42, № 1543, ბ. ო. Hd 3026.

127 ბ. ო. Hd 13795.

128 ო. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ო. ა, ქრონიკები, III, გვ. 264.

129 Акты, I, с. 80.

ლეობით დასახლებული მხარეები<sup>130</sup>. მოკლედ შევჩერდებით ამ მხარეების განხილვაზე. 1749 წელს როდესაც თეიმურაზ II სამშობლოში დაბრუნდა, მან თან ჩამოიტანა სიგელი იმის შესახებ, რომ ყაზახ-ბორჩალო ქართლ-კახეთის კუთვნილება იყო. ამიერიდან ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი გახდა აქსტაფის ხეობა, გაფართოვდა ტერიტორიული ფარგლები და ამავე დროს იმატა არაქართული მოსახლეობის ხვედრითმა წილმა ქვეყანაში<sup>131</sup>.

ცენტრალური მმართველობის განმტკიცების მიზნით ერეკლე II-მ 1755 წელს ყაზახის, ხოლო 1765 წელს კი ბორჩალოს სახანოები გააუქმა და ეს ქვეყნები სამეფო სამოურავოებად აქცია. ამიერიდან ადგილობრივი გამგებლების ნაცვლად ეს ქვეყნები უშუალოდ მეფის მმართველობას ემორჩილებოდნენ<sup>132</sup>. ამ მხარეების შესახებ საინტერესო ცნობები დაცულია გიულდენშტედტის დღიურებში. მათ მიხედვით, ყაზახში ცხოვრობდა 6000 ოჯახი, რომელთაგან 2/3 თათრები იყვნენ. დაცულია ცნობები მისი დასახლებული პუნქტების შესახებ და ჩამოთვლილია 25 სოფელი<sup>133</sup>. მაგრამ შემდგომი პერიოდის საბუთებიდან დგინდება, რომ ეს სია არ არის სრული. 1802 წელს შედგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს მაზრებად დაყოფის უწყისის თანახმად, აქ არსებობდა 60-მდე სომხური და თათრული დასახლება<sup>134</sup>. განსხვავებულ ცნობებს ყაზახის მოსახლეობის თაობაზე იძლევა 1770 წლის საბუთი. მის მიხედვით, ყაზახში ცხოვრობდა 4200 კომლი<sup>135</sup>. ყაზახიდან მის მფლობელს გადასახადების სახით შესდიოდა 4000 მანეთი ფულად და 400 ხალვარი პური<sup>136</sup> (XIX ს-ის დასაწყისის სხვა ცნობით ყაზახი ნატურალური გადასახადისაგან თავისუფალი იყო, ხოლო ფულით მეფის სალაროში შედიოდა 6000 მანეთი)<sup>137</sup>. შემოსავლის ნაწილი ეძლეოდა ამ მხარის მმართველ მოხელეებს: მოურავს, ვეჭილს, ალაღარებსა და სხვ., ხოლო სუფთა შემოსავალი განისაზღვრებოდა 3000 მანეთით<sup>138</sup>. საუკუნის მიწურულში მისი მოურავობა ხელთ ეპყრა გარსევან ჩოლოყაშვილს<sup>139</sup>. ყაზახი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმსხვი-

<sup>130</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი. გვ. 50.

<sup>131</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 612.

<sup>132</sup> საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 354.

<sup>133</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 241.

<sup>134</sup> АКТЫ, I, с. 41—54

<sup>135</sup> ქსდ. II, გვ. 421.

<sup>136</sup> АКТЫ, I, с. 593.

<sup>137</sup> АКТЫ, II, с. 1046—1053.

<sup>138</sup> АКТЫ, I, с. 197.

<sup>139</sup> ბაგრატი ბატონიშვილი. გვ. 72. АКТЫ, I, с. 194.

ლეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს ქართლ-კახეთის ფორ-  
 გლებში და მისი მოურავი „გენერალს უტოლდებოდა“<sup>140</sup>. რაც შეეხება ბორჩალოს, გიულდენშტედტის მიხედვით, აქ ცნობა-  
 რობდა 10000 კომლი თათარი და იგი 70-იანი წლების დასაწყისისა-  
 თვის მოიკავდა 19 სოფელს<sup>141</sup>. გიულდენშტედტის ეს ცნობაც, ჩვენი  
 აზრით, არსებულ ვითარებას არ ასახავს, ვინაიდან ზემოთ დასა-  
 ხელებული 1802 წლის აღწერის მიხედვით ბორჩალოში დასახლებული  
 პუნქტების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი ყოფილა<sup>142</sup>. გარდა ამისა,  
 1770 წლის საბუთის ცნობით, ამ მხარის მოსახლეობა ფანბაკის  
 ხეობის მცხოვრებლებთან ერთად 2560 კომლს არ აღემატებოდა: „არს  
 ბორჩალო და ფანბაკის ხეობა ერთი მთელი სახანო: ამის კაცი მრავა-  
 ლი დაფანტულა სხვის თემში და არის 2560, სომხით“<sup>143</sup>. ეს ცნობა  
 უზრადღებას იპყრობს იმ მხრივაც, რომ მის მიხედვით ბორჩალო და  
 ფანბაკი ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად წარმო-  
 გვიდგება, რომელიც გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგ-  
 ლებში იყო მოქცეული. ამაზე მეტყველებს 1781 წელს გიორგი ბა-  
 ტონიშვილის მიერ სვიმონ მაყაშვილისათვის მიცემულ წიგნში მისი  
 მოხსენიება შემდეგი ტიტულატურით: „თიანეთის, აღჯაყალისა და  
 ლორე-ფანბაკის მპყრობელ-მქონებელი“<sup>144</sup>. ეს წყარო მნიშვნელოვნად  
 ავსებს თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობას გიორგის საბატონიშვილოს  
 ფარგლების შესახებ და მის საზღვრებში აქცევს: თიანეთს (ეს უკვე  
 ზემოთ დავინახეთ), აღჯაყალასა და ლორეს. ფანბაკის დასახლებული  
 პუნქტების ყველაზე სრული სია დაცულია იოანე ბატონიშვილის ნა-  
 შრომში (55 სოფელი), რომელთა უდიდესი ნაწილი XVIII ს-ის მი-  
 წურულისათვის აღარ არსებობდა<sup>145</sup>. ფანბაკში, 1807 წლის მონაცე-  
 მებით, სახლობდა 2832 მამრობითი სული, აქედან 1529 თათარი, ხო-  
 ლო 926 სომეხი იყო. რაც შეეხება ლორეს მოსახლეობას, აღნიშნული  
 პერიოდისათვის აქ სახასო (სახაზინო) გლეხების რიცხვი განისაზღვრე-  
 ბოდა 318 მამაკაცით, ხოლო მებატონეებისა კი 59<sup>146</sup>. წინა პერიოდში  
 სახასო ყმების რაოდენობა ლორეს მხარეში უფრო დიდი ყოფილა, მაგ-  
 რამ 1787 წელს აქ მდებარე სოფ. ალგვი გიორგის სადგურ-ბეგ იედი-  
 გარაშვილისათვის უწყალობებია<sup>147</sup>. ამ მხარიდან გიორგის შემოსავა-

<sup>140</sup> ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 77.

<sup>141</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 243.

<sup>142</sup> Акты, I, с. 41—45.

<sup>143</sup> ქსდ. II, 421—422.

<sup>144</sup> საქ. სიძვ. II, № 550, გვ. 505.

<sup>145</sup> ბ. ო. S 3729.

<sup>146</sup> Акты, III, с. 228.

<sup>147</sup> Д. Пурцеладзе. Г ру з и н с к и е г р а ж д а н с к и е и с у д е б н ы е а к т ы, с. 48.

ლი ძირითადად განისაზღვრებოდა აქ მოპოვებული სპილენძის მადნის რაოდენობით, რაც საშუალოდ, როგორც დავინახეთ, მეფის შემოსავლის განსაზღვრისას, წლიურად 10000 მანეთს უდრიდა<sup>148</sup>. რაც შეეხება ფანბაკიდან სიუზერენის სალაროში შემავალ თანხას, XIX ს-ის დასაწყისის წყაროებით, იგი უდრიდა 2430 მანეთს<sup>149</sup>, სხვა ცნობით კი — 1500 მანეთს<sup>150</sup>. XVIII ს-ის ბოლოს ბორჩალო და ფანბაკი ადმინისტრაციულად ერთმანეთს გამოეყვს და მათ სათავეში ცალ-ცალკე მოურავები დაუყენეს<sup>151</sup>.

ყაბახისა და ბორჩალოსაგან განსხვავებით შამშადილში ადგილობრივი სულთნის ხელისუფლება არ მოუსპიათ, თუმცა ამ კუთხეში დაუყენებიათ მოურავი. შამშადილის სულთანს ეძლეოდა ამ კუთხეში აკრეფილი გადასახადების ნაწილი (1000 მანეთიდან 2000-მდე). მასვე ეძლეოდა წელიწადში ორჯერ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით 300—400 მანეთი. მას უფლება ჰქონდა თავის სასარგებლოდ აეკრიფა მსხვილფეხა საქონელი, ეწარმოებინა სასამართლო, ქვეხებისათვის დაედო ჯარიმა სოფლის ცუდი მოვლა-პატრონობისათვის, დაენიშნა ამ თანამდებობაზე სხვადასხვა პირი და ა. შ. რაც შეეხება ფანბაკის მოურავს, მის კომპეტენციაში შედიოდა გადასახადების აკრეფა და მათი შეტანა გიორგის სალაროში<sup>152</sup>. შამშადილიდან გიორგი ბატონიშვილის შემოსავალი 1805 წელს ამ კუთხის მოურავის რევაზ ანდრონიკაშვილის შედგენილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით მახტისა და სასურსათო გადასახადის ხარჯზე 4000 მანეთს აღწევდა. ამ სამოურავოს მოსახლეობას აღდგომის დღესასწაულზე უნდა გაეღო აგრეთვე 200 ცხვარი და 60 მსხვილფეხა საქონელი. ამ საბუთიდან კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ დასაწყისში ერეკლე II ხელი მიუწვდებოდა გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულოზე და მის ფარგლებში მეფის განკარგულებით იკრიბებოდა სხვადასხვა სახის გადასახადი<sup>153</sup>. ჩვენ გავხივადებულად მიგვაჩნია შამშადილიდან გიორგის ხაზინაში შემავალი თანხის განსაზღვრა 5000 მანეთით და უფრო რეალურად გვეჩვენება 1803 წლის ერთი უწყისის ცნობა, რომლის მიხედვით აქედან სიუზერენს ეძლეოდა 2000 მანეთი<sup>154</sup>.

XVIII ს-ის მიწურულში შამშადილის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი 33 სოფლიდან დარჩა მხოლოდ შვიდი: ტატუ-

148 АКТЫ, I, с. 197.

149 АКТЫ, II, с. 1051—1053.

150 АКТЫ, I, с. 197.

151 АКТЫ, I, с. 194.

152 АКТЫ, III, с. 226—227.

153 АКТЫ, II, с. 572.

154 АКТЫ, II, с. 1051—1053.

ლუ, ხასან-სულუ, გოკშანი, ამურლუ, ბაიმარლუ, აირუმი და მორული. თუმცა ისინიც სანახევროდ დაიცალა მოსახლეობისაგან. ეს გამოიწვია იმან, რომ გიორგი XII შამშადილის სულთანად დაამტკიცა ნახიბ-ბეგი, ხოლო მისი მოწინააღმდეგე მაგმად ხუსეინი ერთი ხანობა ციხეშიც კი მოათავსა. ამ უკანასკნელმა განთავისუფლების შემდეგ თავი განჯის სახანოს შეაფარა. მას კი თან გაჰყვა შამშადილის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 1900 სომხური და თათრული ოჯახი. ძველ ადგილებზე კი მხოლოდ 400 ოჯახი მოსახლე დარჩა<sup>155</sup>.

გიორგის ხელშივე მოექცა დემურჩასალურის თათრული მოსახლეობით დასახლებული სამოურავო, რომელიც თავისი გამეფების შემდეგ, 1798 წლის 25 დეკემბერს, სამეფვიდრეო საკუთრებაში გადასცა თამაზ ორბელიანს, ხოლო ამ უკანასკნელის იმერეთში გადასვლის შემდეგ დავით ბატონიშვილმა იგი 1800 წ. 10 დეკემბერს გიორგი ციციშვილს უბოძა<sup>156</sup>.

გიორგი ბატონიშვილის ხელში აღმოჩნდა ყმა-მამულები ქართლ-კახეთის ბევრ სხვა დასახლებულ პუნქტშიც: ავლაბარში<sup>157</sup>, მარილის-ში<sup>158</sup>, წარასყურში<sup>159</sup>, მანავში<sup>160</sup> და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 70-იანი წლების შუა ხანებში, დაახლოებით 1774—1776 წწ., გიორგი ბატონიშვილის ხელში გადავიდა არაგვის საერისთავო. ამის დასამტკიცებლად, პირველ რიგში, აღსანიშნავია გიორგი ბატონიშვილის 1775 წელს მთიულეთის მოურავ საამ კობიასშვილისათვის მიცემული „დღეშეთში კობიაშვილის ნალიის გვერდზე მდებარე სახნავი მიწის“ წყალობის წიგნი<sup>161</sup>. ასევე მნიშვნელოვანია ამ მხრივ 1776 წ. არაგვის აზნაურ ადამ ყარაგოზის-შვილის მიერ ერეკლე II-თვის მიართმეული საჩივრის წიგნი, საიდანაც ჩანს, რომ არაგვის ტერიტორია გარკვეული ხნის განმავლობაში გიორგი ბატონიშვილის სამფლობელოს წარმოადგენდა<sup>162</sup>.

1776 წლის ბოლოს ერეკლემ არაგვი გიორგის გამოართვა და გადასცა იგი ლეონ ბატონიშვილს<sup>163</sup>, რომელიც 1781 წელს გარდაიცვალა.

155 АКТЫ, I, с. 594.

156 АКТЫ, VI, с. 725.

157 საქ. სიძვ. II, № 550, გვ. 505, სცხა. ფ. 1448, ს. № 2110.

158 სცხა. ფ. 1448, № 2324.

159 სცხა. ფ. 1448, № 23.

160 თ. ქორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. გვ. 74.

161 ცხა. ფ. 1448, ს. № 1547.

162 ხ. ი. Hd 10996.

163 ცხა. ფ. 1448, ს. № 1847, 1858, 1859.

მის მეუღლეს ნინოს წელიწადში 1600 მანეთი ჯამაგირი დაენიშნა<sup>164</sup>. პაპუნა ორბელიანის მიხედვით, ამის შემდეგ ერეკლე II-მ არაგვის საერისთავოს მმართველად გაგზავნა თავისი ერთ-ერთი შვილი ვახტანგ ტანგი (ალმასხანად წოდებული)<sup>165</sup>, მაგრამ პაპუნას ეს ცნობა შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან ვახტანგთან ერთად ამ მხარეზე ხელი მიუწვდებოდათ მირიან და ფარნაოზ ბატონიშვილებს<sup>166</sup>. მხოლოდ 1784 წლიდან გვევლინება ვახტანგი არაგვის მხარის ერთადერთ მებატონედ<sup>167</sup>.

დავებრუნდეთ გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგლების დადგენის საკითხს. 1777 წლიდან მის ხელთ აღმოჩნდა ქსნის საერისთავოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მსხვილი ფეოდალური სენიორიის (ე. ი. ქსნის საერისთავოს) საზღვრებში შედიოდა: ქსნის, ალევის, საფერშეთის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ყამურის ხეობები. მალრან დვალეთის სანახები, თრუსოს ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქოლოთ-ქვიტყირის, ისრულის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობები და გვერდის ძირი<sup>168</sup>. მისი სამეფო დომენის ფარგლებში მოქცევის ცდას ადგილი ჰქონია უკვე XVIII ს-ის I მეოთხედში, კერძოდ 1716—1719 წწ. ამ მხრის მებატონედ გვევლინება ვახტანგ VI შვილი ვახუშტი ბატონიშვილი. მეორედ ქსნის საერისთავოს ფეოდალური სენიორია მოშალა თეიმურაზ II-მ არაგვის საერისთავოს გაუქმებიდან მცირე ხნის შემდეგ (1745 წ.), როდესაც ჩამოართვა იგი გივი ამილახორს და თავის საკუთრებად დაიდო. 1747 წელს აბდულა-ბეგის აჯანყებასთან დაკავშირებით ერეკლე II იძულებული შეიქნა ეს კუთხე შანშე ქსნის ერისთავისათვის უკან დაებრუნებინა<sup>169</sup>. შანშეს შემდეგ ქსნის ერისთავი იყო დავითი (1753—1774 წწ.), შემდეგ კი გიორგი ყულარაღასი (1774—1777 წწ.). ეს უკანასკნელი აუჯანყდა ერეკლე II-ს, მაგრამ იგი დაამარცხეს და 1777 წელს შებორკილი თბილისში მეფეს მიჰგვარეს. ამის შემდეგ დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლემ „ქსანი მიუბოძა ძესა თვისა გიორგის, ხოლო ლიახვი იულონს“<sup>170</sup>. ქსნის ერისთავთა დარჩენილი სამფლობელოები ერეკლე II მისცა დავით ქსნის ერისთავის შვილებს. მათ ხელში გადავიდა გვერდისძირი, ქართლში მდებარე სოფლები: ქსუისი, აბუთი, ტყვიავი, მარანა, კარა-

164 АКТЫ, I, с. 80.

165 თ. ეორდანიია, ქრონიკები, III, გვ. 372.

166 ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქ. სოც. ისტ. II, № 197, გვ. 126.

167 სცსა. ფ. 1448, № 44, № 1350, № 1544, № 1872.

168 დ. გვრიტიშვილი, ქართული სოფ. ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955, გვ. 70.

169 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 608.

170 დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 15.

ლეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, შაქათ გორი, სათემო, კუმრისი, ნავთლული, ყმა-მამულები გორსა და ცხინვალში. 1786 წელს მეფემ მათ ჩამოართვა მეჯვრისხევი და რამდენიმე სხვა სოფელი, 1790 წელს კი გვერდისძირიც და ისინი საერთოდ გააძევა ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიიდან<sup>171</sup>.

90-იანი წლების დასაწყისში ცვლილებები მოხდა ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო ვითარებაში, შეიცვალა ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების ფლობის წესი. ამის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „1791—1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა მეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს: ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველით ერეკლემ შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი. სამეფო ტახტი ამიერიდან უნდა გვარში უფროსს სჭეროდა და არა მამიდან შვილს. ეს კანონი ნახევრად ნატყუარ ნაძალადევი იყო და ერეკლემ ის ხელის მოწერის უმაღლეს უარყო. სამაგიეროდ დარჩა მეორე კანონი: თითოეულ უფლისწულს ერეკლემ 1003 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლისწული იყო ხუთი), ხოლო მემკვიდრე გიორგის — 4000 კომლი. ამნაირად, ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რეაქციული ფეოდალების ხელთ მოექცა, ვიდრე თავადები იყვნენ. თავიანთ საუფლისწულოებში ბატონიშვილებს სულ ხელმწიფეებად მოჰქონდათ თავი. ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჯებად“<sup>172</sup>.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ღვაწლმოსილი მეცნიერის აზრს იმის შესახებ, რომ ამ დროიდან საუფლისწულოები გადაიქცნენ სრულიად დამოუკიდებელ სამფლობელოებად, რომლებზედაც ხელი აღარ მიუწვდებოდა მეფეს. ბატონიშვილები გამოცხადდნენ მათ ერთადერთ და სრულუფლებიან მემპატრონეებად, რომელთა საქმეებში ჩარევა მეფეს აღარ შეეძლო. დაიყო არა მარტო მეფის პირადი ყმა-მამული, არამედ სადედოფლოსიც. ეს უკანასკნელი დარეჯანის სიკვდილის შემდეგ უნდა გადასულიყო ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილების ხელში<sup>173</sup>, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი იულონსა და ალექსანდრეს შორის განაწილდა<sup>174</sup>. „განწესებანი საქუართუელის მეფის ირაკლისანი ძეთა თავისთადმი სამეფოსათვის საქართველოსაში“ პირ-

171 დ. გვრიტიშვილი, ქართული სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 76.

172 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. VI, თბ., 1973, გვ. 465—66.

173 Акты, I, с. 328.

174 Акты, II, с. 80—85.

დაპირ არის მითითებული: „რაც ამ ჩემს შვილებს თავთავისი წილი აქვს მიცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში ვისაც უნდა აჩუქებენ, ვისაც უნდა ასესხებენ და ვისაც უნდა დაპატიებენ“<sup>175</sup>. ამ ძეგლის სხვა ადგილებშიაც არის ხაზგასმული მოტანილი პუნქტის არსი საუფლისწულოების ხელშეუვალობის შესახებ. მაგალითად, ერთ ადგილას კვითხულობთ: „ჩემი შვილები და შვილიშვილები რომ ასე გამიშველებია, რომ რაც საუფროსო საუფლისწულო მიმიცია, იმაში ერთმანეთთან საქმე აღარა აქვს რა“<sup>176</sup>. ამ ძეგლიდან დგინდება, რომ ერეკლემ ბატონიშვილებს წილი დაუღო სამეფო შემოსავალშიც და მისი ერთი მესამედი მათთვის განაწესა. აქვე არის მოცემული სხვადასხვა ვზით ძმების შეკავშირების ცდა. კერძოდ, მათ საერთო მფლობელობად დადგინდა კარის ეკლესიები თბილისში, გორსა და თელავში, კაცის გააზატება მათ საერთო კომპეტენციად გამოცხადდა. მეფე მოუწოდებდა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეებში ერთობლივი მონაწილეობისაკენ და სხვ. მაგრამ, რასაკვირველია, ეს უკვე ხელოვნური დაკავშირების ცდა იყო და მას უკვე აღარ შეეძლო იმ უდიდესი ზიანის გამოსწორება, რაც მოჰყვა ერეკლეს მიერ ცხოვრებაში გატარებულ ამ ღონისძიებას. დაიშალა სამეფო დომენი, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების საფუძველი, რომელმაც მაშინვე მოგვცა უკურეაქცია. შესუსტდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რამაც ბევრად განაპირობა 1795 წლის ქართველი ხალხის ტრაგედია, ქვეყანა მოიცვა ძმათა შორის ბრძოლამ და სხვ.

მიგვაჩნია, რომ ერეკლე II-მ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი არ უარყო, ვინაიდან 1797 წელს გიორგი ბატონიშვილის მიერ იულონ და ალმასხან ბატონიშვილისადმი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ მიცემული პირობის წიგნის მეოთხე მუხლში პირდაპირ წერია: „ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ყუელანი, მაგრამ საქართველოს მეფობა უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით იყოს ძმებზედ“<sup>177</sup>. ამდენად, ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი, როგორც ჩანს, ერეკლეს არ უარუყვია და გიორგი იძულებული გამხდარა ამის თაობაზე ძმებისათვის პირობა მიეცა. დასაზუსტებელია ერეკლესგან ბატონიშვილებისათვის გადაცემული ყმა-მამულის რაოდენობაც.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგლებში 90-იანი წლების დასაწყისში მოქცეული ყაზახის, ბორ-

175 ქს. II, გვ. 512.

176 იქვე, გვ. 522.

177 ქს. II, გვ. 533.



ჩალოს, ფანბაკის, ლორეს, ადჯაყელის, თიანეთის, შიმშადილის, ქსნის მხარეების მცხოვრებთა რიცხვი დიდად აღემატებოდა დასახლებულ 4000 კომლს და 10000-მდე აღწევდა. ასეთივე ვითარება გვაქვს თიანეთურ საუფლისწულოს ფარგლებში 1003 კომლი ყმა-გლეხის მოქცევასთან დაკავშირებით. ეს ციფრი შეესაბამება მხოლოდ აღექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილის ყმა-გლეხების რაოდენობას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი განზოგადება სხვა საუფლისწულოების ფარგლებში მოქცეული მოსახლეობის მიმართ. ამის ნათელსაყოფად განვიხილოთ თითოეული საუფლისწულოს ფარგლები ცალცალკე. ამის საშუალებას კი იძლევა XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებისგან ჩატარებული აღწერის დავთრები. ჯერ განვიხილოთ იულონ ერეკლეს ძე ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგლები. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ საუფლისწულოს საფუძველი ჩაეყარა 1777 წლიდან, მას შემდეგ, რაც იულონ ბატონიშვილის ხელში გადავიდა ქსნის საერისთავოში შემავალი ლიახვის ხეობა (აქ უნდა ვიგულისხმოთ როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვისა). მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცნობა შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან მართალია XVIII ს-ის მიწურულისათვის აღნიშნული კუთხე თითქმის მთლიანად იულონის საკუთრება იყო, მაგრამ ეს პროცესი (ე. ი. ლიახვის ხეობების დასახლებული პუნქტები იულონ ბატონიშვილის ხელში მოქცევა) გაგრძელდა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე. მაგალითად, პატარა ლიახვის ხეობის სოფელი ბელოთი ერეკლეს იულონისათვის უბოძებია 1778 წელს, აქვე მდებარე სოფ. ფლავი — 1780 წელს, სოფ. არცევი — 1789 წელს, სოფ. ქიწნისი — 1793 წელს, დიდილიახვის სოფ. შინდისი — 1796 წელს. XIX ს-ის დასაწყისის ერთი უწყისის მიხედვით გარდა დასახლებული სოფლებისა, იულონის საუფლისწულოს საზღვრებში მოქცეული იყო პატარა ლიახვის ხეობის სოფლები: სათემო, ვანათი და ზანკარი (ზანთკარი), დიდ ლიახვზე მდებარე სოფლები აჩაბეთი და კეხეში. მათ რიცხვს 1788 წელს შეემატა მდ. მეჯუდის ხეობის სოფ. მეჯუდი. იულონის საუფლისწულოს საზღვრებში მოქცეული იყო დასახლებული პუნქტები ლორის მხარეში: ბაიდარი, ბეგლიარი და ქურთლარი, ყმა-გლეხები სოფ. უფლისციხესა და ქალაქ თბილისში (თბილისში იულონის ყმათა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულა. თუ XVIII ს-ის დასაწყისში მათი რაოდენობა 46 კომლით განისაზღვრებოდა, XIX ს-ის დასაწყისისათვის უკვე 11-მდე დასულა)<sup>178</sup>. აქვე (ე. ი. თბილისში) განჯის კარიბჭესთან მდებარეობდა

<sup>178</sup> III. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии, с. 195.

მისი კუთვნილი ერთი ბალი, ხოლო მეორე კი — ორთაქალაში. სულ ზემოთ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობდა იულონ ბატონიშვილის 13 კომლი აზნაური, 314 კომლი ყმა-გლეხი (1800—1900 სულ) და მათგან მიღებული შემოსავალი უდრიდა, ფულზე გადაყვანით, დაახლოებით 1000 მანეთს<sup>179</sup>.

XVIII ს-ის ბოლო მეოთხედისა და XIX ს-ის სხვა დოკუმენტებიდან დგინდება, რომ ზემოთ მოტანილ საბუთებში მოხსენიებული სამფლობელოები არ იძლევა იულონ ბატონიშვილის საუფლისწულოს საზღვრების ზუსტ სურათს. 1803 წელს პავლე ციციანოვისგან იმპერატორისადმი ქსნის ერისთავებისათვის მამულების დაბრუნების თაობაზე მიერთმეული მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ დასახლებულ სოფლებს გარდა, იულონის საკუთრებას წარმოადგენდა: აცერის ხევი, ერთულა, საცხენეთი, ციცი, ჭარები, სნეივი, სუპსი, მერეთი, კუღბითი, ფლავის მანი და ტყვიავი<sup>180</sup>. ამაზევე მეტყველებს ამ სოფლებში იულონ ბატონიშვილისგან გაცემული მრავალი წყალობისა თუ სითარსნის წიგნი<sup>181</sup>.

იულონის საბატონიშვილოს ფარგლებში მოექცა ერეკლე II-ის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში დემეტრე ამილახვრისშვილისათვის ჩამორთმეული ყმა-მამული შემდეგ სოფლებში: თორტიზში, ქვემო სოფელში, ძახორში, ნაცრეთში, შუშებში, ნადარბაზევში, კასპში, დერიტში, სამთავისში, კამის ხეობაში, ცივილის ხეობაში, ჭალაში, ხობისში, კობიოში, ბეშვეთში, მეჯვრის ხევში; სულ 4 კომლი აზნაური ქარუმიძეები და 39 კომლი ყმა-გლეხი (163 კაცი და 98 ქალი). ისინი დასაწყისში ერეკლემ ლეონს გადასცა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კი იულონს<sup>182</sup>.

მასვე გადაეცა ერეკლე მეფის მიერ ციციშვილებისათვის ღალატისათვის ჩამორთმეული მიწები, კერძოდ, დიმიტრი ციციშვილის მამულების ერთი მეოთხედი, დავითისა და ბაადურისა მთლიანად, ხოლო ზაქარიასი კი ნაწილობრივ<sup>183</sup>. შემდგომში სოფ. ქარელი ერეკლე II ზაქარია ციციშვილის შვილებს უკან დაუბრუნა<sup>184</sup>. იულონის საუფლისწულოს ფარგლებში მოექცა ასლან ამირაჯიბისათვის წართმეული 31 ყმა-გლეხიც<sup>185</sup>.

179 Акты, I, с. 60; Акты, II, с. 92.

180 Акты, II, с. 550.

181 ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქ. სოც. ისტ. № 259, გვ. 182; საქ. სიძვ. III, № 557, გვ. 532; სცსა, ფ. 1448, № 121.

182 სცსა, ფ. 254, აღწ. 1, ს. 116.

183 Акты, II, с. 361—368.

184 Акты, I, с. 220.

185 Акты, II, с. 361—368.

ზემოთ დავინახეთ, რომ სოფ. კეხვი და აჩაბეთი, რომლებიც მთელი XVIII ს-ის მანძილზე სადედოფლოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, იულონს ეკუთვნოდა. მართალია, გენ. კუჩუბეის გენ. კნორონგისათვის მიწერილი წერილის ცნობით, დარეჯან დედოფლის კუთვნილი მამულები მისი სიკვდილის შემდეგ ალექსანდრესა და ფარნაოზ ბატონიშვილებს შორის უნდა განაწილებულიყო<sup>186</sup>, მაგრამ ჩანს, რომ აღნიშნული მამულების უმეტესობა, გარდა დასახელებული სოფლებისა და სადედოფლო ყმა-გლეხებისა ალსა (7 კომლი) და ქრცხინვალში, იულონმა ჩაიგდო ხელში.

იულონის ყმა-მამულების არსებობა დასტურდება აგრეთვე გორში<sup>187</sup>, სოფ. ორბსა<sup>188</sup> და სამშვილდეში<sup>189</sup>.

წყაროებიდან კარგად ჩანს ის ფაქტიც, რომ იულონ ბატონიშვილი თვითონაც ზრუნავდა თავისი სამფლობელოების გაფართოებაზე ყმა-მამულის ყიდვის გზით. ასე აღმოჩნდა მის ხელში თელეთგორი, გომიჯვარი<sup>190</sup> და ხატის თელეთი<sup>191</sup>. მაგრამ XIX ს-ის დასაწყისში დავით ბატონიშვილის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში იულონის საუფლისწულოს ფარგლები მნიშვნელოვნად შემცირდა. ყმა-მამულის უდიდესი ნაწილი მან გიორგი XII-ის მეფობის და განსაკუთრებით დავითის მმართველობის ხანაში დაკარგა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, იგი აცხადებდა პრეტენზიას გიორგის შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტზე და აქტიურად იბრძოდა ამ მიზნის განხორციელებისათვის. ამის ოურიდიულ საფუძველს კი მას ერეკლე II-ის 1791 წელს შემოღებული ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი აძლევდა. მას მხარს უჭერდნენ მისი ძმები. გიორგი XII-ის მემკვიდრემ დავით ბატონიშვილმა შესძლო მისი შეიარაღებული გზით დამარცხება, ქსნის ერისთავებს უკან დაუბრუნა მამულები, რომლებიც, როგორც დავინახეთ, იულონის საუფლისწულოს ბირთვის წარმოადგენდა. მან იულონს წაართვა სხვა სამფლობელოებიც: საამილახვროში მდებარე მისი ყმა მამული უბოძა გოგი ამილახვარს, თეიმურაზ ფავლენიშვილს, იოანე ამილახვარსა და ელიზბარ მაჩაბელს. ამ უკანასკნელსვე გადასცა შიდა ქართლში იულონის კუთვნილი 31 კომლი ყმა, ზაზა ციციშვილს დავითმა უწყალობა იულონის სამფლობელოს ფარგლებში მოქცეული დიმიტრი ციციშვილის ყმა-მამულის ერთი მეოთხედი. ასლან ამირაჯიბის მამული გადასცა

186 АРТЫ, I, с. 328.

187 სესა, ფ. 1448, № 2714.

188 ხ. ი. Hd 7865.

189 სესა, ფ. 1448, № 1849.

190 იხ. მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, III, № 250, გვ. 176.

191 სესა, ფ. 1448, № 1346.

ზაზა ამირაჯიბს, გორში მცხოვრები იულონის 1 კომლი ყმა — მეითარ თარხნიშვილს, ცხინვალში იულონისვე ყმა-გლეხი და მისი ნახევარი სოფელი თელეთი — ხერხეულიძეს, ბადურ ციციშვილის მამული — ამირბარ ციციშვილს, თბილისში კუთვნილი ბაღი — ერთ იმერელ აზნაურს, აღი — ნაწილობრივ სოლომონ თარხნიშვილს, ნაწილი კი, ისევე, როგორც ცხინვალში მდებარე ყოფილი სადედოფლო ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი, უკან დაბრუნებია დარეჯან დედოფლისათვის<sup>192</sup>.

ვახტანგ (ალმასხანად წოდებული) ბატონიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1784 წლიდან არაგვის საერისთავოს ედგა სათავეში და 90-იან წლებში მისი საუფლისწულოს ფარგლებმა სწორედ ეს მხარე მოიცვა. არაგვის საერისთავოში, დუშეთის გამოკლებით, ცხოვრობდა 1822 კომლი ვახტანგის ყმა-გლეხი (6638 კაცი და 4902 ქალი). მათგან მის სალაროში შედიოდა 215 მანეთი ფულით, 1415 ცხვარი, 90 ბატკანი, 8 ღორი, 2390 ფუთი პური, 75 თივის ზვინი, 245 თუნგი ღვინო, 216 ქათამი, 23 ფუთი კარაქი, 3 ფუთი ყველი. ამას თუ ფულზე გადავიყვანთ, მივიღებთ დაახლოებით 2850 მანეთს. რაც შეეხება თვითონ ამ მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს — დუშეთს, მასში ცხოვრობდა ვახტანგის 236 კომლი ყმა (693 კაცი და 560 ქალი). აქ ბატონიშვილს ეკუთვნოდა ორსართულიანი ქვიტკირის სასახლე, ხით ნაგები ეკლესია, 48 დუქანი, რომლებიც წელიწადში 2000 მანეთად იჯარით გაიციემოდა. აქვე მდებარეობდა დიდი ბაღი, რომელიც 35 მანეთის შემოსავალს იძლეოდა. ვახტანგს 3 კომლი ყმა-გლეხი ჰყავდა კახეთის სოფ. გურჯაანში, რომლებიც მას 70-იანი წლების დასაწყისში ერეკლემ უბოძა. ე. ი. მთლიანად ვახტანგ ბატონიშვილის ყმა-გლეხთა რაოდენობა უდრიდა 2061 კომლს. ისინი ამუშავებდნენ 7286 დღიურ მიწას. ბატონიშვილის შემოსავალი კი განისაზღვრებოდა 5253 მანეთით<sup>193</sup>.

ფარნაოზ ერეკლეს ძე ბატონიშვილს XIX ს-ის დასაწყისისათვის ეკუთვნოდა შემდეგი ყმა-მამული: 1. სოფელ ხიდისთავში — 14 კომლი ქართველი და სომეხი ყმა-გლეხი (63 კაცი და 54 ქალი), რომლებიც ამუშავებდნენ 230 დღ. სახნავ მიწას. ამ სოფლის ახლოს მდებარეობდა ბატონიშვილის 20 ვერსის გარშემოწერილობის ტყე. ამავე სოფლიდან ბატონიშვილი წლიურად დაახლოებით 30 მანეთს იღებდა; 2. სოფ. ახალ ავლაბარში — 4 კომლი ყმა (5 კაცი და 4 ქალი). მათგან ფარნაოზის სალაროში შედიოდა 200 მანეთი წელიწადში. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელნი თბილისში ამუშავებდნენ ფარნაოზის კუთვნილ 2000 მანეთად შეფასებულ ბაღს, რომელიც 50 მანეთის პროდუქციას იძლე-

<sup>192</sup> Акты, I, с. 301—308.

<sup>193</sup> Акты, II, с. 80—85.

ოდა<sup>194</sup>. 80-იანი წლების დასაწყისში ფარნაოზი თბილისში ფლობდა 37 კომლ ყმა-გლეხს<sup>195</sup>. XIX ს-ის დასაწყისისათვის მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მის ხელში მოექცა 52 კომლი ყმა (105 კაცი და 87 ქალი)<sup>196</sup>. მისი საუფლისწულოს საზღვრებში იყო დიდი ზვარი სოფ. მანავში, რომლისგანაც ხაზინაში 1817 წელს 368 მანეთი შესულა, ხოლო 1818 წელს კი — 400 მანეთზე მეტი. ეს ვენახი შეფასებული იყო 2300 მანეთად<sup>197</sup>. მის აზნაურებად აღნიშნული პერიოდისათვის გვევლინებიან ალექსიშვილების, შანშიაშვილებისა და სულხანიშვილების წარმომადგენლები<sup>198</sup>. რასაკვირველია, ეს სამფლობელოები წარმომადგენდა ფარნაოზის ყმა-მამულის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. ამაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წინა პერიოდში დასტურდება ფარნაოზის საკუთრება სოფ. ატენში<sup>199</sup>. მისი საკუთრება იყო, აგრეთვე, ამოწყვეტილი ბეჟან სააკაძის მამული<sup>200</sup> და სხვა. მაგრამ მათი დიდი ნაწილი ფარნაოზმა დაკარგა დავით ბატონიშვილის ხანმოკლე მმართველობის ხანაში, ვინაიდან იგი იულონის მომხრეთა ბანაკს ეკუთვნოდა და მხარს უჭერდა ამ უკანასკნელის პრეტენზიებს სამეფო ტახტზე.

ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგლების შედარებით ზუსტ სურათს გვაძლევს 1794 წლის ერთი საბუთი, რომლის მიხედვით მის საზღვრებში მოქცეული ყოფილა: თბილისში — 60 კომლი ყმა (80-იანი წლების დასაწყისში მას აქ ეკუთვნოდა 50 კომლი)<sup>201</sup>, ცხინვალში — 50 კომლი ყმა, რომლებიც მაშინ ჭერ კიდევ დარეჯან დედოფლის განკარგულებაში იყვნენ და შემდგომში ალექსანდრეს საკუთრებაში უნდა გადასულიყვნენ; სოფ. ნარში — 100 კომლი ყმა-გლეხი, სოფ. ზააკას, შპასა და ზგუბირეში — 50 კომლი, სამშვილდეში — 8 კომლი, წინწყაროში — 30 კომლი, ნახიდურში — დიდ შულავერში — 300 კომლი, კადიმში (ძველ ანუ პატარა შულავერში) — 11 კომლი, ზემო მდვალეთში — 80 კომლი ოსი ყმა, სადარჯალში (?) — 40 კომლი, სარვანეში — 80 კომლი, არიხლუში — 70 კომლი, ვეფხვის ციხეში — 45 კომლი, ფშაველში — 50 კომლი, თურმანიდში — 10 კომლი. აქვე მას ეკუთვნოდა აზნაურ ქვლივიძეების ერთი

194 Акты, II, с. 80—85.

195 ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტორიის ძეგლები, I, გვ. 148.

196 Акты, II, с. 60.

197 Акты, VI, с. 572.

198 Акты, II, с. 146.

199 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიისათვის, II, № 232, გვ. 145.

200 Акты, I, с. 301—308.

201 ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ. ძეგლები, I, გვ. 148.

ოჯახი, ყაზახ-გუმბეთსა და გეკ-ტაპეში — 5 კომლი ყმა, სარმანიშვილები, ჭორაშვილის მამული 2 კომლი ყმა-გლეხით. ამგვარად, ალექსანდრეს საუფლისწულოს ფარგლებში შედიოდა 1003 კომლი ყმა-გლეხი და 1 კომლი აზნაური<sup>202</sup>. მნიშვნელოვნად შემცირდა საუფლისწულოს ფარგლები გიორგი XII-ის გამეფების შემდეგ, რომელსაც იგი ოპოზიციაში ედგა. იგი გიორგისაგან მოითხოვდა ყაზახის გადაცემას და აქტიურად უპერდა მხარს იულონს მისი გამეფების საკითხში. ამიტომ გიორგიმ 1798 წელს ჩამოართვა სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილი და დაუტოვა მას ყმა-მამული შემდეგ სოფლებში: 1. არახლუში — 17 კომლი ყმა, 2. სარადჯალში (სარახლუ) — 17 კომლი, 3. დიდ შულავერში — 164 კომლი და 4. პატარა შულავერში — 14 კომლი ყმა. მათი მოსახლეობა ამუშავებდა დაახლოებით 300 დღიურ საბატონიშვილო მიწას, 20 ზვარს, ისინი სარგებლობდნენ მათ ახლო მდებარე ვრცელი საბატონიშვილო ტყეებით. დიდ შულავერში ალექსანდრეს ჰქონდა 7 წისქვილი, რომელთაგან 3 მოქმედი იყო. ალექსანდრეს ყმა-მამული დარჩა თბილისში, სადაც ცხოვრობდა მისი 40 კომლი ყმა-გლეხი (ყუკიის ჩათვლით). ე. ი. ძველი სამფლობელოებიდან ალექსანდრეს განკარგულებაში დარჩენილა 252 კომლი ყმა-გლეხი (626 კაცი და 588 ქალი), ხოლო მათგან მიღებული შემოსავალი განისაზღვრებოდა 2000 მანეთით<sup>203</sup>. თავისი მეფობის ბოლო წელს გიორგი XII ეს სამფლობელოებიც წაართვა ალექსანდრეს და ისინი თავისი მცირეწლოვანი შვილების (მიხეილი, ჭებრაილი, ილია, ოქროპირი, ირაკლი, თამარი, ანა) საკუთრებად გამოაცხადა. დავითმა თავისი მმართველობის პერიოდში წაართვა მათ პატარა შულავერი და იგი ლუარსაბ თარხნიშვილს უწყალობა, ხოლო სარაგისი კი — სოლომონ არგუთინოვს. რაც შეეხება ახმეტაში მცხოვრებ ალექსანდრეს 3 კომლ ყმას, ისინი როპსიმე ბატონიშვილს მისცა<sup>204</sup>. თვით ალექსანდრე ბატონიშვილი კი საქართველოდან გადაიხვეწა და სპარსეთს შეაფარა თავი.

მირიან ერეკლეს ძე ბატონიშვილი, XIX ს-ის დასაწყისის უწყისის ცნობით, ფლობდა ყმა-მამულს კახეთის შემდეგ სოფლებში: მალრანში, ბახტრიონში, თათრულ სოფელ კაპანახში, ქისტაურში, კანდაურსა და შალაურში. სულ ამ სოფლებში მირიანს ეკუთვნოდა 196 კომლი ყმა (686 კაცი და 655 ქალი). ისინი ამუშავებდნენ 360 დღიურ სახნავ მიწას. გარდა ამისა, სოფ. კანდაურის გლეხებს მიწების სიმცი-

202 Акты, VI, с. 815.

203 Акты, II, с. 60, 80—85.

204 Акты, I, с. 301—308.

რის გამო, აღებული ჰქონდათ 250 დღიური მიწა კათალიკოსისაგან, რისთვისაც ამ უკანასკნელს მოსავლის ნახევარს აძლევდნენ. ბატონიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა დასახლებული სოფლების ახლოს მდებარე ვრცელი ტყეები. მთლიანად ამ სამფლობელოებიდან მირიანს შესდიოდა დაახლოებით 1000 მანეთის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია<sup>205</sup>. 1793 წელს აღნიშნული სოფლები ერეკლე II მირიან ბატონიშვილს უბოძა. სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ ზემოთ დასახლებული სოფლების გარდა მირიან ბატონიშვილის საუფლისწულოს ფარგლებში მოქცეული იყო სხვა დასახლებული პუნქტებიც, კერძოდ: სურამი, თათრული სოფელი კამარლუ, რომელშიაც ცხოვრობდა 41 კომლი მისი ყმა (81 კაცი და 72 ქალი) და იძლეოდა 300 მანეთ წლიურ შემოსავალს და პატარა შულავერში 1 კომლი ყმა-გლეხი (4 კაცი და 5 ქალი)<sup>206</sup>. 1783 წლის თბილისის აღწერის ცნობით, მირიანს ქალაქში ეკუთვნოდა 3 კომლი ყმა<sup>207</sup>. როგორც ჩანს, არც ეს მონაცემებია სრული. ამაზე მეტყველებს გენ. კოჩუბეის მიერ ციციანოვისადმი მიწერილ წერილში დაცული ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ თვითონ მირიან ბატონიშვილის თანახმად, იგი ფლობდა 1010 კომლ ყმა-გლეხს, ხოლო მათგან მიღებული შემოსავალი 10—13 ათას მანეთს უდრიდა. შეიძლება დავუშვათ, რომ ეს მონაცემები რამდენადმე გადაჭარბებულია.

1797—1798 წწ. მირიან ბატონიშვილი პეტერბურგს გაემგზავრა. მისი იქ ყოფნის დროს დარეჯან დედოფლის თხოვნით გიორგი XII-მ მირიანის ყმა-მამულის ნაწილი დროებით მის ჩამოსვლამდე ფარნაოზს გადასცა. მირიან ბატონიშვილის დაბრუნების შემდეგ ფარნაოზმა აღარ მოინდომა მისთვის მამულების უკან დაბრუნება და დაიწყო სურამის ციხის გამაგრება. გიორგი მეფემ მის წინააღმდეგ გაგზავნა თავისი უფროსი შვილი დავითი, რომელმაც დაამარცხა ფარნაოზი და შესძლო სურამის ციხის აღება, მაგრამ გიორგი XII-მ სურამი მირიანს აღარ დაუბრუნა და იგი სამართავად ხეფინისხევეთან ერთად დავით ბატონიშვილს გადასცა. მიუხედავად ამ ფაქტისა, გიორგისა და მირიანს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც სოფ. ქისტაურში გიორგი XII-ის მიერ მირიანისათვის ყმა-მამულის ბოძების ფაქტი. მაგრამ გიორგის გარდაცვალების შემდეგ მირიანსა და დავით უფლისწულს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა, რის შედეგად დავითმა მას ჩამოართვა სამფლობელოების უდიდესი ნაწილი. სურამი, როგორც დავინახეთ, თავისთვის დაიტოვა, სოფ. ქისტაური

<sup>205</sup> АКТЫ, II, с. 86.

<sup>206</sup> АКТЫ, II, с. 80—85.

<sup>207</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, გვ. 148.

უბოძა მდივან-ბეგ ბეჟანიშვილს, სოფ. კანდაური — ზაქარია ანდრო-  
ნიკაშვილს, სოფ. მალრანი — თუმთ მოურავ ჩოლოყაშვილს, რაც  
შეეხება კამარლუს, კაპანახჩსა და პატარა შულავერში მცხოვრებ  
1 კომლ ყმას, მათ მარიამ დედოფალი დაეპატრონა<sup>208</sup>.

ამგვარად, დაქუცმაცდა და დაიშალა თეიმურაზისა და ერეკლეს  
დიდი შრომით შექმნილი სახასო, რომელმაც გარკვეულ პერიოდში  
ქართლ-კახეთის სამეფოს მესამედზე მეტი მოიცვა. თვითონ ერეკლეს  
თავის მეფობის ბოლო წლებში აღარაფერი დარჩენია, ვინაიდან ქვე-  
ყანა უფლისწულებს შორის იყო დანაწილებული. მხოლოდ ამით შეი-  
ძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ მან თავის ქალიშვილებს ეკატერინესა  
და თეკლეს მზითებში ვერაფერი ვერ გაატანა, ხოლო ანასტასია ბატო-  
ნიშვილს კი მისცა მხოლოდ 1 ძვირფასი საათი (რომელიც გიორგი  
XII გამოართვა და მის მაგივრად უწყალობა სოფ. აბასი, თივა, სოზი-  
ნაშვილები და ბალი თბილისში. მათგან მიღებული შემოსავალი უდ-  
რიდა 140 კოდ პურს, 8 კოკა ღვინოს და 35 მანეთს)<sup>209</sup>, თამარს კი  
სასახლის ადგილი თბილისში<sup>210</sup>. მაშინ, როდესაც მათზე აღრე გათხო-  
ვილ ქეთევან ბატონიშვილს ერეკლემ უბოძა სოფ. კარაღეთი (აღრე იგი  
ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ და მასში ცხოვრობდა 36 კომლი. ამ  
სოფლიდან მიღებული შემოსავალი 1000 მანეთზე მეტი იყო. რუსე-  
თის ხელისუფლებამ მას ჩამოართვა ეს სოფელი და იგი ქსნის ერის-  
თავებს დაუბრუნა, ხოლო მის მაგივრად ქეთევანს გადასცა სოფ. დი-  
ლომი), მარიამს კი — 92 კომლი თბილისში, გორში, კარაღეთში, სამ-  
წევრისში, რუისში, ხვედურეთში, თვალთუბანში, საქაშეთში, დირბში,  
შინდისში, ხვითში, ნაფარეულში, მეჭვრისხევში, ყარიაშენში, ხელთ-  
უბანში, სურამში, ნიჩბისში, ავჯალაში. პატარძელსა და თეზში მცხოვ-  
რები ყმა-გლეხი<sup>211</sup>. საერთოდ მეფეები მნიშვნელოვან ქონებას ატან-  
დნენ თავიანთ ასულებს მზითებში. მაგალითად, ვახტანგ VI ასულს  
ანუკა ბატონიშვილს მისცა სოფ. კლდისწყარო<sup>212</sup>, მის დას თინათინს  
სოფ. ჭალა<sup>213</sup>. თეიმურაზ მეფემ თავის შვილს ანას ხეფინისხევის რამ-  
დენიმე სოფელი უბოძა<sup>214</sup>. ასეთი ფაქტი დამოწმებულია XVIII ს-ის  
დოკუმენტებშიც<sup>215</sup>.

<sup>208</sup> АКТЫ, I, с. 301—308.

<sup>209</sup> АКТЫ, I, с. 80—85; ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქ. სოც. ისტ. II, № 324. გვ. 199.

<sup>210</sup> სცსა. ფ. 1450, დ. 15. ს. № 101.

<sup>211</sup> АКТЫ, I, с. 80—85.

<sup>212</sup> ხ. ი. Hd. 471. 1283.

<sup>213</sup> ხ. ი. Hd. № 14043.

<sup>214</sup> АКТЫ, I, с. 557.

<sup>215</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები III, გვ. 297; საქ. სოც. ისტ. II, № 273, ხ. ი. 9726; ცსა. ფ. 1448, № 1170.



ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ გიორგი XII-მაც გაიმყარა მამამისის შეცდომა და მის ხელში გადასული მამულები კიდევ გაუხუჭა წილა თავის შვილებს. იოანეს გადასცა ქსნის, საფარშეთის, ალუვის, ცხრაძმის, ჭურთის, ქარჩოხის და ჟამურის ხეობების სოფლები (ქსნის საერისთავოს ყოფილი ტერიტორიები). მათ ფარგლებში ირიცხებოდა მისი 882 კომლი ყმა-გლეხი (3560 კაცი და 2852 ქალი), რომლებიც ამუშავებდნენ 5055 დღიურ სახნავ მიწას და სარგებლობდნენ ვრცელი საბატონიშვილო ტყეებით. მათგან იოანეს წლიურად შემოსდიოდა: 350 მანეთი ფულით, 430 ცხვარი, 430 ფუთი პური, 142 ქათამი, 530 კვერცხი, 6 ფუთამდე ყველი, 7 ფუთი კარაქი. ამ პროდუქტებს თუ ფულზე გადავიყვანთ, იმდროინდელი ფასების გათვალისწინებით გამოდის, რომ იოანე ბატონიშვილის შემოსავალი დაახლოებით 1250 მან. უდრიდა. ამის გარდა იოანე ფლობდა სოფ. ახალგორში მდებარე სამღებროს, რომელიც წელიწადში 200 მანეთად იჯარით გაიცემოდა<sup>216</sup>. მისი ყმა-გლეხების არსებობა დასტურდება შიდა ქართლის სოფ. ივრეთშიც<sup>217</sup>.

XIX ს-ის დასაწყისში რამდენადმე გაიზარდა იოანეს საუფლისწულოს ფარგლები მისი ძმის დავით ბატონიშვილის მიერ მისთვის ზოგიერთი მამულის გადაცემის გზით. კერძოდ, მის საკუთრებაში მოექცა ალექსანდრე ბატონიშვილის სოფ. შულავერი, მუხრანბატონისათვის ჩამორთმეული აზნაური რატიშვილი. დავითმა უბოძა თათრული სოფელი თავდა, რომელშიაც ცხოვრობდა 78 თათარი ყმა (146 კაცი და 135 ქალი), რომელთაგან ფულადი და ნატურალური გადასახადებით წლიურად 120 მანეთს იღებდა<sup>218</sup>.

ამგვარად, XIX ს-ის დასაწყისისათვის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს საზღვრებში მოქცეული იყო 953 კომლი ყმა (შულავერისა და ბეჟან რატიშვილის გამოკლებით), 5000 დღიურზე მეტი სახნავი მიწა, ხოლო შემოსავალი კი 1571 მანეთს უდრიდა<sup>219</sup>.

ბაგრატ ბატონიშვილის ხელში აღმოჩნდა ყოფილი ქსნის საერისთავოში შემავალი მეჯუდის, ისროლის, ქოლოთ-ქვითკირის ხეობები და საკორინთლო<sup>220</sup>, ამის გარდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარე სოფლები ატენი და კოლობეთი (ქოლობეთი). ეს ყმა-მამული ბაგრატს გიორგიმ უკვე 90-იანი წლების დასაწყისში უბოძა, ხოლო მისი (ე. ი. გიორგის) ტახტზე ასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაზარდა ბაგრატის

216 Акты, II, с. 80—85, 520.

217 სცხა. ფ. 1448, № 518.

218 Акты, I, с. 301—308.

219 Акты, II, с. 80—85.

220 Акты, I, с. 72; Акты, II, с. 80—85.

სამფლობელოები და უწყალობა მას ქვემო ქართლში მდებარე თათ-  
რული სოფლები: ვიზიახალი, შამალი, კირიხლუ, დემურჩისლარი, ახმე-  
ტაში 3400 მანეთად შეფასებული დიდი ზეარი, რომელიც 500 მანეთის  
შემოსავალს იძლეოდა. სულ არასრული მონაცემებით XIX ს-ის და-  
საწყისისათვის ბაგრატ ბატონიშვილს ეკუთვნოდა 3 კომლი აზნაური,  
292 კომლი ყმა-გლეხი (870 კაცი და 640 ქალი), 2391 დღიური სახნა-  
ვი მიწა, ვრცელი ტყეები. ბაგრატის წლიური შემოსავალი 2000 მანე-  
თით განისაზღვრებოდა.

თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილს გიორგი XII-მ უბოძა სოფ-  
ლები კარადჯალა, ლომისციხე და ნაზარკეთი. ზუსტი ცნობები გვაქვს  
მხოლოდ კარადჯალაში მცხოვრები მოსახლეობის შესახებ. მათი რაო-  
დენობა კი განისაზღვრებოდა 41 კომლი თათარი ყმა-გლეხით (121  
კაცი და 180 ქალი). ისინი ამუშავებდნენ 166 დღიურ სახნავ მიწას.  
მათგან მიღებული შემოსავალი წლიურად 300 მანეთს აღემატებოდა.  
იგი მის საკუთრებად 1800 წელს გამოცხადდა. არა გვაქვს ასეთივე  
ზუსტი ცნობები ნაზარკეთსა და ლომისციხეზე<sup>221</sup>.

როგორც ვხედავთ, გიორგი XII უკვე აღარ ჰქონია საშუალება  
მნიშვნელოვანი ყმა-მამულის წყალობისა თავისი შვილისათვის, ხოლო  
აღნიშნული სამი სოფლიდან მიღებული შემოსავალი, რასაკვირველია,  
არასაკმარისი იყო ბატონიშვილის არსებობისათვის. ამიტომ გიორგიმ  
მას ყოველდღიური ჯამაგირი დაუნიშნა, რომლის რაოდენობა 10—20  
მანეთს შორის მერყეობდა. ხოლო დღესასწაულების შემთხვევაში კი  
მნიშვნელოვნად იზრდებოდა (მაგალითად ქრისტეშობის, აღდგომის  
დროს, თეიმურაზის სიტყვებით, მას ეძლეოდა 400—600 მანეთი). ამის  
გარდა, გიორგიმ თეიმურაზ ბატონიშვილს მისცა მოსამართლის სახე-  
ლო, რომლისგანაც გარკვეულ შემოსავალს იღებდა<sup>222</sup>. თეიმურაზისა-  
თვის ჯამაგირის დანიშვნა და მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა  
კარგად შეტყვევებს იმაზე, თუ რამდენად შემცირებული და მოშლილი  
იყო სამეფო მიწათმფლობელობა, რომ მეფეს სჭირდებოდა ახალი  
გზების გამონახვა შვილების საარსებო საშუალებებით უზრუნველ-  
ყოფისათვის.

გიორგი XII-მ თავის მცირეწლოვან შვილებს (ჯებრაილი, მიხეი-  
ლი, ილია, ოქროპირი, ირაკლი, თამარი, ანა) საერთო სამფლობელოე-  
ბად გადასცა ფანბაკი, ბორჩალოს სოფელი თულილარი, კახეთში მდებ-  
არე სოფლები: სავარნე (80 კომლი ყმა), ფაშანი (20 კომლი), უჯარმა  
(70 კომლი), ძველი გალავანი შაქრიანი, ტახტის სოფელი (10 კომლი),  
ფიჩხოვანი (7 კომლი), შილდა (14 კომლი). მათ საკუთრებად გამოა-

221 АКТЫ, I, с. 259.

222 АКТЫ, I, с. 310.

ცხადა ალექსანდრე ბატონიშვილის სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილიც: თბილისში მცხოვრები 40 კომლი ყმა-გლეხი, დიდი შულავერი, პატარა შულავერი, არუხლუ (როგორც ზემოთ დავინახეთ, დავით ბატონიშვილმა ალექსანდრეს აღნიშნული სამფლობელოების დიდი ნაწილი თავისი მმართველობის ხანაში მათ ჩამოართვა და სხვებს გადასცა). ამას გარდა, მათი საუფლისწულოს ფარგლებში მოქცეული დიდუბეში მცხოვრები 6 კომლი ყმა-გლეხი, ხოლო დავითმა ჯებრაილს 1801 წელს უბოძა იასე ბარათოვისაგან ჩამორთმეული 1 კომლი ყმა<sup>223</sup>.

რაც შეეხება გიორგის ასულებს სოფიოს, გაიანეს და რიპსიმეს, ისინი გიორგი XII-მ თავისი მეფობის პერიოდში გაათხოვა, მაგრამ მათ არავითარი მზითველი არ გაატანა<sup>224</sup>. შემდგომში დავითმა რიპსიმეს სოფ. ამნეთში ალექსანდრეს კუთვნილი 3 კომლი ყმა გადასცა, ხოლო სოფიოს თავისი სახსრებით უყიდა ბორჩალოში მდებარე 1 სოფელი<sup>225</sup>.

გიორგი XII დროს სამეფო დომენის შემცირებას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხელი შეუწყო აგრეთვე ქვემო ქართლის მუსლიმანური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება განჯაში, ყარაბახსა და სხვა სახანოებში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრის— დავით ბატონიშვილის ხელში აღმოჩნდა ადრე ქართლ-კახეთის მეფეთა დომენში შემაჯავალი ყმა-მამულის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი: თბილისში და მის გარეუბნებში მცხოვრები 49 კომლი ყმა (101 კაცი და 93 ქალი). მათგან 27 კომლი ქალაქის ფარგლებში ცხოვრობდა. განჯის კარებთან მდებარე ვენახი, რომელიც იჯარით წელიწადში 320 მან. გაიცემოდა, დიდი ქვეთვირის სახლი (8000 მანეთად შეფასებული), დუქნები, რომლებიც იძლეოდნენ 300 მანეთზე მეტ შემოსავალს, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რომელთა ქირით გაცემით ბატონიშვილის სალაროში შედიოდა 80 მან., ქარვასლა (იგი დავითმა თავის მეუღლე ელენეს უბოძა). გარეუბნებში მცხოვრები მისი ყმების უმრავლესობა სახლობდა სოღანლულში და სოფ. ძველ ავლაბარში — 11 კომლი (25 კაცი და 15 ქალი). სურამში მას ეკუთვნოდა 43 კომლი ქართველი, სომეხი და ებრაელი ყმა (170 კაცი და 155 ქალი), რომლებიც 180 დღიურ სახნავ მიწას ამუშავებდნენ და აქ მდებარე საბატონიშვილო ვრცელი ტყეებით სარგებლობდნენ. მათგან გადასახადების სახით დავითს შესდიოდა წელიწადში 60 მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამას გარდა, მის ხელთ მოქცეული იყო სურამში მდებარე სამღებრო, რომელიც წელიწადში 120 მანეთად იცემოდა.

<sup>223</sup> АКТЫ, I, с. 214, 222, 301—308; АКТЫ, II, с. 79.

<sup>224</sup> АКТЫ, I, с. 301—308.

<sup>225</sup> АКТЫ, I, с. 80.

დავითის სასარგებლოდ იკრიფებოდა ბაყი იმერეთიდან შემოტანილ საქონელზე. ესეც დაახლოებით 120 მანეთ შემოსავალს იძლეოდა. ვ. ი. სულ სურამიდან მის სალაროში შედიოდა 300 მანეთი. მის სამფლობელოებში შედიოდა ბორჩალოში მდებარე სოფლები: სარალი, თაქალი, ულაჩლა, კარაგანი, არაპლუ (არახლუ), კაი-ხოდჯალი, სეიდ-ხოდჯალი, ხოლიევა სარალი, მამეტლი, ავამამათლო, ბეტარაპჩი, კურჩალა, გულაშლი, ტარკევანი. ამ სოფლებში ცხოვრობდა დაახლოებით 300 კომლი ყმა-გლეხი და მათგან აღებული გადასახადები დავითს წლიურად 2000 მანეთამდე შემოსავალს აძლევდა; დემურჩასალის თათრები — 165 კომლი (270 კაცი და 230 ქალი), (სხვა ცნობით 300 კომლი) — მათგან იკრიბებოდა 1300 მანეთის პროდუქცია; შამშადელის სოფლები: თათილუ და გოგჯალი (ორივეში 150 კომლი ყმა), თათრული სოფ. მულიანო (30 კომლი); ფანბაკში მდებარე სოფ. ქევხალული (მასში ცხოვრობდა 12 კომლი სომეხი ყმა, აქვე აშენებული იყო დიდი ქარვასლა, რომელიც იჯარით წელიწადში 800 მანეთად გაიცემოდა); დოგმათის ველზე ცხოვრობდა 50 კომლი დავითის კუთვნილი ყმა-გლეხი, რომელნიც ეწეოდნენ ქერისა და ბამბის მოყვანას (ბატონიშვილის სალაროში ამ გზით შედიოდა 2000 ფუტი ბამბა). ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მისი ყმა-მამულის არსებობა დასტურდება სხვა დასახლებულ პუნქტებშიც: წალასყურში, კნაკოდჯალაში, ასიამათლში, ახანარსში და სხვ. გიორგიმ თავისი მეფობის დროს ხელთ იგდო იულონ ბატონიშვილის სოფ. შინდისი (47 კომლი ყმა, 418 დღიური მიწა). კახეთში მას ეკუთვნოდა: სოფ. მარილისში 10 კომლი ყმა-გლეხი (140 კაცი და 132 ქალი), 50 დღიური სახნავი მიწა, რომელთაგან გადასახადების სახით შემოსდიოდა 60 მანეთი (40 კოდი პური, 3 საპალნე ღვინო, 10 ცხვარი), თიანეთში — 106 კომლი ყმა (318 კაცი და 296 ქალი); 700 დღიური სახნავი მიწა, 1000 დღიური ფართობი ტყე, აქ მდებარე სამღებრო, რომელიც იჯარით წელიწადში 200 მანეთად გაიცემოდა. სულ თიანეთიდან მიღებული შემოსავალი დაახლოებით 1000 მანეთს უდრიდა (200 კოდი პური, 25 საპალნე ღვინო, 60 ცხვარი და სხვ.), სოფ. ახმეტაში — დიდი ზვარი, რომელიც იძლეოდა 20 საპალნე ღვინოს (დაახლოებით 200 მანეთი), თელავში ორი ბალი და ქვიტკირის სახლი. მთლიანად დავით ბატონიშვილის ხელში მოექცა 1034 კომლი ყმა-გლეხი, ხოლო შემოსავალი კი 10000 მანეთს აღწევდა<sup>226</sup>.

თავისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში იგი აქტიურად იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების

<sup>226</sup> АКТЫ, I, с. 80, 301; АКТЫ, с. 72, 80—85; АКТЫ, IV, с. 1145; სცხა, ფ. 254, აღწ. 1, საბ. №34, გვ. 83—84.

სათვის. მან, პირველ ყოვლისა, შეუტია საუფლისწულოებს და, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩამოართვა ყმა-მამული იულონს, ალექსანდრესა და მირიანს. ამ ბრძოლაში მას დასაყრდენი ძალა ესაჭიროებოდა და ასეთად მან მიიჩნია თავადაზნაურობა, რომელსაც უკან დაუბრუნა თეიმურაზისა და ერეკლესგან ჩამორთმეული სამფლობელოების უდიდესი ნაწილი, რათა გადმოეზიარებინა ეს უკანასკნელნი თავის მხარეზე ბიძების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დავითის მიერ ქსნის ერისთავებისათვის მათთვის ადრე წართმეული მიწების დაბრუნება: „დავითმან მიულო ქსანი ძმასათვისსა იოვანეს და ბაგრატს და ლიახვი და გვერდის ძირი ბიძასა თვისსა იულონ და მისცა კვალად ქსნის ერისთავთა, რომელიც ქონდათ გამორთმეული ორმეოცესა წელსა მეფისა ირაკლისაგან“<sup>227</sup>. ამ ცნობიდან ჩანს, რომ დავითმა შეუტია არა მარტო ერეკლეს დროს ჩამოყალიბებულ საუფლისწულოებს, არამედ თავის ძმებისასაც. თავისი მოწინააღმდეგეების მომხრეებს დავითი ართმევდა ყმა-მიწებს და ყოველგვარ საკუთრებას. მაგალითად, გორის მედიქ ავთანდილ თაინანოვს მამული ჩამოართვა გორში, გივი ციციშვილს მისი წილი ქონება სოფ. წავკისში და სხვ.<sup>228</sup>. მაგრამ დავითს ბოლომდე არ დასცალდა თავისი მიზნების განხორციელება, ვინაიდან 1801 წელს 12 სექტემბერს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

### 3. სადედოფლო

ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე XVI ს-ის მეორე ნახევრიდან დასტურდება „სადედოფლოს“ არსებობა, მის ფარგლებში მნიშვნელოვნად უფრო ვრცელი ტერიტორიები ჩანს მოქცეული, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა კახეთის სამეფოში.

თავიდანვე სადედოფლო სამფლობელოები ჩანს ქართლის ქალაქებში: თბილისში, გორში, ცხინვალსა და ალში.

XVI საუკუნიდან XVIII ს-ის 80-იან წლებამდე თბილისში დედოფლის ქონების ზუსტი აღნუსხვა არ ზერხდება წყაროთა სიმცირის გამო, თუმცა შემოგვრჩა ცნობები აქ დედოფლის კუთვნილი ყმა-გლეხების, ვაჭრების, აზნაურების, ქარვასლების, აბანოების, სამღებროს და სხვა დაწესებულებების არსებობის შესახებ<sup>229</sup>. ზუსტი სურათის მოცემა მათი რაოდენობისა და მათგან მიღებული შემოსავლის

<sup>227</sup> დავით ბაგრატიონი, გვ. 15.

<sup>228</sup> Акты, I, с. 301—308.

<sup>229</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 716; საქართველოს სიმეფლენი, გვ. 275, ს. № 338; საქართველოს სიმეფლენი, III, გვ. 6; ს. 7, გვ. 259, ს. 246.

შესახებ ხერხდება მხოლოდ XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან. ამ დროს ჩატარებული ქ. თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთრის მიხედვით, დედოფლის მფლობელობაში მოქცეული ჩანს 248 კომლი<sup>230</sup>. XIX ს-ის დასაწყისში კი, როგორც რუსეთის მმართველობის მიერ შედგენილი უწყისიდან დგინდება, დედოფალთა ყმების რაოდენობა თბილისში მნიშვნელოვნად შემცირებულა და არ აღემატებოდა 68 კომლს (დიდმის გამოკლებით)<sup>231</sup>. სხვა ცნობებით, თბილისში, გარეუბნების ჩათვლელად, დედოფალს ეკუთვნოდა მხოლოდ 29 კომლი ყმა<sup>232</sup>.

მნიშვნელოვნად შემცირებულა ასევე ქ. თბილისში მდებარე სადედოფლო სამღებროს საიჯარო შემოსავალი: 700 თუმნიდან 240 თუმნამდე (სხვა ცნობით, 500 თუმნამდე)<sup>233</sup>.

სამღებროთა საკითხს ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით, რადგან მისგან მიღებული შემოსავალი დედოფლის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. გარდა სამღებროსი, თბილისში დედოფალი იჯარით გასცემდა თავის კუთვნილ სხვა დაწესებულებებსაც. მაგალითად, 80-იან წლებში ქუზახანის იჯარით გაცემა დედოფლის სალაროს 20 მორჩილს აძლევდა<sup>234</sup>.

საუკუნის მიწურულისთვის ჩელიექის, აბანოსა და დუქნების იჯარით გაცემა წლიურად 160 თუმანს იძლეოდა. თბილისში დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდა 2 ბალი, რომლის იჯარა შეადგენდა 24 თუმანს, ერთი ბალი კი იყო მარიამ დედოფლისა. ყასაბხანა იძლეოდა 16 თუმანს. აქვე დედოფალს ჰქონდა წისქვილები და ზეთსახდელი<sup>235</sup>.

ქართლის სიდიდით მეორე ქალაქ გორში, სადედოფლო სამფლობელოების არსებობა დასტურდება XVI ს-ის მეორე ნახევრიდან. სვიმონ I მეუღლე ნესტან-დარეჯანის (1556—1600 წწ.) მიერ გიორგი სააკაძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...მას უამსა ოდეს მოგვიდქით კარსა და გორს ერთს კვამლს ვაჭარს გუაჯეთი, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ და მოვიბოძეთ გორს ნირნიკას შვილი თოხარიკი აბოვაი და მისი შვილი“<sup>236</sup>.

XVII ს-ში მარიამ დედოფლის (თანამეცხედრე როსტომ მეფისა (1633—54 წწ.) და შაჰნავაზისა (1658—76 წწ.) საკუთრების ქვეშ გარ-

<sup>230</sup> საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 140.

<sup>231</sup> Акты, I, с. 207; Акты, II, с. 79.

<sup>232</sup> სცსა, ფ. 254, ა. 1, ს. № 34.

<sup>233</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 322—324.

<sup>234</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 716.

<sup>235</sup> Акты, I, с. 207; Акты, II, с. 60, 79; საქართველოს სიძველენი, III, №311.

<sup>236</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, 13050.

და გორში მცხოვრები ყმა-მამულისა და ვაჭრებისა, მოქცეული ჩანს გორის სამღებროც<sup>237</sup>.

XVIII ს-ში რაოდენობის მკვეთრად შემცირების ტენდენცია სადედოფლო მფლობელობას ახასიათებს ქალაქ გორშიც. აქ XVIII ს-ის პირველი ათწლეულების აღწერის მიხედვით, მხოლოდ დედოფლის ყმა-ვაჭრებს: ამირალაშვილ ფარსადანას, სულხანიშვილს ბახუდარას, მამაჯანაშვილ გივის და ენგუაშვილ ღვთისავარს ჰყოლიათ 39 კომლი ყმა-გლეხი<sup>238</sup>. ამავე დროს დედოფალს აქ ჰყოლია სხვა ყმა-გლეხები და აზნაურებიც (მაგ., აზნ. დოღმაზაშვილი)<sup>239</sup>. XIX ს-ის დასაწყისისთვის კი გორში დედოფალს მხოლოდ 24—28 კომლი გლეხი ეკუთვნოდა<sup>240</sup>.

ქ. ცხინვალში სადედოფლოს გაჩენა უკავშირდება მარიამ დედოფლის სახელს (XVII ს-ის 60-იანი წლები)<sup>241</sup>.

XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის დასაწყისის აღწერის დავთრებისა და უწყისების ცნობებით, ცხინვალში დედოფალს ჰქონდა 50—60 დღიურსახნავი მიწა, ზვარი და 10 ვერსის გარშემოწერილობის ტყე. ჰყავდა 6 კომლი ყმა აზნაური (19 კაცი და 48 ქალი), 51 კომლი ქართველი ყმაგლეხი (174 და 187 ქალი), 7 სომეხი ვაჭარი (26 კაცი და 48 ქალი), სხვადასხვა მხარეებიდან და კუთხეებიდან მოსული 36 კომლი ხიზანი (71 კაცი და 48 ქალი). სხვა ცნობების მიხედვით, XIX ს-ის დასაწყისში დედოფალს აქ მხოლოდ 30 კომლი ყმა-გლეხი ეკუთვნოდა<sup>242</sup>. დედოფლის ყმებს გარდა ცხინვალში ცხოვრობდა სხვა მებატონეების 122 კომლი ყმა-გლეხი<sup>243</sup>. ამ დაბის მოურაობა ამილახვრების კუთვნილება იყო<sup>244</sup>.

დაბა ალი სადედოფლოს ფარგლებში მოქცეული ჩანს XVI ს-ის მეორე ნახევრიდან. 1584 წელს სვიმონ I ბრძანებით მის შეუღლეს დედოფალ ნესტან-დარეჯანს იგი ჰპარემელ მირიმან, ნურალ და უანდურელისათვის (ნარიმანიშვილები) უწყალობებია<sup>245</sup>. მარიამ დედოფლის დროს ალში კვლავ დასტურდება სადედოფლო ყმა-მამულის არსებობა<sup>246</sup>. აქედან მოყოლებული XIX ს-ის დასაწყისამდე ალის ტერიტო-

<sup>237</sup> ვსიემ, № 184.

<sup>238</sup> საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 259.

<sup>239</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, 1943, გვ. 211, № 339.

<sup>240</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III 311—295, **АКТЫ I**, С. 207, 214, 222, **АКТЫ II**, С. 79.

<sup>241</sup> სცსა, ფ. 1449, ს. 2663.

<sup>242</sup> საქართველოს სიძველენი, II, გვ. 274, ს. 336.

<sup>243</sup> **АКТЫ I**, с. 73.

<sup>244</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14852 ა და ბ; **АКТЫ**, с. 194.

<sup>245</sup> სცსა, ფ. 1449, ს. 1025.

<sup>246</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, 765.

რიაზე მუდამ ჩანს სადედოფლო მფლობელობა. XVIII ს-ის ბოლო მეოთხედის წყაროების თანახმად აღში 34 კომლი ყმა სახლობდა, რომელთაგანაც 7 კომლი (27 კაცი და 21 ქალი) დედოფალს ეკუთვნოდა, მათ სარგებლობაში ყოფილა დედოფლის კუთვნილი 60 დღიური სახნავი მიწა და ამ დაბის ახლომდებარე 10 ვერსის გარშემოწერილობის ტყე<sup>247</sup>.

გარდა ქალაქებსა და დაბებში ზემოაღნიშნული საკუთრებისა, XVI ს-ის მიწურულსა და XVII ს-ის I ნახევარში სადედოფლო ყმამულის არსებობა დასტურდება: სოფელ დაღეთში<sup>248</sup>, ტრეში<sup>249</sup>, ცხირეთში და სამებაში<sup>250</sup>, ქვემო ბოლნისში, გუდარეხი<sup>251</sup>, კარალეთში, ნიქოზში<sup>252</sup>, მამისდაბში<sup>253</sup>, ჩალის-ციხეში, ოძისში<sup>254</sup>, დირბში, დარუბანდში<sup>255</sup>, XVII ს-ის მთელ სიგრძეზე მეჯვრისხევეში<sup>256</sup>, ირგში<sup>257</sup>, შულავერსა<sup>258</sup> და კისისხევეში<sup>259</sup>. XVII ს-ის დასაწყისიდან XVIII ს-ის 90-იან წლებამდე ქართლის სადედოფლოში მოქცეული იყო ყმა-მამული ქვემო ქართლის დასახლებულ პუნქტებში: დიდ გომარეთში<sup>260</sup>, ურცევანში<sup>261</sup>, წინწყაროში<sup>262</sup>, ახალდაბაში<sup>263</sup>, შუა ბოლნისში<sup>264</sup>, თეთ-

<sup>247</sup> Акты, I, с. 73.

<sup>248</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, 138.

<sup>249</sup> სცსა, ფ. 1449, ს. 1025; ფ. 1450, დ. 26, ს. 3 (ა), 4, 7.

<sup>250</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, 14417.

<sup>251</sup> სცსა, ფ. 1449, ს. 2639; ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 14667 ა.

<sup>252</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 35, ს. 88; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad 1504.

<sup>253</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 2091.

<sup>254</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 5617.

<sup>255</sup> სცსა, ფ. 1550, დ. 10, ს. 123.

<sup>256</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 8760; ფ. 1461, დ. 3, ს. 127.

<sup>257</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 10, ს. 122.

<sup>258</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 10, ს. 122.

<sup>259</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1431.

<sup>260</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 711, 721, 1721 წლის აღწერა, გვ. 107, სცსა, ფ. 1448, ს. 3626, Акты, I, с. 207; Акты, II, с. 79.

<sup>261</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 712, 721; საქართველოს სიძველენი, ტ. II, 484—509, Акты, I, с. 207; Акты, II, с. 79.

<sup>262</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 708, 721; 1721 წლის აღწერა, გვ. 109; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 203, 252; საქართველოს სიძველენი, ტ. III, 311—295; Акты, I, с. 194, 214, 461; მასალები საქართ. ეკ. ისტ. ტ. III, გვ. 272, № 382.

<sup>263</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 713, საქართველოს სიძველენი, III, 311—295; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 136.

<sup>264</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 709, 721; 9—10; 1721 წლის აღწერა, გვ. 225, 232, 241, 243, 256, 397, 405; სცსა, ფ. 1448, № 503, ს. 2293, ფ. 1450, დ. 34, № 214.



რი სოფელში<sup>265</sup>; ზემო ქართლში: კეხეში, აჩაბეთში<sup>266</sup>, ოფრეთში<sup>267</sup>, რუისში (ნაწილობრივ)<sup>268</sup> და არადეთში<sup>269</sup>.

გარდა აღნიშნული სოფლებისა ქართლის სადედოფლოს დარგ-  
ლებში საკვლევი პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთში შედიოდა უმა-  
მული შემდეგ სოფლებში: XVII ს-ის 80-იან წლებსა და XVIII ს-ის  
პირველ მეოთხედში: ტაბახმელში<sup>270</sup>, ქარელში<sup>271</sup>, კუმისში<sup>272</sup>, ოსია-  
ურში<sup>273</sup>, თამარაშენში<sup>274</sup>, პატარა ანუ ძველ გომარეთში<sup>275</sup>, ნახიდურ-  
ში<sup>276</sup>, ტაშისკარში<sup>277</sup>, სადაყულებოში<sup>278</sup>, დილოშში<sup>279</sup>, ოძისში, ხაშურ-

265 1721 წლის აღწერა, გვ. 244, საქართველოს სიძველენი, I, № 395.

266 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 721, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 304—290, 311—295; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. II, გვ. 125, 147, 152, 162, 183.

267 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 710, 721, საქართველოს სიძველენი, III, 311—295; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 136.

268 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 721, სცსა, ფ. 1450, დ. 221, ს. № 56 (ა); საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. II, გვ. 101, 112, 147, 151, 162, 183; საქართველოს სიძველენი, ტ. III, 311—295.

269 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 715, ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1592, 831, 1548, 3213, ფ. Sd 6919; საქართველოს სიძველენი, III, 311—295. საქარ-  
თველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. II, გვ. 111, 146, 151, 157, 184.

270 სცსა, ფ. 1448, ს. № 1092; 1721 წლის აღწერა, გვ. 107; საქ. ეკ. ისტ. ძეგ-  
ლები, ტ. II, გვ. 155, 160;

271 1721 წლის აღწერა, გვ. 105.

272 1721 წლის აღწერა, გვ. 110, 142, 146, 147, 148, 149; საქართველოს ეკო-  
ნომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 179, ტ. II, გვ. 160.

273 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd 2909, ისტორიული საბუთები, ტ. IV, გვ. 12—  
15; სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 711, სცსა, ფ. 1450, დ. 44, ს. № 117, ფ. 1448, ს. № 12; ფ. 1450, დ. 34, ს. № 115 (3); საქართველოს ეკონომიკური ის-  
ტორიის ძეგლები, ტ. II, გვ. 100.

274 1721 წლის აღწერა, გვ. 110, 142, 146, 147, 148, 149; საქართველოს ეკო-  
ნომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 179, ტ. II, გვ. 160.

275 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 2909, ისტორიული საბუთები, ტ. IV, გვ. 12—  
15; სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 711, სცსა, ფ. 1450, დ. 44, ს. № 117, ფ. 1448, ს. № 12; ფ. 1450, დ. 34, ს. № 115 (3); საქართველოს ეკონომიკური ისტო-  
რიის ძეგლები, ტ. II, გვ. 100.

276 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 721; საქართველოს ეკონომიკური ის-  
ტორიის ძეგლები, II, გვ. 183.

277 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 712; საქართველოს სიძველენი, ტ. II, 484—509, 1721 წლის აღწერა, გვ. 109.

278 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 793, 721, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 220, № 261.

279 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 722, I, გვ. 461.

ში<sup>280</sup>, ჩხეკვი<sup>281</sup>, საქაშეთში<sup>282</sup>, ატენში (აქ სადედოფლო ზვრები ჩანს XVII ს-ის დასაწყისიდან)<sup>283</sup>, ჩეხურში<sup>284</sup>, ხუჯაბში, ზემო ხუჯაბში, შაქარაში, ჭიპეჭებში<sup>285</sup>, თიღვითში<sup>286</sup> და სურამში (ამ უქანასკნელში არსებობდა დედოფლის კუთვნილი სამღებრო)<sup>287</sup>, დემოთში<sup>288</sup>, თორტიზში<sup>289</sup>, ჩხიკვაში, სათორნეში<sup>290</sup>.

XVIII ს-ის შუა ხანებში: ორსივ ეგრისებში, ჩამძღვრალაში, ქციის ჯანდარაში<sup>291</sup>, გულთაფაში<sup>292</sup>.

XVIII ს-ის 80—90-იან წლებში დედოფლის კუთვნილი ყმა-გლეხები და მამულები, გარდა აღნიშნული სოფლებისა, ჩანს ტალავერში<sup>293</sup>, ავჭალაში<sup>294</sup>, დიდუბეში<sup>295</sup>, ხევისნიფევეში<sup>296</sup>, ავლაბარში<sup>297</sup>, ქოლაგირში<sup>298</sup>, მალაყიშლარში<sup>299</sup>, ახილოში<sup>300</sup>, უზუნდარაში, დისევეში, ახალ სოფელში, მამაიში<sup>301</sup> და გოგის სოფელში<sup>302</sup>. წყნეთში<sup>303</sup> აღნიშნულ

280 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 721, ხელნაწერთა ინსტიტუტი, 14492.

281 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 718, სცსა. ფ. 1448, № 438. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 161.

282 ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1676.

283 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 721, სცსა, ფ. 1448, № 1555.

284 ქრონიკები III, გვ. 67—68; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 124.

285 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 716, ხელნაწერთა ინსტიტუტი, 8534, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 253.

286 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 9520.

287 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 2522.

288 სცსა, ფ. 1450, დ. 46, ს. № 76.

289 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd, № 858.

290 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 153—154, ს. № 176.

291 დოკ. საქ. სოც. ისტ., ტ. I, გვ. 343, № 485.

292 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1515, სცსა, ფ. 1450, დ. 18, № 109 (3).

293 საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 136.

294 სცსა, ფ. 1448, № 493.

295 მას. საქ. ეკ. ისტ., ტ. III, გვ. 272, № 389; საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, გვ. 161, I, 194.

296 Акты, I, с. 301.

297 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 249, № 261, № 262, გვ. 295, № 31;

Грузинские крепостные грамоты и судебные акты, с. 62, 66, Акты, I, с. 207, 461, Акты, II, с. 60, 79, 80—85, 207, სცსა, ფ. 254, აღ. 1, ს. 34.

298 საქართველოს სიძველენი, II, ს. № 226; საქართველოს სიძველენი, III, 311—295; ქართული სამართლის ძეგლები, II, 591, 599, III, გვ. 272, ს. № 384.

299 საქართველოს სიძველენი, III, 311—295.

300 Акты, III, с. 73.

301 Акты, I, с. 214, 222, 461 (მამათზე დამატებით II, 80—85).

302 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1061.

303 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 185.

პერიოდში დედოფალს ეკუთვნოდა გახარაბებული სამოსახლოები: ხასანგუმბეთი და გოგათანა. ამ უკანასკნელში XVIII ს-ის მიწურულში თავისი ყმა-გლეხებიც დაუსახლებია სოლომონ დოღგორუკოვ-არგუთინსკის, რომლებიც იხდიდნენ მიწით სარგებლობისათვის დედოფლის სასარგებლოდ 140 კოდ ჰურს<sup>304</sup>.

ქართლის სადედოფლოს შემადგენლობაში შედიოდა თათრული ელებიც. XVII ს-ის 80-იან წლებში: ალგეთის ხეობაში, ნახიდურსა და ჯავანშირს შუა მსახლობელი ელი<sup>305</sup>. XVIII ს-ის 30-იან წლებში — თათრული სოფელი არახლე (არახლუ). ეს უკანასკნელი თამარ დედოფალმა 1736 წელს უწყალობა აბელ ანდრონიკაშვილს: „...ჩვენი სადედოფლო ელი არახლუ თქვენთვის სამკვიდროდ გვიბოძებია“, — კვითხულობთ მისი წყალობის წიგნში<sup>306</sup>. გიულდენშტედტის ცნობით, სადედოფლოს შემადგენლობაში XVIII ს-ის 70-იან წლებში შედიოდა თათრული სოფლები: ყული, მარსანასა და იმრაზი<sup>307</sup>. XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში ასეთებად ჩანან ყოშაქლისის ელი<sup>308</sup> და ხასან-ხოჯალის თათრები<sup>309</sup>.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ სადედოფლო სამღებროთა საკითხს, ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათგან მიღებული შემოსავალი დედოფლის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

სამღებროთა საკითხის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. ბერძენიშვილმა, თავის ნაშრომში „სამღებროთა შესახებ XVIII ს-ის საქართველოში“ მკვლევარმა ცხადყო, რომ ქართლის სამეფო ტერიტორიაზე მდებარე სამღებროები XVIII ს-ის დასაწყისში ყველა სადედოფლო იყო, ხოლო შემდეგ წარმოიქმნა საუფლისწულო, სათავადო და საეკლესიო სამღებროებიც. ავტორის ვარაუდით, ქართლში XVIII ს-ის მიწურულში იყო 30—35 სამღებრო, რომელთა უდიდესი ნაწილი სადედოფლო იყო და მათგან დედოფალი წლიურად 960-დან 1050 თუმანამდე შემოსავალს იღებდა (თბილისის იჯარის გამოკლებით). შემოსავლის სიდიდის მიხედვით ქართლში თბილისის სამღებროს შემდეგ მოდიოდა გორის (160 თუმანი), ცხინვალის (ამდენივე), ანანურის (65 თუმანი), დუშეთის (70 თუმანი), სურამის (12 თუმანი) და სხვ. რაც შეეხება კახეთს, აქ ავტორი ვარაუდობს 16—20 სამღებროს,

304 Акты, II, с. 207.

305 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 717.

306 სესა, ფ. 1448, № 128, საქართველოს სიძველენი, III, 471—443; Акты, I, с. 461.

307 გიულდენშტედტის მოგზაურობა, ტ. I, გვ. 73.

308 საქართველოს სიძველენი, III, 311—295; Акты, I, с. 207, 222.

309 Акты, с. 204, 207, 222; Акты, II, с. 79; საქართველოს სიძველენი, I, 83—311—295.

რომელთაგან 6—7 დედოფლის იყო და მათი საიჯარო შემოსავალი 200 თუმანს აღწევდა<sup>310</sup>. ჩვენი აზრით, მკვლევარის ვარაუდი კახეთის სამღებროთა რაოდენობაზე დასაზუსტებელია. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის მმართველობის შედეგნილი უწყისებიდან ჩანს, რომ სამღებროთა რაოდენობა კახეთში მნიშვნელოვნად უფრო მეტი იყო და აღწევდა 61-ს, საიდანაც 16 დედოფალს ეკუთვნოდა: სიღნაღის (20 თუმანი), მალაროს (12 თუმანი), ნუკრიანის (6 თუმანი), არბოშიკის (2 თუმანი), მირზაანის (8 თუმანი), პრასიანის (3 თუმანნახევარი) და სხვ. დანარჩენი სამღებროები სათავადო და საეკლესიო იყო, მაგრამ მათი შემოსავლის გარკვეული ნაწილიც დედოფლის სალაროში შედიოდა. მაგალითად, სათავადო სამღებროებიდან დედოფალს ეძლეოდა: კარდანახიდან — 3 თუმანი, მელაანიდან — 8 მანეთი, ჰხოველიდან — 3 თუმანი, ვეჟინიდან — 4 თუმანი, ბაკურციხიდან — 4 თუმანი, მონასტრის კუთვნილი სამღებროდან კი, რომელიც სოფ. მაშნარში მღებარეობდა, 5 თუმანი და სხვ.<sup>311</sup>

ყოველივე ეს ადასტურებს აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდს, რომ სამღებროები თავიდან მხოლოდ სადედოფლო იყო. ამაზე მეტყველებს სხვა ფაქტებიც. 1588 წელს დედოფალ ნესტან-დარეჯანის სიგელიდან ირკვევა, რომ სვიმონ I იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავს სოფ. დირბი, ხოლო ამ სოფლის სამღებროს შემოსავალი კი აღნიშნული სიგელით ნესტან-დარეჯანს უწყალობებია ამ მონასტრისათვის<sup>312</sup>.

XVII საუკუნეში მარიამ დედოფლის მოხელეებს შორის ჩანს მღებართუხუცესი<sup>313</sup>. კახეთის სამღებროების შემოსავლის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს, აგრეთვე, მარიამ დედოფლის მიერ რუსეთის ხელისუფლებისათვის წარდგენილი საშემოსავლო ნუსხა, სადაც მისი რაოდენობა 400 თუმნით განისაზღვრება<sup>314</sup>.

სულ ქართლ-კახეთში, ნ. ბერძენიშვილის აზრით, სამღებროთა საიჯარო ფასი უნდა ყოფილიყო 2072 თუმნიდან 2410 თუმნამდის. ეს ჩვენ რამდენადმე გადაჭარბებულად გვეჩვენება: წლიური სადედოფლო შემოსავალი ზემოთ აღნიშნული მარიამ დედოფლის უწყისის ჩვენებით, XVIII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის დასაწყისში შეადგენდა 41195 და 50 კაპიკს, მაგრამ, სხვა წყაროები მოწმობენ, რომ ეს თანხა მნიშვნელოვნად გაზვიადებულია. მათი მიხედვით, XIX ს-ის დასაწყისში

310 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., გვ. 322—324.

311 სცსა, ფ. 254, აღ. 1, ს. 34 АКТЫ, II, с. 80—85.

312 სცსა, ფ. 1450, დ. 51, ს. 178.

313 ნ. ბერძენიშვილი, ტ. III, გვ. 272, № 389.

314 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის.

სადედოფლოს (როგორც მარიამ დედოფლის, ისე დარეჯანის სამფლობელოებს) მიეკუთვნებოდა დაახლოებით 860 კომლი ყმა და დედოფლების მიღებული შემოსავალი უდრიდა ფულის იმდრთინდელ კურსზე გადაყვანით 13835 მან. და 20 კაპიკს. ამას გარდა, გადასახადებისა და ვალდებულებების სახით შესდიოდათ 2777 კოდი პური და ქერი (ამას დამატებით 24 ხარვალი ქერი და პური), 192 საპალნე ლენო, 80 ლიტრა ბამბა, 52 ლიტრა აბრეშუმი, 6 საპალნე არაყი, 6 ლიტრა სანთელი, აქ ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ იმ დასახლებულ პუნქტებსა და მათგან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც დროებით გადავიდა დარეჯან დედოფლის ხელში, უფლისწულების საქართველოდან გაქცევის შემდეგ).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადედოფლოს ტერიტორიული ფარგლები ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე საკვლევ პერიოდში განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. განვიხილოთ ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები.

სადედოფლოს შემცირების მიზეზებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ:

1. საგარეო ფაქტორი — მტრის შემოსევები და რბევა-თარეში ხელს უწყობდა სადედოფლო ყმა-მამულის შემცირებას თბილისში, გორში და სადედოფლოში შემავალ ყველა დასახლებულ პუნქტში. მაგალითად, ჩვენ დასახლებულ ქვემო ქართლის სოფლებში: დიდ გომარეთში, ურცევანში, წინწყაროში, ახალდაბაში. შუა ბოლნისში და თეთრ სოფელში 1721 წლის აღწერით ირიცხებოდა 207 გამოძლები და 50 ბოგანო მოლაშქრე სადედოფლო ყმა. XVIII ს-ის მიწურულისთვის ყველა ისინი გახარაბებული ჩანან. მათი მოსახლეობის ნაწილი საგარეო მტრების შემოსევების შედეგად გაწყვეტილა, ნაწილი კი გახიზნულა ქართლის სხვადასხვა მხარეში (მაგალითად, წინწყაროელი 30 კომლი გლეხი დარეჯან დედოფალს კუკიაში დაუსახლებია).

ასეთი მდგომარეობა საერთოდ დამახასიათებელია მთელი ქვემო ქართლისათვის (თრიალეთი, ტაშირი, ყაიყული), სადაც სამეფო დომენი ყველაზე კომპაქტური იყო. ზემო ქართლის სოფლებს: კეხვს, აჩაბეთს, რუისსა და არადეთს ასცდენიათ ქვემო ქართლის სოფლების ხვედრი. XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში აჩაბეთში სახლობდა 7 კომლი ყმა-გლეხი, აქედან — 6 კომლი სადედოფლო, კეხვში — 43 კომლი სადედოფლო ყმა. დასახლებული სამოსახლოა არადეთიც, ბოლო სოფელი ოფრეთი XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან გაუკაცრიელებულია (1781 წლის არაგვის საერისთაოს ბარის სოფლების აღწერის დავთარ-

ში სასახლის დუშეთში ჩანს 2 კომლი სადედოფლო ოფრეთელი ხი-  
ზანი ყმა<sup>315</sup>).

როგორც ზემოთ დავინახეთ, კახეთშიაც ანალოგიურ სიტუაციას-  
თან გვაქვს საქმე. აქ XVIII ს-ის ბოლოს სადედოფლოს ფარგლებში  
შემავალი 5 სადედოფლო სოფლიდან სამი გახარაბებული იყო XVIII  
ს-ის 50—60-იან წლებამდე.

2. სადედოფლოს ტერიტორიულ შემცირებას ხელს უწყობდა მე-  
ფეთა და დედოფალთა მიერ ყმა-მამულის წყალობად გაცემა. მაგალი-  
თად, მარიამ დედოფალმა სოფელი ახილო უწყალობა თავის მამას—  
გიორგი ციციშვილს<sup>316</sup>. ამ უკანასკნელს გადასცემია სოფ. რუისში მო-  
სახლე 6 კომლი ყმა-გლეხიც. კერძო მებატონეების ხელში მარტო  
XVIII ს-ის II ნახევარში გადასულა სადედოფლო სოფლები: ტაბახმე-  
ლა, ქარელი, საქაშეთი, კუმისი, ოსიაური, თამარაშენი<sup>317</sup>, საუკუნის მი-  
წურულში სოფ. არადეთიც.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ სოფლების უმეტე-  
სობა მეფეს თავისი ნება-სურვილით უწყალობებია სხვადასხვა ფეო-  
დალური სახლის წარმომადგენლებისათვის. მაგალითად, ერეკლე II  
1781 წელს თეთრი სოფელი სულხან თუმანიშვილისათვის უბოძებია<sup>318</sup>,  
ხოლო არადეთი კი 1794 წელს ზურაბ წერეთლისათვის: „გიბოძეთ  
სახასო სადედოფლო არადეთი ყოველი შიგან მსახლობელი აზნაური-  
შვილის იშხნელით და გლეხებით“<sup>319</sup>. ერეკლე II-ს თავისი სურვილით  
გაუცია ბოლნისი და უწყალობებია იგი ყარაბაღიდან მოსულ მელიქ  
ჯემშიდისათვის იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი აქ თავის ქვეშევრ-  
დომებს დაასახლებდა<sup>320</sup>. გიორგი XII-ს კეხვში მცხოვრები 3 კომლი  
სადედოფლო ყმა — მაჩაბლისათვის უბოძებია. ანალოგიური ფაქ-  
ტები დამოწმებულია XVII ს-შიც. ამას თუ იმასაც დაუვმატებთ, რომ  
სადედოფლოს გამგებელი მოხელეების დანიშვნა მეფის კომპეტენცია-  
ში შედიოდა, ყოველივე ეს კარგად ადასტურებს, რომ სადედოფლო  
ყმა-მამულის განმკარგულებელი საბოლოო ანგარიშში მეფე იყო და  
სადედოფლო განიხილებოდა როგორც სამეფო დომენის განუყოფელი  
ნაწილი და დროებითი სამფლობელო.

315 საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. 1, გვ. 136.

316 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 360, ს. № 343; АКТЫ, III, с. 73.

317 1721 წლის აღწერა, გვ. 105—149; ისტორიული საბუთები, ტ. IV, გვ. 12,  
ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 2909; სცსა. ფ. 1450, დ. 44, № 117, ფ. 1448, ს.  
№ 112, დ. 1450, დ. 34, ს. № 115; АКТЫ, I, с. 461.

318 საქართველოს სიძველენი, I, № 395; АКТЫ, I, с. 207.

319 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 3213.

320 АКТЫ, I, с. 162.

3. XIII ს-ის მიწურულში სადედოფლო მნიშვნელოვნად შემცირდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ბატონიშვილების მფლობელობაში გადასვლის შედეგად. ამ საკითხზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული გენ. ლაზარევის გენერალ კნორინგისადმი გაგზავნილ წერილში, საიდანაც ჩანს, რომ ერეკლე II განკარგულებით დარეჯან დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელოები უნდა განაწილებულიყო ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებს შორის<sup>321</sup>. წყაროები მოწმობენ, რომ ალექსანდრეს საკუთრება ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ, თავისი დედის დარეჯანის გარდაცვალებამდე გამხდარა ცხინვალში მცხოვრები სადედოფლო ყმა-გლეხების ნაწილი და სოფელი არუხლო (აქ სახლობდა 70 კომლი თათარი), მამულები სოფელ ხალათში<sup>322</sup>. რაც შეეხება ფარნაოზ ბატონიშვილს, მისი საბატონიშვილოს ფარგლებში სადედოფლო ტერიტორიები არ შესულა, ვინაიდან ისინი ხელში ჩაუგდია იულონ ბატონიშვილს. კერძოდ, მას გადასცემია სოფლები: კეხვი და აჩაბეთი, 1795 წელს სოფელ ალში მოსახლე 7 კომლი ყმა, ცხინვალსა და სოფ. ხალათში მდებარე სადედოფლო მამულების ნაწილი<sup>323</sup>.

დარეჯან დედოფალს სადედოფლო საკუთრებიდან უბოძებია, აგრეთვე, ბატონიშვილ თეკლესათვის ავლაბარში 3000 მანეთად შეფასებული, მის მიერ გაშენებული ბაღი, რომელიც 160 მანეთ წლიურ შემოსავალს იძლეოდა<sup>324</sup>.

ამგვარად, თუ ადრე სადედოფლო ერთი დედოფლიდან მეორე დედოფლის ხელში გადადიოდა, XVIII ს-ის მიწურულისათვის მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ახლად წარმოქმნილ საუფლისწულოების შემადგენლობაში შესულა.

დარეჯან დედოფლის დარჩენილი სადედოფლოს უდიდესი ნაწილი გიორგი XII-მ ჩამოართვა ამ უკანასკნელს და გადასცა თავის თანამეცხედრე მარიამ დედოფალს 1800 წლის 30 აპრილს<sup>325</sup>. ეს აქტი სავსებით ბუნებრივი ჩანს, თუმცა გენ. კნორინგი ამას ხსნის იმ გარემოებით, რომ დარეჯანმა გაალიზიანა გიორგი XII მის წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგებითა და ძალაუფლების მოყვარეობით<sup>326</sup>. დარეჯან დედოფალი რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ თხოვნაში გიორგი XII-ს აღნიშნულ აქტს უკანონოდ თვლიდა, ვინაიდან ამტკიცებდა, რომ სადედოფლო ყმა-მამულის უდიდესი ნაწილი მისი პირადი მოღვა-

321 Акты, II, с. 431.

322 Акты, II, с. 80—85; Акты, VI, с. 815.

323 Акты, I, с. 222, 301; Акты, II, с. 80—85.

324 ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2026, Hd 11457.

325 Акты, I, с. 204, 219, 222; Акты, II, с. 79.

326 Акты, I, с. 80—85.

წეობით შესულა სადედოფლო საკუთრებაში და არ ყოფილან ვად-  
ცემული მისთვის სადედოფლოს წინა მპყრობელთაგან<sup>327</sup>, რაც ნაწი-  
ლობრივ სიმართლეს წარმოადგენდა.

მარიამს გადასცემია დარეჯან დედოფლის შემდეგი სამფლობე-  
ლოები: თბილისისა და კახეთ-ქიზიყის სამღებროები, კუკიაში მცხოვ-  
რები 30 წინწყაროელი ყმა-გლეხი, აქვე მდებარე სამეფო დიდი მიწ-  
დორი, რომლისგანაც მიღებული შემოსავლის მეათედი ნაწილი დედო-  
ფალს ეკუთვნოდა; თბილისისა და გორში მცხოვრები სადედოფლო  
ყმა-გლეხები და ვაჭრები, ქოლაგირი. კახეთში: ველისციხე, გავაზნი,  
ზემო ხოდაშენი. ეს სამფლობელოები დასახლებული ყოფილა 595  
კომლი ყმა-გლეხით (აქედან 473 ქართველი ყმა და 122 კომლი თათა-  
რი მოსახლე). შემოსავლის სახით დედოფალი მათგან იღებდა: ფუ-  
ლით 9431 მანეთს და 20 კაპიკს, 1672 კოდ პურსა და ქერს, 180 სა-  
პალნე ღვინოს, 52 ლიტრ აბრეშუმს, 80 ლიტრა ბამბას, 5,5 საპალნე  
არაყს, 400 ლიტრა სარაჩინულ ფუტს.

დარეჯან დედოფლის მფლობელობაში დარჩენილა გახარაბებული  
სოფლები: შუა ბოლნისი, გომარეთი, ურცევანი, ხასან-გუმბეთი, გოგ-  
თანა, ახალდაბა — რომელშიც 8 კომლი ქრისტიანი და ებრაელი სახ-  
ლობდა და რომლებიც გადასახადის სახით 6 ლიტრა სანთელს იხდიდ-  
ნენ; დაბა ალში მცხოვრები ყმა-გლეხები, რომელთაგან წელიწადში  
ეძლეოდა 60 კოდი პური; ცხინვალში 30 კომლი ყმა, რომლებიც იხდი-  
დნენ 35 კოდ პურს და 3 საპალნე ღვინოს. აქვე მდებარეობდა სამღებ-  
რო, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 160—180 თუმან შემოსა-  
ვალს იძლეოდა და ვენახი, რომლის გამოსავალი წელიწადში 9 სა-  
პალნე ღვინით განისაზღვრებოდა; ავლაბარში მცხოვრები 34 კომლი  
ყმა, რომლებიც დედოფლის კარზე ასრულებდნენ დაახლოებით 300  
მანეთის სამუშაოს და იხდიდნენ 100 კოდ პურს. ხასან-ხოჯალის თათ-  
რები — 25 კომლი, რომლებისგანაც ეძლეოდა 80 მანეთი და 70 კოდი  
პური; სოფლები: კეხვი და აჩაბეთი, კახეთში — კუჭატანი და სანა-  
ვარდო. ამ უკანასკნელის მოურავი იყო სიმონ ქობულოვი, რომელსაც  
აღნიშნული სახლიდან წელიწადში 24 თუმანი შემოსავალი ჰქონდა<sup>328</sup>.  
მთლიანად აღნიშნული სამფლობელოები დარეჯანს წლიურად აძლე-  
და ფულით 4014 მანეთს, 705 კოდ პურს, ქერსა და შვრიას, პრასას,  
არაყს — 0,5 საპალნეს, ღვინოს — 12 საპალნეს, სანთელს — 6 ლი-  
ტრას.

327 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 311, № 295.

328 სცსა, ფ. 226, ს. № 9009.



შემდგომში დარეჯან დედოფალს ხელში ჩაუგდია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაქცეული ალექსანდრე, მირიან და იულონ ბატონიშვილების კუთვნილი მამულების ნაწილი. მგალითად, ალექსანდრეს კუთვნილი დიდი შულავერი და პატარა შულავერში მცხოვრები 1 კომლი ყმა (4 კაცი და 4 ქალი), მირიან ბატონიშვილის თათრული სოფლები: კაბანახჩი, რომელშიაც ცხოვრობდა 62 კომლი (130 კაცი და 138 ქალი), ისინი პატრონის სასარგებლოდ იხდიდნენ 540 მანეთს. აგრეთვე, სოფ. კამარლუ — დასახლებული 38 კომლი თათრით (81 კაცი და 72 ქალი), იძლეოდნენ წელიწადში დაახლოებით 300 მანეთ შემოსავალს. იულონ ბატონიშვილის მამულებიდან კი დარეჯანს დროებით დაუჭერია ადრე მისი მამულებიდან იულონისათვის მიცემული 7 კომლი ყმა ალში, რომლებიც 80 მანეთ შემოსავალს აძლევდნენ: ქ. ცხინვალში 99 კომლი კაცი (290 კაცი და 241 ქალი); სოფ. ხლათში მდებარე მამულები, რომლებიც 200 მანეთ წლიურ შემოსავალს იძლეოდა<sup>329</sup>. სულ 1803 წელს დარეჯან დედოფლის განკარგულებაში ჩანს 299 კომლი (660 კაცი და 642 ქალი)<sup>330</sup>.

XVII—XVIII სს-ში სადედოფლოს ზრდას ხელს უწყობდა შემდეგი ფაქტორები:

1. დედოფლების მიერ ჩატარებული სამშენებლო მუშაობა, როგორც უკვე დავინახეთ, თეიმურაზ II-ის მეუღლეს თამარ დედოფალს აღუდგენია და დაუსახლება ველისციხე, მაგრამ ყველაზე მეტი ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვის ერეკლე II-ს მესამე ცოლს დარეჯან (დადიანს) დედოფალს, რომელმაც განსაკუთრებით ფართო მასშტაბის ღონისძიებები ჩაატარა ამ მიმართულებით. მისი მეცადინეობით ქართლში აღდგა სოფლები: ავლაბარი, ქოლაგირი, მალაყიშლალი, კახეთში კი — კუჭატანი და სანავარდო. მანვე შეკრიბა სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ყომაქლისის ელისა და ჰასან-ხოჯალის თათრები და ძველსა ცხოვრებელ ადგილზე დააბრუნა. ჩვენ შორს წაგვიყვანს აქ ყველა იმ სამუშაოს აღნუსხვა, რაც ზემოთ დასახელებულ პუნქტებში გატარდა მისი ბრძანებით, ამიტომ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

ავლაბარში — დარეჯანს 1775 წელს აუშენებია სასახლე, თავისი დამხმარე შენობებით, კარის ეკლესია, გალავანი, ბაღი, რაც მისი ჩვენებით, 1000 თეთრი (ე. ი. 1000 თუმანი) დამჯდარა. რუსი მოხელეების შეფასებით, XIX ს-ის დასაწყისში დარეჯანი ავლაბარში 9213 მანეთი ქონების მფლობელი იყო. გარდა ამისა, ავლაბარში სახლობდა 94

<sup>329</sup> Акты, I, с. 207, 214, 222, 461; Акты, II, с. 79; საქართველოს სიძველენი, III, გვ. 311, № 295.

<sup>330</sup> Акты, II, с. 80—85.

კომლი სადედოფლო ყმა-გლეხი, რომელთა მოურავებად ყორღანა-შვილები ჩანან<sup>331</sup>.

ქოლაგირი — ეს სოფელი 100 წლის განმავლობაში განარაბებულ სამოსახლოს წარმოადგენდა. XVIII ს-ის I მეოთხედში იგი მეფის სახასოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა და დასახლებული იყო თათრული თაბუნით, რომელშიც 28 კომლი კაცი ირიცხებოდა<sup>332</sup>. შემდგომში სოფელი აღსადგენად გადასცემია სხვადასხვა მებატონეებს, რომელთაც თავი ამ საქმისათვის ვერ გაურთმევეიათ. ქოლაგირში ახალი ცხოვრება დაწყებულა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ერეკლეს დარეჯან დედოფლისათვის უბოძებია. დარეჯანს აქ სხვადასხვა ქვეყნიდან და კუთხიდან მოსული 55 კომლი ყმა-გლეხი დაუსახლებია. მათ გვერდით, ისევე როგორც XVIII ს-ის I მეოთხედში. ჩანს თათრული მოსახლეობაც, რომელთა რაოდენობა დარეჯანის მცდელობის შედეგად 12 კომლიდან 60 კომლამდე გაზრდილა. მასვე აუშენებია აქ დიდი ციხე, რომლის მშენებლობაზე 5000 თუმანი დაუხარჯავს; გაუშენებია ზვარი, რომელიც წლიურად 12 საბალნე ღვინოს იძლეოდა; აღუმართავს ქვიტიკრით ნაგები 2 წისქვილი (წლიურად 160 თუმან შემოსავალს იძლეოდნენ) და სხვ.<sup>333</sup>

სადედოფლოს გაზრდა XVI—XVIII სს-ში ხდებოდა დედოფლების მიერ ყმა-მამულის შესყიდვის გზითაც. მაგალითად, 1797 წელს ზაალ დავითისშვილის დარეჯან დედოფლისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „...მოგვიდეთ ჩემი სამკვიდრო გოგის სოფელი ჩემი წილი მითია, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა და წისქვილითა და ყოვლის თავის სამართლიანის სამძღურითა და ჩემის საუფროსოთი, რომელიც მსაჯულთაგან გარიგებით მომცემია“<sup>334</sup>. ასევე კურდღელარში მარიამ დედოფალს ზვარი უყიდიან<sup>335</sup> და სხვ.

სადედოფლოს ტერიტორიული ზრდის წყარო იყო, აგრეთვე, ბეითალმანი მამულები. საბუთები მოწმობს, რომ ბეითალმანი მამულების ნაწილს მეფე დედოფალს გადასცემდა ხოლმე (ასე უწყალობებია მეფე

331 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 249, ს. № 261, № 262, გვ. 295, ს. № 311, *Акты*, 2, с. 204, 261; *Акты*, II, с. 60, 79; სცსა, ფ. 254, აღწ., 1. ს. 34 გვ. 89.

332 საქართველოს სიძველენი, II, ს. № 226; საქართველოს სიძველენი, III, გვ. 295, ს. № 311, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 591; მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 272, № 389.

333 *Акты*, I, с. 204, 207, 227; *Акты*, II, с. 79, 80—85; საქართველოს სიძველენი, II, 295, ს. № 311.

334 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1061.

335 სცსა, ფ. 1448, № 1072; ფ. 1450, დ. 31, ს. № 116.

ერეკლეს დარეჯანისათვის თუშმალიშვილების ბეითალმანი, მამული, რომელიც შემდეგ იოსებ ყორანაშვილს გადასცემია)<sup>336</sup>. სადედოფლოს ტერიტორიული ფარგლები მნიშვნელოვნად გაიზარდა XVIII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ 1793 წელს, როდესაც გიორგი ბატონიშვილის მეუღლე მარიამ ციციშვილს სამეფო დომენიდან და ნაწილობრივ გიორგის საუფლისწულო მამულებიდან მფლობელობაში გადაეცა შემდეგი სოფლები: 1. ახილო — რომელიც შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ მარიამმა უბოძა თავის მამა — გიორგის; 2. უზუნდარი (20 კომლი ყმა-გლეხით); 3. ლისიცი (25 კომლი); 4. ახალი სოფელი (ახალი დალალი?) 30 კომლი; 5. მამაი — ამ სოფელში მარიამს ეკუთვნოდა 13 კომლი ყმა (სხვა ცნობით, აქ ცხოვრობდა 5 კომლი თათარი მოსახლე — 18 კაცი და 12 ქალი). ყმების გარდა, მამაიში ჩანს დედოფლის კუთვნილი 90 მიწის ნაკვეთი, თითოეული 10 დღიური სახნავი მიწის ოდენობით. ამ სოფლებიდან XIX ს-ის დასაწყისში მარიამი იღებდა ფულად 390 მან. და 24 ხარვალ პურსა და ჭერს წლიურად<sup>337</sup>.

მნიშვნელოვნად გაიზარდა დედოფლის შემოსავალი XVIII ს-ის II ნახევარში თეიმურაზისა და ერეკლეს გატარებული აქტიური საგარეო პოლიტიკის წყალობით. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დამორჩილებული სახანოებიდან შემოსული ხარკის ნაწილი დედოფლის სალაროში შედიოდა; კერძოდ, ერევნიდან მიღებული ხარკიდან მას ეძლეოდა 500 თუმანი, ხოლო განჯიდან — 120 თუმანზე მეტი<sup>338</sup>, მაგრამ შემოსავლის ეს წყარო XVIII ს-ის 90-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო სისუსტის შედეგად მოისპო.

<sup>336</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 529.

<sup>337</sup> Акты, I, с. 214, 462; Акты, II, с. 80—85.

<sup>338</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვ. 272, № 387.

თ ა შ ი IV

სამეფო ვასალები

1. სასულიერო წოდება

შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესია არა მარტო რელიგიური დაწესებულება იყო, არამედ ფეოდალური ორგანიზაციაც, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის განუყოფელი უჯრედი. რამდენადაც ეკლესია-მონასტრები შუა საუკუნეების საქართველოში ფლობდნენ დიდი რაოდენობით ყმა-მამულს, ეს საჭიროებდა სამეურნეო და პოლიტიკური გამგებლობის ორგანიზაციას, სამამულე ურთიერთობის დამყარებას საერო თუ სასულიერო სენიორიებთან და ვასალებთან. ესა თუ ის დიდი საყდარი შუა საუკუნეების საქართველოში წარმოადგენდა ფეოდალურ სენიორიას, რომელსაც სათავეში ედგა მონასტრის წინამძღვარი ან ეპისკოპოსი. საეკლესიო სენიორიის მეთაური უშუალო ვასალი იყო: 1. ან ადგილობრივი დიდი ფეოდალისა, 2. ან მეფისა და 3. ან კათალიკოსისა. ამრიგად, ესა თუ ის საეკლესიო სენიორია შუა საუკუნეების საქართველოში არა მარტო სამწყსო იყო კათალიკოსისა, არამედ ხშირად — საყმაც, მეორე მხრივ, მეფისა და დიდი ფეოდალების პატრონული უფლებები ეკლესია-მონასტრების მიმართ ხშირად ისე ფართო იყო, რომ მოიცავდა სარწმუნოებრივი ცხოვრების სფეროსაც (ეპისკოპოსების, წინამძღვრების, დეკანოზების დანიშვნა, სამწყსოების განწესება, ტიპიკონების აღდგენა და სხვა საეკლესიო საკითხების გადაწყვეტა).

მეფე ცდილობდა ეკლესიის დაქვემდებარებას თავისი ხელისუფლებისადმი და თითოეულ სასაყდრო სენიორიაზე (საეპისკოპოსოზე) თავისი, როგორც უმაღლესი სიუზერენის უფლების რეალიზაციას. თუ ვახტანგის სამართალი საერო ფეოდალების მიმართ ფაქტიურად უშვებს მათ მიერ მეფის ნებართვის გარეშე მიწის გაყიდვას, ეკლესიის მეთაურებს ამის უფლება არ ეძლეოდათ<sup>1</sup>. მათ ამისთვის სჭირდებოდათ მეფისა და კათალიკოსის ნებართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 317.

სამამულე ხაზით ეპისკოპოსები დაქვემდებარებულნი არიან მეფისა და კათალიკოსისადმი. მაგრამ უშუალო ვასალურ ურთიერთობაში საეკლესიო სენიორია მოქცეული იყო იმის მიმართ, ვის ტერიტორიაზეც, ვის ფეოდალურ სამფლობელოშიაც ეს ეკლესია იყო და მისი ყმამამული. მაგალითად, სამთავისის საყდრის სენიორია ექვემდებარებოდა ამილახვარს, რომლის სათავადოშიც მდებარეობდა და სამთავნელი აღიარებდა ამილახორისადმი სრულ ვასალურ დაქვემდებარებას<sup>2</sup>. მეფე უშუალო პატრონი (ე. ი. სიუზერენი) იყო სამეფო დომენის ტერიტორიაზე მდებარე სასაყდრო სენიორიებისა (საეპისკოპოსოების), კარის ეკლესიების (თბილისში, გორში, თელავში) და სამეფო მონასტრების.

კახეთში ყველა ეპისკოპოსი ვასალურ დაქვემდებარებაში იყო სამეფო სახლთან. ქართლში ასეთი ეპისკოპოსები იყვნენ: მანგლელი, ბოლნელი, თბილელი, ნიჭოზელი, მროველი, წილკნელი. ქართლში სადედოფლო დასტურლამალის მიხედვით დედოფლისადმი ვასალურ დაქვემდებარებაში ჩანან მანგლელი, თბილელი და ბოლნელი<sup>3</sup>. აღნიშნული ეპარქიების ერთი სენიორისადმი — დედოფლისადმი შორჩილების სასარგებლოდ მეტყველებს ხშირად სწორედ ამ საეპისკოპოსოების გაერთიანების ფაქტები. XV—XVIII სს-ის საბუთებში მოიხსენიებიან თბილელ-მანგლელები, ხოლო XVIII ს-ის I ნახევარში თბილელის ეპარქია გაერთიანებული ყოფილა ბოლნელის სამწყსოსთან<sup>4</sup>. ამ ეპარქიების დედოფლის დაქვემდებარებაზე მეტყველებს აღნიშნული პერიოდის დოკუმენტური წყაროების მონაცემებიც<sup>5</sup>. როსტომ მეფის მეუღლე მარიამ დედოფლისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცეული ყოფილა ურბნისის ეპარქიაც, რომელიც ხელახლა აღდგენილა მისი მცდელობის შედეგად<sup>6</sup>. ურბნისის ეპისკოპოსი XVIII ს-ის მიწურულში დარეჯან დედოფლის ვასალთა რიცხვშიც მოიხსენიება<sup>7</sup>.

კახეთის ეპისკოპოსები XVIII ს-ის II ნახევარამდე მეფის ვასალები იყვნენ არა მარტო როგორც სენიორების მეთაურები, არამედ, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების — სადროშოების სარდლებიც (XVIII ს-ის II ნახევრიდან, როგორც ჩანს, ეპისკოპო-

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 448; საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 2479.

<sup>3</sup> დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 700—701.

<sup>4</sup> Пл. Иоселиани, Описание древностей гор. Тифлиса, 1966, с. 171—172, 181, 214, 219.

<sup>5</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 595; Hd 14422, 1542.

<sup>6</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 9999.

<sup>7</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 628.

სების ადგილს სადროშოების სარდლის თანამდებობაზე თავადები იჭერენ). XVIII ს-ის ბოლოს კახეთის ერთ-ერთი ეპარქიის — ალავერდის სამწყსოს მეთაურობა კათალიკოსმა შეითავსა<sup>8</sup>. კახეთის ეპისკოპოსები არა მარტო სადროშოების სარდლები იყვნენ, არამედ, ზოგჯერ — მეფის მოურაეებიც (მაგ., რუსთველი იყო მარტყოფის მოურავი)<sup>9</sup>.

სამეფო მონასტრიდან XVI—XVIII სს-ის წყაროებით ცნობილია დავით-გარეჯა, შუამთა, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი და სხვა.

როგორი იყო სამეფო — ეკლესია-მონასტრების ურთიერთობის ნორმები მეფესთან და მისი სახლის წევრებთან?

პატრონჟმული, ე. ი. ვასალური ურთიერთობის საფუძველი, როგორც ცნობილია, მიწის ფეოდალური საკუთრებაა. მეფე უზუნაესი მესაკუთრე იყო თავისი ყმა-ვასალების და მათ შორის სამეფო ეკლესია-მონასტრების მიწისა, მისი განმკარგულებელი. როგორც ვნახეთ, მეფის ნებართვის გარეშე ეპისკოპოსებს და სამეფო ეკლესიების ხუცეს-დეკანოზებს არ შეეძლოთ მიწის გასხვისება. ამავე დროს, მეფე ხშირად თავისი ნება-სურვილით ასხვისებდა მათ მიწებს. განსაკუთრებით დიდი იყო მეფის სიუზერენული უფლებები სამეფო მონასტრებზე და კარის ეკლესიებზე. მეფე არა მარტო თავისი მონასტრების ყმა-მამულის განმკარგულებელი იყო, არამედ თვით მონასტრებისაც: შეეძლო მათი გასხვისება. მაგალითად, თირის მონასტერი სვიმონ მეფემ თავთაქიშვილებს უბოძა<sup>10</sup>, დავით-გარეჯის მონასტერი ალექსანდრე მეფემ კათალიკოსს გაუცვალა ატენის სიონში.

XVI ს-ის საბუთის ცნობით, ვირშის მონასტერი, ნიკოლოზ კათალიკოსს გაუცვლია მეფის ძის ვახტანგისათვის სოფ. ყურისუბანში. ამავე საბუთის ცნობით, ეს მონასტერი ადრე სვეტიცხოვლის საყდარს მიუღია შეწირვის გზით<sup>11</sup>. ადრეფეოდალური პერიოდის ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს მონასტრის გაყიდვის ფაქტს<sup>12</sup>.

კარის ეკლესიების ყმა-მამულს მეფე და მისი სახლის წევრები თავისი ნება-სურვილით განაგებდნენ. 1775 წ. ერეკლე II-სთვის მირთმეული საჩივრის წიგნი გვამცნობს: „მოვახსენებთ, რომ ჩემს შვილს თქვენი წყალობა კარის ღვთისმშობლის მამული ებოძა“...<sup>13</sup>

8 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 1034, 1041.

9 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 362.

10 ქართული სამართლის ძეგლები, V, გვ. 24.

11 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 277.

12 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 10—11.

13 სცსა, ფ. 1448, № 468.

ასევე განაგებდა მეფე სამეფო დომენში მდებარე საეპარქიო სა-  
ყდრების ყმა-მამულსაც. მაგ., 1689 წ. ნაზარალიხანმა ბოლნელს<sup>14</sup>  
მოართვა მამული და გადასცა ქაიხოსრო ბარათაშვილს<sup>14</sup>.

მეფე ზრუნავდა თავისი ეკლესია-მონასტრებისა და საეპარქიო სა-  
ყდრების მატერიალურ კეთილდღეობაზე ყმა-მამულის შეწირვით და  
სარგოს გაჩენით, ატარებდა იქ საამშენებლო სამუშაოებს. გარეჯის მონ-  
ასტერს, როგორც ადრე, ისე XVIII ს-შიც დანიშნული ჰქონდა ულუფა-  
ჯამაგირი<sup>15</sup>. მეფე ანიჭებდა სამეფო ეკლესია-მონასტრების ყმა-მამულს  
შეუვალობას სახელმწიფო გადასახადებზე, გარდა სამხედრო ვალდე-  
ბულების — ლაშქარ-ნადირობისაგან. გიორგი XII-ის 1798 წ. სიგელ-  
ში ვკითხულობთ: „...მეფის გარდა არავის შეუძლია ეკლესიის ყმების  
გააზატება“<sup>16</sup>. მეფე აქტიურად ერეოდა თავისი საპატრონო ეკლესია-  
მონასტრებისა და საეპარქიო საყდრების სამეურნეო გამგებლობაში,  
ნიშნავდა მათ სახლთხუცეებს, მოურავებს და სხვა მოხელეებს<sup>17</sup>.

მეფე არა მარტო ნიშნავდა ეკლესია-მონასტრების სამეურნეო მო-  
ხელეებს, არამედ, ზშირად წარმართავდა კიდეც მათ საქმიანობას.  
მაგალითად, ბაქარ მეფის მიერ დირბის მოურავ (დირბი ჯვრის მონას-  
ტრის სოფელი იყო) ელიზბარ დავითაშვილისადმი გაგზავნილ წიგნში  
ვკითხულობთ: „ეს ჩვენი ბრძანება არის დირბის მოურავო დავითაშვილო  
ელიზბარ, მერმე რაც დირბის გამოსაღები და რაც ნივთისა გამოსა-  
ღები გამოვიდოდეს ყველას გაჰყოფდე, ორს წილს ჰაპა სერგის მის-  
ცემდე, რომე მონასტერში გაგზავნიდეს და მოახმარდეს და ერთს  
წილს ჯვრის მამას მისცემდე. იმას დასჯერდეს თავისთვის მოიხმაროს,  
გლეხის დარბევას დაეხსნას, რაც სამართლიანი გამოსაღები იყოს, იმას  
გამოართმევდეს“<sup>18</sup>.

მეფე ერეოდა არა მარტო თავის საპატრონო ეკლესია-მონასტრე-  
ბის სამეურნეო განმგებლობაში, არამედ სასულიერო საქმეებშიც.  
მეფე ადგენდა ეპისკოპოსებს ან კათალიკოსის, ან მღვდელმთავართა

<sup>14</sup> სცხა, ფ. 1450, დ. 12, № 98.

<sup>15</sup> ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1967,  
გვ. 114.

<sup>16</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 542.

<sup>17</sup> სცხა, ფ. 1448, ს. № 32, № 468, № 1976; ქართული სამართლის ძეგლები,  
III, გვ. 701.

<sup>18</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის-  
რედაქციით, ტ. I, თბ., 1910, გვ. 176.

შეკრებულობის კითხვით<sup>19</sup>, ნიშნავდა სამეფო მონასტრების წინამძღვრებს<sup>20</sup>, განუწესებდა ეპისკოპოსებს სამწყსოებს<sup>21</sup>.

XVIII ს-ში ხშირად კახეთის ეპისკოპოსების საეკლესიო საქმეებზე მეფე და კათალიკოსი ერთობლივ წიგნებს გასცემდნენ<sup>22</sup>.

სამეფო ეკლესია-მონასტრებს, თავის მხრივ, გარკვეული ვალდებულებები ჰქონდათ პატრონის — მეფის მიმართ. პირველ ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა, რა თქმა უნდა, სასულიერო სამსახურში — პატრონისათვის მოსახსენებლის, წირვა-ლოცვის დაწესებაში. პატრონის მიმართ ეკლესია-მონასტრებს და ეპარქიებს დაკისრებული ჰქონდათ მატერიალური ვალდებულებებიც: მისართმეველი ძღვენი. ასეთი ძღვენი ჰქონდა დაკისრებული გარეჯის მონასტერს ჯერ კიდევ XIII ს-ში, „ხელმწიფის კარის გარიგების ცნობით“<sup>23</sup>. გარეჯული ძღვენი ორი სახისა ყოფილა: „ცოტა ძღვენი“ და „სანახავი ძღვენი“. 1749 წ. საბუთის მინაწერი XVIII ს-ის შუა წლებისა მოწმობს, რომ ასეთივე ძღვენი დაკისრებული ჰქონია გარეჯის მონასტერს XVIII ს-შიც<sup>24</sup>.

სამეფო ეკლესია-მონასტრების და ეპარქიების ყმა-გლეხებს ზოგჯერ ჰქონდათ შრომითი ბეგარა სახასო მიწების დასამუშავებლად და ზოგიერთი სხვა ვალდებულება. მაგალითად, კახეთში, რუსთველის ყმებს — ერწოელებს XVIII ს-ში დაკისრებული ჰქონდათ ახმეტაში სახასო ზვრების დამუშავება. ამავე ეპარქიის ყმები თეზამის ხეობაში დაბეგრული იყვნენ საქრე გადასახადით<sup>25</sup>. თირის სამეფო მონასტრის ყმებს, 1777 წ. საბუთის ცნობით, დაკისრებული ჰქონდათ შრომითი ბეგარა სახასო ხოდაბუნების დასამუშავებლად (ორი დღე ხენა, ორი დღე მკა და ერთი დღე ბარვა)<sup>26</sup>. XVII—XVIII სს-ის მიჯნაზე მანგლისის საყდრის სოფლებს კეზეთსა და უჯუდეთს ევალეზობდათ საშევარდნო გადასახადი, ხოლო შუამთის მონასტერს — საქორე გადასახადი<sup>27</sup>. XVII საუკუნის 30-იან წლებში ბოლნელის ყმები დედოფალს უხდიდნენ სპეციალურ „სადედოფლო გადასახადს“<sup>28</sup>.

19 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 893; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 213; ქართული სამართლის ძეგლები, V, გვ. 213.

20 სცსა, ფ. 1450, დ. 19, ს. 99.

21 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 843, 916.

22 იქვე, გვ. 853, 901, 1062.

23 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 94.

24 ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 96.

25 იქვე, გვ. 365—367.

26 ქართული სამართლის ძეგლები, V, გვ. 24.

27 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 595.

28 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 387.



მეფის სალაროში საეკლესიო ყმა-მამულიდან მიღებული შემოსავლის ზუსტი რაოდენობა წყაროებით არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ ამ შემოსავალს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამეფო სახლის შემოსავლებში. ამას მოწმობს თუნდაც ერეკლე II-ის განწესება 1791 წლისა, სადაც სამეფო შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად იხსენიება „ეკლესიის დებულება“, რომელიც სახასო ყმა-მამულიდან და სათავადოებიდან მიღებულ სახსრებთან ერთად უნდა განაწილებულიყო მეფესა და ბატონიშვილებს შორის.

ეკლესიასთან მეფის პატრონჟმური ურთიერთობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე საეკლესიო აზნაურების საკითხი: როგორი იყო მეფის ურთიერთობა მათთან, ხომ არ იყო ეს ურთიერთობა გაწყვეტილი, იყვნენ თუ არა რეალურად ეკლესიის ვასალ-აზნაურები მეფის ვასალებიც?

უნდა გაირკვეს, თუ როგორი იყო ამ აზნაურების მეფისადმი დაქვემდებარების ხარისხი, როგორი პრინციპი ხორციელდებოდა ამ პერიოდის საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებაში: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალიცაა“, თუ „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“. წყაროები მოწმობენ, რომ XVI—XVIII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში: ვასალიტეტის ხასიათი შეესაბამებოდა პირველ პრინციპს. განსაკუთრებით ეს ითქმის მეფისა და საეკლესიო აზნაურების ურთიერთობაზე.

საეკლესიო აზნაურთა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში, შედარებით სამეფო და სათავადო აზნაურთა რაოდენობასთან, მცირე იყო. 1783 წლის ტრაქტატის სიის მიხედვით, ქართლში სამეფო აზნაური იყო 82 სახლი, სათავადო 188, ხოლო საეკლესიო მხოლოდ — 17. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი — 13 სახლი მცხეთის ყმა იყო. ესენი იყვნენ: 1. მალაღაშვილები, 2. ელიოზისშვილები, 3. თუხარელები, 4. ქარსიძეები, 5. თაბისშვილები, 6. ჭადაგისშვილები, 7. კვალიაშვილები, 8. ზუმბულიძეები, 9. ყოვარაშვილები, 10. ბოჭორიძეები, 11. ეგაძეები, 12. აღსაბაძეები, 13. ბაღაშვილები (ამას უნდა დაემატოს გედევანიშვილები, რომლებიც ტრაქტატის სიაში არ იხსენიებიან).

დოკუმენტური წყაროების მონაცემებით ნათელია, რომ მცხეთის საყდრის აზნაურიშვილებს მეფესთან არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი, როგორც ვასალებს, პირიქით ყველა ნიშნით ისინი უნდა განვიხილოთ არა მარტო მცხეთის, არამედ მეფის უშუალო ვასალებადაც, რადგან მეფის გარეშე ისინი ვერც სახელოსა და ვერც ყმა-მამულს ვერ მიიღებდნენ, ვერ მოახერხებდნენ გაყრას. მეფე უწყალობებდა ხოლმე მათ (ან კათალიკოსი, მეფესთან შეთანხმებით) მცხეთის სარდლობას, სახლთუხუცესობას, მოურავობას და სხვა სახელოებს, აგრეთვე ყმა-მამულს. მეფევე ართმევდა მათ ამ სახელოებს და ყმა-მამულს, ადებდა

სხვადასხვა სასჯელებსაც<sup>29</sup>. ასეთივე აზრი მცხეთის საყდრის აზნაურების დამოკიდებულებაზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან გამოთქმული აქვს ბ. ლომინაძეს<sup>30</sup>.

მცხეთის გარდა, ვასალი აზნაურები ჰყავდათ სხვა საეპარქიო საყდრებს და დიდ მონასტრებსაც, მათ ეწოდებოდათ საყდრიშვილები, ეკლესიისშვილები, მონასტრისშვილები (წყაროებში ზოგჯერ ისინი იწოდებიან კონკრეტულად — მცხეთისშვილები, ქვათახევისშვილები, ვარძიისშვილები, რუისის საყდრის შვილები, გერგეტის საყდრის შვილები, აწყურის საყდრის შვილები და სხვ.)<sup>31</sup>.

1783 წლის ტრაქტატის ენობით, ყმა აზნაურები ქართლში ჰყოლია სამთავროს, რუისის საყდრებს და ქვათახევის მონასტერს: ანანიაშვილი, მამაცაშვილი, შატბერაშვილი, დეკანოზიშვილი. უფრო ადრე საეკლესიო აზნაურთა რაოდენობა, როგორც ჩანს, მეტი იყო.

XV ს-ის საბუთის ენობით, მანგლელ-თბილელ ივანეს საყდრის-შვილ ნექისძისთვის უწყალობებია სავენახე მიწა იმის ჯილდოდ, რომ ის კონსტანტინე მეფეს ორჯერ გაჰყოლია ურდოში<sup>32</sup>. ცხადია, ეს ნექისძე საეკლესიო აზნაური იყო. 1439 წელს ალექსანდრე I-ის გაცემულ წყალობის სიგელში მოხსენიებულნი არიან გერგეტის საყდრის-შვილები<sup>33</sup>. ამ ეპარქიებისა და მონასტრების აზნაურების მეფისადმი დამოკიდებულება მცხეთის აზნაურიშვილების დამოკიდებულების ანალოგიური იყო<sup>34</sup>.

<sup>29</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 519, 986—987; ტ. V, გვ. 66, 430, 431, 496—497, 748—749, 933; ტ. VI, გვ. 636—637; ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1318, 1712; ფ. Sd 375, სესა, ფ. 1448, № 420; გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59; ა. კლიმიაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში; გვ. 111—112; გედევანიანთ ვვარი XVIII ს-ში, წერილი იოანე მიტროპოლიტისა, გამოსცა ს. კაკაბაძემ, თბ., 1914, გვ. 3.

<sup>30</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 778—779.

<sup>31</sup> გ. აკოფაშვილი მიიჩნევს, რომ XVIII ს-მდე ყმა აზნაურები ჰყავდა მხოლოდ მცხეთის ეკლესიას (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 68), ჩვენი აზრით, უკვე საყდრის-შვილთა, ეკლესიისშვილთა არსებობა სხვადასხვა საყდრებში და მონასტრებში, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია XI ს-დან (იხ. თრეხვის ზეობის წარწერა ლეონტი მროველისა), თავისთავად მოწმობს აქ ყმა აზნაურთა არსებობას. გარდა ამისა, ყმა აზნაურები კონკრეტულად მოხსენიებულნი არიან XVIII ს-ზე ადრინდელ საბუთებშიც. მაგ., როსტომ მეფის 1645 წ. შეწირულობის წიგნში მოხსენიებულნი არიან აწყურის საყდრის აზნაურიშვილები (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 217); ქვემოთ მოიხსენიებთ სხვა კონკრეტულ ფაქტებსაც ამის საილუსტრაციოდ.

<sup>32</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 186—187.

<sup>33</sup> ზელნაწერთა ინსტიტუტი, № 14, № 15.

<sup>34</sup> სესა, ფ. 1448, № 136; ფ. 254. აღწ. 58, № 408; ფ. 1449, № 1101; № 1102; № 1104; ზელნაწერთა ინსტიტუტი, 1702, 1730, 9444, 1741, 4264, 760 და სხვ.

ახლა განვიხილოთ როგორია მეფის ურთიერთობა კახეთის საეკლესიო აზნაურებთან. თავის პირველ ნაშრომში გ. აკოფაშვილი აღნიშნავს, რომ კახეთის სამეფოსათვის უცხოა კერძო მფლობელობა<sup>35</sup>. მყოფი აზნაურების არსებობა. აქ ტიპიურია მხოლოდ სამეფო აზნაურები. გამოჩაყლის შეადგენს მხოლოდ რამდენიმე სააზნაურო სახლი (გიჟიმურელი, გარაყანიძე, მიწობლიძე, მგალობლიშვილი), რომელიც მცხეთის საყდარს ეკუთვნის. რადგან ეს მოვლენა კახეთისათვის უჩვეულოა, ამიტომ, მეფე ხშირად ამ აზნაურებს თავისად განიხილავს<sup>36</sup>. წყაროები ცხადყოფენ, რომ მკვლევარის აღნიშნული დასკვნა ზუსტი არ არის: კახეთში იყვნენ არასამეფო აზნაურები — როგორც სათავადო, ისე საეკლესიო. ყმა აზნაურები ჰყავდა, მაგალითად, ალავერდის საყდარს და თვით მგალობლიშვილები XVI—XVIII საბუთების მოწმობით, სვეტიცხოვლის ყმები კი არ იყვნენ, არამედ ალავერდელისა<sup>37</sup>.

გარდა მგალობლიშვილებისა, XVII—XVIII სს-ში ალავერდის საყდრის ყმა აზნაურები იყვნენ აგრეთვე: ანდრონიკეს ძე აბელაშვილები<sup>37</sup>, სულხანიშვილები<sup>38</sup>, სვიმონისშვილები<sup>39</sup>, გელოვანისძეები<sup>40</sup>, იმერთიდან გადმოსულები: ბაკურაძეები<sup>41</sup>, ბაქრაძეები<sup>42</sup>, მაჭავარიანები<sup>43</sup>.

კახეთში საეკლესიო აზნაურების არსებობის თვალსაზრისით საყურადღებოა ღმრთაების გუჯრის მტკიცებითი ნაწილი, სადაც პირდაპირ არის მოხსენიებული კახეთის საეკლესიო აზნაურები<sup>44</sup>.

თავის მეორე ნაშრომში აზნაურთა შესახებ გ. აკოფაშვილი აღნიშნავს, რომ კახეთში იყვნენ საეკლესიო აზნაურები, ოღონდ სამამულე დამოკიდებულება ამ აზნაურებსა და ეკლესიას შორის არ იყო დამყარებული. სამამულე ხაზით ისინი მხოლოდ მეფესთან იყვნენ დაკავშირებულნი<sup>45</sup>. ჩვენი აზრით, ვასალური ურთიერთობა შეუძლებელია სამამულე დამოკიდებულების გარეშე და, ამდენად, აზნაური ვერ იქნებოდა ეკლესიის ყმა, თუკი სამამულე ხაზით არ იყო მასთან დაკავშირებული. დოკუმენტური მასალაც ნათელყოფს, რომ ალავერ-

35 გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

36 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 568, 948, 1021.

37 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 740, 885, 906, 1028.

38 იქვე, გვ. 792.

39 იქვე, გვ. 819.

40 იქვე, გვ. 951.

41 იქვე, გვ. 773.

42 იქვე, გვ. 905.

43 იქვე, გვ. 963.

44 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 375—376.

45 გ. აკოფაშვილი, აზნაურთა ფენა XVI—XVIII სს. კახეთში, „მაცნე“, 3, 1968, გვ. 101.

დელი უბოძებდა ხოლმე ყმა-მამულს (ხშირად მეფესთან შეთანხმებით) თავის აზნაურს.

წყაროები მოწმობენ, რომ მეფის დამოკიდებულება კახეთის საეკლესიო აზნაურებთან დაახლოებით ანალოგიური იყო ქართლის მეფეთა საეკლესიო აზნაურებთან დამოკიდებულებისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეფე მათ ყველას განიხილავდა, როგორც საკუთარ ვასალებს იმის გამო, რომ კახეთში ყველა ეპისკოპოსი მეფის უშუალო ვასალი იყო. მეფე ერეოდა მათ ურთიერთობაში ეკლესიასთან, უწყალობებდა და ართმევდა ყმა-მამულს და სახელოებს, აძლევდა ბრძანებებს და სხვ<sup>46</sup>.

მეფის უშუალო ურთიერთობის დამყარება საეკლესიო აზნაურებთან არ იყო მხოლოდ კახეთის თავისებურება. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, დაახლოებით ანალოგიური იყო ქართლის საეკლესიო აზნაურებთან მეფის დამოკიდებულებაც, კახეთის თავისებურება პატრონ-ყმობის (ვასალიტეტის) სისტემაში მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ ქართლისაგან განსხვავებით, კახეთში არ იყო ოთხსაფეხურიანი ვასალიტეტი: მეფე — თავადი — ეკლესია — აზნაური.

აქ ვასალიტეტი იყო ძირითადად ორსაფეხურიანი: მეფე — თავადი — აზნაური — ეკლესია  
ან სამსაფეხურიანი: მეფე — თავადი — აზნაური — ეკლესია — აზნაური

გარდა ამისა, როგორც ვნახეთ, კახეთში ყველა ეპისკოპოსი მეფის უშუალო ვასალი იყო და ამიტომ ყველა საეკლესიო აზნაურს (კერძოდ, ალავერდის და ალბათ, სხვებისაც) მეფე განიხილავდა თავის ვასალად. ალბათ ამის შედეგია, რომ 1783 წ. ტრაქტატის სიაში კახეთის აზნაურები არ არიან დაყოფილნი სამეფო, სათავადო და საეკლესიოდ, არამედ — ერთიან სიაში არიან მოქცეულნი.

ამრიგად ვასკვნით:

1. გვიან შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში მეფის დომენში მდებარე საეკლესიო სენიორიების მეთაურები (ეპისკოპოსები, წინამძღვრები, ხუცეს-დეკანოზები) უშუალო ვასალები იყვნენ მეფისა და მისი სახლის წევრებისა (ისევე როგორც სათავადოს ტერიტორიაზე მდებარე საეკლესიო სენიორიების მეთაურები თავადის ვასალები იყვნენ, ხოლო მცხეთის საყდრის მამულში მდებარე საეკლესიო სენიო-

<sup>46</sup> გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—68; ქართული სამართლის ძეგლები III, გვ. 794, 885—888, 1921.

რიების მეთაურები — კათალიკოსისა). მეფე იყო ამ საეკლესიო სენიორიების ყმა-მამულის უმაღლესი განმკარგულებელი. უწყალობებდა და ართმევდა მათ მიწებს, ნიშნავდა მათ მოხელეებს, ახორციელებდა სასამართლო ხელისუფლებას, აკისრებდა მათ ყმა-მამულს შრომით და ნატურალურ რენტას და სხვ. მეფის სენიორალური უფლებები არ იფარგლებოდა მხოლოდ საერო სფეროთი, ის ვრცელდებოდა სასულიერო სფეროშიც: ეპისკოპოსებისა და წინამძღვარ-ხუცეების დანიშვნა, ეპარქიების განწესება და სხვა, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ის თავის გადაწყვეტილებას უთანხმებდა კათალიკოსს. სათანადო იურიდიული საბუთები გაიცემოდა მეფისა და კათალიკოსის სახელით.

2. ქართლში XVI—XVIII სს-ში მეფის უშუალო ვასალები იყვნენ ურბნელი, მროველი, ნიქოზელი, სამთავროს ეპისკოპოსი; დედულისა — თბილელი, მანგლელი, ბოლნელი. კახეთში ყველა ეპისკოპოსი მეფის უშუალო ვასალი იყო.

3. მეფე თავის ვასალებად მიიჩნევდა, აგრეთვე, აღნიშნული საყდრების ყმა აზნაურებს (კახეთში ყველა საუკეთესო აზნაური).

4. ყველა საეკლესიო სენიორიაზე ნაწილობრივი სენიორალური უფლებები ჰქონდა, აგრეთვე, ქართლის კათალიკოსს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურს (კახეთის ეკლესიაში ასეთ პრეტენზიას XVIII ს-ის II ნახევრამდე აყენებდა ალავერდელი). კახეთზე კათალიკოსის ეს უფლებები გაიზარდა XVIII ს-ის II ნახევარში (ქართლ-კახეთის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ), განსაკუთრებით კი XVIII ს-ის ბოლოს, როცა მან შეითავსა ალავერდის კათედრაც. თვით კათალიკოსი, მცხეთის საყდრის ყმა-მამულის გამგებლობის სფეროში ექვემდებარებოდა მეფეს. აღიარებდა მის სუვერენიტეტს. მცხეთის საყდრის ყმა თავადაზნაურებსაც მეფე განიხილავდა თავის ვასალებად.

5. ამრიგად, XV—XVIII სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები, როგორც სამამულო, ისე სასულიერო სფეროში, მტკიცედ ახორციელებდნენ თავის სუვერენიტეტს ეკლესიაზე.

უფრო ვრცლად ეს საკითხი გაშუქებული გვაქვს ჩვენს ნაშრომში: „სამეფო დომენი და ეკლესია“<sup>47</sup>.

## 2. თავადაზნაობა

როგორც ცნობილია, გვიან ფეოდალურ ხანაში მეფეთა პოლიტიკური ხელისუფლების დასაყრდენს საქართველოში სათავადოთა სის-

<sup>47</sup> ზ. ხიდურელი, სამეფო დომენი და ეკლესია, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1986, გვ. 77—94.



ტემა წარმოადგენდა. ამ პრობლემის მეცნიერულ შესწავლას ქართული ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაუყარა ნ. ბერძენიშვილმა<sup>48</sup>. მისი მოხსენებით: „ნარკვევები საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან (XIII—XVI სს.)“ და „ფეოდალური ურთიერთობა XV საუკუნეში“. შემდგომში ამ საკითხს არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნეს მეცნიერებმა: დ. გვრიტიშვილმა, ვ. ჯამბურამ, მ. ქიქოძემ და ო. სოსელიამ, რომლებმაც შეისწავლეს საქართველოს უმსხვილეს სათავადოთა სოციალური სტრუქტურა, შინაგანი ორგანიზაცია, მეურნეობა, გადასახადთა სისტემა და სხვა. მაგრამ აღნიშნულ ნაშრომებში არ არის სრულად გაშუქებული პატრონ-ყმური ურთიერთობის ყველა ასპექტი თავადებსა და სამეფო სახლის წევრებს შორის, არ არის გამოვლენილი საქართველოს ცალკეული მხარეების სათავადოთა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ზოგიერთი სპეციფიკა.

XVI ს-ის მიწურულიდან დოკუმენტური წყაროების მონაცემებით დგინდება, რომ ქართლის სამეფოში განსხვავებით კახეთისა და იმერეთისაგან, სადაც ყველა თავადი მეფის უშუალო ვასალად ითვლებოდა, თავადებსა და თავადიშვილებზე სიუზერენული უფლებები ნაწილდებოდა სამეფო სახლის წევრებს შორის. სწორედ ამ დროიდან დასტურდება ქართლის სამეფოში სადედოფლო სათავადო სახლების არსებობა.

სვიმონ I-ის დედის ანა დედოფლისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცეულნი ჩანან სოლოლაშვილების<sup>49</sup>, ჩხეიძეებისა და ციციშვილების სათავადო სახლთა წარმომადგენლები<sup>49</sup>. სვიმონ I-ს თანამეცხედრე ნესტან-დარეჯანისადმი ვასალურ ურთიერთობაში მოქცეული ჩანან: სოლოლაშვილები<sup>50</sup>, ბარათაშვილები, მათი განაყოფები იოთამისშვილები<sup>51</sup> და ფავლენისშვილები<sup>52</sup>. გიორგი X თანამეცხედრე თამარ დედოფლის ვასალებად წარმოგვიდგებიან სოლოლაშვილებისა<sup>53</sup> და ბარათაშვილების<sup>54</sup> საგვარეულო სახლის წევრები. როსტომის თანამეცხედრის მარიამ დედოფლის ვასალებად ჩანან: ჩხეიძეები<sup>55</sup>, ავალიშვი-

48 სცსა, ფ. 1450, დ. 28, ს. 196. 3.

49 სცსა, ფ. 1450, დ. 35, ს. 88.

50 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 2091.

51 სცსა, ფ. 1450, დ. 38, ს. 30.

52 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 504.

53 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 2091.

54 სცსა, ფ. 1448, № 4.

55 სცსა, ფ. 1450, დ. 35, ს. 117.



ლები<sup>56</sup>, მაჩაბლები<sup>57</sup>, ბარათაშვილები<sup>58</sup>, ციციშვილები<sup>59</sup> და სოლოლაშვილები<sup>60</sup>. ამ უკანასკნელი საგვარეულოს წარმომადგენლები ნაწარმაკლიხანის დედის ელენე დედოფლის მფლობელობის ქვეშაც ყოფილან მოქცეულნი<sup>61</sup>. სრულ სურათს სადედოფლო თავადთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ იძლევა „სადედოფლო დასტურლამალი“, რომლის მიხედვითაც XVII ს-ის მიწურულში ქვემო ქართლში სადედოფლო თავადები იყვნენ: 1. გერმანოზისშვილები (ოთარ, პაპა, გუგუნა, ვარაზა); 2. ბარათაშვილები (მანუჩარ, იოთამ, საამ, შიოშ, ქაიხოსრო, თამაზა, გუგუნა); 3. იოთამისშვილი გივი; 4. მეჩინიბეთუხუცესი შერშადინ; 5. ფალავანხოსროშვილი იოთამ; 6. სუფრაჯი ბარათა; 7. მისი ვანაყოფი ქაიხოსრო; 8. სოლოლაშვილები (ზაალ, ქაიხოსრო, ბეყანა, დათუნასშვილები, იოთამისშვილები); 9. ავთანდილისშვილი ავთანდილი; 10. აბაშისშვილი დავითი; 11. მერაბისშვილები შერმაზან და სულხანი; 12. თაყაისშვილი ბარათა; 13. მეჩინიბეთუხუცესი ლუარსაბი.

ზემო ქართლში: 1. ხერხეულიძეები (ზაალ, შიოშ, ბეყან); 2. ფავლენისშვილი პაპა; 3. თმოგველი; 4. თაქთაქისშვილი; 5. შალიკასშვილი გიორგი; 6. გოგორისშვილი ზურაბი — სულ 19 სათავადო სახლის წარმომადგენლები<sup>62</sup>.

საბატონიშვილო თავადების არსებობაც დასტურდება XVI—XVIII სს-ის მთელ სივრცეზე<sup>63</sup>.

ამ საკითხზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის რუსეთში გაყოფილი ამაღის ნუსხები, შედგენილი 1724 და 1737 წლებში. მათში ცალ-ცალკეა გამოყოფილი მეფის, დედოფლისა და ბატონიშვილების თანმხლებ პირთა სიები. ამ პერიოდში დედოფლისა<sup>64</sup> და ბატონიშვილების<sup>65</sup> თავიანთ ამაღის წევრ თავადებზე გაცემულ სიგელებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი მათ ყმა ვასალებს წარმოადგენდნენ. ქვემოთ დავინახავთ, აგრეთვე, რომ დედოფლის ამაღაში მყოფ თავადთა უდიდესი ნაწილი „სადედოფლო დასტურლამალში“ ჩამოთვლილ სადედოფლო თავადთა საგვარეულოების წარმომადგენლებად გვევლინებიან. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თუ

<sup>56</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1431, 14500.

<sup>57</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 8711; სცსა, ფ. 1448, ს. 521.

<sup>58</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 2, ს. 142; ფ. 1450, დ. 38, ს. 35.

<sup>59</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 26, ს. 14.

<sup>60</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 742, 758.

<sup>61</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 1693.

<sup>62</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 720—721.

<sup>63</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 15, ს. 109; ფ. 1448, ს. 2949.

<sup>64</sup> სცსა, ფ. 1448, ს. № 3229; ხელნაწერთა ინსტიტუტი, 10266; საქართველოს სიძველენი, გვ. 484.

<sup>65</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 37, ს. 220.

გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ თავადთა უპირველეს მოვალეობას სენიორის წინაშე — „ხლება“ წარმოადგენდა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამ ნუსხებში მოხსენიებული თავადები ვასალები არიან სამეფო ოჯახის იმ წევრებისა, რომლის თანხლებ პირებადაც ირიცხებოდნენ.

დედოფლის ამალის წევრებად შემოაღნიშნულ ნუსხებში ჩანან: 1. ორბელიშვილი დემეტრე (დედოფალი სახლთხუცესი — აქამდე ეს სახელო XVI ს-დან დაწყებული სოლოღაშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა), 2. ორბელიანი გივი (მოღარეთუხუცესი), 3. დავითისშვილი აბაშისშვილი ნოდარი (სუფრაჯი), 4. ბარათაშვილი ნოდარი (სუფრაჯი), 5. ელიზბარიშვილი თურქისტანისძე სულხანი (მდივანი), 6. თაქთაქიშვილი სულხანი (მდივანი), 7. ღურმიშხანისშვილი გიორგი, 8. შალიკასშვილის ქვრივი ანუკა ორი შვილით.

ბაქარ ბატონის შვილის ამალის წევრები, იმავე ნუსხების მიხედვით, იყვნენ: 1. როჭიკასშვილი ედიშერი (ბატონიშვილის სახლთხუცესი), როჭიკაშვილი როსტომი (ხაზირი), 3. ციციშვილები: პაპუნა, იესე და ადამი, 4. კარის წინამძღვარი ნიკოლოზი, 5. ფალავანდისშვილი როსტომი, 6. მოურავისშვილი ომანი, პატასძე (ემიკალასი), 7. ჯავახისშვილები: შიოშ, ერასტი და იასე, 8. მაჩაბელი დავითი, 9. შალიკაძე, ედიშერისშვილი დემეტრე (მეჯინიბეთუხუცესი), 10. ბარათაშვილები: ზაალ, ზაზა, ზურაბ და თომა, 11. ფავლენისშვილი კაცია, 12. ენდრონიკაშვილი დავითი — კახი თავადისშვილი, 13. ენდრონიკაშვილი ზაალი, 14. გიორგისშვილი ოხოზა — კახელი თავადი, 15. ყარაბუდახისშვილი რევაზი (ბაიერი), 16. ავთანდილისშვილი ყარანი (ბაიერი), 17. თუმანიშვილები: ქაიხოსრო, შიოშისშვილი დემეტრე, ბირთველი, ალხაზა (ბაიერები), 18. მარტიროზისშვილი გიორგი (ბაიერი), 19. ორბელიანი ზაალი, 20. სააკაძეები: ბადურ და როსტომი, 21. ჯანაშვილი დავითი, 22. თარხნიშვილი ომანი, 23. თულაშვილი იოთამი (აზნაური).

ვახუშტი ბატონიშვილის ვასალ თავადებად ჩანან: 1. ხერხეულიძე ზაალი, 2. ფხვიძეები — ხოსია და ქაიხოსრო (იმერელი თავადები), 3. გიორგისშვილი ღვთისაყარ გოჩას ძე, 4. ფავლენისძე (ფავლენიშვილი) ბერი, 5. ციციშვილი ზაალი.

სვიმონ ბატონიშვილის ამალაში შედიოდნენ: 1. ერისთავისშვილი ნიკოლოზი, 2. ჩოლოყაძე რევაზ ოთარისშვილი, 3. ხერხეულიძე ზაალ ხოხონასშვილი, 4. ციციშვილი ამილამბარ ზაზას შვილი, 5. გელოვანი გაბრიელი, 6. აბაშიძე ბეჟანი (ბაიერი), 7. თულაშვილი ლუარსაბი (ბაიერი, მოღარეთუხუცესი), 8. წერეთელი დავითი (ბაიერი), 9. მუსხელიაძე გიორგი ბიძინასშვილი ბაიერი (აზნაური).



გიორგი ბატონიშვილის თანხლებად ჩანს თავადი იოსებ თუმანიშვილი. მეფის ამაღლის წევრად კი მოხსენიებულია თავადი და თავადის შვილი<sup>66</sup>.

ამ სიებში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქართლის მეფისა და მისი სახლის წევრების ამაღლებში, ქართლელი თავადების გვერდით, იხსენიებიან კახელი და იმერელი თავადებიც: ენდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები, ჩხეიძეები, ჯაფარიძეები, წერეთლები და სხვ. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ზოგჯერ თავადები სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებული იყვნენ გასცლოდნენ თავიანთ კუთხეს და გამხდარიყვნენ სხვა მეფის ყმა ვასალი.

სხვა სამეფოში გადასვლის შემთხვევაში თავადი სოციალური კატეგორიის კიბეზე ერთი საფეხურით დაბლა იწევდა. მაგალითად, ჭილაშვილები იმერეთის უპირველესი თავადები იყვნენ, ხოლო ქართლში ერეკლემ ისინი ჩარიცხა, როგორც მეორე კატეგორიის თავადები<sup>67</sup>. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აბაშიძეები<sup>68</sup>, ჯაფარიძე<sup>69</sup> და სხვები.

სადედოფლო თავადები მოხსენიებულია XVIII ს-ის დასაწყისში შაჰ-ყულიხანის ერასტი ორბელიშვილისათვის 1704 წ. ბოძებულ წყალობის წიგნში: „თუ სადედოფლო თავადები თუ აზნაურნი, თუ მათი ყმანი ერთმანეთს უჩიოდნენ და ან სადედოფლოს სახასოში კაცის სიკვდილი მოხდეს მდივანბეგმა გაარიგოს“<sup>70</sup>. XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან სადედოფლო თავადების რიცხვში შესულა ციციშვილების საგვარეულო, რომელსაც ხელთ უგდია დედოფლის სახლთხუცესის სახელო<sup>71</sup>.

XVIII ს-ის II ნახევრის წყაროები მცირე ცნობებს შეიცავენ სადედოფლო და საბატონიშვილო თავადების შესახებ<sup>72</sup>. 1783 წ. გიორგიევსკის ტრაქტატზე დართულ თავადთა სიაში ყველა ისინი ირიცხებოდნენ, როგორც სამეფო თავადები და მათ შიგნით დიფერენციაციის არავითარი ნიშანი არ ჩანს. ამ ძეგლზე დაყრდნობით შეიძლება გვეფიქრა, რომ ქართლის სამეფო ფარგლებში აღარ არსებობდა თავადების სადედოფლოდ და საუფლისწულოდ დაყოფა, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება დოკუმენტური მასალა, რომელთა შორის პირველ

66 ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰესართა პოლკში, თბ., გვ. 345—348.

67 სკსა, ფ. 1450, დ. 47, ს. 22.

68 ხელნაწერთა ინსტიტუტი, 2233.

69 ხელნაწერთა ინსტიტუტი, 2318.

70 თ. გორდანიას კრონიკები, III, გვ. 14—16.

71 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 237, სკსა, ფ. 1448, ს. 506.

72 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X, თბ., 1949, გვ. 205.

რიგში უნდა აღინიშნოს 1791 წელს ერეკლე მეფის შედგენილი საკანონმდებლო ძეგლი: „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისანი ძეთა თვისადმი სამეფოისათვის საქართველოისა“. სადაც ვკითხულობთ: „თავადები, რომ არის საქართველოში სამეფო, სადედოფლო, საუფლისწულო, ეს მე დამიყენებია: ურიგო საქმე არის და რასაც ამისთვის მე დავწერ, ეს უმჯობესი არის... ასე სცანით, რომ ეს თავადები სულ სამეფო არის“<sup>73</sup>.

ამრიგად, ამ ძეგლის ცნობით, 1791 წლამდე თავადები დაყოფილნი ყოფილან სამეფოდ, სადედოფლოდ და საუფლისწულოდ. ერეკლე II-ს ეს დაყოფა უმართებულოდ მიუჩნევია და ყველა თავადი სამეფოდ დაუწესებია.

ახლა განვიხილოთ საკითხი, თუ რა ვალდებულებებს ასრულებდნენ სამეფო ხელისუფლების წინაშე სათავადო გლეხები და სხვადასხვა მებატონეთა მამულები. პირველ რიგში შევეხოთ გლეხებზე დაკისრებულ გადასახადებს. ასეთებად აღნიშნულ პერიოდში წარმოგვიდგება: 1. კოდის პური; 2. საბალახე, 3. პირისთავი; 4. ნახირისთავი; 5. სეფობა; 6. ლაშქარ-ნადირობა; 7. სამეფო ზვრებისა და ხოდაბუნების დამუშავება<sup>74</sup>; 8. ქეშიკი; 9. საჯინიბო; 10. საკომლო მზე; 11. ქათამი და სხვ.<sup>75</sup>

XVIII ს-ის 20—40-იან წლებში გლეხებს დაეკისრათ დამატებითი გადასახადი დამპყრობელთა სასარგებლოდ — „სათათრო საური“, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებლობა ჯერ ოსმალთა, ხოლო შემდეგ ყიზილბაშთა წინაშე მებატონეებს ევალებოდათ<sup>76</sup>.

XVIII ს-ის II ნახევარში გლეხებს დაეკისრათ სახელმწიფო გადასახადი, სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით — „სურსათი“ (პური, ქერი, ხოლო ზოგჯერ ღვინო და საკლავიც). 1774 წ. ეს გადასახადი ერეკლე II-მ დროებით გააუქმა „მორიგე ლაშქრის“ შემოღებასთან დაკავშირებით. 1783 წ. გიორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით „სურსათის“ გადასახადი ისევ შემოიღეს რუსთა ჯარის შესანახად. ამიტომ ამ გადასახადს ახლა ეწოდება „სარუსო ხარჯი“, „სარუსო სურსათი“, ან უბრალოდ — „სარუსო“.

ქართლ-კახეთის მოსახლეობა მეფის სასარგებლოდ იხდიდა, აგრეთვე, „სამასპინძლოს“, რომელსაც კრებდნენ სხვადასხვა ადგილას მეფის, ბატონიშვილების, ან სამეფო ამალისა თუ ჯარის გავლის შემთხვევაში<sup>77</sup>.

73 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 525.

74 დასტურლამალი, გვ. 530.

75 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

76 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1033.

77 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 528.



მაგრამ სათავადო გლეხებზე დადებულ გადასახადებზე მსჯელობისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ ზემოთხსენებულ თვლილი ვალდებულებების მხოლოდ ნაწილი ეკისრებოდა ამა თუ იმ სათავადოს, ხოლო სხვებისაგან იგი განთავისუფლებული იყო. XVIII ს-ის I ნახევარში ბევრი სათავადოს ყმა გლეხი თავისუფლდებოდა თითქმის ყველა გადასახადისაგან, გარდა „ლაშქარ-ნადირობისა“ და „სათათრო საურისა“<sup>78</sup>, გამონაკლის შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა თავადის მამულის სრულ გათარხნებასაც<sup>79</sup>.

„სამეფო დასტურლამაში“ დატული ცნობები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რამდენი თარხანი და გამომღები ირიცხებოდა ქართლის უმსხვილესი სათავადოების შიგნით: 1. სამილახვროში მცხოვრები 349 კომლი გლეხიდან გამომღები იყო 204 კომლი, თარხანი — 145 კომლი; 2. ქსნის საერისთავოში — 148 კომლიდან თარხანია — 54; 3. საციციანოში — 727 კომლიდან თარხანია — 6, ბატონიშვილისაა 126, გამომღებია — 601; 4. სამუხრანბატონოში — 180 კომლიდან თარხანია — 74; 5. საბარათაშვილოში — 910 კომლიდან და საყაფლანიშვილოს 300 კომლიდან (ე. ი. სულ 1210-დან) თარხანი და აყრილია — 230, გამომღებია — 980; 6. სომხითში 573 კომლიდან თარხანია 115<sup>80</sup> და სხვ.

მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო გადასახადებისაგან თარხან სათავადო გლეხთა რიცხვი მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც ქართლში ამ მოვლენას არ მიუღია ის მასშტაბი, რომელიც მას ახასიათებდა დასავლეთ საქართველოში, სადაც აბაშიძეების 1500 კომლიდან გადასახადს მეფის სასარგებლოდ იხდიდა მხოლოდ 15 კომლი, ხოლო წერეთლების 1000 კომლიდან კი არცერთი.

აქვე ისმის საკითხი, თუ როგორ ნაწილდებოდა სათავადოზე დადებული სახელმწიფო ხარჯი მის მოსახლეობაზე. წყაროების მონაცემებით ირკვევა, რომ გადასახადების გარკვეული ნაწილი აიღებოდა პირადად მებატონის განკარგულებაში მყოფი მიწებიდან და ეს უკანასკნელნი პასუხისმგებელნი იყვნენ მისი გადახდისა მეფის წინაშე.

თავადის ერთ-ერთ უპირველეს ვასალურ მოვალეობას თავისი სენიორის მიმართ შეადგენდა „ხლება“. ისინი ასრულებდნენ მეფის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემაში სამოხელეო ფუნქციებს. სახელოებს სათავადო სახლები მემკვიდრეობით ფლობდნენ<sup>81</sup>.

<sup>78</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1953, გვ. 172.

<sup>79</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 29, ს. 133.

<sup>80</sup> დასტურლამალი, გვ. 528—530.

<sup>81</sup> გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 143—154.



გარდა ამ საერთო სახის ვალდებულებებისა, ზოგიერთ საჯავახო დაკისრებული ჰქონდა სხვადასხვა სპეციფიკური ვალდებულება.

საჯავახიშვილოს, მაგალითად, დაკისრებული ჰქონდა „საშევარდნო“ გადასახადი, რომელიც იმდენად მძიმე შესასრულებელი ყოფილა, რომ, როგორც ამას 1712 და 1717 წლების საბუთები მეტყველებს, მისგან განთავისუფლებისათვის ჯავახიშვილებს თავიანთი ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი მეფისთვის დაუთმიათ<sup>82</sup>.

საინტერესო ცნობები აღნიშნულ საკითხზე დაცულია „სამეფო და სადედოფლო დასტურლამალებში“. მათი საშუალებით ირკვევა, რომ ზოგიერთ სადედოფლო თავადს, სადედოფლო აზნაურთა მსგავსად დაკისრებული ჰქონია ნატურალური გადასახადი — ძღვენის მირთმევა მარხვაში. იქვეა განსაზღვრული მათი მოცულობაც: ფავლენისშვილებს ევალეზობათ 100 ლიტრა ცერცვის, 30 ლიტრა ნიგოზის და 15 ტყლაპის მირთმევა; გოგორიშვილებს — 20 ლიტრა ცერცვის, 30 ლიტრა ნიგოზის და 3 ტყლაპის; ხერხეულიძეებს — 60 ლიტრა ცერცვის, 40 ლიტრა ნიგოზის და 10 ტყლაპის. ძღვენის სიდიდე დამოკიდებული იყო ძირითადად თავადის ეკონომიკურ შეძლებაზე.

„სამეფო დასტურლამალის“ მიხედვით კი ირკვევა, რომ ზოგიერთ სამეფო თავადს, აზნაურების მსგავსად, ევალეზობდა გზების შენახვა (ჯავახიშვილებს, თულაშვილებს, თურქისტანიშვილებს) და ბატონის თავლის ქეშიკობა (თურქისტანიშვილებს, გოსტაშაბისშვილს, თულასშვილს, დოლენჯიშვილს, ასანბეგს)<sup>83</sup>.

დოკუმენტური მასალიდან ისიც ნათელია, რომ მართალია ეახტანგ VI სამართლის 162 მუხლის მიხედვით უფლება ჰქონდათ გაესხვისებინათ მეფის დაუკითხავადაც, მაგრამ ამას, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლება არ ურიგდებოდა და აქტიურად ერეოდა ამ საქმეში. მაგალითად, 1759 წელს თეიმურაზ II, ავთანდილ ჯავახიშვილისათვის მიცემული სიგელით, ამ უკანასკნელის ძმისწულს ზაალს უკრძალავს ყმა-მამულის გაყიდვას<sup>84</sup> და სხვ.

მეფის (ან მისი სახლის წევრების) სენიორალური უფლებები ვალდებულთა მიმართ შემდეგი იყო:

1. სამშობლოს ღალატის შემთხვევაში თავადისათვის მამულის ჩამორთმევა (რამაც ფართო მასშტაბი მიიღო განსაკუთრებით თეიმურაზ II და ერეკლე II-ის მეფობის ხანაში).

<sup>82</sup> საქართველოს სიძველენი, II, № 245, № 246.

<sup>83</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 722; სამეფო დასტურლამალი, გვ. 532—533.

<sup>84</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 3228.

2. ბეითალმანი მამულის სახასოდ დადება (პრაქტიკულად ეს იშვე-  
ათად ხორციელდებოდა, ბეითალმანს უფრო ხშირად გარდაცვლილის  
სახლისკაცებს გადასცემდნენ).

3. მეფის ჩარევა თავადის სახლის გაყრაში;

4. სათავადო სახლის უფროსის დანიშვნა;

5. გლეხისა და თავადის ურთიერთობაში ჩარევა — გლეხს შეეძ-  
ლო ეჩივლა თავის ბატონზე მეფესთან;

6. თავადის სამხედრო სამსახური<sup>85</sup>;

7. სახელმწიფო გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში მა-  
მულის ჩამორთმევა<sup>86</sup>.

მეფის სენიორალური უფლებები თავადებზე ზოგჯერ იმდენად  
ფართოა, რომ ხშირად მეფეები სათავადო გვარის წარმომადგენლებს  
მზითვად ატანდნენ თავიანთ ასულებს<sup>87</sup>.

ამას გარდა შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ XV—XVIII სს-ის  
აღმოსავლეთ საქართველოში მეფე ავრცელებდა თავის სენიორალურ  
უფლებებს სათავადო აზნაურებზე; უწყალობებდა და ართმევდა ყმა-  
მამულს, სახელოებს, ათარხნებდა, აძლევდა სხვადასხვა სახელმწიფო  
დავალებებს; ერეოდა მათ შინაკლასობრივ ბრძოლაში თავადებთან;  
განიხილავდა მათ საჩივრებს თავადებზე, სახლის კაცთა დავას და  
ასხვისებდა კიდევ<sup>88</sup>. ე. ი. მეფესა და სათავადო აზნაურებთან, ისევე  
როგორც საეკლესიო აზნაურებთან უშუალო ურთიერთობა XV—  
XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში არ შეწყვეტილა. ეს, რა  
თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თავადი მოკლებული იყო ამ სენიო-  
რალურ უფლებებს თავისი აზნაურის მიმართ. სათავადო აზნაურს XV—  
XVIII სს-ში ჰყავდა ორი სენიორი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თავადები  
თავისი სოციალურ-პოლიტიკური სტატუსით ახლო დგანან სამეფო  
აზნაურებთან. სამეფო აზნაურის და თავადის მამულების იურიდიული  
განმკარგულებელი მეფეა, რომელიც ყოველთვის ველარ ახერხებს  
თავისი, როგორც უზენაესი მესაკუთრის უფლების განხორციელებას  
თავადის მამულზე. სამეფო აზნაურის მამულზე კი იგი ამას ახერხებს.  
ეს არის სამამულე ურთიერთობის თვალსაზრისით განსხვავება სამეფო  
აზნაურსა და თავადს შორის.

<sup>85</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1955, გვ.  
143—154.

<sup>86</sup> სესა, ფ. 1448, ს. 404.

<sup>87</sup> საქართველოს სახელმწიფო მეზღუდის მონაბე, G—B, თბ., 1949, გვ. 222.

<sup>88</sup> სესა, ფ. 1448, ს. 8890; ფ. 1448, ს. 10148; ფ. 1450, დ. 26, ს. 273; საქარ-  
თველოს სიძველენი, III, № 224; ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 65—66,  
68, 132—133 და სხვ.

მინც, დოკუმენტების მიხედვით მეფის, როგორც უზენაესი მესაკუთრის უფლება თავადის მამულზე მთლად ფიქციად არ არის ქცეული და ხშირად ის ამ უფლების რეალიზაციას ახდენს. ასეთ შემთხვევაში, სამეფო აზნაურსა და თავადს შორის პრინციპული სხვაობა სამამულე უფლების თვალსაზრისით, თითქმის იშლება და ეს სხვაობა დაიკვანება უმთავრესად მამულის სიდიდე-სიმცირეზე.

### 3. აზნაურები

აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო აზნაურთა ვინაობისა და რაოდენობის დასადგენად ჩვენთვის ამოსავალია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე დართული ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სიები, რომლებშიაც სახასო აზნაურებად წარმოგვიდგება 116 სახლი (ქართლში 82, კახეთში 36). წყაროები მოწმობს, რომ ეს მონაცემები არ ასახავს XV—XVIII საუკუნეებში არსებულ სრულ სურათს. დროთა განმავლობაში სახასო აზნაურთა რიცხვი სხვადასხვა მიზეზის გამო (რაზეც ჩვენ ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ) მნიშვნელოვნად იცვლებოდა.

XVI საუკუნეში აღნიშნულ სიებში მოხსენიებული სამეფო აზნაურების გარდა სახასო აზნაურებად წარმოგვიდგებიან ნარიმანიშვილები<sup>89</sup>; XVII ს-ის I ნახევარში შუბითიძეები<sup>90</sup>, უგანაძე<sup>91</sup>, ეფთვიმისშვილი, ხუციშვილები, ვახანაშვილი<sup>92</sup>, ყაფარაშვილი<sup>93</sup>, ჩხეიძე, მიქელაძე, პატარაია, ჯაფარიძე<sup>94</sup>. XVII ს-ის მიწურულისა და XVIII ს-ის I მესამედის ქართლის სამეფო აზნაურებზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „სამეფო“ და „სადედოფლო“ დასტურლამალები<sup>95</sup>, „1721 წელს ჩატარებული მოწინავე სადროშოს აღწერის დავთარი“ და 1724 და 1737 წლებში შედგენილი ვახტანგ VI რუსეთში თანსლებ პირთა ნუსხები. ამ წყაროთა მონაცემებით, 1783 წ. ტრაქტატის სიაში აღნიშნული სამეფო აზნაურების სიას ემატება კიდევ 66 გვარი: იარაზიშვილი, გურიელი, აბედინაშვილი, კანდელაკისშვილი, ნაზარაშვილი, ასლანისშვილი, დალაღასშვილი, ზალიშვილი, ეგნატაშვილი, ედიშერისშვილი, საჩინოსშვილი, ბეგაშვილი, დურმიშხანისშვილი, ბიძინასშვილი, ბეჟანისშვილი, ოთარისშვილი, ანჩაფისშვილი, პაპაშვილი, ასისთავისშვილი, ზინდარაძე, ხოჯაშვილი, შალბელიქისშვილი, ფიფალასშვილი, ნიკოლოზისშვილი, ლუარსაბისშვილი, ქვლივიძე, ადამისშვილი, ნესერაშვილი, აბულაშვილი, ფინეზაშვილი, ჩარეჭაშვილი, ყანდიაშვილი,

<sup>89</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 26, ს. № 3, № 4, № 7; ფ. 1449, ს. 1025.

<sup>90</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1441 (ბ).

<sup>91</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1301.

<sup>92</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1530.

<sup>93</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 49, ს. 44.

<sup>94</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 503.

ხონიაშვილი, პეტრიაშვილი, ციმაკურიძე, ახშაჩუშვილი, ბერაძე, ურდუბეგაშვილი, მუსხელაძე, ჯანდიერიშვილი, ხეჩიკაშვილი, ნასრიაშვილი, უსუფაშვილი, (უსუფბეგიშვილი), აღაჯანაშვილი, თავდელიშვილი, ჩობანიშვილი, სესიტაშვილი, ნანაშვილი, ჭაგარაშვილი, ძეგელაშვილი, მანთაშაშვილი, ნეფისაშვილი, დოლენჯიშვილი, ქანანაშვილი, ჭავთარაშვილი, ჭაგარაშვილი, გილაქიშვილი, თაყასაშვილი, აბულკათისშვილი, შანაზარაშვილი (შაჰნაზარაშვილი), შაყულაშვილი, გურჯი-რევაზიშვილი, მესერაშვილი, ფხეიძე, აღნიაშვილი, ზაზუნაშვილი<sup>95</sup>.

ჩამოთვლილ აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ცნობილი აზნაურული სახლის განშტოებებია. მაგალითად, პაატაშვილები, ნერაბისშვილები, ფარსადანისშვილები, დავითისშვილები, ჭიშრაშვილები, გარსევანიშვილები, ავთანდილისშვილები, დავითისშვილები, ზაალიშვილები, ქანანაშვილები, ჩანან ყორღანაშვილების განაყოფებად<sup>96</sup>, ბეჟანისშვილები — თუმანიშვილების განაყოფებად<sup>97</sup> და სხვ. მაგრამ ზემოთ წარმოდგენილ აზნაურთა ნაწილი უკვე XVII ს-ის დასაწყისიდან წარმოდგენდა ცალკე ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სააზნაურო სახლებს (ფინეზაშვილები, აბულაშვილები, ჩარეკაშვილები, ხუციშვილები, ბეგაშვილები და სხვ.).

ჩამოთვლილი გვარების სახასო აზნაურებად მიჩნევას მხარს უჭერს დოკუმენტური მასალაც<sup>98</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილი გვარების გარდა აღნიშნულ წყაროებში (დასტურლამალი; 1721 წ. აღწერის დავთარი და ვახტანგ VI-ის ამაღლის ნუსხები) და დოკუმენტებში სამეფო აზნაურთა რიცხვში შეტანილი არიან ისეთი აზნაურული სახლების წარმომადგენლები, რომლებიც 1783 წ. ტრაქტატის სიის მიხედვით სათავადო და საეკლესიო აზნაურები იყვნენ, კერძოდ: ზედგენიძე, ლოლაძე, კარგარეთელი, მამაცაშვილი, ზემბულიძე, ბასილაშვილი, ტატიშვილი, ჯაჯანაშვილი (შიხეიდრიშვილი), ჩაკასშვილი, ქურდევანიძე, ალექსიძე, წინამძღვრიშვილი, ბულუტაური და სხვ<sup>99</sup>.

<sup>95</sup> 1721 წლის აღწერა; სადედოფლო და სამეფო დასტურლამალი; ს. ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში. გვ. 121—177; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1530.

<sup>96</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 709, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 4, 144.

<sup>97</sup> იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ტ. III—IV, გვ. 312.

<sup>98</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 211; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 9663; სცსა, ფ. 1450, დ. 34, ს. 8157.

<sup>99</sup> გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—178; სცსა, ფ. 1450, დ. 37, ს. 78; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 4231.

XVIII ს. დოკუმენტები ავსებენ როგორც 1783 წ. ტრაქტატის სი-  
 ას, ასევე XVII ს-ის მიწურულისა და XVIII ს-ის I მესამედის აღნიშ-  
 ნულ ნუსხებს შემდეგი სამეფო აზნაურებით: მთელი XVIII ს-ის გან-  
 მავლობაში — ქობულოვი<sup>100</sup>, თუშმალიშვილი<sup>101</sup>, ბაქრაძე<sup>102</sup>, XVIII ს.  
 პირველ ნახევარში: ჩაჩიკასვილი<sup>103</sup>, ხურსისძე-ნინიაშვილი<sup>104</sup>, გოგი-  
 ბაშვილი<sup>105</sup>, ფარემუზაშვილი<sup>106</sup>, ბურდიაშვილი<sup>107</sup>, ხეთაგური (ხეთა-  
 გუროვი)<sup>108</sup>, აფხაზიშვილი<sup>109</sup>, დოჭიძე<sup>110</sup>, რატიშვილი<sup>111</sup>. ამ საუკუნის  
 მეორე ნახევარში კი: ცერცვაშვილი<sup>112</sup>, ჭიდანისვილი (ჭიდაყანიშვი-  
 ლი)<sup>113</sup>, ფერშანგისვილი<sup>114</sup>, ბაბილონისვილი, საყვარელი, ნამორაძე<sup>115</sup>,  
 ჯვარაძე (ჯვარაშვილი)<sup>116</sup>, ზარაშვილი<sup>117</sup>, მამისთვალი<sup>118</sup>, შავუბატო-  
 ვი<sup>119</sup>, ჯობინაშვილი<sup>120</sup>, ბადრიძე<sup>121</sup>, ყაიყმაზაშვილი, ედიგარასვილი,  
 ჩიკოიძე<sup>122</sup>, ლომიძე<sup>123</sup>, იარალისვილი<sup>124</sup>, ყანჩოვიშვილი<sup>125</sup>, ოთანა-  
 შვილი<sup>126</sup>, მანცურაშვილი (ნაბცურაშვილი)<sup>127</sup> და სხვ.

- 
- 100 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1818.  
 101 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd № 571; სცსა, ფ. 1450, დ. ხ. № 8, საქართვე-  
 ლოს სიძველენი, II, გვ. 506.  
 102 სცსა, ფ. 1450, დ. 34, ს. 115, 117, ფ. 1448, ს. 12.  
 103 სცსა, ფ. 1450, დ. 37, ს. № 141 და № 142.  
 104 სცსა, ფ. 1448, ს. № 5650.  
 105 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1560.  
 106 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 2380.  
 107 სცსა, ფ. 1448, ს. № 518.  
 108 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 252.  
 109 სცსა, ფ. 1450, დ. 12, ს. № 31.  
 110 ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 1575.  
 111 სცსა, ფ. 1450, დ. 28, ს. № 183.  
 112 სცსა, ფ. 1448, № 41.  
 113 სცსა, ფ. 1448, ს. № 5525.  
 114 სცსა, ფ. 1448, № 347.  
 115 სცსა, ფ. 1448, ს. 253.  
 116 Акты, I; с. 292.  
 117 სცსა, ფ. 1448, ს. № 1869.  
 118 Грузинские дворянские грамоты, с. 25.  
 119 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 8585.  
 120 სცსა, ფ. 1448, ს. 119.  
 121 Акты, I, с. 259.  
 122 სცსა, ფ. 1449, ს. 1129.  
 123 სცსა, ფ. 1448, ს. № 1039.  
 124 ისტორიული საბუთები, V, გვ. 104.  
 125 სცსა, ფ. 1448, ს. № 1017.  
 126 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 120.  
 127 სცსა, ფ. 1448, ს. № 1067.



კახეთის სამეფო აზნაურებზე 1783 წლის ტრაქტატზე დართული სია მნიშვნელოვნად უფრო სრული ჩანს ქართლის სახასო აზნაურთა სიასთან შედარებით. დოკუმენტების საფუძველზე ამ სიას შეიძლება დავუმატოთ მხოლოდ 2 საგვარეულო სახლი: XVIII ს-ის I მესამედში მარკოზაშვილი<sup>128</sup>, ხოლო ამ საუკუნის II ნახევარში კი ბებურიშვილები<sup>129</sup>.

როგორც ვხედავთ, სახასო აზნაურთა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქართლის სამეფოში, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა. განვიხილოთ ამის გამომწვევი მიზეზები.

სახასო აზნაურთა რაოდენობა ისევე, როგორც მათი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ცხადია, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებასთან, ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცესთან. მეფე ცდილობდა თავის აზნაურთა რაოდენობის ზრდას და მათ გადაქცევას იმ ძალად, რომელზე დაყრდნობითაც იგი ალაგმავდა თავადთა თვითნებობას, ქვეყნის დაქუცმაცებისა და დაცემის გამომწვევი მიზეზებს. სამეფო ხელისუფლების შესუსტებას თან ახლდა სახასო აზნაურთა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირებაც. სახასო აზნაურთა რაოდენობა ძირითადად იზრდებოდა სათავადო აზნაურთა ხარჯზე, ე. ი. ამ უკანასკნელთა სახასო მფლობელობაში გადასვლის გზით. ეს ხდებოდა შემდეგნაირად:

XVI—XVIII სს-ის ქართლის სამეფოს ცხოვრებაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მეფე მის და ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის ცალკეულ თავადებს ართმევდა ყმა-მამულს, ხოლო ზოგჯერ კი მთლიანად აუქმებდა ამა თუ იმ სათავადოს, რის შედეგადაც ამ თავადთა ყმა-მამული და მათ შორის აზნაურები მეფის საკუთრებაში გადადიოდა. მაგალითად XVII ს-ის შუა ხანებში როსტომ მეფემ დროებით მოშალა ფავლენისშვილების სათავადო და მათი აზნაური ნამორაძეები თავის ყმებად გაიხადა<sup>130</sup>. XVIII ს-ის I მეოთხედში ვახტანგ VI-ს რისხვა თავს დაატყდა ციციშვილების საგვარეულოს. მეფემ ჩამოართვა ყმა-მამული და აზნაურები გვერწითელები, ალექსიძეები, ბულუტაურები და წინამძღვრიშვილები სახასოდ გახადა<sup>131</sup>. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ საგვარეულოთა წარმო-

128 სცსა, ფ. 1450, დ. 53, ს. 116.

129 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 553.

130 ზელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1301.

131 გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

მადგენლები „სამეფო დასტურლამალში“ შეტანილი არიან ქილაგის მეთოფეთა სიებში<sup>132</sup>.

სახასო აზნაურების რაოდენობის ზრდას განსაკუთრებით ბევრი შეუწყო თეიმურაზ II და ერეკლე II პოლიტიკამ, მიმართულმა სათავადოების გაუქმებისაკენ. 1743 წ. არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ მეფის აზნაურთა რიცხვს შეემატნენ ამ კუთხის აზნაურები: კობიაშვილები, შაბურისშვილები, ქილაშვილები, ქუმსიაშვილები, ყარანგოზიშვილები, ტერისშვილები, ჩრდილელები, ზანდუკელები, გილდაშვილები და ცერცვაშვილები. ქსნის საერისთავოს სახასო მფლობელობის ფარგლებში მოქცევის შემდეგ კი: ვარაყანიძეები, კორინთელები, ფურცელაძეები, ჩერქეზიშვილები და მახატელები. 1766 წელს დემეტრე ამილახვრის შვილს ერეკლემ დალატისათვის ჩამოართვა მამული და მისი ორი აზნაური — საყვარელიძე და ცალქალამანიძე, რომლებიც საკუთარ აზნაურთა რიცხვს შემატა. ასეთივე მიზეზით ერეკლემ 1782 წ. თავის საკუთრებად გამოაცხადა ციციშვილების აზნაური თომა მელვინეთუხუცესი და მისი სახლის წევრები<sup>133</sup>.

ამგვარ ფაქტებს ადგილი ჰქონდა გიორგი XII-ის და მისი შვილის დავითის ხანმოკლე მმართველობის პერიოდშიც<sup>134</sup>.

XVI—XVIII სს-ში დასტურდება შემთხვევები, როდესაც მეფე თავადებისაგან ყიდულობდა მათ აზნაურებს. მაგალითად, ვახტანგ VI-მ ასანზეგიშვილი თაყასა და მისი შვილებისაგან იყიდა არეშიშვილები<sup>135</sup>, მანვე 1712 წ. ციციშვილებისაგან შეიძინა აზნაური ფარემუზაშვილი<sup>136</sup> და სხვა. რასაკვირველია, აზნაურების ყიდვა-გაყიდვა ქართული ფეოდალური საზოგადოების წესისა და რიგის დარღვევად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან, როგორც ცნობილია, აზნაურთა ძირითად ნიშანს პირადი თავისუფლება წარმოადგენდა. სახასო მფლობელობაში სათავადო აზნაურები გადადიოდნენ სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, როდესაც მეფის შვილი ცოლად თხოულობდა თავადის ასულს, ამ უკანასკნელს მზითვად ატანდნენ აზნაურს<sup>137</sup>. წყაროებში დამოწმებულია ისეთი ფაქტებიც, როდესაც მეფე სათავადო სახლის გაყრისას გასამყრელოში თავის სასარგებლოდ ისაკუთრებდა მათ აზნაურებს<sup>138</sup>.

სამეფო აზნაურების რიცხვი მრავლდებოდა სხვადასხვა კუთხებიდან გადმოსული აზნაურების ხარჯზეც. ჩვენს მიერ ზემოთ შედგენი-

<sup>132</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 243—244.

<sup>133</sup> ქართული სამართლის ძეგლები, V, გვ. 176.

<sup>134</sup> АКТЫ, I, с. 195—196.

<sup>135</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 13834.

<sup>136</sup> АКТЫ, I, с. 115—121.

<sup>137</sup> სცსა, ფ. 1448, ს. № 578.

<sup>138</sup> სცსა, ფ. 1449, ს. № 1905.

ლი ქართლის აზნაურთა სიებში, როგორც დავინახეთ, ბევრია დასაველეთ საქართველოდან და კახეთიდან ჩამოსახლებული საგვარეულოები. აზნაურთა გადმოყვანა და მათი სახასო მფლობელობაში ჩარიცხვა ხდებოდა და საქართველოს სამხრეთის პროვინციებიდანაც (ჯავახეთიდან, თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცებული ტერიტორიებიდან)<sup>139</sup>.

სახასო აზნაურთა რაოდენობრივი ზრდის ერთ-ერთ გზას მეფეთა მიერ მათ წინაშე ერთეული სამსახურის სანაცვლოდ საკუთარი ყმა-გლეხების გააზნაურება წარმოადგენდა. მაგალითად, 1729 წელს კონსტანტინე კახთა მეფემ ოთარ ხინსალიშვილი და მისი სახლის წევრები ერთეული სამსახურისათვის აზნაურულ პატივში აიყვანა<sup>140</sup>. 1752 წელს კი ერეკლე II-მ აზნაურობა უწყალობა დათუნა ბოსტაშვილს<sup>141</sup>.

ზრდის ფაქტორების გვერდით არსებობდა სახასო აზნაურთა შემცირების მიზეზებიც. მათ შორის ძირითადი იყო საგარეო მტრების შემოსევების შედეგად ცენტრალური ხელისუფლების მოშლა და დამპყრობელთა გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოში:

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის წინაშე დადგა სამეფო აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი XVIII ს-ის მეორე მეოთხედიდან ოსმალ-ყიზილბაშების ბატონობის ხანაში. სამეფო ხელისუფლების მოშლამ და უცხოელი დამპყრობლების მიერ შეწყერილმა მძიმე გადასახადებმა გაჩანაგების პირზე მიიყვანა ბევრი მათგანის მეურნეობა, რამაც ისინი იძულებული გახადა მოენახათ ძლიერი დამცველი და შესულიყვნენ დიდებული თავადების მფარველობის ქვეშ. ამან გამოიწვია ამ პერიოდში სამეფო აზნაურთა რიგების შესუსტება<sup>142</sup>. მაგალითად, ოქრომქედლიშვილები მოექცნენ ფავლენიშვილებისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში<sup>143</sup>. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოებს სათავეში ჩაუდგნენ ერეკლე II და თეიმურაზ II, მათი და მათი ოჯახის წევრების მეცადინეობის შედეგად ასეთ აზნაურთა (ე. ი. იმ სახასო აზნაურებისა, რომლებიც ოსმალ-ყიზილბაშთა ბატონობის ხანაში თავადთა გავლენის ქვეშ მოექცნენ) მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაიბრუნეს და ისევ სამეფო სახლის საკუთრებად გამოაცხადეს<sup>144</sup>.

სახასო აზნაურთა რაოდენობის შემცირებას იწვევდა ბევრი სხვა მიზეზიც. ასეთებად უნდა დავასახელოთ ზოგიერთი სახასო აზნაურ-

139 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1560.

140 სცსა, ფ. 1448, № 556.

141 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. III, გვ. 210.

142 გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

143 სცსა, ფ. 1450, დ. 31, ს. № 233.

144 სცსა, ფ. 1450, დ. 31, ს. № 197.

ლი გვარის ამოწყვეტა, მეფეთაგან სახასო აზნაურების თავადებისათვის ბოძება<sup>145</sup>, თავიანთ ოჯახის წევრთა გათხოვების შემთხვევაში მათი მზითვეში გაყოლება<sup>146</sup>, ეკლესია-მონასტრებისათვის შეწირვა<sup>147</sup> და სხვა.

ქართლის სახასო აზნაურებში შეიძლება გამოიყოს 3 კატეგორია: 1. სამეფო, 2. სადედოფლო და 3. საბატონიშვილო აზნაურები. ესაა სახასო აზნაურთა თავისებურება ქართლში.

XVI—XVIII სს. დოკუმენტებში ხშირად მითითებულია, თუ სამეფო სახლის რომელი წევრის ვასალს წარმოადგენდა ესა თუ ის აზნაური<sup>148</sup>.

თუმცა წყაროებში ხშირად დამოწმებულია შემთხვევები, როდესაც მეფე თავისი ნება-სურვილით უწყალობებდა და ართმევდა ყმა-მამულს და თანამდებობებს როგორც სადედოფლო, ისე საუფლისწულო (საბატონიშვილო) აზნაურებს (ამ უკანასკნელებზე — 1791 წლამდე)<sup>149</sup>.

ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც სადედოფლო, ისე საბატონიშვილო აზნაურები განიხილებოდნენ სამეფო სახლის საერთო საკუთრებად და მათ ფაქტიურ სენიორს მეფე წარმოადგენდა.

ვასარკვევი ხდება, თუ რა განსხვავება არსებობდა სამეფო, სადედოფლო და საუფლისწულო აზნაურებს შორის და რამდენად შეიძლება სახასო აზნაურების ასეთ ქვეჯგუფებად დაყოფა.

ვფიქრობთ, სამეფო სახლის აზნაურების აღნიშნული დაყოფა იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც სადედოფლო და საუფლისწულო აზნაურები თავიანთ ვასალურ ვალდებულებებს ძირითადად დედოფლისა და ბატონიშვილების მიმართ ასრულებდნენ. ეს გამოიხატებოდა ლაშქარ-ნადირობისას ხლებაში, მათ კარზე და მამულებში სამოხელეო ფუნქციების შესრულებისა და სხვადასხვა სახის გადასახადების გადახდაში. მაგალითად, სადედოფლო აზნაურებს იალღუზიშვილებსა და ოქრომჭედლიშვილებს დედოფლისათვის ძღვენი უნდა მიერთმიათ მარხვაში<sup>150</sup>.

სახასო აზნაურთა ქვეჯგუფებად დაყოფის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სადედოფლო და საბატონიშვილო აზნაურებად

145 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 11427.

146 სცსა, ფ. 1448, ს. № 426, № 1170.

147 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad № 1575; თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის ეკლესიებისა და მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 219; სცსა, ფ. 1449, № 1905.

148 სცსა, ფ. 1448, ს. № 2018.

№ 253.

149 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1560, Qd 8534; სცსა, ფ. 1448, ს. № 11, № 253.

150 სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 721.

XVI—XVIII საუკუნეებში ერთი და იგივე აზნაურული საგვარეულოს წარმომადგენლები ჩანან. განსაკუთრებით ეს ითქმის სადედოფლო აზნაურებზე, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: კოჭრავაძე მჭედლიშვილები, ელიარაშვილები (ელივარაშვილები), მთულასშვილები, საგინაშვილები, ნარიმანიშვილები, რჩეულისშვილები, ჩარეჭაშვილები, აბაზაძეები, აბულასშვილები, გლურჯაძეები, ყორღანასშვილები, დოღმაზაშვილები, ზუმბატიშვილები, იალღუზიშვილები, მანთაშაშვილები, თუშმალიშვილები, ბაქრაძეები, ელიოზისძეები, იშხნელები, ძეგელაშვილები, ჯინეზისშვილები, ალხაზისშვილები, გარსევანისშვილები, თავყელისშვილები, მაღალასშვილები, გოგობასშვილები, ლარაძეები, ყათარაშვილები, ხმალაძეები<sup>151</sup>.

ამაზევე მიუთითებს თუნდაც „სადედოფლო დასტურლამალი“ სადედოფლო თავადთა და აზნაურთა სიის თავში გაკეთებული სათაური: „სადედოფლო თავადნი და აზნაურნი ესე დაწერილან და ძველთაგან დამტკიცებულნი არიან“<sup>152</sup>.

საუფლისწულო აზნაურებს შორისაც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე საგვარეულო, რომელიც XVII—XVIII სს. საბატონიშვილო შფლობელობაში იმყოფებოდა. ასეთები იყო: ყორღანაშვილები<sup>153</sup>, კავკასიძეები<sup>154</sup>, მახვილაძეები<sup>155</sup>, ლომინაძეები<sup>156</sup> და სხვები.

კახეთში სახასო აზნაურებში ასეთი დიფერენციაცია არ არსებობდა. ყველა მათგანი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა და მხოლოდ მის წინაშე ასრულებდა თავისი ვასალური მდგომარეობიდან გამომდინარე სამსახურს.

უფლებრივი თვალსაზრისით როგორც სათავადო, ისე საეკლესიო და სამეფო აზნაურები თანასწორნი იყვნენ, მაგრამ ფაქტობრივად ეს უკანასკნელნი სხვებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ დაწინაურების, სოციალური და ეკონომიკური აღზევების

<sup>151</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 702—707; 1721 წლის აღწერა, გვ. 248—244; ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი; ჰუსართა პოლკში, გვ. 121—177; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, II, გვ. 211; სცსა, ფ. 1448, ს. № 11, № 12, № 35, № 87. № 503, № 1348, № 1555, № 2293, № 8839; ფ. 1449, ს. 1025; ფ. 1450, დ. 28, ს. № 3, № 4, № 7; დ. 10, ს. № 12, № 122, № 131; დ. 28, ს. № 115, № 117; დ. 31, ს. № 177, № 234; დ. 38, ს. № 19, № 30; დ. 49, ს. 44; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14688, 14422, 1141 (ბ).

<sup>152</sup> სადედოფლო დასტურლამალი, გვ. 720.

<sup>153</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 16, № 162, ხელნაწერთა ინსტიტუტი, 7030.

<sup>154</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd, № 9605; Hd № 2119.

<sup>155</sup> სცსა, ფ. 1450, დ. 23, ს. № 14; საქართველოს სიძველენი, II, გვ. 255.

<sup>156</sup> სცსა, ფ. 1446, № 1039.



მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ<sup>157</sup>. მეფე და მისი ოჯახის წევრები კვიციანი  
 ნის უმსხვილესი ფეოდალები, უკეთ უზრუნველყოფდნენ თავიანთი სახე-  
 ნაურებს ყმა-მამულთ, ნიშნავდნენ შემოსავლიან თანამდებობებზე,  
 ხოლო ზოგ შემთხვევაში კი უნიშნავდნენ ჯამაგირსაც ერთგული სამ-  
 სახურის სანაცვლოდ<sup>158</sup>. სახასო აზნაურთა კეთილდღეობის ზრდას  
 ხელს უწყობდა ისიც, რომ ხშირად მეფეები საკუთარ აზნაურთა ყმა-  
 მამულს ათარხნებდნენ ვალდებულებებისაგან. გათარხნება არ ეხებო-  
 და მხოლოდ ლაშქარ-ნადირობას, რომელიც აზნაურთა უპირველეს  
 მოვალეობად ითვლებოდა. ამის გარდა აზნაურებს დაკისრებული ჰქონ-  
 დათ ზოგიერთი სპეციფიკური ვალდებულებაც. მაგალითად, როგორც  
 დაინახეთ იალღუზიშვილებისა და ოქრომჭედლიშვილების გლეხებს  
 ძღვენი უნდა მიერთმიათ დედოფლისათვის მარბვაში, აზნაურთა ნა-  
 წილს დაკისრებული ჰქონდა სამეფო გზების შენახვა და მეფის თავლის  
 ქეშკობა. ყორღანაშვილების ყმებს ევალებოდათ სამასპინძლო, ხოლო  
 დანარჩენი გადასახადებისაგან ისინი თავისუფალნი იყვნენ<sup>159</sup>.

ბოლოს, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ სამეფო აზ-  
 ნაურები დაცულნი იყვნენ იმ ძალმომრეობისაგან. რომელსაც ხშირად  
 განიცდიდნენ სათავადო აზნაურები თავიანთი სენიორისაგან. ამიტომ  
 იყო სათავადო აზნაურებს შორის დიდი ლტოლვა სამეფო აზნაურო-  
 ბისაკენ.

მეფისაგან შეწყყნარებული, ეკონომიკურად და სამსახურებრივად  
 აღზევებული აზნაური თავადობისაკენ ისწრაფოდა და იშვიათად აღ-  
 წევდა კიდეც ამას. მაგალითად, ასეთი პატივი XVIII ს-ის I მესამედ-  
 ში მოიპოვა რატიშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთმა სახლმა<sup>160</sup>. აღ-  
 ნიშნულ პერიოდში თავადები გახდნენ თურქისტანიშვილთა საგვარეუ-  
 ლოს წარმომადგენლებიც<sup>161</sup>.

სახასო აზნაურები, ისევე როგორც საერთოდ აზნაურთა ფენა სა-  
 ქართველოს ტერიტორიაზე ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით 3  
 ჯგუფად იყოფოდა: „დიდებული აზნაური“, „შუა აზნაური“ და „ცალ-  
 მოგვი აზნაური“. მათი საკუთრება სამი სახის იყო: 1. „საკუთარი“  
 ყმა-მამული, 2. თავის ბატონისაგან ნაწყალობევი, 3. ნასყიდ-ნამზით-

157 Н. Бердзенишвили. Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии в XIII—XVI вв. Тбилиси, 1937, с. 39.

158 სცსა, ფ. 1448, № 1869;

159 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 213.

160 ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 123; ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 675; სცსა, ფ. 1450, დ. 28, ს. № 183.

161 ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169—170.



ვი<sup>162</sup>. სამეფო აზნაურთა შორის ბევრი იყო ისეთიც, რომელსაც მამული საერთოდ არ გააჩნდა და არსებობის ერთადერთ საშუალებას სამეფო კარზე გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მიღებული გასამრჯელო წარმოადგენდა<sup>163</sup>.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ აღმოსავლეთ საქართველოს სახასო აზნაურებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, რომელიც ჩვენი აზრით, შემდგომ კვლევას საჭიროებდა: შევეცადეთ დაგვეზუსტებინა ქართლისა და კახეთის სამეფო აზნაურთა სიები, მათი მოვალეობები სამეფო სახლის წევრების მიმართ, დაგვეჩვენებინა მათი რაოდენობის ზრდისა და შემცირების გამომწვევი მიზეზები, მათი სოციალურ-ეკონომიკური აღზევების გზები და სხვა.

162 გ. აკოფაშვილი, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 89.

163 Акты, I, с. 259—261.

## დასკვნები

საქართველოში სამეფო ხელისუფლების არსებობის პარალელურად არსებობდა და ევოლუციას განიცდიდა სამეფო მიწათმფლობელობა. IV—XV სს-ის საქართველოში მიწათმფლობელობა იყო 3 სახის: 1. სამეფო, 2. სახელმწიფო და 3. საფეოდალო (საერო და საეკლესიო). სახელმწიფო მიწათმფლობელობის გამიჯვნა სამეფოსაგან შესაძლებელია მხოლოდ XI—XIII საუკუნეებში.

სამეფო მიწათმფლობელობას საქართველოში სხვადასხვა პერიოდში აღნიშნავდა ტერმინები: სეფე (ანტიკური და ადრეფეოდალური ხანა), სამეფო||სამეფო||სამფლობელო (ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის ხანა), სამამასახლისო (ანტიკური ადრეფეოდალური, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი, ხასი||სახასო (განვითარებული ფეოდალიზმის ხანა).

ადრეფეოდალური და ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში სამეფო დომენი სამეფო სახლის წევრებს შორის შემდეგნაირად იყო დანაწილებული: 1. მეფის მფლობელობაში მოქცეული მიწები, რომლებიც თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფოდა: ა) „საუხუცესო“, „სამამასახლისო“ მიწები, რომლებიც მისთვის გამოყოფილი იყო, როგორც სახელმწიფოს მეთაურისთვის (ეგრისი, სვანეთი, თაკურთი, არგუეთი, გურია, სამოქალაქო (ქუთაისის მხარე) და კახეთის ნაწილი). ისინი ერთი მეფიდან შეორეს განკარგულებაში გადადიოდა, ბ) „სეფე სამეფო სამეფო“ მიწები — საგვარეულო საკუთრების ქვეშ მოქცეული ყმა-მამული, რომელთა მიმართ მეფე იმდენად ითვლებოდა მებატონედ, რამდენადაც იგი სამეფო სახლის მეთაურს წარმოადგენდა (ტაო, შავშეთი, აჭარა, თრიალეთის ნაწილი, კახეთის დიდი ნაწილი. ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, ზორი, ატენი, რუსთავი (კახეთის, დმანისის კარი და სხვა); გ) მეფის პირადი გარჯით შეძენილი საკუთრება; 2. საუფლისწულო — რომელიც ტახტის ერთი მემკვიდრიდან მეორეს ხელში გადადიოდა (შიდა ქართლის, კახეთის და სამცხის ნაწილი, ჭავჭავეთი); 3. სადედოფლო — რომელიც ჩნდება XIII საუკუნის მიწურულიდან; 4. სამეფო სახლის წევრებისადმი დროებით სარგებლობაში გადაცემული მიწები, რომელთაც ეს უკანასკნელნი ისაკუთრებდნენ XIII ს-ის მიწურულიდან. ადრეფეოდალური ხანის სა-



ქართველოში მეფის დანარჩენი ძეგები ერისთავის სახელოსა და ბატივის მატარებლები იყვნენ.

XV ს-ის ბოლოს საქართველო დაიშალა 3 სამეფოდ და სამეფო  
როდ. XVI—XVIII სს. ქართლის მეფეთა სამფლობელოების არსებობა დასტურდება ამ მხარის სამივე ისტორიულ თემში: ზემო, შიდა და განსაკუთრებით ქვემო ქართლში. მისივე საკუთრების ქვეშ მოქცეული იყო ქალაქები: თბილისი, გორი, სურამი, და ალი. კახეთში სამეფოდ წარმოგვიდგება პროვინციები: ელისენი, მარტყოფი, ქიზიყი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, წუქეთი, დიდოეთი, თიანეთი, ჭიაურთი, შილდა-ყვარელი, გრემი, ბაზარი და თელავი.

აღნიშნულ პერიოდშიც აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლისა და კახეთის სამეფოებში) სახასოს ფარგლებში გამოყოფილი ჩანს: 1. მეფის უშუალო განკარგულების ქვეშ მყოფი მიწები (სამეფო სახლის საგვარეულო გაუცემელი მიწები, რომელსაც მეფე განაგებდა და ფლობდა როგორც სამეფო სახლის მეთაური), 2. საუფლისწულო, 3. სადედოფლო, 4. ოჯახის სხვა წევრებისათვის — ბატონიშვილებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სამფლობელოები.

ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე სადედოფლო, საუფლისწულო და საბატონიშვილო სამფლობელოები კახეთისაგან განსხვავებით ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. მათ ფარგლებში მოქცეული იყო ქალაქები, სოფლები, მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხები. მეფის ოჯახის წევრებისადმი ქართლში ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცეულნი იყვნენ: ეპისკოპოსები, თავადები და აზნაურები, რაც კახეთის სინამდვილეში არ დასტურდება.

როგორც წესი, სადედოფლო მამული ერთი დედოფლიდან მომდევნო დედოფლის მფლობელობაში გადადიოდა, მაგრამ მისი უზენაესი განმკარგულებელი იყო მეფე, რომელიც ზოგჯერ უცვლიდა მას მფლობელს. პირობით სამფლობელოებად განიხილებოდა საუფლისწულო და საბატონიშვილო ყმა-მამულიც. ის ერთი უფლისწულიდან და ბატონიშვილებიდან მეორე უფლისწულსა და ბატონიშვილებზე გადადიოდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ბატონიშვილების კოლექტიურ სამფლობელოს წარმოადგენდა და მისგან მიღებული შემოსავალი ნაწილდებოდა მათ შორის (ბატონიშვილები თვითონაც ცდილობდნენ თავიანთი საბატონიშვილო ყმა-მამულის ვაზრდას ახალი მიწების შეძენით. ასეთი სახის სამფლობელოები განიხილებოდა ამ უკანასკნელთა სრულ საკუთრებად და მეფე არ ერეოდა მათი მმართველობის სფეროში).

საბატონიშვილოთა ფარგლები განსაკუთრებით გაიზარდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან კი ერე-

კლე II-ის განკარგულებით მთელი სახასო განაწილებულ იქნა შის/ შვილებს შორის, რის შედეგად ჩამოყალიბდა 5 თითქმის დამოუკიდებელი საბატონიშვილო სენიორია. ამან გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დაქვეითება და დიდად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის 1795 წლის ტრაგედიას.

გიორგი XII-ის მემკვიდრემ დავით ბატონიშვილმა თავისი ხანმოკლე მმართველობის ბოლო მონაკვეთში გაილაშქრა საბატონიშვილოების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში თავის მხარეზე გადმოსაბირებლად დავითმა ერეკლეს მიერ მათთვის ჩამორთმეული მამულების დიდი ნაწილი უკან დაუბრუნა ამ უკანასკნელთ, მაგრამ დავითმა ეს ბრძოლა ბოლომდე ვერ მიიყვანა, ვინაიდან 1801 წლის 12 სექტემბერს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა, ხოლო სახასო მიწები სახაზინოსაკუთრებად გამოცხადდა.

კახეთში სამეფო მიწათმფლობელობას ახასიათებდა ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი. XVI—XVII საუკუნეებში კახეთში ცენტრალური ხელისუფლების გატარებული საგანგებო ღონისძიებების შედეგად სამეფო დომენი აქ უფრო ძლიერი და ვრცელი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა ისტორიულ თემებში, რამაც საერო და სასულიერო საფეოდალების სისუსტე გამოიწვია (არავითარი პრინციპული განსხვავება XVI—XVII საუკუნეების კახეთის სათავადოსა და ერთიანობის ხანის დიდებულის მიწათმფლობელობას შორის არ არსებობდა).

XVI—XVIII საუკუნეების კახეთში ადმინისტრაციული გამგებლობის თვალსაზრისით სამეფო დომენი ფარავდა მთელ კახეთს, რადგანაც საფეოდალო და საეკლესიო-სამონასტრო მიწებზე ადმინისტრაციულად ხელი მიუწვდებოდათ სახასო მიწების გამგებლებს — მოურავებს, მაგრამ, რასაკვირველია, მათ განსხვავებული უფლებები ჰქონდათ სამოურავოში შემავალ სამეფო, სადედოფლო და საეკლესიო მამულების მიმართ. თუ სამეფო დომენში ის ითვლებოდა სრულუფლებიან გამგებლად, მეფისნაცვლად, საფეოდალო და საეკლესიო მამულების მიმართ ის ასრულებდა სამეფო გადასახადის ამკრეფის, სამამართლო და ჯარის სარდლის ფუნქციებს.

კახეთში ყველა ეპისკოპოსი უშუალოდ მეფის ვასალი იყო და არა რომელიმე დიდი ფეოდალის ან სამეფო სახლის წევრისა, როგორც ეს საქართველოს სხვა კუთხეებში იყო. კახეთში ყველა საეკლესიო აზნაური განიხილებოდა, როგორც მეფის უშუალო ვასალი, თუმცა ქართლის სამეფოშიც არ იყო გაწყვეტილი უშუალო ურთიერთობა მეფესა და საეკლესიო და სათავადო აზნაურებთან, ვინაიდან საქართველოში მოქმედებდა პრინციპი: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალიცა“.

კახეთის თავისებურება პატრონყმობის სისტემაში ის იყო, რომ აქ არ არსებობდა ოთხსაფეხურიანი ვასალიტეტი: მეფე—თავადი—ეკლესია—აზნაური. ვასალიტეტი აქ ძირითადად ორსაფეხურიანი იყო: მეფე—თავადი, მეფე—აზნაური, მეფე—ეკლესია, ან სამსაფეხურიანი: მეფე—თავადი—აზნაური, მეფე—ეკლესია—აზნაური. კახეთში აგრეთვე გაცილებით მცირე იყო სადედოფლო, საუფლისწულო და საბატონიშვილო მიწების ხვედრითი წილი, ვიდრე საქართველოს სხვა მხარეებში.

სამეფო მიწათმფლობელობა XV—XVIII სს-ში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, რასაც განსაზღვრავდა ბევრი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი. სამეფო დომენის ზრდას ხელს უწყობდა: 1. ურჩი ფეოდალებისათვის ყმა-მამულის ჩამორთმევა და მათი სამეფო საკუთრების ქვეშ მოქცევა; 2. ყმა გლეხების და მიწების ყიდვა; 3. ზოგ შემთხვევაში ბეითალმანი მამულის გადასვლა სამეფო დომენში; 4. არაქართველი მოსახლეობის ჩამოსახლება და სხვ.

სამეფო დომენის შემცირებას კი ხელს უწყობდა შემდეგი ფაქტორები: 1. საგარეო მტრების თავდასხმები და ამის შედეგად მიწების გაუკაცრიელება; 2. მეფის მიერ ყმა-მამულის შეწირვა და წყალობად გაცემა; 3. სამეფო დომენში სადედოფლო და საუფლისწულო მიწების ხვედრითი წონის გაზრდა.

XV—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები როგორც სამამულე, ისე სასულიერო სფეროში. მტკიცედ ახორციელებდნენ თავიანთ სუვერენიტეტს ეკლესიაზე. ეკლესიის საკუთრება განიხილებოდა როგორც სამეფო-სახელმწიფო ქონების განუყოფელი ნაწილი.

## ФЕОДАЛЬНОЕ ЗЕМЛЕВЛАДЕНИЕ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ XV—XVIII ВЕКОВ

### Резюме

Феодальное землевладение в средневековом обществе представляет основу социально-политических отношений. Составной частью всего феодального землевладения являлась царская вотчина, а царь был самым крупным землевладельцем.

Параллельно с развитием формы государственного правления в Грузии развивается и видоизменяется царская вотчина. В зависимости от характера царского землевладения, дробления феодальной собственности на землю и закрепощения крестьян определяются отличительные черты между западно-европейским и восточным феодализмом.<sup>1</sup>

Во вступлении предпринята попытка изучения развития форм царского и государственного землевладения. Со второй половины XIII века начинается ликвидация государственного землевладения. Этот процесс закончился в XV веке.

В первой главе «Царское землевладение в Грузии в V—XV вв.» рассматриваются пределы царского домена, причины их изменений. Большое внимание уделяется вопросу деления царского домена между членами царской семьи. Выявлено, что в IV—XV вв. царский домен был разделен между членами царской семьи следующим образом: 1. земли, которыми владел сам царь и которые делились на три части: а) «саухуцесо», «самамасахлисо», которые выделялись царю как главе государства; б) «сепе», «сапеупо» // «сапепо» — коллективная собственность царского дома; в) собственность, добытая его личными стараниями; 2. «сауплискуло», т. е. земли царевичей, которые переходили от одного наследника престола к другому; 3. «садедопло», т. е. земли цариц — эта форма, как часть царского домена возникла с конца XIII века; 4. земли, переданные во временное владение другим членам царского дома. Эта форма превратилась в наследственное землевладение с конца XIII века.

С конца XV века Грузия распалась на три царства и пять княжеств. В XV—XVII вв. страна подвергалась постоянным набегам со стороны Ирана и Турции. Этот период характеризуется экономическим упадком Грузии. Исчезла государствен-

ная собственность. Частично она слилась с царским доменом, а частично перешла во владение тавадов (князей).

Во второй главе «Царская вотчина в Кахетинском царстве в XV—XVIII вв.» даны пределы царских владений в Кахети. Там были следующие крупные царские владения (моуравства): Кизики, Елисени, Марткопи, Тушети, Пшави, Хевсурети, Цукети, Дидоети, Тианети, Чиаури, Шилда-Кварели, Греми, Панкиси, царские города: Греми, Телави, Базари, Сигнахи. В силу разных социально-экономических и политических факторов царская вотчина в Кахети на всем протяжении средневековья была обширнее, чем в других частях Грузии. Ее территория превосходила владения как светских феодалов, так и церкви.

В труде выделяются некоторые особенности, присущие царскому домену и сатавадо (феодальной сеньерии) в Кахети. Установлено, что в царском домене Кахети удельный вес владений царицы и царевичей был меньше, чем в других краях Грузии (их удельный вес возрос в конце XVIII в.). Царевичи и царицы не имели в Кахети своих вассалов.

Под влиянием различных факторов внутреннего и внешнего порядка пределы царских владений в Кахети менялись. В труде выявлены факторы, обуславливающие рост или уменьшение царского домена в Кахети.

В третьей главе «Царская вотчина в Картли в XV—XVIII вв.» описаны территории, которые входили в пределы царской вотчины (в Картли), владений цариц и царевичей. Они охватывали большую часть Нижней Картли, часть Верхней и Шида Картли, городов Тбилиси, Гори, Сурами, Али. Указана статья доходов царского бюджета и их размеры.

В IV главе «Царские вассалы» исследуются вассалы царского дома: духовенство, тавады (крупные феодалы), азнаури (мелкие феодалы), их отношения с царем, их обязанности, численность; выделены особенности сеньориально-вассальных отношений в Картлийском и Кахетском царствах.

## შინაარსი

შესავალი	3
ისტორიოგრაფია	5
თავი I. სამეფო მიწათმფლობელობა IV—XV საუკუნეებში	12
1. სამეფო დომენი და საერისთავო ქვეყნები	12
2. საუფლისწულო მიწათმფლობელობა	27
3. სამეფო მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინები	30
თავი II. სამეფო მიწათმფლობელობა XV—XVIII სს. კახეთის სამეფოში	33
1. მეფის სახასო	34
2. საუფლისწულო, საბატონიშვილო	44
3. სადედოფლო	46
თავი III. სამეფო მიწათმფლობელობა XV—XVIII სს-ის ქართლის სა- მეფოში	53
1. მეფის სახასო	53
2. საუფლისწულო, საბატონიშვილო	66
3. სადედოფლო	92
თავი IV. სამეფო ვასალები	107
1. სასულიერო წოდება	107
2. თავადები	116
3. აზნაურები	125
დასკვნები	135
Феодальное землевладение в Восточной Грузии XV—XVIII веков (Резюме)	139

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის-  
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით.

სბ 4191

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე  
მხატვარი მ. ხურცილავა  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. შოვნაძე  
კორექტორი ე. ჩიხლაძე  
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 19.8.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.6.1989;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;  
გარნიტურა ვენური, პირობითი საბეჭდი თაბახი 9.25;  
პირ. სალ. გატ. 9.63; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.12;  
უე 02286; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2684;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

---

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19<sup>1</sup>  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Заза Тенгизович Хидурели

ФЕОДАЛЬНОЕ ЗЕМЛЕВЛАДЕНИЕ В ВОСТОЧНОЙ  
ГРУЗИИ XV—XVIII вв.  
(царская вотчина)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»

1989



1989 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცემს შემდეგი დასახელების წიგნებს:

მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობის ისტორიისათვის.

ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის შუქზე.

დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური პოლიტიკა და საქართველო XV ს. 60-იან წლებში.

13.

24

